

# მ მ ა მ ბ ე



თ გ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი შეთორმეტი



№ X

ო კ ტ ო მ ბ ა ე რ ი, 1905



ტ ფ ი ლ ს ი

საქართველოს საბჭოთაო საზღვრო სამართალი

1905

# შინაარსი

I— <b>ჰიტვსა კეთებაზვილი.</b> —თავი მე-IX, მე-X, მე-XI, მე-XII, მე-XIII, და მე-XIV-ტე. ტატიკოსა.	83. 1
II— <b>დანაზაული და სასჯელი.</b> —ნაწილი მეხუთე. თავი. მე-III და მე-IV. ან-ანისა . . . . .	40
III— <b>მოთხრობა ახლანდელ არეულობაზე სპარსეთსა და საქართველოში.</b> —შეესწინესა.—(დასასრული). თავი. მე-V და მე-VI თარგმანი სიმ. ღაღაბერიძისა. . . . .	1
IV— <b>წერილები საქართველოს ისტორიიდან</b> —თავი. მე-II გორგაძისა . . . . .	15
V— <b>ნარვევი.</b> — ა) ვიქტორიონ სარდუს გასამრჯელო.—ბ) ირვინგის დიდება.—გ) მ. გაპონი.—დ) საკვირველი მენსიერება.—ე) ედისონის აკკუმულატორი.—ვ) სპილენძი.—ზ) ახალი გაზი.—ც) უგაზეთობა.—თ) ზღაპარი . . . . .	59
VI— <b>შინაური მიმოსილვა.</b> —გ. რ. . . . .	71

## დამატებები:

VII— <b>მინერალური ძივია.</b> —ა. კლდასეილისა 177—192	
---	--



ეს № დასრულდა 23 თებერვალს 1906 წ.

# პიტესა პეთეგაუვილი

(ვეფხვი ჩემს ო—ს)

## IX\*)

გავიდა თითქმის რვა-ცხრა წელიწადი, რაც ქიტესა დაი-  
კარგა; მისმა პატრონმა არ იცოდა, სად იყო, ან ცოცხალია  
თუ მკვდარი. ერთ დღეს თედო კეთებაშვილის ეზოში შევიდა  
ერთი კაცი, რომელიც გარეგნობით არაფრით არ გაირჩეოდა  
ლექისგან. იგი პირდაპირ სახლში შევიდა დაუძახნელად. სა-  
ხლის პატრონები ვახშობდნენ. ყველანი, დიდი და პატარა,  
ლექის დანახვაზედ შეშინდნენ. მათ ეგონათ ლექები დაგვე-  
ცნენ და აგვიკლებნო, რადგანაც იმ ხანებში ამისთანა შე-  
მთხვევები ბევრი ხდებოდა. ქიტესას ბიძამ იძრო ხანჯალი,  
მას მიჰყვა თედო და ორივე ძმები ხანჯლებით მიეგებნენ დაუ-  
პატივებელ სტუმარს.

— შედექ, შე ურჯულო! სად მოდიხარ ასე გულადათ!  
ეს არის, შენ აქედგან ცოცხალი ველარ წახვალ! და თან  
საკინძეში სტაცეს ხელი.

ქიტესას დედამ და ძალუამ შეჰქმნეს კვილი.

— დაიცადეთ, თქვე ქრისტიანებო! რა იყო, რა დაგე-  
მართათ?! აბა შემომხედეთ, თქვენ მეზობელ შიოს ველარა  
მცნობთ?!... „შიო“-ს გაგონებაზედ და ქართულ ლაპარაკზედ  
ხელები გაუშეშდათ და მთელი სახლი რალაც სამარის მგზავს-  
მა სიჩუმემ მოიცვა. ყველანი გამოქანდაკებულ სურათს დაე-

\*) იხ. „თამბე“ № IX.

მგზავსენ. შეჰყურებდნენ ერთმანეთს თვალებ დაქყეტილები და ვერც ერთს ვერ მოეხერხებინა ხმის ამოდება. ბოლოს ისევ შიომ დაარღვია სიჩუმე.

— რას მიყურებთ! ეგრე მალე უნდა შეშინდეთ?! იქნება გული გეთანადრებათ, რომ ვითომ მე შიო არა ვარ? მოდით, დასხედით და ჩქარა დაგარწმუნებთ, რომ მე შიო ვარ, თქვენი მეზობელი, კატირინეს შვილი!...

მართლაც შიომ მალე დაარწმუნა ისინი, რომ მართლ-სა ლაპარაკობდა.

— შაშლის ჯარმა რომ შ—ა აიკლო, დაიწყო შიომ, მე მინდოდა ვიყავ ყანის სამკელად. ერთი სვე გავიტანე და ნამგლის გასალესად გრილოში მივედი. ნამგალი გავლესე და ცოტა თვალის მოტყუება მინდოდა, რადგანაც მთელი ღამე არა მძინებია. მთვარიანი ღამე იყო და სულა ვმკიდი. კარგათ იცით მარტო ხელი კაცის საქმე, მინდოდა ჩქარა გამეთავებინა ჩემი ყანა, რომ მერე ფუღზედ მემუშავენა სხვასთან. მივდე თავი მუხის ძირას და თვალის მოტყუება კი არა, ძალიან დამძინებია. სიზმარი ვნახე, მითომ ვილაც კაცები წამეჩხუბნენ და ხანჯლით გამომიდგნენ. მე, სწორეთა ვთქვა, ძალიან, შემეშინდა და შიშისაგან გამომეღვიძა. მაგრამ ნახეთ, სიზმარი ცხადათ არ გადაიქცა!.. თავზედ ხუთი, თოფ-იარაღში ჩამჯდარი, ლეკი მადგა. კრინტს არ მალეზინებდნენ, მაშინვე გულში დამაჭირებდნენ ხოლმე თოფს ტუჩს. ის გასაოხრებელი ნამგალიც ახლო არა მქონდა, თორემ ერთ კაც მაინც ვინაცვალედი. აბა რას ვიზამდი პერანგა კაცი! გამიკრეს ხელები, შესხდნენ ცხენებზედ და ცოტა რომ ფეხი შემეყენებინა, მათრახით ბოლოს ამადენდნენ ხოლმე ტიტველა ბეჭებზედ მიმიყვანეს კ—ნ, სადაც დანარჩენი ტყვეები ჰყვანდათ. გზაში, როცა დაღისტანში წაგვიყვანეს, რამდენ უბედურობას ახდენდნენ! ერთი სიტყვით, აი თითქმის მეთათე წელიწადია მას აქეთ და ეხლაც კი ქრუანტელი დამივლის ხოლმე ტანში, იმათ უღმერთო ქცევას რომ მოვიგონებ. ვინც დაიღლებოდა, კაცი იყო თუ ქალი, დიდი თუ პატარა და უკან რჩომას და-

იწყებდა, როგორც მყეფარს ისე დასცემდნენ ხოლმე თოფს და გადაადგებდნენ. ძუძუთა ბალებს მიიკრავდნენ ზურგზედ და დარდი არა ქონდათ, ჩამოვარდებოდა თუ არა. რამდენი ბალდი გასრისეს ცხენებმა, რამდენი მოკვდა ზედ იმათ ზურგზედღვე. ისე გაუჭირებდნენ ხოლმე თოქს, რომ სუნთქვა აღარ შეეძლოთ. თუ რომელიმე ბალდი ტირილს დაიწყებდა და ვერ დაჩუმებდნენ, როგორც კატის კნუტს, ისე გაისროდნენ ხოლმე ხევში. თუმცა, თუ შამილამდის მიახწევდა ამნაირი ქცევა, იათათ არ უჯდებოდათ იმათაც. ერთმა დედაკაცმა, როცა შამილთან მიგვიყვანეს, უთხრა, რომ ორ ლექს ჩხუბი მოუვიდათ, უნდოდათ ერთი ქალის გაუპატიურება. ერთმანეთზედ საცემლათ მიიწიეს, ერთმა გამომტაცა ხელიდგან ბალდი და შიგ თავში დაარტყა მეორესაო. ბალდი, რასაკვირველია, რაღას გადარჩებოდა, მაშინვე მოკვდა!.. გთხოვთ ეხლა, დიდო ბატონო, გაასამართლოთ ეს საქმე!.. თქვენთვის არ არის სასახლოო ესეთი საქმეო. შამილმა მაშინათვე აპოკნინა ის კაცები და იმ დედაკაცის თვალწინ დააჭრევინა თავები ორივეს... გაგვყვეს ტყვეები და გაიყვეს ნადავლიც. რომელ სოფელშიაც შე ვიყავ, ჩემ გარდა სამოცამდე სხვა ტყვე იყო.

— ახ, ნეტავ ჩემი ქიტესაც ტყვეთ წაეყვანათ!..

ამოკვნესით თქვა ქიტესას დედამ.

— დამაცადეთ! იმის ამბავსაც გიამბობთ!...

— როგორ, შიო, ქიტესა ცოცხალია?!.. გვითხარ, გვითხარ ჩქარა!...

ყველამ ერთ ხმათ ჰკითხა და დააკვირდნენ სახეზედ, თითქო, ვიდრე იტყოდა, უნდოდათ ამოეკითხათ მისი სახიდგან პასუხი.

— ცოცხალიაო?!.. მე მეგონა იმას აქა ვნახავდი ეხლა და თქვენ კი მკითხავთ სად არისო!.. რას ამბობთ, იმოდენა კაცია, რომ ვერც კი იცნობთ. წელიწადზედ მეტია, რაც არ მინახავს. მე არ ვიცოდი თუ ის ტყვეთ იყო. ჯერ შარშან ზაფხულში გამოვეპარე ჩემ ბატონს. მთაში ერთ მეცხვარეს შეეხვდი. გამოველაპარაკე, ავათვალ-დავათვალიერე და იერზედ

მივხვდი, რომ ის ქიტესა იყო: გადავხვიე, დავუწყე კოცნა და ის კი გაკვირვებით მიყურებდა, ვერ მიცნო. ვუთხარი, ბიჭო, შიოს ველარა მცნობ მეთქი. მაშინ კი გაუხარდა, გადამეხვია და დამიწყო იმანაც კოცნა. გამოგვითხე ყველაფერი. მითხრა, ძალიან კარგი კაცი შამხვდა, შვილივით მინახავს, სხვა ტყვეებით არა ვყვევარ შაწუხება შიო. სოფელში ყოფნა მომწყინდა და ცხვარში წამოვედიო. ვებვეწე: წამოდი მეთქი, მაგრამ ვერ გავაბედინე. ჯერ ერთი, ცხვარს თავს ვერ დავანებებ, უპატრონოთ როგორ გაუშო ამოდენა ცხვარიო, ხომ სულ დაიღუპა და მადლობის მაგიერი იქნებაო!.. მეორეც ის, რომ თვითონ ჩემი ბატონი დამპირდა, შამოდგომაზედ წაგიყვანო და აბა რა სვინდისი იქნება არ დავიცადო და გავიპაროვო. მე იმის ლაპარაკში და ხვეწნაში დამიგვიანდა, წამოვედი და მდევარი დამეწია. დამიჭირეს და ისევ მიმიყვანეს ჩემ ბატონთან. ის ოჯახ ამოწყვეტილი, გაჯავრებული უფრო ცუდათ მექცეოდა. დღისით თვალწინ ვყვანდი და ისე მამუშავებდა. მთელი დღე სიბ ქვას მათლევინებდა. ღამე, საქონელთან ერთათ, გომში მამწყვდევდა. ერთ ღამეს ქურდებმა გომის კარები გატეხეს და საქონელი მოიპარეს. მინამ ისინი საქონელს გამოორეკავდნენ, მე გამოვედი და მთელი ღამე უგზო-უკვლოდ ვიარე. ვიცოდი დამედევნებოდა, ეგონებოდა საქონელი მე მოვიპარე და ამისთვის მთელი ორი დღე და ღამე ერთ ფულურო ხეში ვიყავ დამალული, რომ მდევარს ავცდე მეთქი. რაკი დავიხედე, რომ მდევარი დაბრუნდებოდა მეთქი, გამოველ და მაინც კიდევ უგზო-უკვლოდ ვიარე ამ მთებში, რომ არავის არ შევხვედროდი!.. აი, მადლობა ღმერთს, მშვედობით ჩამოვახწიე აქამდის!.. ეხლა ქიტესა რომ აქ არა მგულეობოდა, კიდევ გამოვივლიდი იმისკენ და იქნება ეხლა მაინც დამეყოლიებინა წამოსვლაზედ!..

ქიტესას დედ-მამამ აღარ იცოდა სიხარულით რა ექნათ. მეტი სიხარულისაგან ტირილი დაიწყეს.

— ეგ მინდოდა გამეგო, ცოცხალი იყო თუ მკვდარი

და ეხლა მე ვიცი! — სთქვა თედომ — სამი ტყვის სახსნელი\*) მაქვს და რა ქირად მინდა, თუ არ გამოვიყენებ?!.. ერთა-ერთი შვილი მყავს და თუ კი იმასაც არ გამოვიხსნი, რაღა ოხრათ მინდა, ვის უნდა დარჩეს?!.. ეხლა მე ვიცი! მალე მტერი მომიკვდეს, მალე თედომ ქიტესა დაიხსნას და ჩამოიყვანოს!... გადასწყვიტა თედომ წასვლა ქიტესას მოსაყვანათ.

## X

დადგა ენკენისთვე. ქიტესას და ალიას ცხვარი ისევ მთაში ჰყავდათ. ამინდები შეიცვალა. ბურუსი ხშირ-ხშირად ჰფარავდა იალალის კალთებს. ჟინჟვლაც მოუხშირა.

ერთ ბურუსიან ღამეს ალიას ბინასთან ყოველი ფერი მიჩუმებული იყო, მხოლოდ ფარეხიდან მოისმოდა ცხვრის განუწყვეტლივ ცოხვნა. ძაღლებს ცხვირები ჩაეყოთ გაბუე-ბულ კუდებში და ათასში ერახელ შეწყმუტუნებდნენ ხოლმე ძილში. მაგრამ დიდ ხანს არ გასტანა ამ გვარმა სიჩუმემ.

რაღაცა ხმაურობა ისმოდა. კარგა რომ დაეგდო კაცს ყური, აშკარად გაარჩევდა ადამიანის ჩურჩულს და ხან-გამო-შვებით ტუჩების „ტკაპუნსაც“ გაიგონებდა.

— მაშ ესე მოიქცევი, ჩემო სიცოცხლე?!.. დაეკითხა ერთი მეორეს. ვინ იყვნენ?!.. ვინა?!.. ქიტესა და ზენო, რომელნიც ფარეხის ძირას მიმსხდარიყვნენ ჩუმათ, ნაბადში გახვეულები. სულ განაბულები ლაპარაკობდნენ და ხან გამოშვებით, გატაცებით ჩაეკონებოდნენ ხოლმე ერთმანეთს.

— აკი გითხარი, თუ მოგიკითხეს შენმა დედ-მამამ, გამო-გყვები და მოვინათლები კიდევ და თუ არა — აქ დარჩი და მონათვლა რაღა საჭიროა?!.. უთხრა ზენომ და სიტყვების სინამ-დვილეში მხურვალე ტუჩების მიკარებით დაარწმუნა ქიტესა.

— მაგრამ საქმე იმაშია, განაგრძო ისევ ზენომ, ჩემმა დედ-მამამ რომ ნება არ მოგვცეს!..

\*) ტყვის სახსნელი — ას თუმანს ეძახდნენ.

— ერთი მითხარ, ჩემო კარგო! რატომ არ უნდა მოგვცენ ნება? რაზედ მიწუნებენ? თვალათ არ ვვარგვიარ, თუ ტანათ! თუ იმას იტყვიან, რომ ქართველიაო, რა დაშავდება! მე ჩემ რჯულზედ ვიქნები და შენ შენზედ! სიყვარულს რას დაუშლის რჯული?! თუ ჩვენებმა არ მომიკითხეს, უეჭველად ამ ცოტა ხანში სოქვიტას მივგზავნი შუაკაცად შენ დედ-მამასთან. ვნახოთ რას იტყვიან და თუ უარი თქვებს... — შეჩერდა ქიტესა, — მაშინ, ჩემო სიცოცხლე, უნდა მოგიტაცო!.. მოჭიტაცო კი არა, უნდა გამომყვე, სადაც წავიყვან!.. წავიდეთ კახეთში ჩემ დედ-მამასთან, ჩემო ლამაზო და იქ კი მოგნათლავთ ჩვენ რჯულზედ!.. რას იტყვი, ჩემო ზენო! ხომ მოინათლები, ხომ გაიმეტებ დედ-მამას და გამომყვები?!...

— რაღასა მკითხავ! ნუ თუ არა ხარ დარწმუნებული, რომ შენი გულისთვის დედ-მამას კი არა, შემძლიან პურის ქამასაც თავი დავანებო. მითქვამს და კიდევ გეუბნები, რომ შენთან დაშორება სიკვდილის მეტს არაფერს არ შეუძლიან!..

— ოჰ! შენ გენაცვალე, ჩემო სულის დგამე!.. მაგნირი სიტყვებით იცი როგორ გამაცოცხლებ ხოლმე?!.. იცი, ზენო, რა გითხრა? ჩვენ აქედან ხვალ წავიყვანთ ცხვარს სოფელში. მე თქვენ სახლს ახლო ვავაკეთებ ფარებს და რა ნიშანი დავდოთ, რომ ხშირ-ხშირათ ვნახოთ ერთმანეთი?!..

— აბა რა ვიცი! ისეთი ნიშანი კი უნდა იყოს, რომ ჩემმა დედ-მამამ არ გაგვიგოს!..

— იცი, მე რა მოვიგონე?! თქვენ სახლთან ორღობეში სალამურს დავუკრავ, როცა შენი ნახვა მენდომება. მე იქ ორღობეშივე დაგიცდი და როცა იდროვო, გამოდი!.. მე მგონი ძალიან კარგი ნიშანია, შენ რას იტყვი?!..

— ძალიან კარგი, მაგრამ მაგ ნიშნით ხშირ-ხშირად არ შეგვიძლიან ერთმანეთის ნახვა. არ ივარგებს ეგ! აი მე რას ვიტყვი, როცა ჩემი ნახვა გინდოდეს, დილით ჩვენ ეზოს კარებთან გათლილი ჯოხი დაურქვევი. მე მივხედები და როცა ვიდროვებ ორღობეში გამოვალ შენთან. ესე ემჯობინება. ერთხელ რომ ერთი ნიშანი ვიხმაროთ, მერეთ მეორე...





ბევრი ხანი აღარ დაუყოვნებიათ ზენოს და ქიტესას ერთად.

— ეხლა კი წავიდე, თორემ თუ ჩვენებმა გამოიღვიძეს, შემიტყობენ და ვაი ჩემ ღღეს... დედა ჩემს ძალიან ფრთხილად უჭირავს თვალი და არ ვიცი, ექვი ხომ არ აიღო!..

— წადი, ჩემო სიცოცხლე!..

ერთი გამომშვიდობებისას ჩაეკონენ ერთმანეთს და ორივემ მიჰმართეს თვის ქოხებს!...

## XI

რამდენიმე დღის შემდეგ ქიტესამ თვისი ბინა გამართა ალიას სახლის ახლო. ზენომა და მან ბევრი ღამე გაატარეს ტკბილ ლაპარაკში დედ-მამის მალვით, ქიტესამ დიდ ხანს ველარ შესძლო მალვა და ქურდულად ზენოსთან აღერსი, სოქვიტას გამოუტყდა ყველაფერში და თანაც სთხოვა ზენოს დედ-მამასთან შუა-კაცად მიმეგზავნეო.

ერთ საღამოს, სოქვიტა ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლად მივიდა ალიასთან.

— საღამო მშვიდობისა!...

— გადღეგრძელოს ღმერთმა, ჩემო სოქვიტავ!... მიუგო ალიამ.

— აბა, ალიავ, ერთი საქმე მაქვს შენთან და გასამრჯელოს თუ კარგს არ დამპირდებით, ხელსაც არ მოვკიდებ!..

— რა საქმე, სოქვიტავ, რისთვის გარჯილხარ! გვითხარ და თუ კარგია, რასაკვირველია, გასამრჯელოსაც კარგს მიიღებ!..

— რისთვის გავრჯილვარ და შუააა-კააა-ცცი ვარ!..

— რა ძალიან გააქიანურე, რის შუა-კაცი?!

— არ იცი, შუა-კაცი რისთვის მოვა თქვენთან?! ხომ იცი, ქალის თაობაზედ მოვიდოდი!... ქალსა გთხოვენ!..

— ქალსა მთხოვენ?! გაკვირვებით დაეკითხა ფატიმა, რომელიც მათ ლაპარაკში არ ერეოდა.

— ჰო! ქალსა გთხოვენ! რა ძალიან გაგიკვირდათ, დრო არა აქვს გათხოვებისა! აბა შეჰხედეთ, დედაკაცია!.. თან ხელი ზნეოზედ მიაშვირა, რომელიც იქვე იჯდა, — მაგოტელებს შვილები ჰყავთ!...

ზნეო სოქვეტას ლაპარაკზედ გაწითლდა და გულის ძაგ-ხაგით მოელოდა დედ-მამის პასუხს, რადგანაც იცოდა ვისგანაც იყო მიგზავნილი სოქვეტა.

— დრო როგორ არა აქვს, მაგრამ თუ კარგი მთხოვნელი არ გამოჩნდა, ის მირჩევნია შინა მყვანდეს, ერთ ლუკმა პურს როგორ ვერ ვაქმევ!.. მე გულში ლაბაზანა მყავს, იბრაიმას წინათ რომ შენ გედგა მეცხვარეთ. ძალიან მარჯვე ბიჭია!...

— ეჰ, ალიავ! მე ისეთი ბიჭისაგანა ვარ მოგზავნილი, რომ ლაბაზანას კი არა, ხუთს იმისთანას ჯობია. ბიჭობაზედ ვერ დაიწუნებ!...

— ვინ არის, აბა გაგვაგებინე!...

— ვინ არის და აი, ჩემი მეცხვარე, ქიტესა!..

— ქიტესა?!.. ცოლ-ქმართ გაიცინეს და თან გაკვირვებით შეჰხედეს სოქვეტას

— ჰო, ქიტესა, რათ გიგიკვირდა?! არ მოგეწონათ? რით იწუნებთ! აბა ერთი მითხარით, რომელი სჯობია ჩვენ სოფელში?!

— არ კი ვიწუნებთ, მაგრამ ჩვენ ის გაგვიკვირდა, შენ როგორ მოხვედი იმისგან შუა-კაცად?! ვინ ისა და ვინ ჩვენ, ის ქართველი, ჩვენ ლეკები!...

— რა უყოთ რომ ქართველია, დიდი რამ არის? რამთვენ ქართველს შეურთავს ჩვენი ქალი, აი თუნდა ჩვენი ყურბანა!...

— არა, ჩვენ ვერ მივცემთ იმას ქალს!... დღეს თუ ხვალ მოვლენ და წაიყვანენ პატრონები, დარჩება და საცხოვრებელი არა აქვს რა!...

— თუ წაიყვანათ, აქამდის წაიყვანდნენ! ეხლა ვინ იცის, იქნება სულაც გადავიწყებული ჰყავთ! ან იქნება სულაც არა ჰყავს პატრონი და ვინ წაიყვანს!... საცხოვრებელს რომ

იძახით, თქვე კარგო ხალხო, ჩემი ცხოვრება ვისთვის მინდა! ჩემი შეილიც ეგ არის და საცხოვრებელიც მაგას ეკუთნის!..

— მარტო ეგ ხომ არ უშლის ქილის შერთვას, ქრისტიანი რომ არის!...

— რა უყოთ რომ ქრისტიანია! წელანაც გითხარით, აი ყურბანა, ვინ გამოარჩევს მაგას ეხლა ჩვენში! ესეა, რაკი თავის ხალხს ველარ მოჰხვდება, რჯულოს გამოიცვლის, მაშ რას იზამს?! ჩემო ალიავ, დრო ყველაფერს დაავიწყებს!... მაგრამ იცოდე, თუ ქალი არ მიეცი, ნამდვილად თავის თავს აუტეხავს რასმეს და არც თქვენ გადაურჩებით უზიანოთ!...

სოქვიტამ ისე დაარწმუნა ალია და ფატიმა ამ სიტყვებში და ისე შეაფიქრინა, რომ აღარ იცოდნენ, რა ექნათ და რალა ეთქოთ. ზენოს ამ ლაპარაკის დროს სულ გული უწუხდებოდა, რადგანაც იცოდა, რომ ქიტესა მართლა თავს არ იცოცხლებდა, თუ მოტაცებას მაინც ვერ მოახერხებდა და მის შემდეგ აღარც თვითონ იცოცხლებდა თავს!...

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ იქნება ქალს არ უნდა?! სოქვიტას ახლა ეს მოუმიზეზეს, თუმცა უქალოთაც შეეძლოთ დათანხმება.

აი ქალიც აქ არის, შორს ხომ არ არის, რომ ვერ ვიკითხოთ, — რას იტყვი, ზენო, გინდა თუ რა ქიტესა?!..

ზენო გაჩუმდა, სირცხვილით ხმა ვერ ამოიღო.

— ჰა, რას გაჩუმდი, ზენო, ვერ გაიგონე?!..

დაეკითხა სოქვიტა.

— მე რა ვიცი, ჩემი დად-მამის ნებაა!..

ხმის კანკალით წარმოსთქვა ზენომ.

— ჩვენი ნებაა, მაგრამ შენც უნდა თქვა, მოგწონს და გინდა თუ არა?! თუ კი შენ მოინდომებ და ისიც მოინათლებ, თანახმანი ვართ ჩვენც. რა ვქნათ, ამ პატივ-ცემულ კაცს რომ არ ეთხოვნა, და ეს არ ჩარეულიყო საქმეში, სხვა იყო და აბა ეხლა რა ვუყოთ!.. თქვი, თანახმა ხარ თუ არა?!

ზენოს დედ-მამას ეგონა, რომ იგი უარს გააცხადებდა და იმისთვის ჩააცივდნენ, თქვიო!..



— მე... მე... მე როგორ... არ მომმ... წონს, მაგრამ კიდევ თქვენი ნებაა!.. რაც უნდა მიყვარდეს და მომწონდეს, თქვენი წინააღმდეგი არ შემოძლიან!..

ლაპარაკის დროს კანკალებდა და თან ფხილვებს იკვნიტდა.

— გასქრა, გასქრა ჩემმა შუა კაცობამ!.. ტაშის დაკვრით შეჰყვირა სოქვიტამ.

— კარგი ღმერთმა მე მომცეს, კარგი ბიჭი ის არის!.. აბა ეხლა ქორწილი გავაჩალოთ ჩქარა!..

ქიტესას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სოქვიტამ კარგი ამბავი მოუტანა. ეხლა თავისუფლად დადიოდა ქიტესა ალიას სახლში და ზენოს და მას ისე აღარ ერიდებოდათ ღედ-მამისა!..

## XII

დადგა შემოდგომა თვისი გრილი და ქღმურტვლიანი ამინდებით. წვიმა, რომელიც ზაფხულში ხალხს ენატრებოდა, ეხლა ხშირი სტუმარი გახდა. კავკასიონის მთა-გრებილზედ თოვლმა აქა-იქ იალალის მწვანე ხავერდის სუფრა თეთრად შეცვალა. იალალის პირში მინდვრიანზედ ამაყად წამოყაყულ წაბლის ხეს, რომელიც ზაფხულში რამდენჯერმე უშიშრად დახვედრია გაშმაგებულ ქარიშხალს, მაგრამ მას იგი ვერ შეუშინებია, ეხლა ვხედავთ მოხუცებულს; ზედ აწევს იმოდონა ტვირთი, რომ ვერ ძალ უძს შალლა ახედვა და ერთ მცირე ოდენ ნიავის დაბერვაზედ, რომელიც აქამდის ნანად მიაჩნდა, სცვივა უთვალავი თეთრი, სპეტაკი თმა და წვერ-ულვაში სწორედ რომ ყველას შეებრალებოდა ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი იალალი, ვისაც კი უნახავს ზაფხულში მისი არემარეს ენით გამოუთქმელი სიკეკლუცე. დიდი ხანია, რაც მეცხვარეებმაც დაანებეს თავი, დააობლეს და ხანდის ხან, როცა კი უბურუსო დღეები იყო, დაბლა კალთებში აჰყვანდათ ცხვარი, სადაც ზამთრის, პირ-მკაცრ სიცივეს ჯერ კიდევ არ მოეშუშნა ბალახი.

ერთ ბურუსიან დღეს ი—ში, სადაც ცხოვრობდა სოკეიტა, დაბარებულებივით მიდიოდა სამი კაცი. როგორც ეტყობოდათ, უცხონი იყვნენ, არა გაეგებოდათ რა იმ სოფლისა, ვისაც შეჰხვდებოდნენ, დააყენებდნენ და რაღაცას ჰკითხავდნენ. აგერ უკანასკნელად შეაჩერეს ერთი კაცი, რომელმაც ერთი კოშკისკენ გაუშვირა ხელი.

ერთი ამათგანი, ჩემო მკითხველო, თედო კეთებაშვილი იყო. მგზავრები გაჩერდნენ კოშკთან, რომლის ძირში მიშენებული იყო დაბალი, სიბი ქვის ერთ სართულიანი სახლი. დადგნენ დერეფანში და დაიძახეს:

— სახლი პატრონო!..

ამ ძახილზედ მგზავრებს გამოჰხედათ დიდ დურა ტყავში კაბორბლილმა კაცმა-სოკეიტამ, რომელმაც შეიწვია სახლში და ვინაობის გამოკითხვა დაუწყო. რა შეიტყო მათი ვინაობა და მიზეზი მათი მოსვლისა, უთხრა.

— რა ვქნა, შენი ქირიმე! თუმცა ძალიან მეძნელება ქიტესას დათმობა, მაგრამ აბა რა უყო, საკუთარი შვილი როგორ წაგართვა, რა ნება მაქვს მე?!... სადა ხართ აქამდის, რატომ არ მოიკითხეთ?!... აღრე რომ წაგეყვანათ, არც ჩემთვის იქნებოდა ძნელი და არც ქიტესასთვის!. ისე ვარ შაჩვეული, რომ...

— რა ვქნა, რომ არ ვიცოდი ცოცხალი იყო თუ მკვდარი!.. ან სად იყო, მთხრობელი არავინა მყვანდა და რანაირად მომეკითხნა!.. აი ამ ბოლოს დროს გავიგე, რომ ცოცხალი ყოიფლა და მოვედი კიდევ. წამოსვლა რათ უნდა გაუძნელდეს! დიდი ხანი დარჩენილიყო, ჩვენი სიყვარული არ გაუქრებოდა და წამოსვლაც ყოველთვის ენდომებოდა! სად არის ეხლა, რატომ არა, ჩანს?!...

— აქვე ახლო, სოფლის თავში უდგა ცხვარი. ეხლავე დავაძახებინებ!..

და გავიდა მეზობლის ბიჭის გასაგზავნათ ქიტესასთან. თვითონ ისევ ჩქარა შემობრუნდა.

— ნამგზავრები ხართ, გემშივებთ! ლაპარაკში გავებით

და დამავიწყდა, ვერა მოგიტანეთ რა! აი, ცოტა შანაყრდით და ისიც მოვა, ნახე ერთი რამოდენა ვაჟ-კაცი გახდა!...

სოქვიტამ მოუტანა მგზავრებს ხონჩით ხშიადის ნამტვრევები, ყველი ყალია და სხვა...

— წელსაც რომ არ მოგვეკითხნათ, ცოლის შერთვას ვუპირობდი აქ და უნდა გითხრა, კარგი გოგოც მყავს ამორჩეული!.. ამ ცოტა ხანში ვაპირებდით დაქორწილებას, ქალის პატრონთან საქმე გავათავეთ კიდევც!..

— ცოლს განა მე კი ვერ შავრთავ?!... ჩვენი ქვეყნის გოგოებზედ კარგი ხომ არ იქნება!.. ჩავიყვან, ისეთ გოგოს მოვიყვან რძლათ, რომ თვალი იყოს სოფლისა!..

— არ ვიცი, როგორ იქნება! მგონი ქიტესა არ დაგთანხმდეს მაგაზედ!.. ძალიან უყვარს ის ქალი, ისე რომ უიმისოთ მგონი, თავს არ იცოცხლებს!..

— რა უყოთ, რომ უყვარს! ჩავიყვან შინ და ჩქარა დაავიწყდება აქაურობაც და ქალიც!..

— არ ვიცი, არა! ძალიან მეძნელება მაგის დაყოლიება!.. აგე თითონაც მოდის!.. კარებში გამოჩნდა მეცხვარე უზარმაზარი ჩობახით და დიდი ტყავის ქუდით!..

— აგე შენი შვილი...

უთხრა სოქვიტამ თედოს და ხელი გაუშვირა ახლად შემოსულისკენ.

— აი, ქიტესავე, მამაშენი!.. აჩვენა თედოზედ. მამაშვილთ შიაშურეს ერთმანეთს, ჩაეხვივნენ და დაუწყეს კოცნა. სიხარულით ორივეს ცრემლები გადმოსდიოდათ.

— შვილო, ქიტესა, ველარა მცნობ, გენაცვალე, მამაშენს?!..

ძლივს დაილულდლულა სიხარულისაგან სულ შეგუბებულმა თედომ. დიდხანს იყვნენ მამა-შვილნი ასე ჩახვეულნი.

— რამოდენა ვაჟკაცი გამხდარხარ, შვილო, შენ გენაცვალე!.. ღმერთო დიდებულო, გმადლობ, რომ ჩემი ქიტესა ცოცხალი მაჩვენე და აქამდის უბედური მამა, ეხლა გამაბედნიერე!.. ეხლა აღარა მომკლავს რა! ჩემი დარდი ეს იყო!..

— ქიტესავ, რას იტყვი, მამა შენი რომ წაყვანას გიპირებს! — ჰკითხა სოქვიტამ.

— რას ვიტყვი! ესეც რომ არ ამოსულიყო, მე თითონ ვაპირებდი წასვლას!...

— მერე, ბიჭო, ჩუმათ აპირებდი გაპარვას! ჩემ ამაგს რაღას ეუბნებოდი?!

— არა, სოქვეტავ, უშენოდ რომ მდომებოდა წასვლა, შარშანვე გავიპარებოდი, მაგრამ უსენდისობაზედ არ დავდე მე თავი. ვიცოდი არც შენ დამიშლიდი წასვლას!..

— ჰო, ეგ ყველა კარგი, მაგრამ ზენოს რაღას უზამდი?! მაგ პირობას აძლევდი?!..

— მერე, ვინ ამოხს, რომ ვულალოტებო! არ იცი, რომ მე უიმისოთ სიცოცხლე არ შემიძლიან!... ისიც თან მომდევდა დედ-მამის მალვით!...

— ვინ ზენოს ამოხს, შვილო, ვინ არის?!

ქიტესას შერცხვა, რათ წამომცდა ეს მამასთანაო, გაწითლდა და ჩალუნა თავი.

— წელან მე არ გითხარი, რომ ქალი უყვარს მეთქი, იმაზედ ამბობს!.. — უთხრა სოქვიტამ.

— შვილო, შენი ქირიმე! აქედგან რომ არ წაიყვანოთ ქალი და ისიც მოტაცებით, განა ჩვენში ველარ ვიშოვნით!?..

ეს სიტყვები არ ექაზნიკა ქიტესას და გადაწყვიტა, ყველაფერს დაწვრილებით ვეტყვიო.

— უნდა გამოვიტყდე, მამა ჩემო და გითხრა, რომ მე უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიან. ქალი კი არა, მზეთ უნახავი რომ იყოს, არ შევირთავ მაგის მეტს. მე ჩემ პირს ვერ შევირცხვენ. პირობა მაქვს მიცემული, მიყვარს და ჩემი უნდა გახდეს!.. ვიცი გეწყინება, მაგრამ გეტყვი, თუ ნება არ მომეცი ზენოს შერთვისა, მე არ წამოგყვები!.. მე მგონი თქვენ არაფერი დაგაკლდეთ, რომ მე ეგ შევირთო. მე ცოლს იმისთვის შავირთავ, რომ ოჯახში ბედნიერი ცხოვრება მქონდეს და თუ ჩემ უნებურად შეპრთავთ ქალს, ბედნიერი კი არა, უბედური ვიქნები!.. აი ესეა, მამაჩემო, და რაც გინდა ის მიყავ, რაც გინდა ისა თქვი!..

— შეილო, რაკი ესეა საქმე, მე წინააღმდეგი ვერ გიგინდები. თუ შენი ბედნიერება არ მემდომება, სხვა ვილასი მემდომება!.. კარგი იქნებოდა ჩვენი ქართველი კაცის შეილი შეგერთო, მაგრამ რაკი საქმე ეგრეა, რალა ეშველება!.. ღვთის წინაშე, არც ეგ იქნება ურიგო; სხვაც არა იყოს-რა, სასულიერო საქმეს ჩავიდენტ!.. ერთ ადამიანს გავაქრისტიანებთ!.. მაგრამ საქმე იმაშია, ქალის დედ-მამა დაგვთანხმდება და გავატანენ შინ, ან მისცემენ ნებას მონათვლისას?!..

— მეც მაგას ვფიქრობდი, — სთქვა სოქვიტამ, — და დარწმუნებულიცა ვარ, რომ არ დაგვთანხმდებიან!..

— მეც ვიცი, რომ არ დაგვთანხმდებიან, მაგრამ საცდელათ მაინც დავუძახოთ ალიას, იქნება დავითანხმოთ როგორმე!.. თუ ვერ დავიყოლიეთ, მაშინ მე ვიცი, ძნელი არ არის მაგის მოტაცება!.. დავუძახოთ, დავუძახოთ, სოქვიტავ!..

— დაძახებით, დავუძახებ ქიტესავ, მაგრამ ეხლავე გეუბნები, რომ არ დაგვთანხმდება და ვიცი მოტაცება მოგიხდება!.. დაიბარეს ალია, რომელმაც მოსვლა არ დაავიანა.

— იცი, ალი, რისთვის დაგიბარეთ? შენთან ერთი დიდი საქმე მაქვს და არ ვიცი, აგვისრულებ თუ არა!...

— ისეთი რა უნდა იყოს, რომ არ შეგისრულოთ, თუკი შევიძლებ!...

— რალა შორიდგან დაგიწყო, შენ იმ დღეს დამთანხმდი, რომ ზენოს მივცემ ქიტესასაო, მაგრამ ეხლა საქმესხვანაირად დატრიალდა. აი ეს ქიტესას მამაა, აჩვენა თედოზედ, ეხლა შეილი თან მიჰყავს, მაგრამ არ მისდევს, თუ ზენოსაც თან არ წავიყვანო. ეხლა გვინდა გავიგოთ, გაატან თუ არა!... მარტო შენ ხომ არ იქნები მაგალითი, გასაკიცხი არ იქნები. აი ტალღათის ამაზოც ქართველმა არ შაირთო. ეხლა ქპრიან-შვილიანი დედაკაცია, ტალღათი თითქმის სულ იქ არის. მთელი წლის სარჩო იქიდგან ამოაქვს ხოლმე: პური, ქერი, სიმინდი და ხილი ხომ რალა გითხრა... აბა ერთი მითხარ, რა დააკლდა. თუ შენი შეილი გიყვარს და მაგის ბედნიერება გინდა, უარს ნუ ეტყვი. იცოდე, თუ არ მიეცი, მაინც ერთმანეთს არ ასცდებიან, ორივეს ძალიან უყვართ ერთმანეთი!..



— ვაი, ვაი, სოქვიტავ! მე კევიანი მეგონე და შენ სხვებზედ უარესი ყოფილხარ!... კაცო, გულში რომ გაიფიქრე, პირათ როგორღა მითხარ ეგ?!.. იმ დღესაც შენი ხათრით და პატივის ცემით ველარ გითხარი უარი, დაგთანხმდი, მხოლოდ იმ პირობით, თუ აქ დარჩებოდა და ეხლა შენ კახეთშიაც ატან?!.. რომ ვიცოდე ჩემი ქალი დღესვე მოკვდება, თუმცა ერთად-ერთი შენლია, მაინც არ მივცემ ქართველ კაცს! რი სთვის, რის გულისთვის, რაზედ უნდა დაეხარბდე?! მინამ ცოცხალი ვიქნები, ცოლ-შვილს მშიერს არ დაეხოცავ და მოგკვდები, მაშინ თითონ იციან!... არც მაშინ გაუჭირდებათ ცხოვრება, ორიოდ ცხვარი დარჩება!... არა, არა, ცუყი-ლა გარჯილხართ!.. თუ მარტო ევა გქონდათ სათქმელი, ძალიანა მწყინს, რომ მოვედი!... რო გამეგო, რჯულის მიდ-ლმა არ მოვიდოდი!...

ველარა უთხრეს რა, ყველანი გაჩუმდნენ, რაკი დაინახეს, რომ ალიას ეწყინაო. აღარც დამდგარა მეტ ხანს, თუმცა ბევრი ელაპარაკა სოქვიტა.

— აკი გითხარით, რომ არ დაგვთანხმდება მეთქი!... რომელი მამა ჩაიდენს ამ საქმეს?!.. და თუ ჩაიდენს, ისევე გაჭირვებული კაცი და ალია კი თავისთვინ სცხოვრობს!..

— არა, შეილო, რაზედ გინდა რომ ხათხალა გადავი-კიდოთ. ქალი რომ მოვიტაცოთ, უეჭველია დაგვეღვენება და უზიანოთ ვერ გადავრჩებით. ეგ ქალი, რაკი შენ უყვარ-ხარ, სხვას არავის შეირთავს. ჩვენ წავიდეთ, შეილო და აი სოქვიტა ეცდება კიდევ, იქნება „ჰო“ ათქმევინოს და შე-გვატყობინებს პასუხს. ვნახოთ, რა პასუხს მისცემს და მოტა-ცება ხომ ყოველთვის შეიძლება. იქნება იფიქროს, კევაში დაუჯდეს და „ჰო“ თქვას. ეხლა კი, გენაცვალე შეილო, მშვიდობით წავიდეთ შინ!..

— ჰო, ქიტესავ, ძალიან კარგი რჩევაა. წადით ეხლა თქვენ და მე მაინც თავს არ დაფანებებ!.. ეგებ როგორმე დავიყოლიო. თუ არა და ყარაულათ ვიქნები, გათხოვებას დაუპირებს თუ არა, შეგატყობინებ, ამოდი და მაშინ მოი-ტაცე!.. მაშინ მე თითონ მოგცემ შემწეობას!..



თუმცა ეს რჩევა ქიტესას არ მოეწონა, მაგრამ მამა, რომელიც თვალეც ცრემლიანი ეხვეწებოდა, შეეცოდა და დასთანხმდა წასვლაზე. თედოს უხაროდა, რაკი აქედგან წავიყვან და მოშორდება ზენოს, გადაავიწყდებაო, მაგრამ ტყუილად! ქიტესა ამ აზრს ვერ შეურიგდებოდა!.. ძნელი იყო მისთვის ზენოს დავიწყება...

— აბა, სოქვიტავ, რას გამომართმევ შეილის დასახსნელს?!

— როგორაო!?! რას გამოგართმევ?!.. რა უნდა გამოგართვა! პირ იქით ჩემგან გერგება ფული. რაც მაგან შემმატა, მე ჩემს სიცოცხლეში ვერ შევიმატებდი!.. მარტო იმასა გთხოვ, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გამოგზავნე ხოლმე, ნუ დამანატრებ; თუ გინდა მაგითი მცემ პატივს და მადლობასაც მაგით გადამიხდი.

— არა, მე მაგას ვერ ვიზამ, რომ სამაგიერო მადლობა და პატივის ცემა არ გადაგიხადო. გამოგზავნით, დარწმუნებული იყავ, ყოველთვის გამოგზავნი, როცა კი მოინდომებს. აი მაგის გამოსახსნელად ერთი ტყვის სახსნელი\*) წამოვიღე, სოქვიტავ!..

— თედო, ეგ აღარ გამაგონო, თუ შენი შეილი გიყვარს, რომ მითომ ქიტესა ჩემი ტყვე იყოს!.. ტყვე კი არა, ჩემი შეილია!.. მაგის მეტი არავინ მბადია; ერთი შეილი მყვანდა, ისიც კახეთში მამიკლეს და ამის საბადლოთ ეგ ვიშვილე!..

— შეილო, ქიტესავ, მიუბრუნდა სოქვიტა, წადი, რამთვენიც გერგება, გამოარჩიე ფარიდგან ცხვარი და წაიყვანე, შენი დაზდილი და ნაამაგდარია!..

— რას ამოვ, სოქვიტავ! თუ შენ არ აიღე შესამნახაო, ჩვენ რალათ წავიყვანთ ცხვარს?! ოღონდ ამან მოვლა შეიძლოს, თორემ ცხვარი საკმარისი მყავს!.. უთხრა თედომ.

\*) ტყვის სახსნელი—ასი თუმანი ვერცხლის ფულია, გამოკრული გულდაში.

იმ ღამეს აღრე ივახშმეს, რომ მეორე დღეს მგზავრები აღრე უნდა ამდგარიყვნენ. თელომ თავისი თანამგზავრებით ჩქარა ამოუშო წყნარი ხვრინვა. ქიტესა ფრთხილათ წამოდგა და ფეხ-აკრებიდ გამოვიდა გარეთ. რამდენიმე წამის შემდეგ აღიას სახლის ახლო ორღობეში ტკილათ დაიღულუნა საღამურმა და ბოლოს რამდენჯერმე შეჰკვნესა. ამ ხმამ ზენოს ყურებში გასწივლა და შეაფრეოლა, რომელიც იმ დროს გომის კარებს ურდულს უკეთებდა. ზენო ერთ წამს უძრავად შეიქმნა. არ იცოდა, ვისი საღამურის ხმა იყო. თან არც-კი უჯერებდა თვის ყურებს, ეგონა მომატყუესო.

— რა ვქნა, დღეს ეზოს კარებზედ რამდენჯერმე ვიყავ, განგებ ამ საღამოთიც გავედი სანახავათ, მაგრამ არაფერი ნიშანი არ იყო!.. ზენო ამ ფიქრებში იყო, რომ საღამურმა კიდევ შეჰკვნესა ორღობეში, რომელიც ლენცოფის წვენივით ჩაეწვეთა ყურებში. ეხლა კი გამოერკვა ზენო ფიქრებიდგან, დარწმუნდა, რომ სმენას არ მოუტყუებია და მიაშურა ორღობისკენ. ის იყო ქიტესამ მიიღო ტუჩებთან საღამურის ენა და უნდა ჩაებერნა, რომ ფეხის ხმა მოესმა. ჯერ ჯავს, რომელიც ღობის ძირში იდგა, ამოეფარა, ეგონა სხვა ვინმე შოდისო, მაგრამ თვალი მოჰკრა თეთრ ფულებს და ღვინჭილოებს, რომლებითაც მორთული ჰქონდა ზენოს მანდილი და გულის პირი. ქიტესა გამოვიდა ჯავიდან და მომავალი მიჯნურნი ერთი თვის უნახავებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს და კარგა ხანს იყვნენ ასე ჩახვეულნი. მერე ისევ ზენომ ჰკითხა, რომელიც უკანასკნელი კოცნით გაეშვებინა ქიტესას და პატარა ყმაწვილივით ჩამოეკიდა კისერზედ.

— ჩემო ქიტესავ, რამ მოგიყვანა ეხლა?! თუ მოხვიდოდი, ნიშანს ვერას დაადებდი დღეს?!... მე სრულგობით არ მოგელოდებოდი, იმითვინ, რომ გუშინ არა გითქვამს რა!.. და თან ვარდის ფერი ტუჩები შეახო, რითაც უპასუხა ქიტესამ.

— მე თითონ არ ვიცოდი, მოვდიოდი თუ არა, მაგრამ ისეთი საქმე გამოგვიტყვრა, რომ უეჭველად უნდა მოესული-

ყავ და ერთმანეთი გვენახა!.. რალა ბევრი ვმალო, ისეთი საქმეა, რომელიც მე და შენ რამდენიმე ხნით ერთმანეთს გვაშორებს!

— აი ეხლა შენ გამოსამშვიდებლათ მოვედი!... ქიტესამ ეს უკანასკნელი სიტყვები დააბოლოოვა ზენოს ორივე თვალების დაკოცვით, რომელზედაც მან ზენოსაგან არავითარი პასუხისგებითი მოძრაობა არ მიიღო, მხოლოდ ქიტესას სიტყვებით თავ-ზარ დაცემულმა ქალმა გაუშვა ხელები, რომლებიც გველივით ჰქონდა ქიტესას კისერზედ შემოქმნილი და დაეშო ძირს. ქიტესამ მსწრაფათ წამოაყენა ზენო ფეხზედ, მიიყრდნო გულზედ, რამდენიმე გატაცებით დაკონებით, და აღელვებულის, მაგრამ წყნარის „ზენო“-ს ჩაჩურჩულებით მას ხმა ამოაღებინა.

— რა დაგემართა, ზენო! რა იყო ჩემო, სიცოცხლევ?! გული გაიმაგრე!..

— რას მეუბნებოდ, ქიტესავ, ნუ დამიმაღავ, სწორეთ მითხარ, აღარ მახსოვს, რას მეუბნებოდ!.. მითხარ, თუ ღმერთი გწამს და თუ ჩემი სიყვარულის ნატამალი კიდევ გაქვს!.. ევედრებოდა ყელ გადაგდებული ზენო და თან ტანჯულის თვალებით შესცქეროდა.

— არაფერს არ გეუბნებოდი, ჩემო კარგო! აბა რა დაგემართა, რამ შეგაშინა!..

— მითხარ, ნუ მიმაღავ! რაც იყო, იყო, ნუ გეშინიან, პირობას გაძლევ არა მომივა რა!.. მითხარ, გეხვეწები, ნუ მიმაღავ!.. მგონი, როგორც მახსოვს, წასვლაზედ, მოშორებაზედ შელაპარაკებოდი!... თან დააშტერა თვალები...

— ჰო, ჩემო კარგო, ჩემო თვალის სინათლევ! მაგას გელაპარაკებოდი, მაგრამ... ნუ გეშინიან... გეტყვი დაწვრილებით, თუ გულს გაიმაგრებ და პირობას მომცემ... აღარ დაათავებინა ზენომ ეს სიტყვები.

— მითხარ, მითხარ ჩქარა, შენი ქირიმე, მე არა მიშავს რა!... და თან სახეზედ უსვამდა თვის კოპწია, მთრთოლვარე ხელებს.

— დამშვიდდი, გენაცვალე! აი რას გეუბნებოდი: დღეს მამაჩემი მოვიდა კახეთიდან ჩემ წასაყვანათ. მე პირდაპირ გამოვუტყდი და ვუთხარ შენზედ, თუ იმის წამოყვანის ნებას მომცემ წამოვალ, თუ არა და არ გამოგყვები მეთქი. თუმცა უარზედ იდგა, მაგრამ ბოლოს დამთანხმდა. დავიბარეთ მამაშენი, უთხარით ესე გვინდაო და აბა შენ რაღას იტყვიო! ცივი უარი გამოგვიცხადა და ეწყინა კიდევ, რათ მითხარით, როგორ გაჰბედეთო!.. მე გადავწყვიტე შენი მოტაცება, მამაჩემი და სოქვეტაც დამთანხმდნენ. ხვალ ვაპირებთ ჩვენ წასვლას.

— მაშ, ჩემო სიცოცხლევე, ესლა ჩემ წასაყვინათ მოხველ? მეც ხვალ წამიყვან?!..

— მე ხვალვე მინდოდა, მაგრამ მამა ჩემმა და სოქვეტამ არ მირჩიეს. სოქვეტამა თქვა, ვერ გადაიყვანთ, მღვევარს დაგადევნებთ, წაგართმევთ და თუ ყველას ვერა, ერთერთს მაინც მოუკლავს არ გაგიშვებთო. მე არც მღვევრისა მეშინიან და არც სიკვდილისა, მაგრამ საწყალი მამაჩემი მეცოდება, ვაი თუ მართლა ერთი რამ ხიფათი შეგვემთხვეს და რა უყოთ!.. არა უშავს რა, სადაც ბევრი მოვითმინეთ, ცოტაც მოვითმინოთ. ჩავალ შინ და მალე დავბრუნდები; მოგიტაცებ ისეთ დროს, რომ მამა შენი აზრითაც ვერ მიჰხვდეს და ის არის!.. სოქვეტა დამპირდა, კიდევ ვეცდები, იქნებ დავიყოლიო როგორმეო, მაგრამ მე არც მამაშენს დავუტდი და არც სოქვეტას, ჩქარა გაეჩნდები აქ!..

— მე რაღას მოგაგონდები კახეთში. შენი დედ-მამა იქ სხვას გიშოვნის და ვაი უბედურ ზენოს თავს, რომ უიღბლოთ დაბადებულა!..

— ზენო, გაძლევ ვაჟკაცურ სიტყვას, რომ მე შენს მეტი არავინ მინდა! შენ მხოლოდ იმას გთხოვ, რომ არ გათხოვდე სხვაზედ. ნუ გეშინიან, მე არ გიღალატებ, ჩემი სიტყვა ბეჭეღია!.. რასაც ვიტყვი, ავასრულებ კიდევ!..

— ქიტესავ, ეგ ხომ სულ ცარიელი სიტყვებია!.. წადი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. აქამდის, როგორც კატამ თავგი

ათამაშოს, ისე მათამაშე და ეხლა რალათ გინდივარ!.. წადი, წადი, შენ იყავ ბედნიერი და მე თუნდ არა ვყოფილვარ; თუნდ ჯანაბას დავიკარგები!..

— ზენო, შენ მაგ სიტყვებით მხიბლავ, მკლავ!.. მე თუ შენ არა მდომებოდი, მამაშენს არ დავიბარებდი და უჩუმრათ ვაგვებარებოდი, მაგრამ ხომ ჰხედავ შენთან ჩუმად მოვიპარე, შენი გულისთვის დავრჩით დღეს, თორემ დღესვე წავიღოდი!.. მოვედი შენთან, მინდა გვივიგო შენი სურვილიც, რას მეტყვი, რომ იმის დავვარად მოვიქცე!.. მითხარ, იქნები ჩემი ერთგული, არავის მისთხოვდები?!.. მითხარ, ან „ჰო“ ან „არა“!... თუ „არას“ მეტყვი და აჰა... ამ ერთ წამს მაინც ვიყო ბედნიერი... შენ ფეხებთან... შენ ხელებზედ, შენ თვალ წინ მაინც დავლიო სული!..

ამ დროს გაიძრო ხანჯალი, რომელმაც გაიპრიალა ჰაერში და ის იყო უნდა გაეხო ქიტესას მკერდი, რომ ზენომ შეკიფლებით უტაცა მაჯას ხელი და განმძვინვარებული ვაჟკაცის მკლავი გააჩერა!..

— რას ჩადი, შე უბედურო!.. რამ გაგაგიჟა?!..

— გამიშვი, ზენო, ნუ მაკარგვინებ ამ ბედნიერ და ძვირფას წამს! რა გინდა, რათ მიმწარებ ბედნიერებას?!.. მომეცნება შენ წინ სიკვდილისა, ამით მაინც გამაბედნიერე!,. რათ, რათ მიქერ ხელს, თუ კი არ გინდივარ!.. მითხარ, ვის დაუმორჩილო შენგნით შებოქილი გული, ვის-ღა შეუძლიან მალამო დაადოს შენგნით დატანჯულ და დაწყლულბულ გულს?!.. მითხარ, მითხარ, ჩემო მკვლელო, თუ არა და ღვთის გულისთვის, გეხვეწები, ნუ მიშლი გავათავო ჩემი ტანჯული სიცოცხლე!..

— ქიტესავ! შენი ვარ საუკუნო!.. წადი, ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგციეს და მშვიდობითვე დაგაბრუნოს ჩქარა!.. თუ გინდა და მამაშენიც ნებას მოგცემს, გამოგყვები, ვავიპარნეთ!.. მე არაფრისა მეშინიან, თუ კი შენთან ვიქნები!..—და ლაპარაკი ტუჩების შეხებამ შესწყვიტა. კარგახანს იდგნენ ჩაკონილნი, არა ისმოდა-რა ახლო-მახლო, გარ-

და ტუჩების „ტკაპუნისა“ და ხან-გამოშვებით „ზენო“-ს და „ქიტესა“-ს წყნარად ერთმანეთის ჩაჩურჩულებისა.

— არა, ჩემო სიცოცხლე, შენი შინ წაყვანა, აკი გითხარ, გულით მინდოდა, მაგრამ არა ხერხდება. წელანაც გითხარ, ბევრი მოგვითმენია, ცოტაც მოვითმინოთ!.. შინ ჩაღალ, უამბობ დაწვრილებით ჩვენებს ყველაფერს, ვნახავ რას მეტყვიან და თუ უარი მითხრეს შენ შერთვაზედ, მაშინ მე ვიცი, ჩქარა მოგქუსლავ იქიდგან, წაგიყვან და თუ ნება არ მოგვეცეს სადმე სოფელში ცხოვრებისა, მთა ხომ დიდია! ზაფხულობით იალალში ვიცხოვროთ, მეცხვარეებს თვით დაეუღებები, წველის ღროს შემეხვეწებიან კიდევ და ზამთრობით, ჩვენი სოფლის მთაში ძროხის ბინებია, მეძროხეების ბინებში. შენ ერთი ეს მითხარ, თუ როგორმე ღმერთი გაუწყრა ჩვენ ცოდოს და მთაში მოგვიხდა ცხოვრება, გამოძყვები, დაანებებ შენ დედ-მამას თავს?!.. რა უყოთ, თუ შიგ კახეთში არ ვიცხოვრებთ, კახეთის პურ-მარილი ხომ შორს არ გვექნება, შორიდგან მაინც დავტკებებით იმის სილამაზით!.. მაგრამ ჯერ არა მგონია ჩვენ ამ დღეში ჩავცვივდეთ და თუ ჩავცვივით, დიდ ხანს არ გასტანს, ჩქარა შეგვირიგდება დედ-მამა, მოგვეცემენ ნებას და მტერს არ გაახარებენ არც ჩვენზედ და არც ოჯახზედ!..

— მე იმდღესაც გითხარ, ჩემო ცხოვრება, რომ შენი გულისთვის არამც თუ დედ-მამას, საქმელსაც კი ავკვეთავ. გითხარ, მზათა ვარ შენი გულისთვის ცეცხლში ჩავვარდე!..

— ესე, ჩემო ფიქრო და გონება, ესე!.. ეხლა ბედნიერი ვარ, ჩვენ ველარავინ ვერ დაგვაშორებს!..

— შენ იცი შენი საქმისა!.. მე კი გაძლევ ქეშმარიტ სიტყვას, რომ შენი ვარ საუკუნოთ, მკვდარიც და ცოცხალიც!.. ჩვენში მოღალატეს ღმერთმა არ მისცეს ხეირი არაფერში!..—ისევ ჩაეკონენ...

— ეხლა კი დრო არის წავიდე შინ, თორემ ჩვენები მომიკითხავენ!.. ზენო მოემზადა წასასვლელად.

— მოიცადე, კარგო. მოიტა მომეცი რამ შენ სახსოვრად,

რომ შენ მაგიერ იმას ვეაღერსო ხოლმე!... მოჰკიდა ხელი ქიტესამ.

— აბა რა მოგცე! ისეთი არა მაქვს რა!.. აი თუ გინდა ფულს ავიჭრი მანდილზედ და მოგცემ!...

თან პატარა დანა ამოიღო ჯიბიდან და აიჭრა თეთრი აბაზიანი მანდილზედ;— აჰა, ჩემ სახსოვრათ გქონდეს და მისცა ქიტესას.

— აჰა, შენ კიდევ ესა გქონდნს ჩემ სახსოვრად!.. უთხრა ქიტესამ და მისცა პატარა ვერცხლის დილი, რომელიც ქამარზედ აიჭრა. სახსოვრები გაცვალეს, ერთი უკანასკნელად კიდევ გაისმა ჰაერში ტუჩების „ტკაპუნი“, თითქო თვის ნაღაპარაკევეს ბეჭედი დაასვესო და შეყვარებულთ მიაშურეს თავ-თავის გზას. მეორე დღეს მგზავრებმა აღრიხნათ აიწივეს წასასვლელად.

— შენ იცი, შვილო ქიტესავ, როგორც არ დაივიწყებ ჩემ პურ-მარილს!.. თედო! თუ ღმერთი გწამს, ნუ დაშანატრულებ ქიტესას, გამოგზავნე ხოლმე ჩემ სანახავად!... ეხვეწებოდა სოქვიტა თედოს.

— რას მეუბნები, სოქვიტავ! მადლობის მაგიერია, რომ არც გამოგზავნო ხოლმე?ჰ.. მეც რომ არ გამოგზავნო, შენი პურ-მარილი არ დააყენებს!.. მაგრამ, სოქვიტავ, შენც ნუ დაგვკარგავ! ჩემი სახლის კარი შენთვის ყოველთვის ღია იქნება, ჩამოდი ხოლმე კახეთში, როცა გინდოდეს!... ეუბნებოდა თედო. სოქვიტამ დალოცა ქიტესა და მგზავრები გამოვიდნენ სოფლის ორღობეში. რამდენიმე ხნის შემდეგ ქიტესა თვისი თანამგზავრებით მძიმე ნაბიჯით მიიზღაზნებოდა კავასიონის მთავრეხილის თოვლიან ბილიკებზედ.

### XIII

ერთ დილას დაიწყო შხაპუნა წვიმა. ორი-სამი დღის განმავლობაში ბეჯითად და ერთგულად ალბობდა დედამიწას. პატარა ხევებში ანკარა წყალი გადაიქცა ლაფად. პატარა



ნაკადულები, რომლებიც ძლივს ასველებდნენ თვის კალაპოტებს და მზიან დღეში სარკესავით ლაპლაპებდნენ, გარდაიქცნენ რუებად, რუები ხევებად, ხევები მდინარეებად და ესენიც ისე გაივსნენ რომ, თვის კალაპოტებში აღარ ეტეოდნენ გადმოდიოდნენ ნაპირებზედ და მათში გასვლა უძნელდებოდათ არამც თუ ქვეითებს, არამედ ცხენოსანთაც, და ურმებითაც ვერ გადიოდნენ. აი ამ მდინარეების გამაგიჟებელმა წვიმამ დაუთმო ადგილი მშვენიერ შემოდგომის ყუყუნა წვიმას, რომელმაც გასტანა თითქმის სამხრობამდის. სამხრობის დროს მშემ, ცოტა არ იყო, გამოაჩინა სხივები, რომლებიც წვიმის წვრილ წინწკლებში, მორცხვი პატარძალივით, გამოიქცირებოდნენ. წვიმამ სრულებით გადაიღო. ჩამავალ მზის სხივები კეკლუცად ელამუნებოდნენ წვიმით გაჟიებულ და დაღარულ დედამიწას, თითქო ეთხოვებიან მეორე დღემდის და ბოდისს იხდიან, რომ ორ-სამ დღეს უნუგეშოდ ჰყვანდა დატოვებული დედამიწა, მრავალ ფრად მოჩანდა ცის სივრცეც, ნაქერ-ნაქერი, მზის სხივებით ოდნავ გაწითლებული ღრუბლები; ალაზნს გადასწოლოდა ვიწრო, თეთრი სპეტაკივით ნისლი და ბუმბერაზივით აყუდებულ კავკასიონის მთის წვერებზედ აქა-იქ დაწოლილიყო პატარ-პატარა ნისლები, რომლებიც მძიმეთ დაფარფატობდნენ და ნელ-ნელა ერთდებოდნენ, აბაზდნენ მხარი-მხარს!..

დღე ღამედ იცვლებოდა. ალაზნიდგან აიზლაზნა უზარმაზარი ნისლი და გარემოიცვა ალაზნის არე-მარე. მართალია ალაზანმა იჩინა თავი, მაგრამ იალალიც არ ჩამორჩა უკან. ერთი ადგილიდგან ავარდა მუშტის ოდენა შავი ბურუსი, რომელიც თან და თან იზრდებოდა. ცოტა ხანიც და იალაზზედ აშლილმა პატარა ბურუსმა მთლად გააშავა თეთრი ნისლი, გადაწოლილი მთის წვერებზედ; ჩაყლაპა მთელი იალალი, გამოაშურა ქვეითკენ და გაუმადლრად იყრიდა პირში მთის კალთებს და გორებს, რომლებიც ერთ წამს მოაშორა კაცის თვალს, გადააწვა და მაგრა ჩაბლუჯა თვისი მძლავრი მკლავებით. ვერ გაძღა გამძვინებული ბურუსი მთა-ტყით და გაბრაზებული

მოეშურებოდა ალაზნისკენ, სადაც იყო დაბანაკებული ნისლი. ისე დაუყოვნებლივ, შხუილით და დაკუმ შილი მიჰქროდა ბურუსი ალაზნისკენ, რომ ერთ წამს სიბნელეში შთანთქა მინდვრები და რამდენიმე მთის ძირი, სოფლები. ერთი სიტყვით, ამ ორ ძღვევა-მოსილ რაინდთა შორის შეტაკება აუცადი იყო, რადგანაც ბურუსი არა ჩერდებოდა, ავრცელებდა თვის გზას და თეთრათ მოხუცებული, ბრძოლაში კუქ მოქრილი ნისლიც არ უშინდებოდა, არ იცვლიდა ფეხს. მოხუცებულ რაინდს თითქოს ეწყინა ამისთანა თავხედობა გაშმაგებული ახალგაზრდა რაინდისა, რომელიც წამით-წამ უხსლოვდებოდა, იყრიდა პირში და შავ კალთებს აფარებდა სოფლებს, მინდვრებს და ქალებს. მოთმინებიდგან გამოსული მოხუცი რაინდი ჯერ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ რა დაინახა, დაიძრა თვითონაც ბანაკიდგან და მიაშურა მტერს, რათა შეანახოს მას თავისი თავხედობა და გააცნოს თვისი ძალ-ღონე. რამდენიმე ხანიც და მეტოქენი შეიბნენ. პირველ წამებში არ ეტყობოდა, რომელს რჩებოდა გამარჯვება. პირველ შეტაკებაში ორივე მოპირდაპირენი დაზიანდნენ, დაიშალნენ ნაქერ-ნაქერ, მაგრამ ცრტა ხნის შემდეგ, თითქო ერთმანეთი გამოსცადეს ღონეშიო, აერივნენ ერთმანეთს და შერიგდნენ. მთელ კახეთს გადაეფარა ბინდის ფერი ნისლის ზეწარი; წარმოადგენდა აღელვებულ ზღვას, სადაც, მართლა და ზღვის ტალღებივით ირეოდნენ ნისლისა და ბურუსის ნაქრები.

დალამდა კარგათ. გ-იც, როგორათაც სხვა სოფლები, მიეცა განცხრომას და მოსვენებას. მუშაობით მოქანცული და წვიმით გათივებული სოფლის მცხოვრებნი მისცემოდნენ ტკბილ ძილს. არც ერთ სახლიდგან არ ისმოდა არავითარი, საჩუქის დამრღვეველი, ხმაურობა. ძაღლებიც, თითქო პატრონებს დაურიგებიათ ძილი არ დაგვიფრთხოთო, კრინტს არ იღებდნენ. ერთი სიტყვით, იმ ღამეს გ-ი წარმოადგენდა ძეგლებით სავსე, დროებით სასაფლაოს, ძეგლების მაგივრობას სახლები სწევდნენ. მაგრამ, არა!.. დაიცა!.. ერთი სახლიდან გამოსჩანს სინათლე და ხან გამოშვებით ხველების ხმა. ეს

სახლი თედო კეთებაშვილისაა. შიგ ზის მისი ცოლი და სჩე-  
ჩავს საწინდე მატყლს. ყველას სძინავს და ეს რას აკეთებს ამ  
ღრომდის, ნუ თუ ძალიან ეჩქარებოდა მატყლის ჩეჩვა?..  
არა, მატყლი მიზეზათ გამოიჩინა, გულს გავართობ, აღარ  
დამეძინებაო, რადგანც მოლოდინი ჰქონდა დაღისტანში წა-  
სული ქმრისა და არ უნდოდა დაწოლილიყო. ფიქრებში გა-  
რთობილმა ორჯელ ზედიზედ დააცემინა ცხვირი—ნამდვილათ  
ამალამ მოვლენ, სწორედ იმათზედ ვფიქრობდი და ორი ცხ-  
ვირიც მოვიდა!.. ღმერთო! ნეტავ ის ბიჭიც მაიყვანონ და...  
წაიდუღუნა თავისთვის თედოს ცოლმა და დაამთქნარა.

— ახლა კი ძილი მომეკიდა! თუ არ მივწეკი, ხვალ თავის  
ტკივილ მომკლავს. ფრთხილად მექნება ყური თუ მოვი-  
დნენ!.. თან აღგა და დაუწყყო თავის ლოგინს სწორება,  
რომელიც იქვე ტახტის თავში იყო მიწყობილი. შეიძლება  
იკითხოთ, მარტო ერთი დედა კაცი იჯდა იმ სახლში, თუ  
სხვებიც იყვნენო! არა, იმის გარდა იყვნენ მისი რძალ—მა-  
ზლი და ყმაწვილები, მაგრამ იგინი დიდი ხანია, რაც ძილს  
მისცემიან.

ერთი... ორი... სამი... ოთხი... მძიმე-მძიმედ დაიწყო  
მსხვილმა წვიმამ კრამიტებზე ტკაცა-ტკუცი და ცოტა ხნის  
შემდეგ ისეთი შხაპუნა წვიმა წამოვიდა, რომ აღამიანს კი  
არა, პირუტყვისაც არ გამოესვლებოდა გარედ.

— შენ გაგაოხროს ღმერთმა, რომ ამ სამ დღეს გარეთ  
აღარ გაგვაყოფინე თავი!..—წაიდუღუნა ლოგინში ჩათბუნე-  
ბულმა ქიტესას დედამ,—თქვენი ქირიმე, რა ღვართაფი  
გასქდა!.. ვინ იცის ის ხალხი რომელ ხევში ჩაიღუპა! ღმერთო,  
დიდებულო და ლომისა წმინდა გიორგი, თქვენ იყავით იმათი  
მფარველი! გვაკმარე ამოდენა უბედურობა; ამ ცოტა ხანში  
რამდენი სული დაგვაკლდა შე დალოცვილო, ღმერთო!..—  
სთქვა და სასოებით გადაიწერა პირ-ჯვარი.

დიდ ხანს არ გაგრძელებულა შხაპუნა წვიმა. ერთი მუ-  
ხლი წამოუშინა და მერე დაიწყო მძიმეთ შხუილი. ყოველის-  
ფერი მიჩუმდა. ძაღლებიც სიცივისაგან მობლუნძულიყვნენ,

ჩაეყოთ კულებში ცხვირები, ცახცახებდნენ, სრულებით ხმას არ იღებდნენ, მხოლოდ ათასში ერთხელ, სიცივისგან შეწუხებულნი, შესწკმუტუნებდნენ ხოლმე. არსაიღგან არავითარი ხმა არ ისმოდა, ყველაფერს წვიმისთვის დაეთმო ადგილი, მისთვის მიენიჭებინა სრული თავისუფლება და ისიც წახალისებული, თავისუფლად, მოცილედ არავინ მყავსო, წყნარად მხოლოდ, სოფელს ნაზის ხმით დასჩურჩულებდა, იღუმალის ხმით, უცნობ ენაზედ ზღაპარს ეუბნებოდა, მაგრამ ასეთი სიჩუმე დიდ ხანს არა სუფევდა სოფელში. გ — ის ერთ ორლობეში რალაც ხმაურობა გაჩნდა!.. რამდენიმე კაცის ლაპარაკი და ფეხის ხმა ისმოდა. ისინი დაურიდებლად აქყაპუნებდნენ გუბე-ლაფს და არღვევდნენ სოფელში დამკვიდრებულ მყუდროებას. მგზავრები გაჩერდნენ კეთებაშვილის სახლის კარებთან. ერთმა მათგანმა კარი დაარაკუნა და ჩახველებით დაილაპარაკა — კარები გააღეთ, რომელსა გლვიძეთ!..

— ადე, ადამიანო! მგონი მოვიდნენ!.. — მოისმა შიგნიდან დედაკაცის ხმა და თვითონ კარს მიაშურა. მის დაძახებაზედ რძალ-მაზლმაც გაიღვიძეს.

— აბა ვინა ხართ, ვინ არახუნებდით კარებს!.. — დეკითხათ და თან ურდულს უყრიდა კარებს.

— ჩვენა ვართ, გააღე კარი!.. — მოისმა თედოს ხმა.

მგზავრები შინ შევიდნენ, ქიტესას დედა კი ჯერ ისევ კარებისკენ იყურებოდა, თითქო კიდევ სხვას ელისო, რადგან თვისი შვილი სრულებით ვერ იცნო.

— ადამიანო, ი ბიჭი რალა უყავი?!.. ჰკითხა აღელვებით ქმარს.

— დედი, ველარ მიცნობ?!.. ქიტესამ აღარ დააცადა მამის პასუხს და დედაშვილნი ისე მაგრა ჩაეხვივნენ ერთმანეთს, თითქო გაშორებას აღარ აპირებენო. ბევრი იტირეს ორივემ. გულ ამომჯღადარი დედა ძლივს ახერხებდა ლაპარაკს.

— შვილო, შენ გენაცვალე, თავს შემოგველე! რამოდენა გაზდილხარ!.. მითხარით, თქვენი ქირიმე, სიზმარში ვარ, თუ ცხადივ ვხედავ!.. ეხლა თუნდ სული ამომივიდეს, აღარ ვინაღვლებ, ჩემო ვამაცოცხლებელო!..

ბევრი კოცნის და ხვევნის შემდეგ დედა-შვილთ გაუშვეს ხელები და ქიტესამ ყველანი, დიდით პატარამდე, გადაკოცნა.

მეორე დღეს მთელმა სოფელმა გაიგო, რომ თედო კეთებაშვილს თვისი ქიტესა მოუყვანიაო, მოდიოდნენ ყველანი, კაცი და დედაკაცი და ულოცავდნენ ქიტესას დედ-მამას შვილის პოვნას.

## XIV

— ბიჭო, შვილო! რა გული გიძლებდა, იმ წუნკალებში, ამოდენა ხანი?! რატომ ან არ გამოიპარე, ან არავის დააბარე, რომ ცოცხალი ვარ, მომხედეთო?! შიოს რომ არ ეთქვა ჩვენთვის, ჩვენი მტერი, რომ ჩვენ ვერას გავიგებდით შენსას. იმ წელიწადს, შვილო, განა მარტო შენი და ბიძაშენების დაკარგვა გვაკმარა! არ გასულა ორი-სამი თვე და თქვენ დარღხედ, ისეც დაუძღურებული, ჩემი მამამთილ-დედამთილი დაიხოცნენ და იმათმა დამარხვამ ცალკე გაგვლარსლა, მაგრამ წასულს ვინლა ჩივის, რაკი შენ გიპოვნეთ, ცოცხალი გვყვნარ!.. დაემარტოხელდი, სახლში მარტო გდებამ, ეშმაკივით, გამომაყრუა!.. ოჯახს ვერა ვწვდებოდი. შინ ვიყავ, გარეთ მიფუქდებოდა საქმე, გარედ ვიყავ და შინ!.. მომწყინდა მარტო ყოფნა, ავდექ და ჩემი მაზლი დავაქორწილეთ მესამე წელიწადს. აი ეხლა შენ დავაქორწილებ, ჩემო თვალის ჩინო, სამ-სამი ვაჟ-კაცი სახლში იქნებით და ღვთის დახმარებით ოჯახი ისევ ფეხზედ წამოდგება!..

ასე მიელაპარაკებოდა ქიტესას თვისი დედა გზა-გზა. დღევანდლამდის, თითქმის ორს სამი კვირა გადიოდა ქიტესას შინ ყოფნისა, სახლში ცოლის შერთვაზედ ხმა არ ამოუღიათ და არა უთქვამთ რა ქიტესასთვის. მამა განგებ აჩუმიებდა ყველას, ეგებ გადაავიწყდეს ლეკის ქალიო.

— აი ეხლა, დაიწყო ისევ დედამ, ჩავიდეთ ბატონთან, შენი ნახვა გაუხარდებათ; ხშირ-ხშირად მკითხავდნენ ხოლმე,

არა გესმით რა იმ ბიჭისაო?! ჩავიდეთ, გამოვართოთ სახნავი მიწები და ამ ორიოდ დღესვე გავიტანოთ გუთანნი. დავხნათ ბლომათ, ამ გაზაფხულზედ დავნიშნავ და შემოდგომაზედ, მშვიდობაა, ქორწილი გავაჩალოთ!...

ქიტესას ამ ლაპარაკის დროს სრულებით არ ამოუღია ხმა. უგრძნობლად მიაბლატუნებდა ფეხებს. ცოლის განხსენებაზედ ის მაშინვე დაღისტანში გადაფრინდა სულით. დედის ლაპარაკს სრულებით ყურს არ უგდებდა, რადგანაც მისი ლაპარაკი ჭკვაში არ მოსდიოდა.

— რას იტყვი, შვილო, კარგი არ იქნება?! დაეკითხა დედა.

— ძალიან კარგი იქნება, დედი, მაგრამ იცი რა უნდა გითხრა?! მამაჩემმა კი იცის და არ ვიცი შენც გითხრა თუ არა! მე ცოლის შემრთველი არ ვარ, თუ თქვენ დაიწყებთ ქალის ძებნას და რჩევას!..

— არა, შვილო, ვინ გეუბნება ჩვენი არჩეული შაირთეო! თუ შენ არ მოგეწონება, ჩვენ რა ძალის დატანება შეგვიძლიან. აი წავიდეთ, გავშინჯოთ, ვისი ქალიც გვეგულება და თუ ჭკვაში მოგივიდა, დავნიშნოთ!...

— მე არჩეულიც მყავს და დანიშნულიც!.. იმას გაშინჯვა აღარ უნდა!

— ვინ არის, გენაცვალე! რატო მე არ ვიცი!..

— შენ საიდგან გეცოდინება, მე ლეკის ქალი მყავს არჩეული. მამაჩემმა კარგათ იცის ეს საქმე!..

— რაო, ლეკის ქალიო?!.. შენც გიყი ყოფილხარ და მამაშენიც! ლეკის ქალს სახლში შავიყვან რძლათა?! რაც მე მაგათგან ცეცხლი მინახავს, განა ათასი წლის სიცოცხლე რომ მქონდეს, დავივიწყებ?!. თუ შენ მართლა ამბობ, არც შენი შვილობა მინდა, მითომ არა მყოლიხარ და არც მე ვიცოცხლებ თავს!..

— შენი ნებაა, მე იმის თავის დამნებებელი არა ვარ. მამაჩემსაც ამ პირობით გამოვეყვი!..

— მამაშენი განა სრულ ჭკვაზედ გიცვნია, გაჯავრებით დაუყვირა დედამ, აბა ამაღამ ვეტყვი და ვნახოთ რას იტყვის!..

— უთხარ, აბა თუ ის უარს იტყვის და მაშინ მე ვიცი!.

— იმან რაც უნდა თქვას; მე არ დავდევ იმის ლაპარაკს!  
ის კი არა, ღმერთიც ვერ დამატანს ძალას!..

— აკი გითხარ, თქვენ იცით, როგორც გინდათ ისე  
გათავფთვით საქმე. მე იმას ვერ ვუღალატებ!.. აბა ამალამ რა  
პასუხს მივიღებ და ხვალვე ჩემ გზას მოვნახავ!..

ამ სიტყვებმა ცოტა შეაფიქრეს ქიტესას დედა, თვითონვე  
მიჰხვდა, რომ ძალიან ჩქარა დაუწყო აუ-ზაურები, მკვახედ  
ლაპარაკი.

— არა, გენაცვალე შეილო! როდი უნდა გეწყინოს!  
თუ რასმეს გეუბნები, შენი გულისთვის, შენი თავი არ მო-  
მიკედეს, თორემ მე რა მენადვლება, ვინც გინდა შაირთე,  
მაგრამ აბა შენ თითონ დაუფიქრდი, აწონ-დაწონე, პატარა  
აღარა ხარ, ლეკის ქალი რა ხელს მოგცემს ან შენ, ან შენ  
ოჯახს! სად ქართულად გაზდილი ქალი, ყველაფერი ჩვენი  
ეყურება, ავიც და კარგიც და აბა ლეკის ქალმა როდის რა  
უნდა გაიგოს! სხვაც არა იყოს რა, ურჯულო, ჩვენი სისხლის  
მსმელის შეილი როგორ უნდა მოვიყვანოთ ჩვენ ოჯახში?!..  
მანც, აი ამალამ მოვილაპარაკოთ, გენაცვალე და როგორც  
ვამჯობინოთ, ისე მოვიქცეთ!.. თან და თან მორბილდა  
ლაპარაკში და დაუწყო ტუბილათ ლაპარაკი შეილს, რომ  
მართლა არ გამექცესო. ლაპარაკით შევიდნენ ბატონის ეზოში.  
ნ-ან ქათამე, მათი ბატონი, გადმომდგარიყო აივანზედ, საი-  
დგანაც ბიჭებს გადმოჰყურებდა და მრისხანედ ხან რომელს  
დასწყვილებდა, ხან რომელს.

— სალამო კარგა ყოფნისა, ბატონო!.. და თავ მდაბლად  
დაუკრა თავი ქიტესას დედამ.

— ოჰ, შენა ხარ, მაკრინე! რა ამბავია, რისთვის მოსულ-  
ხარ?!.. და თან მსუნავი თვალი დედალს გადაავლო, რომე-  
ლიც მაკრინეს ხელში ეჭირა!..

— ხომ მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, ბატონო, რისთვისაც  
გიახლებოდით. სახნავი მიწები გვინდა. ნუ კი გამირისხდებით,  
ბატონო, მცირეზედ და აი ეს დედალი მოგართვით. ინდაური

მინდოდა მომერთმინა, მაგრამ სადღაც გადაკარგულან, ვეღარ ვიპოვნეთ!..

— არა უშავს რა, დღეს ეგ იყოს და ხვალ-ხვალზევით ინდაური, სულ ერთია!.. ეგ ბიჭი ვინ არის?! უჩვენა ხელით ქიტესაზედ.

— ჩემი გახლავთ! ხომ მოგეხსენებათ, დაკარგული რომ მყვანდა, ეხლა ჩამოვიყვანეთ დაღის ტნიდგან!..

— ვანა არა, მითხრეს, თეღომ შვილი დაიხსნა ტყვეობიდანაო და თქვე დათვებო, რას უყურებდით, რატომ აქამდის არ მოიყვანეთ! მე აქ ერთი მარჯვე, ყოჩალი ბიჭი მინდა და ეგ სწორეთ ივარგებს, გამოდგება! დღეიდგანვე ეგ აქ დარჩება. სახნავი, წადით ქყანტში აიღეთ! ბიჭო, მიხავ, მოდი მაკრინეს დედალი გამოართვი, სადილისთვის ცივათ-ნივრით მოხარშეთ, ეს ბიჭიც შაიყვანეთ თქვენთან და კარგათ გაუმასპინძლით. დღეს ეპატივება და ხვალ ინდაურს მოგვიყვანს მაკრინე!..

— ინდაურს კი არა, ბატონო, მთელ საცხოვრებელ მოგართმევთ, ოღონდ ე ბიჭს ნუ დაიჭერთ აქ და თან გამატანეთ!... დაეცა მაკრინე მუხლებზედ და დაუწყო ვედრება წ—ვანს.

— იმას რა სჯობია, რომ შენ საცხოვრებელსაც აქ მოვიტან და ეგეც აქ მეყოლება! შენ რომ რბილათ გელაპარაკები, კიდევ იმისთვის.. შენ ხომ არ გინდა რომ... და ხელით ანიშნა „როზგების“ წამოწკაპუნება. თქმის მეტი კი არა დამკირდება რა! დავიძახებ და მორჩა!... თუ ქკვა გაქვს, გასწი, აქ ბევრ ნუ ყბედობ, შენთვის არა მცალიან, თორემ ხომ იცი!.. დასქყივლა და დაუბრაახუნა ფეხები.

რადას იზამდა, საწყალი მაკრინე! კარგად იცოდა, რა გულ-ქვა კაცი იყო მისი ბატონი. სულ ერთი იყო, ბევრი ეხვეწნა, თუ ცოტა, არ შეიბრალებდა. ბევრი დედ-მამა უნახავთ, ბატონის ეზოში, შვილის თაობაზედ ცემით დაოსებულნი და დაღურჯებულნი. ბევრი ტირილის შემდეგ წავიდა მაკრინე შინ გულ-დაწყვეტილი, ქიტესა კი ბიჭებმა წაიყვანეს



თვის სადგომ სახლში. მაკრინე მიეცა გამოუთქმელ მწუხარებას. თვით ქიტესაც ორ ნაირ დარდში იყო: ერთი რომ დედამ ზენოს შერთვაზედ ცივი უარი გამოუცხადა, რაიც იძულებულ ჰყოფდა თვისი სახლიდგან გაქცეულიყო და მეორეც, რომ ბატონმა სახლში დაიჭირა და აღარ გაუშვა. ისეთ მდგომარეობაში იყო ქიტესა, რომ სადაც უნდა ყოფილიყო, როგორც უნდა ყოფილიყო, დიდი ხანი ვერსად გაჩერდებოდა. ჩქარა იქნებოდა თუ გვიან, იგი დაღისტანში უნდა გაპარულიყო,

თედომ რა გაიგო ცოლისაგან, რომ ბატონმა ქიტესა თავისთან დაიჭირაო, წამოვიდა, დაეცა მუხლებზედ, ჰკოცნა ფეხებზედ ნ—ვანს ბევრი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოარბილეს მისი კერპი გული და თედოც ცოტას გადაარჩა „როზგს.“ რაღას იზამდნენ, უნდა ბედს დამორჩილებოდნენ. იმითი იმედოვნებდნენ, რომ ყოველ დღე მაინც შეგვეძლება ნახვაო. მიდიოდა კვირა კვირაზედ და თათქმის თვეზედ მეტიც გავიდა, რომ ქიტესა ისევ ბატონის სახლში იყო. სრულებით ძალაუნებურათ ემორჩილებოდა ბედს. თვითონ რამდენჯერმე გაიფიქრა დაღისტანში წასვლა, მაგრამ ვერ ახერხებდა, თვითონაც არ იცოდა, რა იქერდა. გავიდა თითქმის ნახევარი წელიწადიც, მაგრამ ქიტესას არავითარი პასუხი არ მოზდიოდა სოქვიტასგან, ზენოზედ არაფერს ატყობინებდა, რომელსაც ყოველ დღე მოუთმენლად ელოდდა. ყველა მისი ამხანაგები, თუმცა ბატონისგან დიდ გაჭირვებაში იყვნენ, მაგრამ თვის დარდებს, როცა კი მოიცლიდნენ, სხვა და სხვა მასხარობით და მხიარულებით იქარვებდნენ, მხოლოდ ქიტესა არაფერში არ ერეოდა, მას ვერაფრით ვერ ართობდნენ: ხან ჯდომელას გადააქცევდნენ, მაგრამ ის ისევ ადგებოდა მიძიმეთ და გასწორდებოდა, ხან გაეშაირებოდნენ, მაგრამ ვერც შაირებში ჩაიტყუებდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით, მისთვის არა იყო რა გასართობელი, გარდა თვისი საკუთარი დარდისა.

ყმებში ბევრი ძალიან ხუმარა, ეშმაკი და მოხერხებული ბიჭი ერივათ. ერთ დღეს, ნ—ვის ეზოში, არყის ქვებები დადგეს

და დაუწყეს არაყს ხდა. ინდოურები, რომლებიც ძალიან ბევრი ჰყვანდა ქაფაძეს, მოსვენებას არ აძლევდნენ მოჯამაგირეებს და არყის ქვაბებს გარეშემო დაჰგურგურებდნენ.

— მოდით, ბიჭებო, იცით რა გითხრათ!?

სთქვა ერთმა მათგანმა—დაუყაროთ ეს ცხელ-ცხელი ქაქა ამ ინდოურებს, ნუ გაუქშევთ, დაუწყებენ ყლაპვას, ძალიანსაგან დარეტრიანდებიან, მოჰყვებიან ფართხალს, ბატონს ქირიანები ეგონება, დაფოცოთ და სულ ჩვენ დაგვრჩება, ეგენი ახლოც არ მიეკარებიან შიშისაგან!..

— უჰ! მართლა, ეგ რა კარგათ მაიგონე, ბიჭო! მაინც თავი გვაქვს მობეზრებული მაგ ოხრების ქშევით! დავანებოთ თავი, ცოტა ხანს ნუ გავრეკავთ და ნახავ როგორ მთვრალი რუსივით დაიწყობენ რაცრაცს!.. დაუმატა მეორემ.

მართლაც თავი დაანებეს, აღარ გაურეკნიათ ქაქიდგან და ცოტა ხანს მერე რამდენიმე ინდოურმა დაიწყო ფართხალი დედამიწაზედ.

— უი თვალეზო! ეგ რა ამბავია, ბიჭო, რა დაერივათ მაგ ინდოურებს, რათა ფართხალობენ?!. გადმოსძახათ ბიჭებს ქალბატონმა.

— რა მოვახსენოთ, შენი ქირიმე ქალბატონო, დილას აქეთ სულ დაბუზულები იდგნენ და ეხლა მგონი, იხოცებიან რაღაც ქირია სოფელში, ინდოურებს და ქათმებს სულ, მუსრს ავლებს!.. მიუგეს ბიჭებმა.

— უსულადოებს ნუ დაჰხოცავთ! დაკალით, თქვენ მაინც გამოგადგებათ, ჩვენ კი რა გვაქმევს ქირიანს!...

ბიჭებს ჩუმათ ეცინებოდათ გულში.

— ქალბატონო, ქირი არ მეცეს, რომ ეგ ინდოურები ქირით არ არიან დახოცილები. დილას დავინახე, რომ ქიტესა ჩუმათ რაღაცას აქმევდა, ვერ დავინახე, რა იყო. ეგ ხომ დიდობებში ნამყოფია და ვინ იცის, მგონი ათასნაირი წამალი და შელოცვა იცის. მაგას უნდა უფთხილდეთ, თორემ ჯადოს ვაკეთებაც ეცოდინება. თუ სადმე გაუკეთა სახლს ჯადო, აქაურობას ჯვარი სწერია, სულ ამოსწყვეტავს დი-

დიან-პატარიანათ. მგონი აკეთებს კიდევ. იმდღეს დავინახე, ჩუმათ აკეთებდა წითელ ძაფზედ ქვეყნის რაგინდარას: ბუმბული და ნისკარტი ყველანაირ ფრინველისა, თვალი, თავი, ფეხები, ათას ფერი ნაქრები ჩითისა, ფარჩისა და ვინ იცის კიდევ რა არ იყო! დასწყევლოს ღმერთმა, ეშმაკის კერძია ეგ ოჯახ ამოსაწყვეტლის შვილი!.. საკვირველი არაფერიც არ არის, ქალბატონო, დიდოში ყველაფერს ისწავლიდა და ჯადო კი ურჯულოების მოგონილია!... ასე ელაპარაკებოდა ქიტესაზედ ქალბატონს თვისი მოახლე. მიზეზი ამ უცნაური ქირის მოგონებისა და ცილის დაწამებისა ის იყო, რომ ერთხელ ქიტესამ მოასწრო იმ გოგოს, თვის დედ-მამასთან ტომრით ფქვილი მიჰქანდა, ბატონის სახლში მოპარული. გოგოს ეგონა ქიტესა ეტყვის ბატონს და ცემით სულს ამომართმევინო. ამისთვის უნდოდა თვითონ დაესწრო ქიტესასთვის, თუმცა ამ უკანასკნელს მისი დაბეზლება ფიქრადაც არ მოსვლია.

— მაშ კარგი, ამაღამ ბატონს ვეტყვი და ხვალ თუ მაგის ცოდვით ჰვეყანა არ იწოდეს, მე ნ—ვის მეუღლე კი არა, უ..... ვიქნები!.. მე მაგას ხვალ ვაჩვენებ, როგოც უნდა ინდოურების ხოცვა და ჯადოების კეთება!.. ვერა ჰხედავთ, თქვენი ქირიმეთ, მაგ ღორს, მაგას!.. მადლობის მაგიერია, გდია, უზრუნველად პურსა სცეცხლამს და ნახეთ რასა სხადის, მადლობას რითი მიხდის!.. გაკაპასებული ქალბატონი იქნედა ხელებს იავანზედ და ემუქრებოდა ალაღ-მართალ ქიტესას.

მოსამსახურე გოგომ ეს ცილის წამება არ აკმარა. რაკი დანახა, რომ საქმე იმის სასარგებლოდ მიდიოდა, ახლა სხვა, უფრო უცნაური ცილი დასწამა. ვახშმათ მაწონი ჩაადედებინა ქალბატონმა. იფიქრა გოგომ, მოდი ამ მაწონში უცუნას გავურევ, შეავაქმევ კატას, კატა მაშინვე მოკვდება და ქიტესას დავაბრალებ, მაწონში ხიბალი გაურევია მეთქი. სწორედ ასეც მოიქცა, უცუნა\*) შეაქამა კატას და მაწვნის ქურქელი

\*) უცუნა ერთგვარი ბალახია, რომლის ძირიც მზიბლავია.

თავლია დასტოვა. ვახშამზედ მაწონი მოითხოვეს. გოგო გაიქცა შემოსატანად, მაგრამ უცბად, საშინელი ყვირილით და მუხლებში ცემით შემოვარდა ბატონებთან.

— ქალბატონო, ქალბატონო! დავიღუპებოდით სწორეთ, რომ ღმერთთან ცოტა ნაწილი არა გვქონდეს მადლისა! ვიშ, შენი ქირიმე, ეს რა ვნახე, ეს რა ამბავია!...

— რა ამბავია, გოგო. ვარდისახარ! რა გაღრიალებს?! დაეკითხა ქალბატონი.

— რალა რა ამბავია, შენი ქირიმე, ქალბატონო, და ამბზედ მეტი რალა იქნება?! მაწვნის ქურქელი თავლია დარჩომილა, მისულა კატა, შაუქამია და იქვე გლია მკვდარი. რაზედ ღმერთი გაუწყრებოდა ჩემ ცოდოს, ვერა ვნახავდი. და ხომ უნდა სულიან-ხორციანათ დავლუპულიყავ. ჯვარი გწერიათ და რომ მიგერთმივნათ, ველარ გადარჩებოდით ცოცხლები!.. ნამდვილათ შიგ ხიბალი გაურია ვინმეს!...

— არ იცი ვისგან იქნება, ექვი ვისზედ გაქვს?!.. ჰკითხეს ერთხმად ცოლ-ქმართ.

— ვისზედ უნდა მქონდეს ექვი, თქვენი ქირიმე! რა ვქნა, სული როგორ დავწვა და სხვას როგორ დავაბრალო?!. თუ იზამდა, ისევ ქიტესა ჩაიდენდა ესეთ უღმერთო საქმეს, როგორც ურჯულოებში გაზრდილი!.. დილას განჯინასთან ვნახე და აბა რა ესაქმებოდა იმას იქ, თუ ერთი რამ „რაზბონიკობა“ არ ეწადა?!.. ფრთხილათ უთხრა ვარდისახარმა.

— გოგონილა, რას გვიშვრება ეგ წუწკის შვილი! შენ ხომ არ იცი, ქრისტიანო, დღეს რა ამბები იყო ჩვენ სახლში!. მინდოდა მითომ დამემალა, არ გამეგებინებინა შენთვის, ვიდრე არ დავრწმუნდებოდი, მაგრამ დამალვა აღარ შეიძლება!.. ნ—ვან! რომ იცოდე, დღეს თხუთმეტამდე ინდოური მოგვიკვდა, სულ მაგის გნით მოწამლულები; ჯადო უმზადებია, როგორც ვარდისახარ ამბობს; ამებს არ დავგაჯერა, ახლა ჩვენი მოწამლა განუზრახავს!... აკი გითხარ, შენმა მზემ, ნ—ვან, თუმცა დილას ძალიან ვიყავ გაჯავრებული, მაგრამ გადავიფიქრე, მინდოდა სწორედ შემეტყო და შენთვის ისე გამეგები-

ნებინა!... ეხლა კი დამალვის დრო აღარ არის, შენ თვითონ ჰხედავ ყველაფერს!... დღეს თვალებიდგან ცეცხლი წამომდიოდა, ყოჩივით ინდოურები რომ უსულადოთ იხოცებოდნენ.

— როგორ თუ ინდოურები დაგვიხოცა!.. როგორ თუ ჯადო უმზადებია!.. თქვე უღმერთოებო, ეგენი იცოდით და კიდევ არ მეუბნებოდით?!... ნახეთ, მაგ არამზადას, ჩვენი დახოცვაც მოუწადინია!.. მითხარ, ე—ა, ვინა ნახა დღეს ესენი, რანაირად გაიგე?!.. გაბრაზებული ღრიალებდა ნ—ნი.

— რა ვიცი, ვარდისახარს დაუნახავს დილას, რაღაც მარცვლები დაუყრია ინდოურებისათვის, ჯადოს მზადებაც ამას შეუნიშნავს და მაწონი ხომ, აი შენი ყურით გიგონე და შენი თვალთ ჰხედავ, რანაირათაც მოუწამლავს!..

— ჰო, გოგო, ვარდისახარ, მართალია?!..

— დიახ, ბატონო! თქვენი რისხვა არა მქონდეს, რომ უტყუარს მოგახსენებთ. დილას ჩემის თვალთ დავინახე, რომ რაღაც მარცვლებს აქმევდა, არ ვიცი ბალახის მარცვლები იყო თუ შელოცვილი ხორბალი!... ჯადო კი, ეს სამი დღეც არის, რაც დავინახე, ხელში ეჭირა და აკეთებდა. მაგის კუდიანი დედა რას არ გააკეთებს!.. იქნებ ხორბალსაც იმან შაულოცა. ეს ერთი კვირაა ყოველ საღამოთი მოდის და დედაშვილნი ჩუმთ რაღაცას ჩურჩულებენ ხოლმე. იმ დღეს დობიდგან ყური მოგვარ, დედა არიგებდა: შვილო, ქალბატონის კაბის და ბატონის ჩოხის ნაქრები როგორმე იშოვეო და მეც მე ვიციო!... ყური ველარ დავუგდე, აქედგან დამიძახეს, აქ მოდიო!..

— არ იცი სად ინახავს იმ ჯადოს?! ჰკითხა ნ—ვანმა.

— იმდღეს დავინახე, სადაც შეინახა და არ ვიცი ეხლაც იქ იქნება თუ არა!. აბა ვნახავ, იქნებ ისევ იქ იყოს!. და გამოვიდა გარეთ, ვითომ და ჯადოს საძებნელად, რომელიც წინათვე მოამზადა თვითონ და დამალა. პატარა ხნის შემდეგ გოგომ ჯოხით, ხელის კანკალით შემოიტანა ოთხფერ ძაფზედ ასხმული, ყველანაირ ფრინველის ბუმბული, თავები, ყოველფერი ნაჭერი და სხვა... ბატონმა და ქალბატონმა შიშით კანკალი დაიწყეს.

— გასწი, გაიტანე, გოგო! მოგვაშორე თვალიდგან, ეგ ეშმაკის ბუდე!.. გაიტა, გაიტა, არ შემოძლიან ვუყურო, გული მიწუხდება!..

უბნებოდა ქალბატონი და თან თვალებს ჰხუჭავდა.

— შენ მაგ არამზადას ვერა ჰხედავ, რა გდებულა!? დაიყვირა ნ—ვანმა. მე ვაჩვენებ მაგას ჯადოებსაც და ეშმაკებსაც. დამაცადოს მაგან და თუ ხვალ საქვეყნოთ „როზგის“ ქვეშ არ ამოვართო სული, მე ნ—ვანი ნუ ვიქნები!.. მაგის პატიოსან დედ-მამასაც მაგის თვალწინვე გავალახვინებ!.. ეხლავ დავუძახებ ბიჭებს, ამაღამვე სოფლობა დაიბარონ, ხვალ არავინ გაბედოს სამუშაოთ წასვლა, უნდა ყველას თვალ წან ამოვართო სული, რომ სხვებმა ველარ გაბედონ ბატონის ღალატი. ქიტესას ამაღამვე დავამწყვდევიანებ, რომ ხვალ არ გაგვექცეს!.. შენ, ვარდისახარ, ეგ ჯადო შინახე ხვალ ხალხისთვის საჩვენებლათ, რომ მერე ყაყანი არ დაიწყონ, უსამართლოა ჩვენი ბატონიო. შენ წადი ეხლა და ერთ-ერთ ბიქს დაუძახე, აქ ამოვიდეს! გოგო დაუყოვნებლივ გამოვიდა ბიქის დასაძახებლათ

— რას მიბძანებთ, ბატონო!..

— შენა ხარ, ზაქრო?! იცი რა გითხრა, თქვენ უნდა ამაღამ ქიტესა შეჭკრათ და გომში დაამწყვდიოთ. დილაზე საქვეყნოდ უნდა „გავაროზგინო.“ მიზეზს, შენცა და სხვაც, ხვალ შეიტყობთ.

— შენი ქირიმე, ბატონო! მაგას ჩვენ კი არა, მთელი სოფელი ვერ შეჭკრავს. ვერც ერთი ვერ მივეყარებით ახლო. იგეთია, ეგ ოჯახ ამოწყვეტილი, როგორც მდევი. ხელ და ხელ კი არავის შეჭკიდებია, მაგრამ ხუთ კოდან საცალოს ისე მოიგდებს ხოლმე მარტოკა ზურგზედ, როგორც პატარა ნაკრაულას!.. თუ არ დავამწყვდიეთ, სხვანაირად არ მოხერხდება მაგის დაჭერა. ყველანი გარეთ გამოვალთ სახლიდგან და მარტო ამას დავანარჩუნებთ და გარედან გადაუკეტავთ კარებს!..

— მე არ ვიცი, დაიჭირეთ კი, რომ ხვალ „გაუროზგავი“ არ გადაგვრჩეს და როგორც გინდათ, ისე მოიქეცით!

წადი, აბა სხვებსაც უთხარ და ამაღამვე სოფელს შეატყობ-  
ინეთ, რომ ხვალ ბატონი სოფლობას იძახის და ვინც დაა-  
კლდება, დაირბევა-თქო. თუ ხვალ გაულახავი გადამირჩა,  
თვალთ აღარც ერთი არ დამენახოთ!..

ზაქრომ თავის ამხანაგებს უამბო ყველაფერი ბატონის  
ნაბძანები და ასტეხეს რაღაცა ჩურჩული. ქიტესამ რამდენ-  
იმე სიტყვას მოჰკრა ყური: „ქიტესა,...“ „გაროზგვა“...  
„სოფლობა,...“ მაგრამ ვერაფერს ვერ მიხვდა. რამდენიმე წუ-  
თის შემდეგ ყველანი სათითაოდ გამოვიდნენ გარეთ, დარჩა  
სახლში მარტო ქიტესა, რომელსაც გარედგან გადაურახვს  
კარები. ქიტესა მიინც აზრს ვერ მოვიდა, თუ რას ნიშნავდა  
კარების გადარახვა, ეგონა ისევ შემოვლენო. რამდენიმე ხა-  
ნიც და ქიტესას შემოესმა მალალის ხმით ძახილი: „ხვალ  
სოფლობაა, ბატონი გიბძანებთ, დიდსა და პატარას, კაცს და  
დედაკაცს!.. ვინც არ გამოვა, დაირბევა!“ ამ ძახილმა ქიტესა  
როგორღაც ექვეში შეიყვანა.

— ნეტა ვიცოდე, რათ იბარებს ხვალ ჩაღხს ბატონი,  
რაზედ აცდენს მღშობას! ჰფიქრობდა თავისთვის ქიტესა.  
თუ ბეგარაზედ ეძახის, დედა-კაცები და ყმაწვილები რაღათ  
უნდა! არა, აქ რაღაცა ამბავია. წელან ბიჭები რაღაცას  
ჩურჩულობდნენ, ზაქარა რომ ჩამოვიდა, „ქიტესა“, „გაროზ-  
გვა“... ნამდვილათ ჩემი „გაროზგვა“ უნდა და ნეტავ გამა-  
გებინა რისთვის?!. რა დავაშავე?!. იქნება ტყუილათ ცილი  
დამწამა ვინმემ?!.. „გამროზგავს“?! სანამ პურს ნუ სქამს,  
სანამ ქიტესას „როზგი“ არ მოჰხვდეს!.. დედ-მამა არ უნდა  
მეცოდებობდნენ, რომ ამაღამვე ბატონებივით ყვლები დავლა-  
დრო ცოლ-ქმარს!.. მაგრამ დაიცა, სიჩქარით სოფელი არავის  
მოუქამნიაო, ნათქოშია. იქნება ჩემი გალახვა არ უნდა და  
სხვა რამ საქმე აქვს, ან სხვა ვინმე უნდა გაალახვინოს!? რა  
ვიცი, არა დამიშავებია რა და რაზედ გამლახავს!..

ქიტესამ თავი დაანება ფიქრს და მიწვა დასაძინებლად,  
მაგრამ ძილი არ მიეკარა, წავიდა ფიქრებში ისევ: თუ სხვის  
გალახვა უნდა, ფიქრობდა ქიტესა, ბიჭებმა მე რათ მახსენეს,

რად დამტოვეს მარტო და კარები რათ დამიკეტეს? არა, ამა-  
ლამ აქედგან გავიპარები, ხვალ ვენახიდგან დავზვერავე, გავიგებ  
ვისი გალახვა უნდა, ან რისთვის იპარებს ხალხს, თუ  
ჩემი გალახვა უნდა, ვნახოთ მაშინ ვინც მალე ჩავა საფლავ-  
ში!.. გულიბუხარს კი გავხეთქავ და მერე მდიოს, სადაც უნდა,  
სადაც თავის ქეიფი იყოს, მანამ არ მოსწყინდეს!..

ქიტესა სწრაფად წამოდგა ზეზედ, ავიდა სხვენში, აჰხალა  
რამდენიმე კრამიტი და ამოძვრა მალლა სახურავზედ. ისკუპა  
მალლიდგან და დაუყოვნებლივ გაეშურა თავის სახლისკენ.  
შევიდა სახლში, ლაპარაკი არც კი დაუწყვია, ჩამოიღო კედ-  
ლიდგან თოფ-იარაღი და აიკიდა ზედ.

— სად მიდიხარ, შვილო, რად გინდა ეგენი?! ჰკითხა  
მამამ.

— ხვალ აღრიანად სანადიროდ მინდა წავიდე და ბარემ  
ეხლავ წავიღებ, მოვამზადებ!..

— ნადირობას რა გინდა, შვილო, არსად ხიფათი არ  
შეგემთხვეს, მონადირეს ცალი ფეხი სამარეში უდგა!.. დევს-  
სენ, ნურაფერი გინდა, იქნება ვერც მოჰკლა რამე!.. ეუბნე-  
ბოდა დედა, რომელიც ექვში შევიდა, ვაი თუ გაპარვა უნდა  
და ნადირობა მოიმიზეზაო!...

— რა ვქნა, თუ ვერას მოვკლავ!... წავალ, დარდს მაინც  
გადავიყრი გულიდგან!.. რამთვენი თვეა, რაც მე ტყეში  
თოფით არ შავსულვარ!.. როგორღაც გულით მომინდა წა-  
სვლა დღეს!...

— ხვალ რის სოფლობაა, შვილო, ბატონი რისთვის ეძა-  
ხის ხალხს?! ჰკითხა თედომ.

— რა ვიცი, საქმე გამოელევა?! ხვალ თქვენც უეჭვე-  
ლად ჩამოდით, თორემ, ხომ იცით, რა კაცია, დაგარბევთ!...  
თავის ნათქომი კაცია, თითონ რომ უსაქმოა, ხალხიც უსაქმო  
ჰგონია!.. საწყალი ხალხი უნდა მოაცდინოს მუშაობას! ჩვენი  
კაცისთვის საქმი დღეს მოცდენა დალუპვაა, დალუპვა!...  
მაგრამ, ეჰ! ყველა მაგის ხელშია, რასაც უნდა, იმას იზამს!  
თქვა ქიტესამ და გამოვიდა სახლიდგან!..

ტიტიკო

(დასასრული იქნება)



# დანაშაული და სასჯელი

ქვეს ნაწილად თ. მ. დოსტოევსკისა.

ნაწილი მესამე\*)

## III

— პეტრ პეტროვიჩ, — შეპყვირა კატერინა ივანოვნამა, — თქვენ მაინც დამიფარეთ! ჩააგონეთ როგორმე ამ ტუტუცს ქმნილებასა, რომ უბედურობის დროს კეთილშობილ მანდილოსნისადმი ასე მოპყრობა არ შეუძლიან, ამისათვის სამართალია ქვეყნად... თვითონ გენერალ-გუბერნატორს მივმართავ.. და პასუხსაც აგებს უთუოდ... მოიგონეთ მამიჩემის პურ-მარილი ობლებს მფარველობა გაუწიეთ.

— მოითმინეთ, ხელმწიფაო... მოითმინეთ, — ირიდებდა პეტრ პეტროვიჩი, — მოგეხსენებათ, მამი თქვენის ცნობა სრულიადაც არა მქონია... მოითმინეთ, ქალბატონო, მოითმინეთ! (ვიღამაც ხმა-მალლა გადინარხარა) ამალია ივანოვნასა და თქვენს შორის ატეხილს ჩხუბში-კი მონაწილეობის მიღება სულაც არა მსურს... ჩემის საქმისათვის გიახელით... და მსურს ახლავ, დაუყოვნებლივ, თქვენს გერს სოფია... სემონოვნას... ასეა, ვგონებ, არა? მოველაპარაკო. ნება მომეცით გავიარო...

და პეტრ პეტროვიჩმა კატერინა ივანოვნას გარს შემოუარა, სონასაკენ გასწია.

\*) იხ. „მოამბე“ № 1905 წ. №№: I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX.

მეხ-ნაკრავით გაშეშდა კატერინა ივანოვნა, აღგილიდამ ველარ დაიძრა. ვერ გაეგო ვერაფრის გულისათვის, როგორ სთქვა პეტრ პეტროვიჩმა პურ-მარილზედ უარი, რადგანაც თავის მიერ გამოგონილი პურ-მარილი მამისა წმინდად სჯეროდა. იწყინა და ელვასავით ეცა აგრეთვე გულცივი და და საქმიანი, თითქმის ზიზღის გამომხატველი კილო პეტრ პეტროვიჩისა. სხვანიც ყველანი როგორღაც უცბად დაყწნარდნენ, ნელ-ნელა ყველა გაჩუმდა, შემოვიდა თუ არა პეტრ პეტროვიჩი. გარდა იმისა, რომ „საქმიანი და დარბაისლური გამომეტყველება“ მისი არ უდგებოდა სრულიად ამ შეკრებულეზასა, ეტყობოდა აგრეთვე, რომ რაღაცა მნიშვნელოვან საქმისათვის გარჯილიყო, რომ არაჩვეულებრივს რამ გარემობას მოეყვანა; მაშასადამე, ახლავე რაღაც მოხდებოდა. სონას გვერდით მდგომი რასკოლნიკოვიც მაშინვე გზიდამ ჩამოეცალა, რომ გაეტარებინა. ეტყობოდა, პეტრ პეტროვიჩმა ვერც-კი შეჰნიშნა იგი. მაშინვე კარებში ლებეზიატნიკოვიც გამოჩნდა. ოთახში, მართალია, არ შესულა, მაგრამ რაღაცა განსაკუთრებული ცნობის მოყვარეობა და გაკვირვება აღბეჭდვოდა სახეზედ; ყურს უგდებდა, მაგრამ, ეტყობოდა, აზრი როგორღაც ვერ გაერკვია დიდ-ხანსა.

— მაპატიეთ, რომ ლაპარაკს გაწყვეტინებთ, — შეჰნიშნა პეტრ პეტროვიჩმა როგორღაც საზოგადოდ ყველას, — მაგრამ საქმე მაქვს საყურადღებო. მოხარულიც-კი ვარ, რომ ხალხი ესწრება. ამალია ივანოვნა, გთხოვთ უმოჩილესად, როგორც დიასახლისს ბინისას, ყური დაუგდოთ, რა მაქვს სოფია ივანოვნასთვის სათქმელი. სოფია ივანოვნა, — ეუბნებოდა წინადვე საშინლად გაოცებულსა და შეშინებულს სონასა. — ჩემის მეგობრის, ანდრეი სემონოვიჩ ლებეზიატნიკოვის ოთახში, თქვენს იქ ყოფნის შემდეგვე უცბად გაჰქრა მაგიდიდამ ას მანეთიანი ქალაღდის ფული. თუ რომ იცით რაიმე ნაირად, ან მიჩვენებთ, სად არის ამ ჟამად იგი, სინიდისსა და პატიოსნებას გეფიცებით და ვიმოწმებ აგრეთვე ყველას, ვინც-კი ყურს გვიგდებს, რომ არ გამოვეციდები და საქმეს ახლავე

გავათავებ. წინააღმდეგს შემთხვევაში იძულებული ვიქნები სასტიკი ღონისძიება ვიხმარო და მაშინ... ნულარას დამემღურებით.

ოთახში სრული ღუმილი ჩამოვარდა. ბავშვებმა ციკტირილი შესწყვიტეს. სონა მკვდარივით გაუფრთხილებული შეჰყურებდა ლუჩინსა, ხმას არ იღებდა; თითქოს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონსა. რამდენმამე წამმა ასე განვლო.

— მაშ, აბა, რას იტყვი? დაეკითხა ლუჩინი და თან ღრმად ჩააკვირდა.

— არ ვიცი... არა ვიცი-რა... ჩაილაპარაკა ბოლოს სუსტის ხმით სონამ.

— არა? არ იცით?—ჩაეკითხა განმეორებით ლუჩინი და რამდენსამე წამს კიდევ გაჩუმდა.—იფიქრეთ, აბა, ქალო,— დაუწყო ახლა სასტიკადა, მაგრამ რჩევით თითქოს ჯერ კიდევ,—იფიქრეთ; თანახმა ვარ, კიდევ მოგცეთ დრო მოსაფიქრებლად. თორემ აი, მოგახსენებთ: დარწმუნებული რომ არ ვიყო, ექვი არ არის, ვერ გავბედავდი და ხელს ვერ დაგადებდით, რადგან ამ გვარის პირდაპირისა და საჯარო ბრალდებისა და ცილის წამებისათვის, თუნდ შემცდარიც ვიყო, მევე ვიქნებოდი პასუხის მგებელი. გამოცდილება ნებას არ მომცემდა ასე წინდაუხედავად მოვქცეულიყავი. მეც ვიცი ესა. დღეს დღით ზოგიერთ, საკუთარ საქიროებისათვის რამდენიმე პროცენტთან ქალაქი დაეახურდავე, ასე სამი ათას მანეთისა. ანგარიში ფულის ქისაში მიწერია. შინ რომ მოველი,—თორემ ანდრეი სემონიჩიც მოწმეა ამისი,—დავითვალე ფული, გადავითვალე ორი ათას სამასი მანეთი, ჩავიწყე ქისაში და სერთუქის ჯიბეში შევინახევი, მარცხნივ. მაგიდაზედ ხუთას მანეთამდე ქალაქის ფული დამჩა, იმათგან სამი ათ-თუმნიანი. სწორედ ამ დროს თქვენც შემოხვედით (მევე მოგახმეთ) და მთელი ის ხანი როგორღაც საშინლად აღელვებული იყავით; სამჯერ კიდევაც წამოიწიეთ ლაპარაკის დროსა და წასვლას სჩქარობდით რიდასთვისაცა, თუმცა ლაპარაკი ჯერ კიდევ არ დაგვესრულებინა. ყველასთვის ამას ანდრეი სემონიჩიც და-

ამოწმებს. არც თქვენ იტყვით უთუოდ უარსა, რომ ანდრეი სემონიჩის პირით მხოლოდ იმისთვის მოგიწვივეით, რომ თქვენის ნათესავ ქალის, კატერინა ივანოვნას ობლების უნუგეშო მდგომარეობის შესახებ მოგველაპარაკა და მათ სასარგებლოდ ლატარია, ხელის მოწერა ან სხვა რამ ამგვარი გავვემართა. თქვენ მე მადლობა გადამიხადეთ და ცრემლიც-კი მოგერიათ (გიაზობთ ყველაფერს, როგორც იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გაგახსენოთ ყოველისფერი და მეორეც, იმიტომ, რომ დაგიმტკიცოთ, არა დამვიწყებია-რა, ყველაფერი დაწვრილებით მახსოვს). ავიღე მერე მაგიდიდამ თუმნიანი ქალაქის ფული და გადმოვეცით თქვენის ნათესავისათვის, რომ პირველად როგორმე ხელი გაემართა. ყოველივე ეს ანდრეი სემონიჩმაც დაინახა. მიგაცილებთ მერე კარებამდისა, თქვენ ისევე შემკრთალი იყავით სულა. — უკან რომ მოვბრუნდი, ანდრეი სემონიჩმა და მე სულ რაღაცა ათიოდ წამი-და ვილაპარაკეთ. ისიც წავიდა, მე-კი მარტოკა დავრჩი ო მაშინვე ფულს მივუბრუნდი, რომ დამეთვალა და, როგორც განზრახვა მქონდა, ცალკე გადამეწყო. მაგრამ, სამწუხაროდ და ჩემდა დიდად გასაოცრად, ერთი ას-მანეთიანი აღარსად იყო. თქვენვე იფიქრეთ, აბა: ანდრეი სემონიჩზედ ექვის მიტანა არაფრის გულისათვის არ შემიძლიან. რომ ვსთქვი, ამისაც-კი მრცხვენიან. არც ანგარიშში მოვტყუვდებოდი იმიტომ, რომ სულ რაღაცა ერთის წამის წინად, ვიდრე თქვენ მოხვიდოდით, სისწორით მქონდა შედგენილი. დამეთანხმეთ, რომ თქვენმა შეკრთობამ, წასასვლელად აჩქარებამა და იმ გარემოებამ, რომ ერთ ხანად ხელები მაგიდაზედ გეწყოთ; აგრეთვე თქვენმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამა და ჩვეულებამ, რომელსაც ეს მდგომარეობა მიაჩვევს ხოლმე, ჩემდა უნებურად შაიქუღეს, ექვი თქვენზე მომეტანა, თუქცა, გამოგიტყდებით, სამართლიანია ეს ჩემი თქვენდამი სასტიკად მოპყრობა! დავსძენ და გავიმეორებ კიდევ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად დარწმუნებული ვარ, რასაც ვსჩადივარ, მაინც გაბედულია და სახიფათო ეს ჩემი საქციელი. მაგრამ უაზრო როდია ეს ჩემი ბრალდება! გეტყვით, რამაც მაიძულა:

თქვენმავე დაუნახავობამა და უმადურობამა! როგორ? მევე მიგიწვიეთ, რომ თქვენის ღარიბ ნათესავისათვის გვეზრუნა რამე, გადმოგეცით ჩემი წვლილი და იქვე, იმავე წამს, მაღლობის მაგივრად ასე მეპყრობით! უკაცრაოდ, მაგრამ ეს-კი სწორედ გასაკიცხია! და ქკუის სწავლებაც საჭიროა. იფიქრეთ, აბა. გარდა მაგისა, როგორც ნამდვილი მეგობარი, გთხოვთ (არც გეყოლებათ ამ ჟამად უკეთესი მეგობარი) გონს მოხვიდეთ და გამოტყდეთ! თორემ, იცოდეთ, არ დაგინდობთ! აბა, რას იტყვიან?

— არასფერი არ ამიღია, — ჩაიჩურჩულა შიშისაგან ზარდაცემულმა სონამ. — თუმანი თვითონ თქვენ მომეცით, აი, მიიღეთ.

ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი, გახსნა გამონასკვეული კუთხე, ამოიღო შიგ გახვეული ქალაღლის თუმნიანი და ლუჟინს გაუწოდა.

— დანარჩენს ათ თუმანში-კი არ გინდათ გამოტყდეთ? — ჩაეკითხა საყვედურითა და სასტიკად ლუჟინი. თუმნიანი არ გამოართვა.

სონამ გარშემო მიიხედ-მოიხედა. ყველანი როგორღაც საშინლად სასტიკად, ზიზღითა და დაცინვით უყურებდნენ. ბოლოს რასკოლნიკოვსაც გადაჰხედა... იდგა კედელთან გულხელ დაკრეფილი რასკოლნიკოვი და თვალეზ-აღვზნებული სონას შეჰყურებდა.

— ოჰ, ღმერთო! ამოჰხედა გულიდამ სონასა.

— ამაღია ივანოვნა, პოლიციას უნდა შევატყობინოთ, გთხოვთ ამიტომ უმორჩილესად მეეზოვეს დამიძახებინოთ, — მიჰმართა როგორღაც ალერსითა და წყნარად ლუჟინმა დიახახლისსა.

— გოტ დერ ბარმგერციგე! განა არა, ვიცოდი, ქურდი იყო! — შემოჰკრა ხელი ხელს ამაღია ივანოვნამა.

— იცოდით, განა? — ჩაეკითხა საჩქაროდ ლუჟინი — მაშასადამე, წინათვე საბუთი გქონიათ, ასეთი აზრი შეგედგინათ. გთხოვთ, უპატივცემულესო ამაღია ივანოვნა, თქვენ

მიერ მოწმებთან წარმოთქმული სიტყვები არ დაივიწყოთ.

ყველა მხრიდგან უცბად ხმა-მაღალი ლაპარაკი გაისმა. ყველა შეიძრა.

— რო-გო-რ-არ! შეჰყვირა უცბად გონსმოსულმა კატერინა ივანოვნამა და თითქოს დაბმული იყო და აეშვაო, ლუჟინს ეცა. როგორ! ქურდობას აბრალებთ? სონასა? ოჰ, საზიზღრებო, გაიძვერებო!

და სონას ეცა, გამხმარის ხელებით მაგრა მიიკრა გულზედა.

— როგორ გაჰბედე, სონა, და გამოართვი თუმანი! ოჰ, ტუტუცო! მოიტა აქა! მოიტა ახლავ ე ფული!—ა-ჰათ!

გამოსტაცა სონას თუმნიანი, დაკუმშა ხელში და პირდაპირ სახეში ესროლა ლუჟინსა. დაკუმშული ფული თვალღებში ეცა ლუჟინსა და იატაკზედ დავარდა. ამალია ივანოვნა იმავე წამს ფულს დაეწოდა. განრისხდა პეტრ პეტროვიჩი.

— დაიქით ე გიჟი!—შეჰყვირა.

კარებში ამ დროს ლებეზიატნიკოვთან ერთად რამდენიმე ადამიანი კიდევ სხვა გამოჩნდა, მათ შორის პროვანციილამ ჩამოსული მანდილოსნებიც.

— როგორ! გიჟიო? მე ვარ გიჟი? ტუტუცი, უგუნური!— შეჰყვირა კატერინა ივანოვნამა.— შენა ხარ თვითონ უგუნური, სასამართლოს გაიძვერავ, სულმდაბალო! სონამ და ამას ფული მოჰპაროს, გესმისთ! სონა ქურდიაო! თვითონვე მოგცემს, შე ვაგლახო, ფულსა!—და კატერინა ივანოვნას სიცილი აუვარდა.— არ გინახავთ, როგორი სანახავია ტუტუცი ადამიანი?— უჩვენებდა ყველას ლუჟინზედა და აქეთ-იქით ეგლებოდა.— როგორ, შენც აგრე?— დაინახა უცბად დიასახლისი.— შენც იმასვე ამტკიცებ, მეძებვევ, რომ სონა ქურდია, შე პრუსიელო ბედასლო, ჯოჯოვ! ეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა! ოთახილამ ხომ ფეხიც არ მოუცვლია; გამოვიდა თუ არა შენგანა, შე გაიძვერავ, მაშინვე აქ, გვერდით, მომიჯდა; ყველა მნახველია! აი, აქ, როდიონ რომანოვიჩის გვერდით იჯდა!.. გასჩხრიკეთ! არსად გასულა, მაშ, ზედვე ექნება ფუ-



ლი! ნახე, გასჩხრიკე! მაგრამ, იცოდე, პასუხს აგებ, არ გაპატიებ, თუ ვერას უპოვი! თვით მოწყალე ხელმწიფესთან მივალ, ფერხთ დავემხვები, ყველაფერს მოვახსენებ, ახლავე, დღესვე! ობლების პატრონი ვარ! მიმიშვებენ! გგონია, არ მაჩვენებენ? სტყუი, მიჰქარავ! ვინახულებ! მაჩვენებენ! როგორ? იმისი იმედი გქონდა, რომ წყნარია მეტად? და გგონა, ჩავივლიდა? სამაგიეროდ მე ვარ კაპასი! ვერას მიიღებ! ეძებე, აბა! ეძებე, აბა, ეძებე!!

და გაბრაზებული კატერინა ივანოვნა ძალზედ ანჟღერვდა ლუჩინსა, სონასთან მიათრევდა.

— მზათა ვარ და პასუხსაც ვაგებ... მაგრამ დამშვიდდით, ხელმწიფაო, დამშვიდდით. ვხედავ კარგად, რომ კაპასი ხართ, მოუსვენარი!.. ეს... ეს... როგორა ახლა?—ბუტბუტებდა ლუჩინი,—პოლიციაც უნდა დაესწროს... თუმცა მოწმები უიმი-სოდაც ბლომად არიან უკიდ... მზათა ვარ, მზათა.. მაინც ძნელია მამაკაცისათვის.. სქესი მამრკოლებს.. აი, ამალია ივანოვნა რომ დამეხმარებოდეს.. თუმცა, საქმის ასე გათავება მაინც შეუძლებელია... მაშ, როგორა ვქმნათ?

— ვინ გინდათ! ვისაცა ჰსურდეს, გაჩხრიკოს!—ყვიროდა კატერინა ივანოვნა.

— სონა, გადმოუბრუნე ჯიბეები! აბა, აბა! ნახე, წყეულო, ამოსავარდნელო, ცალიერია, თუ არა! აქ ცხვირისახოცი ედო, ჯიბე ცალიერია, ჰხედავ! აგერა, მეორე ჯიბეცა. აბა, ჰხედავ, ჰხედავ!

და კატერინა ივანოვნამ გადმობრუნების მაგიერად ორივე ჯიბე კინალამ გამოჰგლიჯა. უცბად მარჯვენა ჯიბიდან რალაცა დაკეცილი ქალალდი ამოუვარდა, შეითამაშა ჰაერში და ლუჩინის ფეხებთან დაეცა. ყველამ დაინახა; ბევრმა შეჰყვირა კიდევ. დაეწოდა ორის თითით პეტრ პეტროვიჩი, აიღო გამოსაჩენად, რომ ყველას დაენახა და გაშალა. ეს იყო რვათ შეკეცილი ას-მანეთიანი ქალალდის ფული. პეტრ პეტროვიჩმა ხელი გარშემო ჩამოატარა, რომ ყველას დაენახა.

— ქურდო! გამშორდი სახლიდამა! პოლიციას დამიძახეთ პოლიციასა! — შეჰკივლა ამალია ივანოვნამა, — ციმბირში უნდა გაგრეკოთ! მომშორდით!

ყველა მხრიდამ შეყვირება გაისმა. რასკოლნიკოვი იდგა ჩუმათა და სონას არ აშორებდა თვალსა; იშვიათად ლუჟინსაც გადაჰხედავდა ხოლმე. გაშტერებული სონა ერთს ადგილას იდგა გონება-დაბნეული; მაგრამ არა ჰკვირობდა თითქოს. უცბად მთლად გაწითლდა, შეჰყვირა, პირზედ ხელები მიიფარა.

— არა, მე არ მიქნია! მე არ ამილია! არ ვიცი! — შესძახა მწარედ აქვითინებულმა და კატერინა ივანოვნასკენ გაქანდა.

კატერინა ივანოვნამაც მაგრა ჩაიკრა გულში, თითქოს ჰსურს ასე დაიფაროს ყველასგანაო.

— სონა! სონა! არა მჯერა! ჰხედავ, არ მჯერა! — ჰყვიროდა კატერინა ივანოვნა (თუმცა აშკარა იყო) და თან ბავშვივით აქანავებდა, ხელებსა და პირს უკოცნიდა. — შენა და ფულს აიღებდი! რა ტუტუცი ხალხია! ოჰ, ღმერთო! ტუტუცებო, სულელებო, — უყვიროდა ყველასა, — არა იცით-რა, რა გულის პატრონია, რა ქალია! ეს აიღებდა ფულსა! უკანასკნელს კაბას გაიხდის, გაჰყიდის და თქვენ მოგცემთ, რომ გიქირდეთ, აი, რა ადამიანია! ყვითელი ბილეთიც იმიტომ მიიღო, რომ ბავშვები შიმშილით მებოცებოდა, ჩვენთვის გაჰყიდა პატიოსნება!.. ეჰ, განსვენებულო! ეჰ, საცოდავო! ჰხედავ, ნეტავი? ჰხედავ? ეგაც შენი შენდობა! ღმერთო! რატომ არ დაიფარავთ, რაღასა სდგევხართ? როდიონ რომანიჩ! რატომ არ გამოესარჩლებით? თქვენცა გჯერათ თუ? ამის ფრჩხილადაც არა ღირხართ თქვენ ყველანი, ყველანი! ღმერთო, რას უცდი, შენ მაინც რატომ არ დაიფარავ?

საბრალო, ჭლექიან ქვრივის კატერინა ივანოვნას ტირილმა, ეტყობოდა, ყველაზედ დიდი გავლენა იქონია. ამ ჭლექისაგან ჩამომხმარსა და ტკივილებისაგან დაღრეჯილს სახეზედ, ამ გამხმარსა და სისხლიანს ტუჩებზედ, ამ გაბრინწიანებულს ნმასა და ბავშვურს ატეხილს ტირილში, ამ ნდობით აღსავსე



და ბავშვებს, სასოწარკვეთილს მუდარაში იმდენი საცოდავობა და ტანჯვა იხატებოდა, რომ, ეტყობოდა, ყველამ შეიბრალა უბედური. პეტრ პეტროვიჩის მაინც მაშინვე შეეცოდა:

— ქალბატონო! ქალბატონო!—უძახოდა რიხიანად,—ეს გარემოება თქვენ სრულიად არ შეგეხებათ! ვერაინ ბრალს ვერ დაგდებთ, რომ ბოროტი რამ განზრახვა ან შეთანხმება გქონოდეთ, მით უმეტეს, რომ თქვენვე გადმოუბრუნეთ ჯიბეები და აღმოაჩინეთ ფული; მაშასადამე, არც გცოდნებიათ. დიდად და დიდადა ვსწუხვარ, თუ სოფია სემონოვნაც გაქირვებამა და სილარიბემ აიძულა, მაგრამ აგრე რაღათა უარობლით და არ გინდოდათ გამოტეხილიყავით, ქალბატონო? სირცხვილისა გეშინოდათ? პირველი შემთხვევა იყო? ან იქნება დაიბენით? ადვილად მისახვედრია, რასაკვირველია... მაგრამ რათა, რათ სჩადიოდით ასე? ბატონებო!—მიჰმართა დამსწრეთ, —ბატონებო, ახლაც-კი თითქმის მზათა ვარ, ვაპატიო ყველაფერი, თუმცა პირადაც შეურაცხმყვეს. დეე, შემდგომში გაკვეთილად გექმნეს, ქალო, ეს შერცხვენა,— მიჰმართა სონასა,—მე-კი აღარ გამოვეციდები მეტად საქმესა და ამითი გავათავებ. კმარა!

გვერდზედ გაჰხედა პეტრ პეტროვიჩმა რასკოლნიკოვსა, ორთავემ ერთსა და იმავე დროს შეჰხედეს ერთმანერთსა. ეტყობოდა ცეცხლივით აღზნებულს თვალეში რასკოლნიკოვსა, რომ მზად იყო მტვრად ექცია, შეეკამა იგი. კატერინა ივანოვნას-კი თითქმის აღარა ესმოდა-რა: გიჟივით-ლა ეხვეოდა და ჰკოცნიდა სონასა. ბავშვებიც გარს შემოჰხვეოდნენ. პოლენკა-კი, რომელსაც ეტყობოდა, ვერ გაეგო კიდევ ნამდვილად საქმე, ცრემლად დნებოდა, ქვითინით ოსდებოდა. ტირილისაგან დასიებული ლამაზი სახე სონასათვის მიედო მხარზედ.

— რა სიმდაბლეთა! გაისმა უცბად ხმა-მადლო კარებში.

პეტრ პეტროვიჩმა საჩქაროდ მიიხედა.

— რა სიმდაბლეთა!—გაიმეორა ლებეზიატნიკოვმა და პირდაპირ ჩააშტერდა პეტრ პეტროვიჩის თვალეში.

შეკრთა თითქმის პეტრ პეტროვიჩი. ყველამ შეჰნიშნა. (მერე იგონებდნენ ყველანი). ლებეზიატნიკოვმა ოთახში შემოდგა ფეხი.

— მერე, გაჰბედეთ და მოწმეთაც დამასახელეთ?— შეეკითხა სასტიკად პეტრ პეტროვიჩსა.

— რას ჰნიშნავს, ანდრეი სემონიჩ? რაზედ ამბობთ მაგასა?— წაიბუტბუტა ლუჩინმა.

— რასა და იმასა, რომ... ცილსა სწამებთ, აი, რას ჰნიშნავს ჩემი სიტყვები!— წარმოსთქვა მხურვალედ ლებეზიატნიკოვმა და თან სასტიკად დაუწყო ყურება თავისის ბეც თვალებითა.

საშინლად იყო გაჯავრებული. რასკოლნიკოვი მაშინვე გაფაციცებით დააშტერდა, თითქოს ჰსურს ყოველი სიტყვა აკრიფოს და ასწონოსო. ხელ-ახლად სიჩუმე ჩამოვარდა. პეტრ პეტროვიჩი დაიბნა თითქმის, პირველ ხანად მიანც.

— თუ რომ...— დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად ენის მოკიდებით,— რა დავემართათ? თქვენს ჭკვაზედა ხართ?

— მე ჩემს ჭკვაზედა ვარ, მაგრამ თქვენ, თქვენ... გაიძვერა ყოფილხართ! ოჰ, რა სიმდაბლეა! ყველაფერი გავიგონევი, რაც მოხდა; განგებ ვიცდიდი ბოლომდისა, რომ გამეგო როგორმე აზრი, მაგრამ, გამოგიტყდებით, აქამდისაც ვერ გამიგია რიგზედა, რა აზრი აქვს... რათა ჰქმენით ყველა ესა, — არ მესმის.

— რაო, რა ვქმენი ისეთი! გაათავებ თუ არა ემა სისულელის როშვასა! ან იქნება გადაკრულში ხართ?

— იქნება თქვენა ჰსვამთ, სულმდაბლო, დაცემულო, თორემ მე არა ვსვამ! არაყი ხომ არასოდეს გემოთ არ მინახავს, იმიტომ, რომ წინააღმდეგია ჩემის რწმენისა! წარმოდგინეთ, თავისის საკუთარ ხელით მისცა ეს ას-მანეთიანი სოფია სემონოვნასა,— თორემ მოწმე ვარ, დავინახე, შემძლიან ფიცი მივიღო! თვითონა ქნა! თვითონა!— უმეორებდა ყველას ლებეზიატნიკოვი.

— კვვიდამ ხომ არ შეიშალევით, ლლაპო? — დასკვივრა ლუქინმა. — თვითონ არ იყო, გამოტყდა თქვენ თვალ წინა და ყველასთან, რომ თუმნიანის მეტი არა მიუღია-რა ჩემგანა? მითხარით, მაშ, როგორ-ლა მივცემდი?

— დავინახე, დავინახე! — ყვიროდა და უმტკიცებდა ლებეზიატიკოვი. — და თუმცა ჩემის რწმენის წინააღმდეგია, მზათა ვარ მაინც, როგორც გინდათ, ფიცი მივიღო სასამართლოში, რომ ჩუმად შეაპარეთ ეგ ფული! ეგ არის მხოლოდ ვიფიქრევი მე ტუტუცმა, კეთილისმყოფელობითა და ქველმოქმედებით სჩადის-მეთქი ასე! კარებში რომ ეთხოვებოდით, ჩუმად ჩაუდეთ დაკეცილი მარცხენა ხელით ჯიბეში, მარჯვენათი-კი ხელი ჩამოართვით. დავინახე, ლამაზად დავინახე!

გაფითრდა ლუქინი.

— რადა სტყუით? — შეჰყვირა თავხედად. — ან არა-და, ფანჯრიდამ როგორ გაარჩევდით, ფული იყო, თუ სხვა რამ! მოგელანდათ უთუოდ... თვალე-ბლოტილო, ჰბოდავთ!

— არა, არ მომლანდებია! მართალია, შორს ვიდექი, მაგრამ ყველაფერი დავინახე, ყველაფერი. ფანჯრიდამ გარჩევა, მართალს ამბობთ, ძნელია, მაგრამ წინაღვე ვიცოდი, რომ ას-მანეთიანი იყო ისა, იმიტომ, რომ სონას რომ თუმნიანი მიეცით — დავინახე, — მაშინვე ას-მანეთიანიც აიღეთ (დავინახე იმიტომ, რომ ახლო ვიდექი და აღარც მომიშორებია თვალი, რადგან მაშინვე გავიფიქრე ერთი ჩამ; ამიტომაც აღარ დამვიწყებია, რა გექირათ ხელში). დაჰკეცეთ და ხელში გექირათ ერთ-თავად. მერე ერთ ხანად დამავიწყდა თითქმის, მაგრამ რომ წამოდექით მერე, მარჯვენა ხელიდამ მარცხენაში გადიტანეთ და კინალამ ხელიდამ გააგდეთ, მაშინვე ისევ მომაგონდა, რადგანაც ხელ-ახლად ვიფიქრევი, უთუოდ ჩემ ჩუმათა ჰსურს სიკეთე ჩაიღინოს-მეთქი. წარმოიდგინეთ, მაშინ-კი ისევ თვალ-ყურის დევნება დავიწყეთ და დავინახე, რომ მოახერხეთ და ჯიბეში უჩუმრად ჩაუდეთ. გეუბნებით, დავინახე და ფიცსაც მივიღებ-მეთქი.

სულს ძლივს-ღა იბრუნებდა ლებეზიატნიკოვი. ყველა მხრილამ გაკვირვება და ძახილი გაისმა; ზოგან მუქარაც ისმოდა. ყველა პეტრ პეტროვიჩისაკენ იწევდა. კატერინა ივანოვნა ლებეზიატნიკოს ეცა.

— ანდრეი სემონიჩ, მოვტყუვდი თქვენში! თქვენ დაიფარეთ, თქვენ! თქვენ ამოიღეთ მარტომ ხმა! ობოლია, ღმერთმა მოგვივლინა თქვენი თავი! ანდრეი სემონიჩ, გეთაყვათ, მამავ!

და აღარ ესმოდა თითქმის, რას სჩადიოდა, პირდაპირ დაუჩოქა.

— სისულელეა! — შეჰყვირა გაბრაზებულმა ლუჩინმა. — სისულელესა ჰროშავთ, ბატონო!.. „დამავიწყდა, მომაგონდა, მომაგონდა, დამავიწყდაო!“ — რასა ჰნიშნავს! ეტყობა, მაშ, განზრახ შემიპარებია, ჰა? რაო, რისთვისაო? ან რა აზრითა? რა მაქვს საერთო ამ...

— რისთვისა? აქამდის მეც ვერ გამიგია, მაგრამ, რაც გიამბეთ, მართალია, ნამდვილი არის! არ ვსტყუი იმიტომ, საზიზღარო და ბოროტო კაცო, რომ, მახსოვს, ამის გამო მაშინვე ერთი რამ მომივიდა აზრათ, იმ დროს სწორედ, ხელს რომ ართმევდი, რად ჩაუდეთ ქურდულათ, ჩუმად ჯიბეში? სახელდობრ, რაღა უთუოდ ჩუმადა? ნუ-თუ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემგან დაგემალათ, რა-კი იცოდით, სხვა რწმენისა ვიყავი სურლიად და კერძო ქველმოქმედებასაც უარვყოფდი, როგორც უაზროსა და უქმს, რადგანაც არსებითად არარას ჰშველის საქმესა? გარდავწყვიტე ამიტომა, ვითომ ჩემი შეგრცხვათ და თან გინდოდათ, მოულოდნელად ისაც გაგეხარებინათ, უცხად რომ ჯიბეში ათ თუმნიანს იპოვიდა. (იმიტომა, რომ, ვიცი, ზოგიერთ ქველმოქმედს საშინლად უყვარს ესა). ვიფიქრე აგრეთვე, ვითომ გამოცდა გინდოდათ, — მოვიდოდა და მადლობას გადაგიხდიდათ, თუ არა, რომ იპოვიდა! ან კიდევ მადლობას ერიდებოდით და გინდოდათ, მარჯვენას არა სცოდნოდა ვითომ, მარცხენა რას ვასცემდა... ერთი სიტყვით, როგორღაც ამგვარად გინდოდათ მოგეწყოთ



საქმე... ვითომ მაგრამ, ვინ იცის, რამდენი რამ ვიფიქრევი. ბოლოს მაინც უზრდელობად მივიჩნეე საიდუმლოს გამოქვავება. გადავწყვიტე, შემდეგში მომესაზრა ყველაფერი. თუმცა მაშინვე ვიფიქრე ისიც: ვაი, თუ სოფია სემონოვნამ ვერც-კი შეპნიშნოს და დაკარგოს-მეთქი. გადავწყვიტე ამიტომ, დავბრუნებულოყავი ახლავე და მეთქვა, რომ ჯიბეში ათ-თუმნიანი ჩაუდეს. გზათ მხოლოდ ქ-ნ კობილიატკოვებისას შევიარე „Общий выводъ положительнаго метода“ შევუტანე და ვურჩიე საგანგებოდ, რომ პიდერიტის წერილი წაეკითხათ (აგრეთვე ვაგნერისაც). მერე მოვედი აქაც, მაგრამ ჰხედავთ, რა ამბავი დამიხვდა! მითხარით, გეთაყვათ, რა მომამფიქრებდა ყველა ამასა, მართლა რომ ჩემის თვალით არ დამენახა, როგორ ჩაუდო ჯიბეში ათ-თუმნიანი?

დაასრულა ბოლოს ანდრეი სიმონიჩმა თავისი გრძელი მსჯელობა, ზემოდ აღნიშნული ლოლიკური დასკვნა გაუკეთა და დაღალულმა სახეზედ ოფლი მოიწმინდა. მაგრამ ვაი, რომ რუსულადაც-კი ეძნელებოდა რიგზედ ლაპარაკი (თუმცა სხვა ენაც არა იცოდა-რა) და როგორღაც უცბად მოსწყდა, მოეშვა; თითქმის რომ გახდა კიდევცა ამ ცხარე ვეჭილობის შემდეგა. მაინც მისმა სიტყვებმა ყველაზედ დიდი გავლენა იქონიეს. ისე როგორღაც ლაპარაკობდა გატაცებითა და რწმენით, რომ, ეტყობოდა, ყველას სჯეროდა. იგრძნო პეტრ პეტროვიჩმა, რომ ცუდად იყო საქმე.

— რა საქმე მაქვს, რა იფიქრეთ და რა სულელური კითხვები დაგებადათ, — შეჰყვირა. — არასფერსაც არ ამტკიცებს ესა! იქნება ძილშიაც დაგეზმანათ ყველაფერი. მორჩა და გათავდა! გიმეორებთ მაინც, მოწყალეო ხელმწიფეო, რომ სტყუით! სტყუით და ცილს მწამებთ რაიმე ბოროტის აზრით, იქნება იმიტომაცა, რომ თქვენნი უღვთო სოციალური წინადადებანი უარყავი, მორჩა და გათავდა!

მაგრამ ვერა უშველა-რა პეტრ პეტროვიჩს ამ რიგად თავის დაძვრენაში. პირ-იქით, ყველა მხრიდამ სტვენა და მუქარა გაისმა.

— ჰხედავთ, სადა და როგორ უნდა თავის დაქვრენა! — შეჰყვირა ლებეზიატნიკოვმა. — სტყუი! დაუძახე პოლიციისა, მე კიდევ ფიცს მივიღებ! ერთი რამ ვერ გამიგია მხოლოდ: რა აზრით ჩაიღინა ასეთი სიმდაბლე! ოჰ, საცოდავო, გაიძვერა სულმდაბლო!

— მე შემიძლიან ავხსნა, რათაც ჩაიღინა და თუ საქირო იქნება, ფიციც მივიღო! — წარმოსთქვა მტკიცედ რასკოლნიკოვმა და წინ წამოღდა.

ეტყობოდა, მტკიცედ ჰქონდა გარდაწყვეტილი, დამშედებით მოფიქრებული. მართლაც ყველამ ნათლად დაინახა პირველის შეხედვითვე, რომ უნდა უთუოდ სცოდნოდა ნამდვილი მიზეზი და საქმეც საბოლოოდ გამოერკვია.

— ახლა-კი ყველაფერი მესმის, — განაგრძობდა რასკოლნიკოვი ლებეზიატნიკოვის საყურადღებოდ. — თავიდანვე ეჭვი დამებადა, უთუოდ რამ საზიზღარი ოინია-მეთქი. ეჭვი შემეპარა იმ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, რომლებიც მე ვუწყი მხოლოდ და რომლებსაც ახლავ ავუხსნი ყველასა. საქმე მთლად მათზეა დამოკიდებული. თქვენ-კი, ანდრეი სემონიჩ, თქვენის ძვირფასის ჩვენებით საბოლოოდ გაპირკვიეთ ყველაფერი. გთხოვთ ყველას, ყური დამიგდოთ. ეს ვაჟბატონი (ლუჟინზედ მიუთითა) ახლა ხანს ერთს ქალს, სახელდობრ, ჩემს დას ავდოტია რომანოვნა რასკოლნიკოვისას, ირთავდა. მაგრამ პეტერბურგში რომ ჩამოვიდა, ამ სამიოდე დღის წინად, პირველის ნახვისათნავე ჩხუბი მოგვივიდა და სახლიდამ ვავადე, რასაც ორი სხვა ადამიანიც დაამოწმებს. ამის გამო გაბოროტებულია საშინლად... სამის დღის წინად სრულიად არა ვიცოდი-რა, თუ აქ, თქვენთან სცხოვრობდა ნომრებში; იმავე დღეს, რა დღესაც ჩვენ ჩხუბი მოგვივიდა, მოწმე იყო იგი, როგორ გადავეცი ჩემის განსვენებულ მეგობრის მარპელადოვის ქვრივს კატერინა ივანოვნას რამოდენიმე ფული მიცვალებულის დასამარხად. ამას-კი აეღო და მიეწერა დედიჩემისათვისა, ვითომ ფული გადავეცი სოფია სემონოვნასა და არა კატერინა ივანოვნასა, თან ისე საძაგლად დაესურათებინა... სოფია სემო-

ნოვნა, რომ... ე. ი. ექვი მიეტანა, ვითომ რამ დამოკიდებულება მქონდა სოფია სემონოვნასთან. ყველაფერი ეს, თუ დაუკვირდებით, ჩაიღინა იმ განზრახვით მხოლოდ, რომ დედასთანა და დასთან წავეჩხუბებინე და ჩაეგონებინა, რომ მათს უკანასკნელს გროშებს ასე უპატიოსნოდ ვხარჯავ. გუშინ საღამოთი ამასთანვე აღვადგინე დედისა და დის წინაშე კეშმარიტება და დავემტკიცე, რომ ფული გადავეცი კატერინა ივანოვნასა და დასასაფლაველად და არა სოფია სემონოვნას, რომელსაც სამის დღის წინად არც-კი ვიცნობდი ჯერა და არც ვიცოდი, რა სახისა იყო. დავსძინე ამასთანავე ისიც, რომ პეტრ პეტროვიჩი ლუეინი, თავისის ღირსებებით, სოფია სემონოვნას ფრჩხილადაც არა ღირდა, რომელსაც მიწასთან ასწორებდა თითქმის. ხოლო როდესაც მკითხა: მოუსვამდი თუ არა გვერდით სოფია სემონოვნას თქვენს დასაო — ვუპასუხე, რომ უკვე ვქვენ კადეც ესა იმავე დღესა. გულმოსულმა და გაბოროტებულმა, რომ ველარ მოახერხა ამ რიგად ჩვენი წაჩხუბება, თავხედად შეურაცხყოფა დაუწყო ჩემს დასა. მაშინ-კი საბოლოოდ გავწყვიტეთ მასთან საქმე და სახლიდამ გამოვაპანლურეთ. ყოველისფერი ეს გუშინ საღამოთი მოხდა. გთხოვთ ახლა ყური დამივდოთ: რომ მოეხერხებანა და დაემტკიცებინა, ვითომ სოფია სემონოვნა ქურდი იყო მართლაც, მაშინ ხომ, ჯერ ერთი, დაუმტკიცებდა დედა ჩემსა და ჩემს დასა, რომ მისი ექვი სამართლიანი იყო; მაშასადამე, სამართლიანადც გამწყურალა, რომ ჩემი და და სოფია სემონოვნა ერთი მეორის ღირსადა ვსცანი. აქედამ, მაშ, მისი ჩემდამი წყრომაც სამართლიანი იქნებოდა, რადგან ჩემის დისა და თავის საპატარძლოს პატიოსნებას იცავდა. მაშასადამე, შეეძლო ამ რიგად ჩვენი ხელახლად წაკიდება და მათი გულის მოგება, შერიგება. იმისას ხომ თუნდა არას ვიტყვი, რომ შურს ეძიებდა და უნდოდა სამაგიერო როგორმე გადაეხადა ჩვენთვის, რადგანაც ფიქრობდა, სოფია სემონოვნას პატიოსნება და ბედნიერება ძვირფასი იყო ჩემთვისა. აი, რა ანგარიში ჰქონდა! აი, როგორა ვხსნი ამ საქმესა! ეს იყო ერთად-ერთი მიზეზი, მის გარდა სხვა არა ყოფილა-რა!

ასე დაათვა თითქმის რასკოლნიკოვმა სიტყვა, როჭელსაც დამსწრენი ხშირად აწყვეტინებდნენ, სხვა-და-სხვა გვარის შედახილითა, თუმცა ყურადღებით უგდებდა ყველა ყურსა. მიუხედავად ამისა, მაინც დამზვიდებულმა და მტკიცედ, გარკვევით წარმოსთქვა ყოველივე ეს. მისმა მკვეთრმა ხმამ, სასტიკმა სახის გამომეტყველებამ და რწმენით აღსავსე კილომ ყველაზედ დიდი გავლენა იქონია.

— აგრეა სწორედ, აგრეა! — ამტკიცებდა აღტაცებული ლებეზიატიკოვი. — აგრე უნდა იყოს უთუოდ, იმიტომ, რომ მეკითხებოდა, როგორც-კი სოფია სემონოვნა შემოვიდა: „აქა ხართ თქვენა, თუ არა? — კატერინა ივანოვნას სტუმართა შორის თვალი ხომ არ მოგვიკრავსო?“ ფანჯარასთან მიმიხმო და ისე მკითხა ჩუმათა. მაშასადამე, უნდოდა უთუოდა, რომ თქვენ აქა ყოფილიყავით! აგრეა სწორედ, აგრეა!

იდგა ჩუმად ლუეინი და ზიზლით იღიმებოდა. მაინც გაფითრებული იყო საშინლად. ეტყობოდა, ფიქრობდა თავი როგორმე დაეძვრინა. იქნება სიამოვნებითაც მიეტოვებინა ყველაფერი და წასულიყო, მაგრამ ვაი, რომ შეუძლებელი იყო თითქმის ესა. ამით ხომ გამოტყდებოდა, რომ სამართლიანი იყო, რასაც ამბობდნენ და სოფია სემონოვნასაც ტყუილად ცილი დასწამა. მასთან დაღეული ხალხიც მეტად ღელავდა. ყველაზედ მეტს-კი პროვიანტის მოხელე ყვიროდა და ლუეინისათვის სხვა-და-სხვა არაფრად სასიამოვნო ღონისძიებას ურჩევდა, თუმცა გავებით თითქმის აღარა გაეგებოდა-რა, ისე იყო გაღეჭებული. მაგრამ იყვნენ უფრო ფიზიკებიც. ყველა ოთახებიდამ თავი მოიყარეს. პოლონელები კ სამივენი საშინლად ცხარობდნენ და ერთ-თავად „პანე დაიდაკ!-ს“ უყვიროდნენ. გარდა ამისა, რაღაცა სხვა მუქარასაც უთვლიდნენ პოლონურად. სონაც ყურადღებით უგდებდა ყურსა, მაგრამ ბურანში იყო თითქოს, ყველაფერი რიგზედ ვერ გაეგო. ეგ იყო მხოლოდ რასკოლნიკოვს არ აშორებდა თვალსა, როგორც ერთად-ერთს თავის დამცველსა და მფარველს. კატერინა ივანოვნაც ძლივს-და მსუნთქავდა, დაუძლორებულიყო, გახრინწი-



ანებულიყო, ყველაზედ ტუტუტუს მდგომარეობაში-კი ამალია ივანოვნა იყო: იღვა პირდაღებული და ვერა გაეგო-რა. ჰხედავდა მხოლოდ, რომ პეტრ პეტროვიჩი როგორღაც მახეში გაება: რასკოლნიკოვმა კვალად ლაპარაკი ნება ითხოვა, მაგრამ აღარ დაათავებინეს: ყველა ლუქინისაკენ მიიწევდა ლანძღვითა და მუქარითა. მაგრამ არ შეშინდა პეტრ პეტროვიჩი. რომ ნახა, სონას ველარასფრით გაამტყუვნებდა და წაგებული იყო საქმე, პირდაპირ ურცხვს ოინს მიჰმართა:

— მოითმინეთ, ბატონებო, მოითმინეთ; ნუ ახორხორდით, გამატარეთ!—ეუბნებოდა ლუქინი და თან ბრბოს მიარღვევდა,—და ნურც იწუქრებით, გეთაყვათ; გარწმუნებთ, არა იქნება-რა, ვერას იზამთ, მხდალი არ გახლავართ; პირიქით, თქვენვე აგებთ, ბატონებო, პასუხსა, რომ ძალადობა იხმარეთ და სასისხლო საქმე დაჰმალეთ. ქურდი დაქერილი მყავს და არც დავანებებ თავსა. სასამართლოში ბრმები როდი არიან... და არც მთვრალეები, ორს თავზედ ხელ აღებულს უღვთოსა, შფოთის ჩამომგდებსა და თავისუფალ მოაზრეს, რომლებიც პირადის ანგარიშითა და შურისძიებით ამტყუვნებენ და თავიანთის სულელობით არცა ჰმალავენ ამასა, როდი ვინმე რასმეს დაუჯერებს... დიახ, გამატათ, გეთაყვათ!..

— ახლავე ხსენება აღარ იყოს თქვენი ჩემს ოთახში; გადადით, საცა გერჩიოთ! მორჩა, გათავდა! რომ მომავონდება, როგორ თავგამოდებით ვუხსნიდი... აგერა, ორი კვირაა!..

— ეგ ხომ, ანდრეი სემონიჩ, მე თვითონ გითხარით წელან, გადავდივარ-მეთქი, თქვენ-კი არ მიშვებდით. ახლა მხოლოდ იმას-ლა დავსძენ, რომ ტუტუცი ყოფილხართ. გისურვებთ, ე ტვინი და აბლასტული თვალები მოგერჩინოთ. გამატათ, ბატონებო!

და გაძვრა. მაგრამ აგრე არ უნდოდა მარტო ლანძღვინებით გაშვება პროვიანტის მოხელესა: დაავლო მაგიდაზედ ჭიქას ხელი, მოიქნია და პეტრ პეტროვიჩს ესროლა; მაგრამ ასცდა პეტრ პეტროვიჩისა და ამალია ივანოვნას მოჰხ-

ვდა. შეჰკივლა ამალია ივანოვნამა. პროვიანტის მოხელემ კიდევ თავი ველარ შეიმაგრა, წაიტორტმანა და მაგიდის ქვეშ გასძვრა ბრაგვანი. პეტრ პეტროვიჩი თავისს ოთახში შევიდა, ნახევარსაათის შემდეგ-კი სულაც გადავიდა სახლიდამ. ბუნებით წყნარმა და მოკრძალებულმა სონამ წინადაც იცოდა, რომ მისი დაჩაგვრა ყველას აღვილად შეეძლო. მაგრამ მაინც ეგონა უკანასკნელ წამამდე, რომ უბედურებას როგორმე სიფრთხილით, მოკრძალებითა და მორჩილებით თავს დააღწევდა. მაგრამ მწარედ მოსტყუვდა მეტად. რასაკვრელია, შეეძლო კიდევაც მოეთმინა ყველაფერი,—თუნდ ეს შეურაცხყოფაცა. მაგრამ მეტად ემძიმა პირველად იგი. მიუხედავად იმისა, რომ გაამართლეს და არ შერცხვა,—მოვიდა თუ არა შიშისაგან გონსადა მოისაზრა თუ არა ყველაფერი, —რაღაცა უმწეობისა და შეურაცხყოფის გრძნობამ საშინლად შეჰხუთა გული, ტირილი აუვარდა. ველარ გაუძლო ბოლოს, გავარდა ოთახიდანა და შინისაკენ გაქანდა. ეს იყო თითქმის ლუჩინის წასვლის უმაღვე. ველარ მოითმინა ველარც ამალია ივანოვნამა, ჭიქა რომ მოჰხვდა და ყველამ სიცილი ასტეხა და გაცოფებული, კივილით კატერინა ივანოვნას მიესია, როგორც მიზეზს ყველა ამ უსიამოვნებისასა:

— დამეკარგე ახლავ ბინიდანა! ახლავე! მარშ!

და დაუწყო ყველაფერს, რაც-კი რამ მოჰხვდა ხელში კატერინა ივანოვნას ნივთებიდანა, ძირს იატაკზედ, გადმოყრა. უიმისოდაც თითქმის მკვდარი და გულშეღონებული, გადაფითრებული კატერინა ივანოვნა წამოხტა მაშინვე ლოგინიდანა (რომელზედაც დაუძღურებული დაეცა) და ამალია ივანოვნას ეცა. მაგრამ რას გახდებოდა, განა? ამალია ივანოვნამ ბუმბულივით მოიშორა უცბად.

— როგორ! არ კმარა, რომ უღვთოდ დასწამეს ცილი,— ეს საძაგელი მევე დამაცხრა! როგორ! ქმრის დასაფლავების დღესა და პურ მარილის შექმდეგ სახლიდამ მითხოვენ, ობლებიანათ ქუჩაში მაგდებენ! მერე სად წავადე! — ქვითინებდა და გაჰკიოდა საცოდავი დედაკაცი. — ღმერთო! — შეჰყვირა უცბად



და თვალები გააკვესა, —ნუ-თუ სიმართლე არ არის! სხვა ვინღა უნდა დაიფარო, თუ არა ჩვენ, ქვრივ-ობლები? აბა, ვნახოთ, სამართალი როდი გამწყდარა ქვეყნად, მოცემბნი, ვპოვებ! მოიცა, ახლავ, უღმერთო შენა! პოლექკა, ბავშვებთან იყავი, ახლავ დავბრუნდები. მომიცადეთ, თუნდ ქუჩაშიაც იყოს! ვნახავთ, არის ქვეყნად სამართალი, თუ არა?

და თავზედ ის მწვანე ღრადედამის თავსახვევი მოიგდო, რომელზედაც მაშინ განსვენებულმა მარმელაღოვმა უამბა რასკოლნიკოვსა. გაქვრა კატერინა ივანოვნა უწესრიგოდ ოთახში მოხროვებულ მთვრალ მდგმურებს შუა და ქვითინით ქუჩაში გავარდა, რომ სადღაც ახლავე, დაუყოვნებლივ, სამართალ ეპოვნა. შეშინებულმა პოლექკამ ბავშვები კუთხეში მიყუჟა ყუთთანა, მოჰხვია ორთავეს ხელები და შიშისაგან მთლად აკანკალებულმა დედას დაუწყუცდა. ამაღია ივანოვნა კიდევ დარბოდა გაცხარებულ ოთახში, გაჰკიოდა, ყვიროდა და რაც-კი რამ მოჰხვედებოდა ხელში, ყველაფერს იატაკზედ ჰყრიდა, ქირვეულობდა. მდგმურებიც ყველანი უთავბოლოდ გაჰკიოდნენ და ყვიროდნენ, ზოგი რას, ზოგი რასა; —ზოგი მომხდარ ამბის შესახებ განაგრძობდა, თუ რამ იცოდა, ზოგიც ჩხუბობდა, ილანძღებოდა. სხვებმა სიმღერა გააბეს..

„ახლა-კი დროა მეც წავიდე!“ —გაიფიქრა რასკოლნიკოვმა. —„ვნახოთ, აბა, სოფია სემონოვნა, ახლა რაღას იტყვით!“

და სონას ბინისაკენ გასწია.

#### IV.

მხნე და თავვამოდებული ვექილობა გაუწია რასკოლნიკოვმა სონას ლუეინის წინააღმდეგ, თუმცა საკუთარიც ბევრი რამ ჰქონდა საფიქრებელი და სატანჯველი. იმოდენა ტანჯვის შემდეგ დილით თითქოს გაეხარდა კიდევ, რომ შემთხვევა მიეცა და შთაბეჭდილება შეეცვალა, თუმცა გულით უნდოდა და პირადათაც მისწრაფება დიდი ჰქონდა,

რასაკვირველია, გამოჰსარჩლებოდა სონასა. გარდა ამისა, საშინლად აწუხებდა აგრეთვე სონასთან შეხვედრაც: უნდა გამოეცხადებინა, ვინ მოჰკლა ლიზავეტა. ამიტომაც წინაღვე ჰგრძნობდა საშინელს ტანჯვასა. მართალია, კატერინა ივანოვნადამ გამოსვლისას მხნედ დაეკითხა გუნებაში: „ვნახოთ აბა, სოფია სემონოვნა, ახლა რაღას იტყვივით?“ მაგრამ, ეტყობოდა, ლუჩინზედ გამარჯვებით იყო მაშინ გამხნევებული. ახლა-კი უცნაური რამ დაემართა უცბად. მივიდა თუ არა კაპერნაუმოვის ბინამდე, უმაღლ საშინელი შიში და დაუძლურება იგრძნო. ფიქრში წასული კარებ წინ შედგა და ეკითხებოდა თავისს თავსა: „ვუთხრა, თუ არა, ვინ მოჰკლა ლიზავეტა?“ მაგრამ უადგილო იყო და უცნაური ეს კითხვა, რადგან იმავ წამს იგრძნო, რომ არ შეიძლებოდა არამც თუ არ ეთქვა, დაგვიანებაც-კი რამდენისამე ხნით. არ იცოდა ჯერ კიდევ, რათ არ შეიძლებოდა; ეს მხოლოდ იგრძნო, სხვა არასფერი, მაგრამ საშინლად-კი დააუძლურა და მოსწყვიტა ამ მტანჯველმა შეგნებამ. რომ მეტი აღარ ეფიქრა და აღარა ტანჯულიყო, საჩქაროდ კარები გამოაღო და სონას შეჰხედა. ნიდაყვ-დაყრდნობილი მისჯდომოდა მაგიდასა და სახეზე ხელები მიეფარებინა სონასა, მაგრამ დაინახა თუ არა რასკოლნიკოვი, საჩქაროდ წამოდგა და წინ შეეგება, თითქოს ეს არის უცდილაო.

— რა მეშველებოდა უთქვენოდ? — წარმოსთქვა საჩქაროდ სონამ, როგორც-კი შეეგება რასკოლნიკოვსა.

ეტყობოდა, წინაღვე უნდოდა ამის თქმა, იმიტომ უცდიდა.

რასკოლნიკოვი მაგიდასთან მივიდა და იმ სკამზედ ჩამოჯდა, რომლიდამაც ის იყო სონა წამოდგა. სონა-კი ორის ნაბიჯის მოშორებით დაუდგა წინა, სწორედ ისე, როგორც გუშინა.

— რაო, სონა? — დაუწყო ლაპარაკი და იგრძნო უცბად, რომ ხმა აუკანკალდა. — „მიჰხვდით, ნეტავი, წელან, რომ საქმე მთლად საზოგადოებრივს მდგომარეობასა და მასთან დაკავშირებულს ჩვეულებებზედ“ იყო აშენებული?

სონას საშინელი ტანჯვა აღებეჭდა სახეზედა.

— გემუდარებით მხოლოდ, გუშინდელივით არ მელა-  
პარაკოთ!—გააწყვეტინა სონამ.—ნუ დაიწყობთ, გეთაყვათ,  
კმარა, რასაც ვიტანჯები...

და საჩქაროდ გაულიმა: შეეშინდა, ვაი-თუ არ მოსწონე-  
ბოდა ეს საყვედური.

— სისულელე ჩავიდინე და წამოველ მაშინვე. რა ამბა-  
ვია იქა? ეს არის, მინდოდა წამოვსულიყავი, მაგრამ ვფიქრო-  
ბდი, აი, საცა... შემოხვიდოდით.

უამბო რასკოლნიკოვმა, რომ ამალია ივანოვნამ ბინილამ  
დაითხოვა და კატერინა ივანოვნა კიდევ „სამართლის“ საძე-  
ბრად გაიქცა სადღაც.

— ოჰ, ღმერთო ჩემო!—შესძახა სონამ,—წავიდეთ სა-  
ჩქაროდ...

და წამოსასხამს წამოავლო ხელი.

— რა ერთსა და იმავეს გაიძახით!—შეჰყვირა გაბრა-  
ზებულმა რასკოლნიკოვმა.—თქვენ მხოლოდ ისინი გაგონდე-  
ბიან! დარჩით ჩემთანა!

— მერე... კატერინა ივანოვნა?

— კატერინა ივანოვნა, რასაკვრელია, გზას ვერ ავი-  
ქცევთ, თვითონვე შემოკივლით, რაკი სახლიდამ გამო-  
იქცა,—დასძინა როგორღაც უკმაყოფილოდ, ბუზღუნით.—  
შინ რომ არ დაჰხედეთ, ხომ თქვენვე იქმნებით დამნაშავე.

ძლივს, როგორც იყო, გარდასწყვიტა და ჩამოჯდა სონა,  
მაგრამ იტანჯებოდა საშინლადა. სდუმდა რასკოლნიკოვიც,  
იატაკს ჩასცქეროდა, რაღაცას ფიქრობდა.

— ვსთქვით, ლუქინმა არ ისურვა ამ ქადა, —განა-  
გრძობდა რასკოლნიკოვი, მაგრამ სონას არ უყურებდა.—  
მერე, რომ მოენდომებინა, ან როგორმე ანგარიში ჰქონოდა  
და ჩვენ, მე და ლებეზიატნიკოვი არ შეგსწრებოდით, ხომ  
საპატიმროში გიკრავდათ თავსა! ჰა?

— დიახ, —უპასუხა ნელის ხმით სონამ,—დიახ! — გაიმეორა  
დაბნეულმა, შეწუხებულმა.

— მე ხომ მართლაც შეიძლება არ დავსწრებოდი. ლებე-  
ზიატნიკოვიც როგორღაც შემთხვევით გაჩნდა იქა.

სდუმდა სონა.

— მერე, რომ დაეპატიმრებინეთ? გახსოვთ, გუშინ რა გითხარით?

არა უპასუხა-რა კიდევ. რასკოლნიკოვმა შეიცადა.

— მეგონა, კიდევ ისე მიყვირებდით: „ნუ მეუბნებით, გაჩუმდითო!“ გაიცინა რასკოლნიკოვმა, მაგრამ როგორღაც ძალდატანებით. — რაო, ჩუმად ხართ ისევ? — დაეკითხა ერთის წამის შემდეგ. — უნდა ვსთქვათ რამე თუ არა? აი, მაგალითად, საყურადღებოა ჩემთვის ვიცოდეთ, ლებეზიატნიკოვისა არ იყოს, როგორ გარდასწყვეტდით ერთს „საგანს“ (თითქოს იბნეოდა). ხუმრობა იქით იყოს. წარმოიდგინეთ, სონა, წინაღვე გცოდნოდათ ლუქინის ყველა განზრახვანი; გცოდნოდათ (ესე იგი დანამდვილებით), რომ კატერინა ივანოვნაც და ბავშვებიც დაილუპებოდნენ ამის გამო; გცოდნოდათ, რომ თქვენც თან მიჰყვებოდით. (თან მაჭყვებოდი-მეთქი გეუბნებით იმიტომ, რომ თქვენს თავს არაფრათა სთვლით). პოლენჩაკაცა... იმიტომ, რომ იმასაც იკვირებოდა ელის, ვერ ასცდებოდა. ასე, მაშ; ყველა ეს რომ თქვენი გარდასაწყვეტი იყოს, როგორ გარდასწყვეტდით: უმჯობესი იქნებოდა, ლუქინს ეცოცხლა და ყველა ეს საქმობანი ჩაედინა, თუ კატერინა ივანოვნა მომკვდარიყო? გეკითხებით, რას გარდასწყვეტდით?

სონამ შეშფოთებულმა შეჰხედა რასკოლნიკოვსა. რაღაც განსაკუთრებულს რამ განზრახვას ჰხედავდა ამ ყოყმანსა და შორიდამ ჩამოგდებულს ლაპარაკში.

— უკვე ვგრძნობდი, რომ რაღაც რამ ამგვარს მკითხავდით უთუოდა, — მიუგო სონამ, და ღრმად ჩააკვირდა საცდელადა.

— კარგით, დეე; მაგრამ მითხარით მაინც, როგორ გარდასწყვეტდით?

— რად მეკითხებით იმას, რაც შეუძლებელია? — უპასუხა სონამ ზიზღით.

— სიანს, მაშ, უმჯობესია, ლუქინმა იცოცხლოს და



ათასგვარი საძაგლობა ჩაიდინოს! ვერ გაიმეტეთ, განა, რომ გარდაგეწყვიტათ საქმე?

— ღვთის განგებისა რა ვიცი, აბა. . მაგრამ რად მეკითხებით ისეთს რამესა, რაც შეუძლებელია? ან რასა ჰნიშნავს ეს კითხვები? როგორ შეიძლება, რომ ყველაფერი ეს ჩემს სურვილზედ იყოს დამოკიდებული? ან მე ვინ მკითხავს სამართალსა: ვინ იცოცხლოს და ვინ არა?

— უბედურობაც ეგ არის, რომ, როგორც-კი ღვთის განგება ჩაერევა საქმეში, მაშინვე ყველაფერი წახდება, — წაიბუტბუტა დაღვრემით რასკოლნიკოვმა.

— პირდაპირა სთქვით, რაცა გსურთ, უმჯობესია! — შეპყვირა სონამ, გატანჯულმა. — როგორღაც იგავით მელაპარაკებით კიდევა... ნუ-თუ იმიტომ მოხვედით მარტო, რომ მტანჯოთ?

ველარ აიტანა და უცბად ქვითინი ამოუშვა მწარედ. დაღვრემილი შეპყურებდა რასკოლნიკოვი. ასე განვლო ხუთ-იოდე წამმა.

უცბად სულმთლად გამოიცვალა; მოჩვენებული, კანდინური კილო სადღაც გაუქრა. ხმაც-კი უცბად მიუსუსტდა.

— თვითონვე გიძხარი გუშინ, რომ პატიების სათხოვნელად-კი არა, ისე მოვალ და გეტყვი-მეთქი, ახლა-კი ისე დავიწყე თითქოს, რომ პატიებასა გთხოვ... ლუეინისა და განგების შესახებ ჩემ გამო გელაპარაკებოდი... პატიებასა გთხოვდი, სონა...

უნდოდა გაეღიმა, მაგრამ რაღაც რამ უძლური და დაუმთავრებელი აზრი გამოიხატა მისს მკრთალს ღიმილში. თავი დაჰღუნა, ხელები პირზედ მიიფარა. უცბად გაფითრდა მთლად, წამოდგა სკამიდან, შეჰხედა სონასა და ხმის ამოუღებლად ლოგინზედ გადაჯდა.

საშინლად ჰგავდა ეს წამი იმას, ბებრუხანას რომ ედგა უკანა, ცული გაანთავისუფლა და იგრძნო, რომ „ალარც ერთს წამს დაგვიანება აღარ შეიძლებოდა.“

— რა დაგემართათ? — დაეკითხა საშინლად დამფრთხალი და შეშინებული სონა.

აღარაფრის თქმა აღარ შეეძლო. ასე არ ფიქრობდა საქმის გამჟღავნებას; არ ესმოდა ამიტომ, რა ემართებოდა. მივიდა ჩუმად სონა, მოუჯდა გვერდით ლოგინზედა და თვალეში შეპყურებდა, უცდიდა. გული ელეოდა, საშინლად უცემდა. სულ-თქმა შეეხუთა; სიკვდილივით გაფითრებულს სონასაკენ მიელოპირი, ტუჩები როგორღაც უძლოურად უთრთოდა; რიდასიც თქმას სცდილობდა. სონას უცბად გული შევყინა შიშმა.

— რა დაგემართათ? — გაუშეორა სონამა და მოერიდა კიდევთა თითქოს.

— არაფერი, სონა. ნუ გეშინიან... სისულელეა მართლაც და სისულელეა, თუ რიგზედ დაუუკვირდებით, — ეუბნებოდა, თითქოს ჰბოდავს და არ ესმის, რას ლაპარაკობსო. — ეგ არის მხოლოდ, რისთვის მოვედი შენ სატანჯველად? — დასძინა უცბად და ღრმად ჩააკვირდა. — მართლაც-და, რათ მოვედი, რაო? ვეკითხები სულ ჩემს თავსა...

იქნება მართლაც ამ თხუთმეტოდე წამის წინად ეკითხებოდა თავის თავსა, მაგრამ ახლა-კი აღარა ესმოდა-რა, კანკალებდა, მოწყვეტილიყო.

— ოჰ, როგორ იტანჯებით! — შესძახა სონამ და თვითონაც საშინელი ტანჯვა აღებეჭდა სახეზედ.

— სისულელეა ყველაფერი!.. აი, რას გეტყვი, სონა (უცბად რაღაზედაც გაეღიმა, მაგრამ მხოლოდ სუსტად და ორის წუთით), — გახსოვს, გუშინ რომ უნდა მეთქვა შენთვისა?

მოუსვენარად უცდიდა სონა.

— წასვლისას გითხარი, იქნება სამუდამოთაც გეთხოვები-მეთქი, მაგრამ, თუ მოვალ, გეტყვი-მეთქი მაშინა... ვინ მოჰკლა ლიზავეტა.

უცბად მთელის ტანით კანკალი აუვარდა სონასა.

— და აგერა, მოვედი, რომ გითხრა.

— მაშ, მართალს მეუბნებოდით გუშინა?.. — ჩაილაპარაკა ძლივას ჩურჩულით სონამა. — შერე, თქვენ საიღამ იცით? — დაეკითხა უცბად, თითქოს ეს არის, გონს მოვიდაო.



ძლივს-ღა ჰსუნთქავდა სონა. თან-ღა თან ფერი მისდიოდა, ფითრდებოდა:

— ვიცი.

ერთს წამს ჩუმად იყო სონა.

— იპოვეს მკვლელი, თუ როგორ არის?—დაეკითხა მოკრძალებით.

— არა, არ უპოვნიათ.

— მაშ, საიღამ იცით?—ჩაეკითხა კვალად ჩუმად, მცირე სიჩუმის შემდეგ.

მიბრუნდა რასკოლნიკოვი, ღრმად ჩააკვირდა სონასა.

— გამოიცან, აბა,—გაუმეორა წელანდელივით დაღრე-ჯიღმა და სუსტად გაეღიმა.

უცბად ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა, კანკალი აუვარდა სონასა.

— რა არის... რას... აგრე რას... მაშინებთ? — ჩაილაპა-რაკა შეშინებულმა და ბავშვივით გაელაპა.

— ეტყობა, მაშ, დიდი მეგობარი ვყოფილვარ ამისი... რომ ვიცი,—განაგრძობდა რასკოლნიკოვი და თან ერთ-თა-ვად პირისახეში შესცქეროდა, თითქოს თვალი ველარ მოუ-შორებიაო.—ლიზავეტას... მოკვლა არ უნდოდა... უცაბედად.. მოჰკლა... ბებრუხანას მოკვლა უნდოდა... როდესაც მარტოკა იყო... და მივიდა... მაგრამ უცბად ლიზავეტაც შევიდა... აიღო და მოჰკლა.

უარესი წამი დადგა. ორივენი გაშტერებულები უყუ-რებდნენ ერთმანეთსა.

— ვერ მიჰხვდი, მაშა?—დაეკითხა სუსტის ხმით, და-უძლურებული.

— ვერ-ა,—მიუგო ნელის ხმით, ჩურჩულით სონამა.

— კარგა შემომხედე, აბა.

და უთხრა თუ არა ესა, ძველმა რამ ნაცნობმა გრძნო-ბამ შეჰყინა ისევ გული: უცქეროდა, მაგრამ სონას სახით უცებ, როგორც სარკეში, ლიზავეტას სახე გამოეცხადა. კარ-გად ახსოვდა ლიზავეტას სახის გამომეტყველება იმ დროს,

ცულით რომ უახლოვდებოდა და ის-კი ბავშვივით გულგახეთქილი სულ უკან-უკან იხევდა კედლისაკენ წინ ხელ გაწვდილი, ისე სწორედ, როგორც პაწია ბავშვებმა იციან: შეეშინდებათ რისამე, უცქერიან გაშტერებული და წინ ხელ-

გაწვდილნი შემაშინებელს საგანს იგერიებენ თითქოს, სატირლად ემზადებიან. იგივე დაემართა თითქმის სონასაც: შეშინებული და ღონე-მიხდილი რამდენსამე ხანს გაშტერებული შეჰყურებდა, მერე უცბად მარცხენა ხელი გააწოდა, ოღნავე შეახო გულზედ თითები და ნელ-ნელა, მძიმედ, ლოგინიღვან წამოდგა, უკან-უკან დაიხია. სახე-კი როგორღაც უძრავი ჰქონდა, დამფრთხალი, გაშტერებული. უცბად სონას შიში რასკოლნიკოვსაც გადაედო: ისეთივე შიში და გამომეტყველება აღებეჭდა სახეზედ, თითქოს ისრევე ბავშვურად იღიმებოდა.

— გამოიცან?— ჩასჩურჩულა ბოლოს.

— ღმერთო! — ამოჰხდა უცბად საშინელი ოხვრა სონასა.

ღონე-მიხდილი სონა ლოგინზედ დაეცა, პირი ბალიშებში ჩამალა: მაგრამ არ გასულა ერთი წამი, წამოდგა საჩქაროდ მიიწია ახლოს, დაუქირა ორთავ ხელი და მაგრა, მაგრა დამუჟა თავისის წვრილი და სუსტი თითებითა, თან ისევე გაშტერებულმა დაუწყო პირდაპირ ყურება, თითქოს ზედ მიუწებებიათო. ამ სასოწარკვეთილის, უკანასკნელად შეხედვით უნდოდა თითქოს რაიმე იმედი მისცემოდა კიდევ. მაგრამ იმედი აღარსად იყო; საეჭვო აღარა იყო-რა; ყოველივე ნამდვიდი იყო! შემდეგ შიაც-კი, რომ მოიგონებდა ხოლმე ამ წამსა, როგორღაც ეუცნაურებოდა და ჰკვირობდა: რად დაინახა ისე უცბად, რომ აღარავითარი ეჭვი აღარ იყო? ხომ არ შეეძლო ეთქვა, მაგალითად, რომ წინადვე ჰგრძნობდა რასმეს ასეთსა? ახლა-კი, რომ უთხრა რასკოლნიკოვმა, ეჩვენა უცებ, ვითომ ამასვე ჰგრძნობდა წინადაცა.

— კმარა, სონა, კმარა! ნუ მტანჯავ!— შეევედრა ტანჯვით რასკოლნიკოვი.

გულიანად იცინოდა პეტრ პეტროვიჩი. უკვე გაათავა თვლა ფულისა და ინახავდა, ნაწილი-კი რილასთვისაც ჯერ ისევ მაგიდაზედა ჰქონდა გაშლილი. ე „უწმინდურობის ორმოები“ უკვე რამდენჯერმე გაჰხდომოდათ უთანხმოებისა და განხეთქილების მიზეზად. მართლაც-და, სისულელე იყო: ანდრეი სემიონიჩი ნამდვილად ჯავრობდა, პეტრ პეტროვიჩი-კი გულს აყოლებდა მხოლოდ და ერთობოდა თითქოს. ახლა ხომ გულით უნდოდა სწორედ გაებრაზებინა როგორმე ლებეზიატნიკოვი.

— ეგ სულ გუშინდელ მარცხისა გამო ბრაზობთ და ჩამომკიდებინართ, — წამოსცდა ბოლოს ლებეზიატნიკოვს, რომელსაც, მიუხედავად თავის „დამოუკიდებლობისა“ და „პროტესტებისა“, ვერ მოეხერხებინა მინც, წინააღმდეგობა გაეწია პეტრ პეტროვიჩისათვისა და ძველის ჩვეულებისამებრ, როგორღაც პატივით ეპყრობოდა.

— უმჯობესია შითხრათ, — გააწყვეტინა\* თავმომწონედ გულმოსულმა პეტრ პეტროვიჩმა, — შეგიძლიანთ თუ არა... ან, უკეთ რომა ვსთქვათ, მართლა ისე ხართ ზემოხსენებულ სულიერთან დაახლოვებული, რომ ახლავე, ამავე წამს, აქ დამიძახოთ, ოთახში? მგონი, ყველანი დაბრუნდნენ სასაფლაოდამა... მესმის, ფეხის ხამა აირია... მინდოდა მენახა.

— რათ გინდოდათ, რაო? — დაეკითხა გაკვირვებულ ლებეზიატნიკოვი.

— ისე. მინდოდა. დღეს-ხვალ წასვლას ვაპირებ აქედამა, მინდოდა მეთქვა რამე... მაგრამ, თუ გსურთ, თქვენც აქ იყავით მოლაპარაკების დროსა. უმჯობესიც-კია. თორემ, ღმერთმა იცის, რას არ იფიქრებთ.

— რა უნდა ვიფიქრო ან-კი... ისე გკითხევით მხოლოდ. მაგრამ, თუ საქმე გაქვთ, მაგაზედ ადვილი არა არის-რა. ახლავე შევატყობინებ. თვითონ მე-კი, გარწმუნებთ, არას დავიშლით.

მართლაც ხუთის წამის შემდეგ ლებეზიატნიკოვმა ოთახში სონეჩკა შემოიყვანა.

გაკვირვებული შემოვიდა სონეჩკა, ჩვეულებისამებრ მობუზული, მოკრძალებული, რადგანაც ეშინოდა ახალის ხალხისა, ახალის ნაცნობობისა, ჯერ ისევ უწინ, ბავშვობისასა და ახლა ხომ უფრო მეტადა შიშობდა მლდამ... პეტრ პეტროვიჩი „ალერსიანად და ზრდილობიანად“ შეეგება, თუმცა, ცოტა არ იყოს, მეტი შინაურობა და მხიარულობა ეტყობოდა, რაიცა, პეტრ პეტროვიჩის აზრით, მისს დარბაისლობასა და პატივცემულობას ასეთ ახალგაზრდასა და სსყუარადღებო არსების წინაშე სრულიად შეჭფეროდა. სცადა მაშინვე „გაემხნევებინა“ და პირდაპირ დაისვა მაგიდასთანა. დაჯდა სონა, მიიხედა-მოიხედა, გადაჰხედა ლებეზიატნიკოვსა, ფულებსა, რომლებიც ჯერ ისევ მაგიდაზედ ეწყო, მერე უცბად პეტრ პეტროვიჩისა ისევა და თვალი აღარ მოუშორებია, თითქოს მოჰხიბლეს, მოაჯადოვესო. ლებეზიატნიკოვმა კარებისაკენ გასწია. წამოდგა პეტრ პეტროვიჩი, ანიშნა სონასა, რომ მჯდარიყო და ლებეზიატნიკოვი შეაყენა კარებში.

— რასკოლნიკოვი აქ არის? მოვიდა? — დაეკითხა ჩურჩულით.

— რასკოლნიკოვი? აქ არის. რა იყო, რაო? დიახ, აქ არის, შემოვიდა, თვალი მოვკარი... რა იყო?

— მაშ, თუ აგრეა, გთხოვთ, უთუოდ ჩვენთან დარჩეთ, მარტოკები არ დაგვტოვოთ... უბრალო რამ არის, მაგრამ, ღმერთმა იცის, რას გამოატყვრენენ. არ მინდა რასკოლნიკოვმა გადასცეს რამე იქა... გესმისთ, რასა ვგულისხმობ?

— მესმის, ჰო, მესმის! — მიჰხედა უცბად ლებეზიატნიკოვი. — უფლება გაქვთ... თუმცა, რასაკერელია, ჩემის აზრით გადამეტებულისა ეგ თქვენი შიში... მაინც უფლება გაქვთ. იყავნ ნება თქვენი, დავრჩები. აი, აქ, ფანჯარასთან დაედგები, არას დაგიშლით... ჩემის აზრით, უფლება გაქვთ...

მობრუნდა პეტრ პეტროვიჩი, დაჯდა სონას პირდაპირ დივანზედა, ყურადღებით გადაჰხედა სონასა და უცებ დარბაისლური, თითქმის სასტიკი გამომეტყველება მიიღო: „შენ-კი, ქალბატონო, არა იფიქრო-რა აქაო“, უთხრა თითქოს. შეკრთა და დაფრთხა მთლად სონა.

— ჯერ ერთი, ბოდიში მომხადეთ, გეთაყვათ, სოფია სემონოვნა, დიდად პატივცემულ დედი თქვენის წინაშე... აგრა, ვგონებ, არა, კატერინა ივანოვნა დედის ადგილასა თქვენთვის? — დაუწყო დარბაისლურად, მაგრამ საკმაოდ აღერსინანად გამოკითხვა პეტრ პეტროვიჩმა.

გეტყობოდა, მეგობრული რამ განზრახვა ჰქონდა.

— აგრე გახლავთ, დიად, აგრე გახლავთ, — მიუგო შეშინებულმა საჩქაროდ.

— აგრე, მაშ, ბოდიში მომხადეთ, რომ ჩემგან დამოუკიდებელ ვარემოებათა გამო არ შემიძლიან „ბლინებზედ“ გეწვიოთ... ესე იგი, ქელებში, თუმცა გულითა მთხოვა დედა-თქვენმა.

— ბატონი ბრძანდებით... ახლავე ვეტყვი...

და სონეჩკა საჩქაროდ სკამიდან წამობტა.

— ჯერ კადეგა მაქვს სათქმელი, მოითმინეთ, — შეაყენა პეტრ პეტროვიჩმა და თან გაეღიმა, რომ ასე უბრალოდა და უვიცად ექირა თავი სონეჩკასა; — გეტყობათ, ჩემო კარგო, სოფია სემონოვნა, არ მიცნობთ, რომ ფიქრობთ, ვითომ ასეთ უმნაშენელო და უბრალო მიზნისათვის შეგაწუხებდით და მოგიწევდით. სულ სხვაა ჩემი აზრი.

სონაც დაჯდა მაშინვე. მაგიდაზედ გაშლილმა ლურჯმა და წითელმა ქაღალდის ფულმა ერთხელ კიდევ გაუეღვეს თვალში, მაგრამ საჩქაროდ პირი იბრუნა და ისევ პეტრ პეტროვიჩს მიაშტერდა. საშინელ უზრდელობათ ეჩვენა სონას, განსაკუთრებით ახლა, რომ სხვისა ფულს უყურებდა. პირველად პეტრ პეტროვიჩის ოქროს ლორწეტს დააშტერდა, რომელიც მარცხენა ხელში ექირა, მერე კი თოქმა და ლამაზს, ყვითელ თელიანს ბეჭედს, რომელიც იმავე ხელის შუალა თითზედ ჰქონდა ვაკეთებული პეტრ-პეტროვიჩისა; მაგრამ ბეჭედსაც თვალი მოაშორა უცბად და ისევ პირდაპირ თვალეში დაუწყო ყურება. პატარა ხანს დარბაისლურად გაჩუმდა, მერე კი დაიწყო პეტრ პეტროვიჩმა:

— გუშინ, გზათ გავლის დროს, ორიოდე სიტყვით გამოველაპარაკე საბრალო კატერინა ივანოვნასა. მაგრამ ეს ორი

სიტყვაც საკმარისი იყო, რომ შემეტყო, რა არაბუნებრივია ამ ჟამად მისი ყოფა, თუ შეიძლება, რასაკვრელია, ასე ითქვას...

— დიად... არაბუნებრივია, დიად,—კვერი დაუკრა საჩქაროდ სონამა.

— ანუ უბრალოდა და გასაგებად რომ ვსთქვათ, როგორ ავად არის.

— დიახ-თ, დიახ-თ, ავად გახლავთ...

— ასეა, დიახ. ამიტომაც თანაგრძნობა და სიბრალული მაიძულებს, რამდენადაც-კი ეს ჩემთვის შესაძლებელია, დავეხმარო რითიმე და ვანუგეშო უბედური. რამდენადაც ვიცი, მთელი ოჯახი ახლა მთლად თქვენ უნდა გაწვეთ კისერზედა.

— მიბრძანეთ მართლა, გეთაყვათ—წამოდგა უცბად სონა—თქვენ უბრძანეთ გუშინა, რომ შეიძლება პენსია მიიღოთ? იმიტომ, რომ მეუბნებოდა, ვითომ თქვენ გეკისროთ პენსიის გამოთხოვა. მართალია?

— სულაც არა. პირ-იქით, თუ გნებავთ, სისულელეც-კია. მე მხოლოდ ვუთხარი, შეიძლება დროებით ფულით რამ დახმარება აღმოგიჩინონ-მეთქი, როგორც სამსახურში მყოფ მოხელის ქვრივსა,—თუ, რასაკვრელია, პროტექციას გაგიწევთ ვინმე-მეთქი;—მაგრამ განსვენებულს მამა თქვენს არამც თუ სამსახური არ შეუსრულებია, ბოლო დროს სულაც თავი მიუწებებია, ვგონებ. ერთი სიტყვით, იმედი მეტად მცირედი არის, იმიტომ, რომ არავითარი ამის უფლება არა აქვს, პირ-იქით... იმას-კი, ჰხედავთ, პენსიაც დაჰზმანებია, ხე-ხე-ხე-ხე! ყოჩაღ, ქალო!

— დიახ, პენსია, იმიტომ, რომ ადვილად იჯერებს ყველაფერსა და გულკეთილია მეტად; გულკეთილობით-კი ყველაფერს იჯერებს და... და... და... აზრიც ისეთი აქვს... უკაც-რაოთ,—მოიბოდიშა სონამ და კვალად წამოდგა, წასვლა დააპირა.

— მოითმინეთ, ჯერ კიდევა მაქვს სათქმელი.

— ჰო-ო, კიდევა გაქვთ,—წაიღუდუნა სონამა.

— დაბრძანდით, მაშა!

შეპრცხვა საშინლად სონასა და მესამედ დაჯდა კიდვეა.

— ვხედავ-რა ასეთს მისს მდგომარეობასა და შეწუხებასა თავისის უბედურ ობლებითურთ, მინდა, — როგორც უკვე ვსთქვი, — რითიმე გამოვადგე და დავეხმარო, რამდენადაც-კი ღონე შემწევს, რასაკერეღია. აი, თუნდა ხელის მოწერა ან ლატარია გავმართოთ... ან სხვა რამ ამ გვარი, როგორც ყოველთვის ჰმართავენ ხოლმე ამ გვარ შემთხვევებში მახლობლები და ზოგჯერ გარეშე პირნიც; საზოგადოდ, ყველანი ვისაც-კი დახმარება ჰსურს. აი, ეს მინდოდა შემეტყობინებინა თქვენთვისა. შეიძლება, მოხერხდება.

— დიახ-თ, კარგია... ღმერთი ვადგინდით მაგიერსა... ტიტინებდა თავისთვის სონა და თან პეტრ პეტროვიჩს შეპყურებდა გაშტერებული.

— შეიძლება, მაგრამ... ამაზედ შემდგომ ვილაპარაკოთ.. ესე იგი, შეიძლებოდა დღესვეც დაგვეწყო. აი, ვნახოთ საღამოზედ ერთმანერთი და მოვილაპარაკოთ, როგორ დავიწყოთ საქმე. ასე, შვიდ საათზედ შემომიარეთ აქა. იმედია, ანდრეი სემონიჩიც ჩვენთან ერთად მონაწილეობას მიიღებს... მაგრამ... აქ არის გარემოება, რომელიც უთუოდ ახლავე უნდა გავიხსენიოთ და გავითვალისწინოთ. ამიტომ იყო, რომ შეგაწუხებთ სოფია სემონოვნა, და მოგიხმეთ. სახელდობრ, ის, რომ არ შეიძლება ფული კატარინა ივანოვნას გადაეცეს; დასამტკიცებლად დღევანდელი ქელებიც კმარა. ხვალისთვის ლუკმა პური და ფეხსაცმელი, აგრეთვე არაფერი სხვა არ გააჩნია და... დღეს-კი იამაის რომსა, მადერასა, და-და-და... ყავასა ყიდულობს, ხალხს უმასპინძლდება. გამოვლისასა ვნახე ყველაფერი ჩემის თვალითა. ხვალ-კი ყველაფერი ისევ თქვენ დაგაწვებათ კისერზედა; სისულელეა ესა. ამიტომაც, ჩემის აზრით, ისე უნდა გაიმართოს ხელის მოწერა, რომ ფულისა იმ უბედურმა არა იცოდეს-რა, თქვენ გეკითხებოდეთ მართო. ასეა, თუ არა?

— არ ვაცი სწორედ. ეს მხოლოდ დღესა ქნა ასე... ერთად-ერთხელა თავის სიცოცხლეში... საშინლად უნდოდა

მოესხენებინა, შენდობა ეთქმევინებინა, პატრივი ეცა... თორემ ქვეიანი დედაკაცია მეტად. მაინც, როგორც გენებოთ, დიდად და დიდად ვიქმნები მეც... ისინიც, ყველანი მადლობლები იქმნებიან... ღმერთი გცემთ ნუგეშსა და გადაგზნით მაგიერსა... ობლებიც...

მაგრამ ველარ დაათავა სონამა, ტირილი ამოუშვა.

— ასე, მაშ. სახეში იქონიეთ. ახლა-კი გთხოვთ ინებოთ ჩემგან თქვენის ნათესავისათვის პირველ ხანად ეს ჩემი მცირე წვლილი. დიდად და დიდადა მსურს, საიდუმლოდ დარჩეს, ვისგან არის, აი... მეც იმდენი გაქირვება მაქვს ახლა, რომ მეტი არ შემიძლიან...

და პეტრ პეტროვიჩმა სონას გაშლილი თუმნიანი გაუწოდა. გამოართვა სონამა, უცბად მთლად აენტო, წამოხტა და საჩქაროდ გამოემშვიდობა, თავი დაუკრა. პეტრ პეტროვიჩმაც ერთის ამბით მიაცილა კარებამდისა. აღელვებული და გატანჯული ჰავარდა ბოლოს სონა ოთახიდან და შემკრთალი, შეშფოთებული კატერინა ივანოვნასთან დაბრუნდა.

მთელი ეს ხანი ანდრეი სემიონიჩი ხან ფანჯარასთან იდგა, ხან ოთახში დაიარებოდა; არ უნდოდა ლაპარაკი გაეწყვეტინებინა. მაგრამ გავიდა თუ არა სონა, მივიდა მაშინვე პეტრ პეტროვიჩთანა და აღტაცებულმა ხელი გაუწოდა:

— გავიგონე ყველაფერი და ვნახე, — დაიწყო ანდრეი სემიონიჩმა. — კეთილშობილურია, ესე იგი აღამიანური ყველა ეს. გინდოდათ მადლობისათვის თავი დაგელწიათ, დაგინახვით! თუმცა გამოგიტყდებით, პრინციპილილურად არ თანავუგრძნობ კერძო ქველმოქმედებასა, იმიტომა, რომ აღმოფხვრის ნაცვლად უფრო მეტად ავითარებს იგი ბოროტებასა; მაინც არ შემიძლიან არ გამოგიტყდეთ, რომ სიამოვნებით ვუმზერდი თქვენს მოქმედებასა, — დიახ, დიახ, მომწონს ესა, მომწონს.

— ეჰ, სისულელეა ყველა ესა! — ბუტბუტებდა პეტრ პეტროვიჩი აღელვებული და თან როგორღაც აკვირდებოდა ლებეზიატნიკოსსა.



— არა, არ არის სისულელე! გუშინ ისე შეურაცხვეს და გაგაჯავრეს, მაგრამ არად იჩნევთ ამასა და სხვისა უბედურებაზედა ფიქრობთ კიდევ, — ასეთი კაცი... ღირსია პატივისცემისა... თუმცა თავისის საქციელით სხვაში ბევრში შემცდარია, ვიცით! არც-კი მოველოდი თქვენგან, პეტრ პეტროვიჩი, მეტადრე თქვენი შეხედულობა რომ ვიცი! ო, როგორ გიშლით ხელს ეგ თქვენი შეხედულობა! როგორ გაღელვებთ, მაგალითად, გუშინდელი მარცხი, — სწუხდა გულკეთილი ანდრეი სემიონიჩი და პეტრ პეტროვიჩისადმი თან-და-თან მეტს პატივისცემასა ჰგრძნობდა. — მაგრამ რათ გინდათ ან-კი, უთუოდ კანონიერად იქორწინოთ, ჩემო უუკეთილშობილესო და საყვარელო? რისთვის გჭირიათ ეს კანონიერება ქორწინებისა? გინდათ, მცემთ კიდევცა, მაგრამ არ დავმაღავ და გეტყვით პირდაპირა, მოხარული ვარ, რომ საქმე ჩაგეშალათ; რომ ჯერ კიდევ თავისუფალი ხართ და კაცობრიობისათვის სამუდამოდ არ დაიღუპეთ; მოხარული ვარ, მოხარული... ჰხედავთ, ვსთქვი ყველაფერი, რაც-კი სათქმელი მქონდა!

— იმიტომ, რომ არ მინდა თქვენმა სამოქალაქო ქორწინებამ რქები გამომაბას და სხვისა ბავშვები ვამრავლო; აი, რათ მინდა კანონიერი ქორწინება, — უპასუხა ლუჩინმა ისე, მხოლოდ სიტყვის მასალადა, რომ რაიმე ეპასუხნა.

რიღათიც მეტად იყო გართული და ჩაფიქრებული.

— ბავშვები? ბავშვებს შეეხეთ? — შეხტა ანდრეი სემიონიჩი, თითქოს სამხედრო ცხენმა საომარს საყვირს მოჰკრაო ყური. — ბავშვების კითხვა სოციალური და უმთავრეს მნიშვნელობის საკითხია, თანახმა ვარ; მაგრამ ბავშვების საქმეც სხვა რიგად გადასწყდება. ზოგიერთები სრულიად უარპყოფენ ბავშვებსა, როგორც ოჯახობის აუცილებელს შედეგს. ბავშვებზედ მერე ვილაპარაკოთ, ახლა-კი რქებს დავუბრუნდეთ ისევე! გამოგიტყდებით, ყველაზედ სუსტი მუხლი ჩემთვის ეს არის. ეს საძაგელი, პუშკინისებური, გუსარული სიტყვა მომავალ ლექსიკონიდან სრულიად გამორიცხული იქმნება. ან კი მართლაც რა არის რქები?.. ოჰ, რა შეცდომაა!

რქები? რათაო?.. სისულელეა! პირ-იქით, სამოქალაქო ქორწინებას სრულიად არ ეცოდინება იგი! რქები მხოლოდ კანონიერ ქორწინების ბუნებრივი შედეგია, შესწორებაა მისი და წინააღმდეგობა, ასე რომ, ამ აზრით არც-კია დამამცირებელი... და თუ ოდესმე, ვსთქვათ, გავსულელდი და ვიქორწინე კანონიერად, სასიხარულოდაც-კი დამრჩება ე წყეული რქები; და ვეტყვი ჩემს ცოლსა: „მეგობარო, აქამდის მარტო მიყვარდი, ახლა-კი პატივსაცა გცემ, იმიტომ, რომ წინააღმდეგობა შესძელი!“ იცნით?! ეგ იმიტომ, რომ ცრუმორწმუნოებისათვის თავი ვერ დაგიღწევიათ! ეშმაკმა იცის იმათი თავი, ვიცი, რაც არის გაცრუებულს კანონიერს ქორწინებაში უსიამოვნო: აქ ორივე დამცირებულნი არიან, სამარცხვინო და უგვანს ფაქტს შედეგიც ასეთივე მოსდევს. მაგრამ თუ ხილულადა და საჩენათ ებმის ვისმეს რქები, როგორც მაგალითად, სამოქალაქო ქორწინების დროს, მაშინ მნიშვნელობა აღარა აქვთ. პირ-იქით, გიმტკიცებთ მხოლოდ თქვენი მეუღლე, რომ პატივსა გცემთ და იმდენად განვითარებულათა გთვლით, რომ არ ეწინააღმდეგებით მისს ბედნიერებასა და ახალის ქმრისათვის შურს არ იძიებთ. ეშმაკმა იცის, ვვოცნებობ ხოლმე ხანდისხანა: რომ გავთხოვდებოდე-მეთქი, ფუჰ! ესე იგი, ცოლს შევირთავდე (სამოქალაქო წესითა თუ კანონიერის წესით, ერთია ორივე), მგონია, თვითონ მიუწყვანდი ჩემს ცოლს საყვარელსა, რომ დაეგვიანებინა და დიდ-ხანს არ გაეჩინა. „მეგობარო-მეთქი, —ვეტყოდი, —მიყვარხარ, მაგრამ მინდა პატივსაც მცემდე-მეთქი, —აი-მეთქი!“ ასეა, თუ არა, ასე ვამბობ, თუ არა?..

უგდებდა ყურს პეტრ პეტროვიჩი და ხითხითებდა, მაგრამ გატაცებით-კი არა. თითქმის ყურსაც-კი არ უგდებდა რიგიანადა. მართლაც-და, სხვა რაღასაცა ფიქრობდა; ასე რომ ლებეზიატნიკოვმაც-კი შეჰნიშნა ბოლოს. ცოტა არ იყოს ჰდელავდა კიდევ პეტრ პეტროვიჩი და ხელებს ისრესდა, ფიქრს ეძლეოდა. ყველაფერი ეს ბოლოს-და მოისაზრა და გაიხსენა ანდრეი სემიონიჩმა.

II

ძნელი იყო გამოცნობა იმისი, რა მიზეზით ჩაისახა კატერინა ივანოვნას არეულის თავში ამ უგუნურ ქელების აზრი. მართლაც-და, ორ თუმანზე მეტიდან, რომელიც რასკოლნიკოვისაგან მიიღო ქმრის დასასაფლავებლად, თითქმის თუმანი ქელებს მოანდომა. იქნება იმიტომა სცნო საჭიროდ, რომ უნდოდა განსვენებულის ხსოვნისათვის პატივი ეცა „რიგზედ“, მდგმურებისა და განსაკუთრებით ამალთა ივანოვნას საცოდნელად, რომ „იმათზე ნაკლები-კი არა, იქნება უკეთესიც იყო“ განსვენებული; ამიტომაც არავის მათგანს, მაშასადამე, არ შეეძლო „ცხვირი ავბრუნა“. ან იქნება ის ღარიბთა სიამაყე იყო მიზეზი, რომლის გამოც ბევრი თითქმის უკანასკნელს პერანგს გაჰყიდის ხოლმე, ოღონდ საზოგადოებაში მიღებული წესი და ჩვეულება შეასრულოს და „არავისზე ნაკლებად“ არ გამოჩნდეს, არავინ „დასძრახოს“. ადვილი შესაძლებელია აგრეთვე ისაც, რომ სწორედ ამ დროს მოუნდა კატერინა ივანოვნას თავის გამოჩენა, რა არის, დაენახებინა „ამ უბრალო და საძაგელ მდგმურებისათვის“, რომ ქვეყნად ოხრად არ არის დატოვებული და იმასაც შეუძლიან „არა მარტო იცხოვროს, სხვებსაც დაუხვდეს“, რომ თავიდან სრულიადაც ასეთ ცხოვრებისათვის არ ამზადებდნენ; რომ აღზრდილია „კეთილშობილურს, თითქმის არისტოკრატულს პოლკოვნიკის ოჯახში“ და რომ სრულიადაც არ ამზადებდნენ იმისათვის, რომ იატაკი ეწმინდა და ღამ-ღამობით ბავშვების მჩვრები ერეცხა. ასე გაიტაცებს ხოლმე ზოგჯერ სიამაყე და რაღაცა დიდების მოყვარეობა თვით უბრალო ღატაკსა და დავიწყებულს ხალხსაც-კი თავდაუქერელ, მძლავრ მოთხოვნილებათ გადაექცევა ხოლმე. კატერინა ივანოვნა-კი არც დავიწყებულთაგანი იყო: შეიძლებოდა გარემოებას სრულიად მოეკლა და მიწასთან გაესწორებინა იგი, მაგრამ ზნეობრივად



მისი დავიწყება და დამორჩილება მისის ნებისა-კი შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, არა სტყუოდა სონეჩკა, რომ ამბობდა, ჭკუიდან იშლებოა. დაბეჯითებით ამისი თქმა ჯერჯერობით, მართალია, არ შეიძლებოდა, მაგრამ ბოლოს დროსა და ბოლო წელიწადს ისე გაიტანჯა საცოდავი, რომ შეუძლებელი-ლა იყო გონება მთელი შეჭრჩენოდა. ექიმების სიტყვით კი ხომ ქლექის უკიდურესად განვითარება დიდად თურმე ხელს უწყობს გონების შერყევასა.

ღვინოები მრავლად და სხვა-და-სხვა ღირსებისა, აგრეთვე მადქრები, რასაკვირველია, არ იყო; ეს მხოლოდ გაზვიადებული იყო, მაგრამ ღვინო კი ჰქონდათ; ჰქონდათ: არაყი, რომი და ლისსაბონის ღვინო, მაგრამ ყველა დაბალის ღირსებისა, თუმცა საკმარისად კი. საქმელებიდან კოლიოს გარდა, სამი-ოთხი ფერი კიდევ სხვა იყო (სხვათა შორის, ბლინებიც). ყველა ეს ამალა ივანოვნას სამზარეულოდან მოჰქონდათ; გარდა ამისა, დაედგათ ორი სამოვარიც, რომ სადილს შემდეგ ჩაი და ფუნჯი მიერთმიათ.

სასყიდლებზე კატერინა ივანოვნას ვილაცა საცოდავი პოლონელი მდგმური ჰყავდა, რომელიც, ღმერთმა იცის, რისთვის სცხოვრობდა ქნ ლიპვევებზელისასა. ჩამოვარდა თუ არა სასყიდლებზე ლაპარაკი, მაშინვე განაცხადა სურვილი სამსახურისა და მთელი გუშინდელი დღე და ეს დილა თავპირის მტვრევით დარბოდა ენა-გადმოგდებული, თითქოს განგება სცდილობს დაანახვოს ყველას, რომ რალასაც აკეთებს და დაილალოა. სულ უბრალო რამეზედაც-კი უთუოდ კატერინა ივანოვნასთან მირბოდა, „გოსტინნი დვორშიაც კი“ (სავაქრო ქარვასლაა) მოსძებნა ერთხელ და ერთ-თავად „პანნი ხორუენინას“ უძახდა. ამიტომაც ბოლოს სულ თავი მოაბეზრა, თუმცა პირველ ხანად თვითონვე ამბობდა კატერინა ივანოვა, რომ „უამ ღვთისნიერ და მორჩილ კაცად“ დავილუპებოდიო. ხასიათათა ჰქონდა კატერინა ივანოვნას, ვინც უნდა ყოფილიყო, ქებით აიკლებდა, ვინ იცის, რა ღირსებას და თვისებას არ გამოუძებნიდა; ასე რომ, ზოგიერთა მისს



ადგილას სირცხვილით დაიწვოდა; თან თვითონაც გულწრფელად და გულმართლად დაიჯერებდა თავისსავე გამოგონილსა, მაგრამ უცბადვე გადუდგებოდა, აზრს შეიცვლიდა და მზად იყო ჰანღურის კვრითა და ერთის ვაი-ვაგლახით გაეგდო ის კაცი სწორედ, რომელსაც რამდენისამე საათის წინად თაყვანსა სცემდა თითქმის. ბუნებით მზიარულისა და მშვიდობიან ხასიათისა იყო, მაგრამ განუწყვეტელმა უბედურებამა და მარცხმა იქამდის გაამწვავა და მოანატრა, ყველას უთუოდ მზიარულადა და მშვიდობიანად ეცხოვრა, რომ სულ უბრალო რამ ცხოვრების ნაკლი და მარცხიც-კი უცბად მოჰკლავდა და ჩაპთუთქავდა ხოლმე და ბრწყინვალე ოცნებისა და იმედების მოტრფიალე ბედს დაუწყებდა მწარედ ჩივილსა; ყველაფერს, რაც-კი რამ ხელში მოჰხედებოდა, მიჰგლეჯ-მოჰკლევდა და თავს კედელს ახლიდა ხოლმე. ამალია ივანოვნასაც-კი როგორღაც არაჩვეულებრივის ყურადღებითა და პატივით ეპყრობოდა კატერინა ივანოვნა, იმიტომ მხოლოდ, ვინ იცის, რომ ექვლეხი აიტეხა. ამალია ივანოვნამაც გულით მოიწადინა, ყველაფერში დაჰხმარებოდა, ხელი წაეხმარებინა: იკისრა, მაგალითად, სუფრის გაშლა, სუფრა-ხელსაწმენდებისა და ქურქლის თხოვება, თავისს სამზარეულოში საქმლის მომზადება და სხვ. კატერინა ივანოვნამაც ყველაფერი ამალია ივანოვნას მიანდო, თვითონ-კი სასაფლაოზედ წავიდა. მართლაც, ყველაფერი მშვენივრად იყო მომზადებული: სუფრა საკმაოდ სუფთად გაშლილი, ქურქელიც: დანა-ჩანგალი, ჭიქები და ფინჯნები, — ყველაფერი, რასაკვირველია, აქეთ-იქილამ იყო მდგმურებში მოგროვებული და სხვა-და-სხვა ნაირი, მაგრამ დროზედ თავ-თავისს ადგილას ელაგა. იმიტომაც კმაყოფილი ამალია ივანოვნა ამაყად შეეგება დაბრუნებულებს, შავს კაბასა და ახალს, სამგლოვიარო ლენტებიანს არახჩინში გამოწყობილი. მაგრამ არ მოეწონა როგორღაც ეს მისი დამსახურებული სიამაყე კატერინა ივანოვნასა: „მართლაც-და, თითქოს უამალია ივანოვნოთ სუფრას ვეღარავინ გაჰშლიდა!“ არც ახალ ლენტებიანი არახჩინი მოეწონა: „იქნება ამაყობს ე



ტუტუცი ნემეცი დედაკაცი, რომ დიასახლისია და მადლის გულისათვის გვეხმარება ღარიბს მღვმურებსა? ჰმ, მადლის გულისათვისა! გესმისთ! კატერინა ივანოვნას მამისას, რომელიც პოლკოვნიკი იყო და თითქმის გუბერნატორი უკვე, ზოგჯერ ორმოცი სულისათვის გაშლიდნენ ხოლმე სუფრასა, მაგრამ ვილაცა ამალია ივანოვნას, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, ლუდვიგოვნას, სამზარეულოშიაც არავინ შეუშვებდა იქა... მაინც გარდასწყვიტა კატერინა ივანოვნამა, თავი შეემაგრებინა დრომდის და გულის ნადები არ გამოემჟღავნებინა, თუმცა ისიც გაივლო გულში, დღესვე უთუოდ მოეგონებინა ამალია ივანოვნასათვისა, რა ადგილის ღირსიც იყო, თორემ, ღმერთმა იცის, როგორ გამოიდებს თავსაო. ჯერ ჯერობით-კი გულცივად მოეპყრა. მეორე უსიამოვნობამაც ხელი შეუწყო მისს გაჯავრებასა და წყენასა: მღვმურებიდამ პოლონელის მეტი, რომელმაც აქაც მოასწრო მოსვლა, თითქმის არავინ დასაფლავებას არ დაჰსწრებია; სადილზედ კი მოვიდნენ თითქმის სულ უბრალონი და ღარიბები,—ბევრი მათგანი თავისს სახითაც-კი არა, ისე რაღაცა ობრები მოგროვილიყვნენ. ვინც უფროსი და ღირსეული იყო უფრო, ისინი-კი არსადა სჩანდნენ, თითქოს პირობა შეუკრავთო. არ გამოცხადდა პეტრ პეტროვიჩი ლუჩინი, მაგალითად, რომელიც ყველაზედ დარბაისელი იყო მღვმურებში და რომლის შესახებაც გუშინ საღამოთივე ყველას თითქმის ყურები გამოუქედა კატერინა ივანოვნამა: ამალია ივანოვნასაც, პოლტეკასაც, სონასაცა და პოლონელსაც-კი, რომ იგი ყველაზედ უკეთილშობილესი, დიდსულოვანი და დიდის ნათესაობისა და ქონების პატრონი კაცი იყო, მასთან მეგობარი მისის პირველის ქმრისა და მამის ოჯახშიაც დიდად მიღებული; რომ დაჰპირდა ვითომ, კარგს პენსიას გამოგიტხოვო. შევნიშნავთ აქვე, რომ თუ კატერინა ივანოვნა აქებდა ვისმე ან ნათესავობითა და კავშირით ან ქონებით, არასოდეს ამას ანგარიშით არ სჩადიოდა; გულმართლოდა და გულწრფელად უნდოდა მხოლოდ მეტი ღირსება და ფასი გამოეძებნა ნაქებისათვის და ამითი ესიამოვნა. „ამ საძაგელმა და

თავლაფიანმა ლებეზიატნიკოვმაც ლუჩინს წაჰბაძა უთუოდ და იმიტომ არ მოვიდა; ნეტა, ამას რაღა თავი მოაქვს? მადლის გულისათვის დავატიყვე, რაკი პეტრ პეტროვიჩთანა სცხოვრობს ერთს ოთახშია და ნაცნობია მისი, უხერხული იყო ამის გამო, თორემ სახლში შესაშვებია, განა? არ მოვიდა აგრეთვე ერთი სქელი დედაკაცი თავისის „დამტავებულ ქალითურთ“, რომლებიც სულ რაღაცა ორს კვირასა სცხოვრობდნენ ამალია ივანოვნას ნომრებში, მაგრამ რამდენჯერმე იჩივლეს თურმე, რომ მარმელადოვე? -ს ოთახში ერთ-თავად ყვირილი და ვაი-ვაგლახიაო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განსვენებული მარმელადოვი ნასვამი დაბრუნდებოდა ხოლმე შინა. ესაც ისევ ამალია ივანოვნასგანა ჰქონდა კატერინა ივანოვნას გაგონილი, რადგანაც ჩხუბის დროს წააძახა: გაგრეკამთ ყველას სახლიდამა, იმიტომ, რომ რიგიანსა და კეთილშობილს მდგმურებს, რომლების ფეხის ფრჩხილადაც არა ღირხართ, მოსვენება არა აქვთ თქვენგანაო. განგებ გარდასწყვიტა ახლა კატერინა ივანოვნამ მოწვევა ამ დედაშვილისა, რომლების „ფეხის ფრჩხილადაც არ ღირდა ვითომ იგი“. მით უმეტეს, რომ შეხვედრის დროს როგორღაც ცხვირაპრეწით გაუვლიდა ხოლმე მედიდურად გვერდითა და გზას უქცევდა. ამიტომაც მოინდომა კატერინა ივანოვნამა, — დეე, იცოდნენ, რომ აქ „იმათხედ კეთილშობილურადა ჰგრძნობენ და ფიქრობენ ყველაფერს; ამიტომაც აღარ იგონებენ ბოროტებასა და იწვევენო“; თან უნდოდა, ენახათ იმათაც, რომ კატერინა ივანოვნასაც უცხოვრია ერთს დროს ადამიანურათა. განზრახვა ჰქონდა, ყველაფერი ეს პურის ქამის დროს აეხსნა სუფრაზედ და მოეხსენებინა ისიც, რომ მაშა თითქმის გუბერნატორი ჰყავდა; ამიტომაც არა ჰქონდა-რა, მაშასადამე, ტუჩ-ასაპრეწი და მოსარიდი; მაშასადამე, სისულელე იყო ის, რომ შეხვედრის დროს პირს არიდებდნენ. არ მოვიდა აგრეთვე გაბლინძული პოდპოლკოვნიკი (ნამდვილად მხოლოდ სამსახურს გარეშე მყოფი შტაბს-კაპიტანი), მაგრამ მიზეზი თურმე ის იყო, რომ ფეხთსაცმელი არა ჰქონდა. ერთი სიტყვით,

მოვიდნენ მარტო: პოლონელი, გაქონილს ფრაკში გამოწყობილი გაიძვერა, კორფლიანი კანცელარისტი, რომელსაც რალაცა საშინელი სუნი უდიოდა, ერთი ყრუ და თითქმის მთლად უსინათლო მოხუცი, რომელსაც სადღაც ფოსტაში ემსახურნა ერთს დროსა და, არავენ იცოდა, რა დროიდგან, ვილაცა ინახავდა ამალა ივანოვნასა. მოვიდა აგრეთვე ერთი სამსახურს გარეშე მყოფი ლოთი პორუჩიკი, ნამდვილად-კი პროვიანტის მოხელე, რომელმაც პირდაპირ უზრდელი და ბრიყვული ხარხარი იცოდა, მასთან „წარმოიდგინეთ“, უქილევტოთა! ერთი ვილაცა ისე მიუჯდა სუფრასა კიდევ, რომ კატერინა ივანოვნას თავი არც-კი დაუკრა, და კიდევ ვილაცა ერთი, უტანისამოსობისა გამო, ხალათით გამოცხადდა, იქამდის უზრდელათა, რომ ამალა ივანოვნასი და პოლონელის წყალობით, როგორც იყო, ძლივს გაიყვანეს გარეთა. მართლა, პოლონელმა მოიყვანა კიდევ ვილაცა ორი სხვა პოლონელი, რომლებსაც არასოდეს ამალა ივანოვნასთან არ უცხოვრიათ და არც თუ ვისმეს ნომერში უნახავს აქამდის. ყველა ამან საშინლად ცუდად იმოქმედა კატერინა ივანოვნაზე. „ვისთვის მომზადდა, მაშ, ყველაფერი, ეს?“ კითხულობდა თავისთვის კატერინა ივანოვნა. უადგილობისა გამო ბავშვებიც-კი აღარ დასხეს საერთო სუფრაზედ, რომელმაც უიშისოდაც მთელი ოთახი დაიჭირა და სადღაც კუთხეში გაუშალეს ყუთზედა. მასთან ორივე პატარა დაბალს ხის სკამზედ დაესხათ და პოლენკასათვის ჩაებარებინათ, როგორც უფროსისათვის, თვალ-ყური ეგდო, ექმია და ცხვირი მოეწმინდა ხოლმე, როგორც ეს „კეთილშობილს ბავშვებს“ შეჰფერის. ერთი სიტყვით, კატერინა ივანოვნა უნებურად ყველას უნდა გაორკეცებულის მედიდურობით შეჰგებებოდა. განსაკუთრებით სასტიკად აათვლიერა ზოგიერთები და მერე-ღა სთხოვა მედიდურად, დამსხდარიყვნენ. რილასთვისაც წარმოიდგინა კატერინა ივანოვნამა, რომ ამალა ივანოვნას ბრალი იყო უთუოდ, რომ არ მოვიდნენ ზოგიერთები და უცბად მეტად უდიერად დაუწყო მოპყრობა; ასე რომ შეჰქნიშნა მაშინვე ამალა ივანოვნამა და იწყინა საშინლად.



ექვი არ არის, ასეთს დასაწყისს სახეირო ბოლო არ ექნებოდა. დასხდნენ ბოლოს. რასკოლნიკოვიც მაშინ მივიდა სწორედ, სასაფლაოდამ რომ დაბრუნდნენ. საშინლად გაუხარდა კატერინა ივანოვნასა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის იყო ერთად-ერთი მისი „განათლებული სტუმარი“, რომელსაც „ორის წლის შემდგომ ადგილობრივს უნივერსიტეტში პროფესორის კათედრა უნდა დაეჭირა“, და მეორეც, იმიტომ, რომ მივიდა თუ არა, პატივისცემით ბოდიში მოიხადა, რომ ვერ მოახერხა და დასაფლავებას ვირ დაესწრო. ეცა მაშინვე რასკოლნიკოვსა და გვერდით დაისვა, მარცხნივ (მარჯვნივ ამჟამად ივანოვნა უჯდა) და მიუხედავად იმისა, რომ თვალყურს ადევნებდა, საქმელი დროზედ ჩამოეტარებინათ და ყველას გასწვდომოდა; მიუხედავად იმისა, რომ წამ და უწუძ ხველა უვარდებოდა და სუნთქვას უკრავდა, რომელიც ამ ორს უკანასკნელს დღეს უარესად გაჰმწვავებოდა თითქოს, მაინც არ უსვენებდა და ერთ-თავად ჩურჩულით ელაპარაკებოდა რასკოლნიკოვსა, უზიარებდა თავისს გულის პასუხსა და სწუხებდა, ჰნანობდა, რომ სამზადისმა ასე უმადურად ჩაუარა: არავინ რიგიანი არ მიუვიდა. შიგა და შიგ-კი რისხვას მხიარული სიცილიც მოსდევდა, მეტ წილად მაშინ, როდესაც დამსწრე სტუმრებსა და დიასახლისს ეხებოდა ლაპარაკი.

— ყველაფერში ე გუგულია დამნაშავე. გესმისთ, ვისზედ გეუბნებით? დიასახლისზედა! — და კატერინა ივანოვნა დიასახლისზედ ანიშნებდა. — უყურეთ ერთი, თვალები როგორ დაუქყეტია. ჰგონობს, რომ იმაზედ ელაპარაკობთ, მაგრამ ვერა გაუგია-რა, თვალები გადმოუქაჩავს მხოლოდ. ფუჰ! შეჭხედეთ ბუსა! ხა-ხა-ხა-ხა!.. ქხი-ქხი-ქხი! არა, ვითომ ე არახჩინი რილასთვის წამოუცვამს? ქხი-ქხი-ქხი! ვერ შეჰნიშნევით, უნდა აჩვენოს ყველასა, რომ მფარველობას მიწევს ვითომა და პატივსა მცემს, რომ აქ არის. მე ვსთხოვე, როგორც რიგიანს ადამიანს, ხეირიანი ხალხი და განსვენებულის ნაცნობები მოეწვია, ამას კი, ჰხედავთ, ვინ მოუყვანია: მასხარები არიან ვილაცა! ტინგიცები! შეჭხედეთ ერთი ამ ჩოფურასა; რალაცა

ცვინგლიანია! ახლა ეს პოლონელები... ხა-ხა-ხა-ხა! ქბი-ქბი-ქბი! არავის არასოდეს თვალთ არ უნახავს აქა; არც მე დამიკრავს როდისმე თვალი; მითხარით, მაშ, რისთვის მოვიდნენ? დიდის ამბით გამოგვექიმიან გვერდითა!—ჰანე, ჰეი!—დაუყვირა უცბად ერთს რომელღასაც,—ბლინები აიღეთ თუ არა? კიდევ აიღეთ! ლუდი დალიეთ, ლუდი! არაყი არ გინდათ? უყურეთ, უყურეთ, წამოფრინდა და თავს მიკრავს, უყურეთ: შშივრები არიან უთუოდ საცოდავები! არა უშავს-რა, დეე, სქამონ! არა ყვირიან მაინც... მაგრამ ეგ არის მეშინიან, დიასახლისს ვერცხლის კოვზები არ გაუქრონ!...—ამალია ივანოვნა!—მიჰმართა უცბად ხმა-მაღლა თითქმის დიასახლისსა,—გაფრთხილებთ წინადეე, რომ ვერცხლის კოვზები აგწაპნოთ ვინმემ, პასუხს არ ვაგებ სწორედ! ხა-ხა-ხა-ხა!—ჩაბჭირდა კვალად და რასკოლნიკოვს დაუწყო ისევ დიასახლისზედ ნიშნება; თან უხაროდა მეტად, რომ ასე მოიქცა.—ვერა გაიგო-რა კიდევ, ვერა გაიგო-რა! ზის პირ-დაღებული და იყურება: ბუა ნამდვილი, ბუ, ქოტია შავ-ლენტებიანი! ხა-ხა-ხა-ხა!

აქ ისევ სიცილი საშინელ ხველათ გადაექცა, ხუთს წამს აღარ მოასვენა, დააოხა თითქმისა. ცხვირსახოცზედ რამდენიმე სისხლის ნიშანი დასტოვა, შუბლზედ ოფლი დაასხა. კატერინა ივანოვნამ სისხლიანი ცხვირსახოცი ჩუმად რასკოლნიკოვს დაანახვა და პატარა ხანს უკან ისევ გატაცებით დაუწყო ჩურჩული, თან ლოყებზედ წითელი ლაქები დასქდებოდა.

— ყური დამიგდეთ, აბა; მივანდე, დაეპატიჟა ერთი მანდილოსანი თავისის ქალითურთ; მოგეხსენებათ, ვისზედაც ვამბობ? აქ აღამიანს ზრდილობა და თავაზიანობა მოეთხოვებოდა, ეს-კი ისე მოიქცა, რომ სულელმა, თავზვია და საძაგელმა პროვინციელმა, ვიღაცა მაიორის ქვრივი რომ ჩამოსულა და პენსიისათვის ყველა დაწესებულებას კარ-მიდამოს უტალახებს, ორმოც და თხუთმეტის წლისაა და მაინც უმარილითა და ლახუსტაკით იგლისება (ვიღამ არ იცის)... ამისთანა საძაგე-

ღმა ქმნილებამ იმდენი კეთილგონიერება ვერ მოიხმარა, რომ, თუ არ მოვიდოდა, ეცნობებინა მაინც და ბოდიში მოეხადნა, როგორც ამას ჩვეულებრივი ზრდილობა მოითხოვს! არ მესმის სწორედ, პეტრ პეტროვიჩი რაღატომ აღარ მოვიდა? მაგრამ სონა სადღაა? სად წავიდა? აგერა ისიც, ძლივს არ მოვიდა! რა იყო სონა, სად იყავი? უცნაურია სწორედ, რომ მამის დასაფლავებაზედაც-კი რივიანად არ იქცევი. როდიონ რომანიჩ, თქვენ გვერდით მიეთ აღგილი. აგერა, სონა, შენი აღგილი... აიღე, რაც გინდა. საწებლიანი აიღე, ეგა სჯობიან. ახლავ ბლინებსაც მოიტანენ. ბავშვებს-კი მისცეს? პოლენკა, ყველაფერი გაქვთ, თუ არა? ქხი-ქხი-ქხი! კარგი, კარგი. უკვირანათ იყავით, ლენა, კოლა, ფეხებს ნუ აქნევთ; იჯექით, როგორც კეთილშობილს ბავშვებს შევფერისთ. რაო, რას ამბობ, სონეჩკა?

სონამაც მაშინვე პეტრ პეტროვიჩის ბოდიში გადასცა; თანა სცდილობდა ხმა-მალლა ელაპარაკნა, რომ ყველას გაეგო. სიტყვებსაც განგებ სულ რჩეულს ხმარობდა, რომ პეტრ პეტროვიჩის მხრივ მეტი პატივისცემა დაემტკიცებინა. დასძინა ბოლოს ისიც, რომ პეტრ პეტროვიჩი ცალკე ინახულებს, როგორც-კი მოცილის და მოელაპარაკება: რა იღონონ და რა უშველონ შემდგომში იმისს გაჭირვებასა.

იცოდა სონამ, რომ დაამშვიდებდა ეს კატერინა ივანოვნასა და მის სიამაყესაც დააკმაყოფილებდა. რასკოლნიკოვს საჩქაროდ თავი დაუკრა, ქურდულად შეჰხედა ცნობის მოყვარე თვალითა და გვერდით დაუჯდა. მაგრამ მერე სულ ერთდებოდა ცქერასაცა და მასთან ლაპარაკსაცა. თითქოს ცოტათი დაბნეულიც იყო, თუმცა კატერინა ივანოვნას ერთ-თავად ხელ-პირში შეჰყურებდა, რომ ეამებინა. არც სონას და არც კატერინა ივანოვნას შავები არ ეცვათ; არა ჰქონდათ. სონას რაღაც მოშავო ყავის ფერი კაბა ეცვა, კატერინა ივანოვნას კილევ ერთად-ერთი თავისი შავ-ზოლებიანი ჩითის კაბა. პეტრ პეტროვიჩის ბოდიში და ამბავი მართლაც რომ მალამოსავით მოჰხედა კატერინა ივანოვნასა. მოისმინა თუ არა სონას ნათქვამი, მცდილურათვე იკითხა: როგორა ბრძანდებოდა პეტრ პეტროვიჩი? და მაშინვე ხმა-მალლა უჩურჩულა თითქმის რასკოლნიკოვსა, რომ სასაცილო იქმნებოდა, მართლაც, ასეთი პატივცემული და დარბაისელი კაცი, როგორიც პეტრ პეტროვიჩია, ასეთს „არა ჩვეულებრივს ხალხში“

მოხვედრილიყო, თუმცა, მართალია, ჩვენის ოჯახის დიდი ერთგულია და განსვენებულისაც ძველი მეგობარია.

— აი, ამიტომ გმადლობთ საგანგებოდ, როდიონ რომანი, რომ ამ გარემოებაშიაც-კი არ იუყადრისეთ ჩემი პურმარილი და მობრძანდით, — დასძინა თითქმის ხმა-მალლა. — მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაოლოდ ჩემის განსვენებულ ქმრის საგანგებო მეგობრობამ გაიძულათ და შეგასრულე-ბინათ სიტყვა.

ერთხელ კიდევ გადაჰხედა ამაყად სტუმრებს და უცბად რაღაცა განსაკუთრებულის მზრუნველობით დაეკითხა ხმა-მალლა მაგიდის ბოლოში მჯდომს მოხუცსა: „შემწვარს ხომ აღარ მიირთმევთ, ან ლისაბონის ღვინო მოგართევს, თუ არა?“ მოხუცმა დიდ-ხანს ვერა გაუგო-რა, რას ეკითხებოდნენ და არც პასუხი მისცა, თუმცა მეზობლებმა განგებ მუჯლუგუნების ცემა დაუწყეს, რომ რა არის მეტი გაეცი-ნათ. მოხუცი ისევ პირდაღებული იყურებოდა აქეთ-იქით, რამაც უფრო მეტად გაამხიარულა ყველანი.

— რა ყურყუტი რამ არის! უყურეთ, უყურეთ! ნეტა, რისთვის მოუყვანიათ? რაც შეეხება პეტრ პეტროვიჩს, იმი-სი-კი მუდამ იმედი მქონდა, — განაგრძობდა კატერინა ივანოვნა, — და, რასაკვრელია... — უცბად ხმამალლა და სასტიკად ამალია ივანოვნასკენ გაიხედა; ასე რომ, შეკრთა კიდევცა ეს უკანასკნელი, — არა ჰგავს იმ ბოლო ათრეულს მოპრან-ქულებსა, რომლებსაც მამიჩემის სახლში სამზარეულოშიაც-კი არ შეუშვებდნენ განსვენებული ჩემი ქმარი-კი, რასაკვრელია, გააპატიოსნებდა და მიიღებდა, ისიც იმიტომ, რომ გულკეთილი იყო უზომოდ.

— დიახ, გადაკვრა უყვარდა; ძაან უყვარდა გადახუნვა! — წამოიძახა უცბად სამსახურს გარეშე მყოფმა პროვიანტის მოხელემა და მეთორმეტე ჭიქა არაყი გადაუსვა.

— განსვენებულს ჩემს ქმარს, მართალია, სმა უყვარდა და ყველამაც იცის ესა, — ჩამოეკიდა უცბად კატერინა ივანოვნა მოხელესა, — მაგრამ გულკეთილი და კეთილშობილი იყო მეტად; ოჯახობაც უყვარდა და პატივსა სცემდა. ერთი ზცოდა ცუდი, რომ განურჩევლად ყველას ენდობოდა და ხოგჯერ ისეთ გარყენილებთანაც ჰსვამდა, რომლებიც მის ფე-ის ფრჩხილადაც-კი არა ღირდნენ! წარმოიდგინეთ, როდი-

ონ რომანიჩი, ჯიბეში შაქრის მამალი ეუპოვნეთ: სიმთვრალისაგან აღარა გაეგებოდა-რა საცოდავსა და ბავშვებს მაინც არ ივიწყებდა ხოლმე.

— მამალი? მამალიო? — შეჰყვირა კვალად ბატონმა პროვიანტის მოხელემა.

კატერინა ივანოვნამ პასუხი აღარ აღირსა. რაღაცა ფიქრს მისცა თავი, ამოიოხრა.

— აი, თქვენც უთუოდ ისე ფიქრობთ, როგორც სხვანი, რომ სასტიკად ვექცეოდი ვითომ, — განაჯრძობდა კატერინა ივანოვნა რასკოლნიკოვთან ლაპარაკსა, — მაგრამ კიდევ ეგ არის, რომ აგრე არა ყოფილა! განსვენებული პატივსა მცემდა, ღიდად პატივსა მცემდა! კეთილი გულის პატრონი იყო! ისე შემებრალეობდა ხოლმე ზოჯერ! დაჯდებოდა კუთხეშია და დამიწყებდა საცოდავად ყურებასა, ასე რომ შემებრალეობდა და მომინდებოდა ხოლმე მომეალერსნა, მაგრამ ვიფიქრებდი: „მოგუალერსებ“, დაითვრება-მეთქი და ამიტომ სასტიკობით ვსცდილობდი ხოლმე ისევ შემემაგრებინა როგორმე.

— დიახ, ქოჩორსაც აგლეჯდით ხოლმე, დიახ! ბევრჯელ ყოფილა, — დაიღრიალა ისევ პროვიანტის მოხელემა და არაყი გადახუხა კიდევ.

— ზოგიერთს ტუტუცს დაქოჩვრა-კი არა, კეტიც ლამაზად მოუხდებოდა. მაგრამ განსვენებულზე როდი ვამბობ ამასა! — გააწყვეტინა კატერინა ივანოვნამა.

წითელი ლაქები ლოყებზედ თან-და-თან ეზრდებოდა, გული ძლიერად უძგერდა. საკმაო იყო ერთი წამი კიდევ და დაიწყებდა კიდევცა. ბევრი უკვე ხითხითებდა და სიამოვნებდა კიდევცა, ეტყობოდათ. პროვიანტის მოხელეს მუჯღუგუნების ცემა და ჩურჩული დაუწყეს. ეტყობოდა, უნდოდათ წაესისიანებინათ.

— ნ-ნ-ნება მო-მეცით გკითხოთ, რის შესახებ ბრძა-ნებთ მაგასა, — დაიწყო პროვიანტის მოხელემა, — ესე იგი, ვის... კეთილშობილ ვინაობას... შეეხენით ახლა... მეგრამ რა საქიროა! სისულელეა! ქვრივია! მიპატიებია... მორჩა და გათავდა! შაბაშ!

და ხელ ახლად გადაუსვა არაყი.

იჯდა ჩუმად რასკოლნიკოვი და ზიზღით ყურს უგდებდა. ჭამითაც ძალითა სჭამდა და ზრდილობის გულისათვის ეხებოდა მხოლოდ ნაქრებს, რომლებსაც ეკატერინა ივანოვნა

ერთგულად სთავაზობდა. არ უნდოდა ეწყეინებინა. სონას-კი ყურადღებით ადევნებდა თვალსა. მაგრამ მოუსვენრობდა და ჰღელავდა სონა, რადგანაც მშვენიერად ჰხედავდა და ჰგრძნობდა წინაღვე, რომ მშვიდობიანად არ დასრულდებოდა ჰურის ქამა და გულმოსული კატერინა ივანოვნა უთუოდ ჩხუბს ასტეხდა. იცოდა, სხვათა შორის, ისაც, რომ დედა და ქალი, რომლებიც კატერინა ივანოვნამ მოიპატიჟა და არ ეწვივნენ, ისე უზრდელად და ზიზლით სონას გამო მოეპყრნენ. თვითონ ამალთა ივანოვნასაგან გაიგონა სონამა, რომ დედამ თურმე დაპატიჟებაც-კი ღიდად იწყინა და იკითხა თურმე: „მითხარით, გეთაყვათ, ჩემი ქალი იმასს გვერდით როგორ მოვეუსვავო?“ ჰგრძნობდა წინაღვე სონა, რომ კატერინა ივანოვნა ყურს როგორმე მოჰკრავდა ამასა და სონას წყენა და შეურაცხყოფა-კი საკუთარ შეურაცხყოფად, თავისს საკუთარ ბავშვებისა და მამის შეურაცხყოფად, სასიკვდილო რამედ მიიჩნდა. იცოდა, რომ კატერინა ივანოვნა არაფრის გულისათვის ამის შემდეგ არ მოისყენებდა, „სანამ არ დაუმტკიცებდა ამ აფშლაკუნა დედაშვილსა, რომ ისინი ორივენი“... და სხ. და სხ. თითქოს განგებ მოხდაო, ვიღამაც სუფრის მეორე ბოლოდამ სონას თეფში გადმოუგზავნა, რომელზედაც შავი ჰურის გულისა ისრით გაგმირული გულები იყო გამოყვანილი. ანთო მაშინვე კატერინა ივანოვნა და გაცეცხლებულმა შეჰნიშნა ხმა-მალლა, რომ გამოგზავნელი „მთვრალი ვირია“ უთუოდაო. იგრძნო ამალთა ივანოვნამაცა, რომ საქმე მშვიდობით არ გათავდებოდა და კატერინა ივანოვნას მედიდურ ქცევით შეურაცხყოფილმა მოინდომა როგორმე გაერთო ვითომ დამსწრენი და თან თავისი თავიც აემალღებინა და დაიწყო უცბად, რომ ვიღაცა მისი ნაცნობი „აფთიაქში მსახური კარლი“ ღამე სადღაც მიდიოდა ეტლითა და რომ „მეეტლემ კინალამ მოკლა და რომ კარლმა ძალიან, ძალიან სთხოვა, არ მოეკლა; რომ ბევრი იტირა, ხელეები დაიკრიფა და შეშინდა, შიშისაგან კინალამ გული გაეგმირა“.

მართალია, გაელიმა კატერინა ივანოვნასა, მაგრამ შეჰნიშნა მაშინვე, რომ რუსულად ანექლოტების მბობას არ ურჩევდა. იწყინა უარესად ამალთა ივანოვნამა და შეჰნიშნა, რომ მისი „მამა ბერლინში ძალიან, ძალიან ღიდი კაცი იყო და ხელები სულ ჯიბეში დაჰქონდა“. ველარ მოითმინა კატერინა ივანოვნამა და გულიანად გაღიხარხარა. სრულიად დაჰკარგა მოთმინება ამალთა ივანოვნამა, თავი ძლივს-ღა შეიმავრა.

— ჰხედავთ ბუქანა-ქოტსა! — დაუწყო მაშინვე მხიარულად ჩურჩული კატერინა ივანოვნამ რასკოლნიკოვსა. — უნდოდა ეთქვა, ჯიბეში ხელები ეწყო და ისე დადიოდაო, და მაგის მაგივრად სხვისა ჯიბეში ჩააყოფინა ხელები, — ჰხი-ჰხი-ჰხი! მერე, არ შეგინიშნავთ, როდიონ რომანოვიჩ, რომ, რაც-კი ნემეცები მოდიან პეტერბურგს საიღამლაცა, ყველანი ჩვენზედ ჩურჩუტები არიან! მითხარით, არა, გეთაყვათ, ვის რად უნდოდა, რომ გვიამბო „აფთიაქში მსახურს კარლს შიშმა გული გაუგმირაო.“ და იმანაც (ლაჩარმა) „გულ-ხელი დაიკრიფა, იტირა და ძალიან სთხოვაო“, იმის მაგივრად, რომ მაშინვე გაეჭაჩა დამნაშავე. ოჰ, ჩურჩუტი! მერე, ჰგონია, კარგი რამა სთქვა ძალიანა და არა ფიქრობს, რა ტუტუცია! ჩემის აზრით ელოთი პროვიანტის მოხელე ბევრად გონიერია. თვალთ მანცა სჩანს, რა შვილიც არის, ქკვა სულ სმაში დაუკარგავს, ესენი-კი გარეგნობით მულამ დარბაისლობენ, ქკვიანობენ... ჰხედავთ, როგორა ზის, თვალები გადმოუბრუნებია. სჯავრობს! სჯავრობს! ხა-ხა-ხა! ჰხი-ჰხი-ჰხი!

გამხიარულებულმა კატერინა ივანოვნამ გატაცებით დაუწყო სხვა და სხვა წვრილანების მბობა და უცბად ლაპარაკი ჩამოუგდო იმაზედაც, რომ პენსიით, რომელსაც გამოუთხოვენ უთუოდ, განზრახვა აქვს სამშობლო ქალაქ ტ...-ში კეთილშობილ ქალთათვის პანსიონი გახსნას. ამის შესახებ არა ეთქვარა ჯერ რასკოლნიკოვისათვისა და ამიტომაც გატაცებით უამბო ყველაფერი დაწვრილებითა. საიღამლაც უცბად ის „ქების ფურცელიც“ გაუჩნდა კატერინა ივანოვნასა, რომლის შესახებაც ჯერ ისევ განსვენებულმა მარმელადოვმა უამბო მაშინ დუქანში, რომ მისმა მეუღლემ, კატერინა ივანოვნამ, „გუბერნატორისა და სხვა მაღალ გვამთა წინაშე“ იცეკვა ინსტიტუტის დასრულების დროს. ქების ფურცელიც იმის დასამტკიცებლად დასჭირდა უთუოდ კატერინა ივანოვნასა, რომ მართლაც უფლება ჰქონდა საკუთარი პანსიონი გაეხსნა. უმთავრესად-კი იმიტომ ჰქონდა უთუოდ დამზადებული, რომ „მოპრანქულ და აფშლაკუნა დედა-შვილისათვის“ საბოლოოდ თვალები დაეთხარა, თუ მოვიდოდნენ და დაემტკიცებინა, რომ კატერინა ივანოვნა კეთილშობილ, „არისტოკრატიულ სახლიდამ იყო და პოლკოვნიკის ქალი, მაშასადამე, იმ ძალათ დიდობის მოსურნეებზედაც ბევრად უკეთესი, რომლებიც ამ ბოლოს დროს ასე მომრავლდნენ.“ მართლაც, მაშინვე ქების



ფურცელმა ხელი-ხელ ჩამოიარა მთვრალს სტუმრებში, რასაც კატერინა ივანოვნამ წინააღმდეგობა სრულიადაც არ გაუწია, ვინაიდან აღნიშნული იყო შიგ, რომ ნადვორნი სოვეტნიკისა და კავალერის ქალი იყო, მაშასადამე, თითქმის მართლაც პოლკოვნიკის ასული. აღფრთოვანებული კატერინა ივანოვნა მაშინვე დაწვრილებით მოუყვა, როგორ მშვენივრად და მშვიდობიანად მოეწყობოდნენ და იცხოვრებდნენ ტ...ში. ელაპარაკა გიმნაზიის მასწავლებლებზედ, რომლებსაც პანსიონში მიიწვევდა სასწავლებლად, აგრეთვე პატივცემულ მოხუც ფრანგს მანგოზედ, რომელიც ჯერ ისევ კატერინა ივანოვნას ასწავლიდა ინსტიტუტში ფრანგულსა და პირიანად დასთანხმდებოდა უთუოდ მისს პანსიონში სწავლებასა, რადგანაც ტ...ში ატარებდა თავისს დანარჩენს სიცოცხლესა. ჯერი ახლა სონაზედაც მიდგა. „ესაც უთუოდ ტ...ში გადასახლდებოდა კატერინა ივანოვნასთანა და ყველაფერში თანაშემწეობას გაუწევდა!“ მაგრამ ამ დროს სწორედ ვიღამაც ჩაიფრუტუნა სუფრის ბოლოში. კატერინა ივანოვნამ განგებ ყურადღება არ მიაქცია სიცილსა, ვითომ არც-კი გაუგონია და ხმა-მაღლა და აღფრთოვანებით განაგრძობდა სონას ნიჭიერების ქებასა, „რომ წყნარი იყო და მშვიდობიანი მეტად, მომთმენო, თავდადებული, კეთილშობილი და განათლებული მასთან“; თან ლოყახედ გადაუსვა ხელი, წამოდგა და ორჯელ მაგრა ჩაჰკოცნა. ანთო სონა; კატერინა ივანოვნასაც ტირილი აუვარდა და წარმოუდგა უცბად, რომ „სუსტის ნერვებისა და მეტად მოშლილი იყო, რომ დიდი ხანია, დრო იყო გაეთავებინათ და ჩაი მიერთმიათ, რადგანაც საუზმეულობა უკვე გათავებული ჰქონდათ სულ მთლად.“ საბოლოოდ შეურაცხყოფილმა ამალია ივანოვნამაც გადასწყვიტა უცბად, ეცადნა უკანასკნელადა და კატერინა ივანოვნასათვის ეცნობებინა ერთი მეტად საყურადღებო და აზრიანი შენიშვნა იმის შესახებ, რომ მომავალს პანსიონში განსაკუთრებული ყურადღება მოსწავლე ქალების საცვლების სისუფთავეზე მიექციათ და „უთუოდ ჰყოლოდათ ერთი კარგი მანდილოსანი (დი დამე) რომელსაც საცვლებზე სქეროდა თვალი,“ და მეორეც, „არც ერთს ქალს ჩუმ-ჩუმათ ლამ-ლამობით არაფერი რომანი არ ეკითხა.“ ნერვებ მოშლილმა და დაღლილმა კატერინა ივანოვნამ მაშინვე მკვახედ მოუჭრა სიტყვა ამალია ივანოვნასა, რომ „სისულელესა ჰროშავდა“ და არა ესმოდა-რა; რომ საცვლებზედ ფიქრი და ზრუნ-



ვა კასტელიანას საქმე იყო და არა კეთილშობილ ქალთა პანსიონის გამგე-ქალისა. რაც შეეხებოდა რომანების კითხვას, ეს ხომ უზრდველობათ ჩათვალა სულა და სთხოვა გაჩუმებულიყო. ველარ მოუთმინა გაბრაზებულმა ამალია ივანოვნამა და შეჰნიშნა, რომ „სიკეთე უნდოდა მხოლოდ, თუ ურჩევდა და რომ „ბევრი სიკეთე უყო“ და ახლაც „რამდენი ხანია, სახლის ქირა არ მიუცია.“ კატერინა ივანოვნამაც მაშინვე „მიახალა“, რომ სტყუოდა, არაფერი „სიკეთე არ ექმნა“ და გუშინაც, მიცვალებული რომ ჯერ ისევ მაგიდაზედ ესვენათ სახლში, ბინის გამო კინალამ ყელი გამოაჭრევინა, ისე გასტანჯა. ამალია ივანოვნამაც შეჰნიშნა ამაზედ, რომ „მანდილოსნები, რომლებიც მიიწვია, არ ეწვივნენ იმიტომ, რომ პატიოსნები და კეთილშობილები არიან და, მაშასადამე, არ შეუძლიანთ უპატიოსნო მანდილოსნებს ეწვივნენ. ეკატერინა ივანოვნამაც მაშინვე მოახსენა, რომ ვილაცა ტინგიცაა ისა და, მაშასადამე, არც შეუძლიან მსჯელობა იქონიოს; რა არის ქეშმარიტი კეთილშობილობა და რა არა. ვერ მოითმინა ამალია ივანოვნამა და უპასუხა, რომ „მისი მამა ბერლინში ძალიან, ძალიან დიდი კაცი იყო, ხელები სულ ჯიბეში დაჰქონდა, დადიოდა და ასე შვრებოდა: ფუჰ! ფუჰ!“ და რომ მართლაც ცოცხლად წარმოედგინა თავისი მამა, წამოხტა მაშინვე, ჩაიწყო ჯიბეში ხელები, გაიბერა ლოყები და დაიწყო ფუჰ—ფუჰ-ის მზგავსად რაღასიც ძახილი. მდგმურებიც ყველანი გულიანად ხარხარებდნენ და განგებ აქეზებდნენ ამალია ივანოვნასა, რომ ერთმანეთი სათვის წაესისინებინათ და წაეკიდებინათ. ეს კი ველარ მოითმინა კატერინა ივანოვნამა და ხმა-მალლა „მაძახს“ ამალია ივანოვნასა, რომ იქნება მამა არც-კი ჰყოლია სადმე; რომ ამალია ივანოვნა პეტერბურგელი ბოლოოწო ჩუხონელია და წინად უთუოდ მზარეულ დედაკაცათ ან უფრო საძაგელ რათმე ნაგდები. გაწითლდა ბრაზისაგან ამალია ივანოვნა და დაჰკვივლა, რომ იქნება კატერინა ივანოვნას არა ჰყოლია მამა, თორემ იმას ბერლინში ჰყავდა მამა, გრძელ სერთუკს იცვამდა ხოლმე და ასე შვრებოდა სულა: ფუჰ-ფუჰ-ფუჰ! კატერინა ივანოვნამ ზიზლით შეჰნიშნა ამაზედ, რომ მისი ვინაობა და პოლკოვნიკის ქალობა ქების ფურცელშივე სწერია დაბეჭდილის ასოებით; რაც შეეხება ამალია ივანოვნასა, (თუ-კი მართლა ჰყოლია მამა,) ვინმე მერძევე პეტერბურგელი ჩუხონელი იქნებოდა უთუოდ; ყველაზედ



ნამდვილი-კი შეიძლება ის იყო, რომ მამა სულაც არა ჰყავდა, რადგან დღემდის არავინ იცის, რა უქვიან მამასა: ზოგი ივანოვნას ეძახის, ზოგი ლუდვიგოვნას; აქ-კი გამძვინვარდა უცბად ამალია ივანოვნა, დაუწყო მაგიდას მუშტის ცემა და მოჰყვა კივილსა, რომ ამალია ივანოვნაა და არა ამალია ლუდვიგოვნა; რომ მამა მისი იოვანი იყო სახელად და ბურმეისტერი და რომ კატერინა ივანოვნას მამა არასოდეს ბურმეისტერი არა ყოფილა. წამოდგა მაშინ კატერინა ივანოვნა სკამიდან და სასტიკად და დამშვიდებულმა შეჰნიშნა (თუმცა სახე მთლად გაჰფითრებოდა სიბრაზისაგანა და გულიც ძლიერად უცემდა), რომ თუ ერთხელ კიდევ გაჰბედავდა და „თავის საძაგელს მამას მისს მამას შეადარებდა, მაშინვე თავიდან არახჩინს მოჰგლეჯდა და ფეხ ქვეშ გაუთელავდა. ვაიგონა თუ არა ეს ამალია ივანოვნამა, იწყო გიჟივით ოთახში სირბილი და ყვირილი, რომ ის დიასახლისია და კატერინა ივანოვნას ახლავ „ბინილამ გააგდებდა.“ და მაშინათვე მაგიდიდან ვერცხლის კოვზებს დაუწყო ალაგება. შეიქმნა ერთი ყვირილი, ბრახუნი, ვაი-ვაგლახი; ბავშვებმა ტირილი მორთეს. სონა მაშინვე კატერინა ივანოვნას ეცა, რომ დაეჭირა. მაგრამ ამ დროს სწორედ ამალია ივანოვნამ ყვითელი ბილეთი ახსენა. მოჰკრა თუ არა ყური ამასა, ჰკრა ხელი კატერინა ივანოვნამ სონასა და ამალია ივანოვნასაკენ გაქანდა, რომ მუქარა შეესრულებინა. ამ დროს სწორედ კარი გაიღო უცბად და პეტრ პეტროვიჩი ლუჟინი გამოჩნდა. იდგა და იქ მყოფთ სასტიკად და ყურადღებით ათვალთვრებდა. კატერინა ივანოვნამაც მაშინვე ლუჟინს მიაშურა.

ან-ანა.

(გაგრძელება იქნება)

# მოთხრობა ახლანდელ არეულობებზე

## სპარსთა და საქართველოში

### ბეისონელისა

(დასასრული)

### თავი მესამე.

პროექტი მეფის ასარჩევად ლიგის შედგენისა, რომლის სისრულეში მოყვანის დროს თეიმურაზს უღალატეს. ლეკებმა დააზიანეს ირაკლი. თავის მხრით ირაკლიმაც დიდად დაამარცხა ისინი და სრულიად განფანტა. ზავი ირაკლისა და ავღანთ შორის.

ქართველები დაბრუნდნენ ტფილისს 1751 წლის დამლევს ახალი მორიგი ჯარის გამოსაწვევად და ცდილობდნენ შეევესოთ წარსული ომის ზიანი, რომელიც პარველ ხანებში მათ სასარგებლოდ წყდებოდა, ხოლო ბოლოს დროს დიდად საზარალო შეიქნა. ამასობაში ავღანები, დღე ყოველ თან და თან აუტანელნი ხდებოდნენ. მათ წინამძღოლმა, აზადმა დაიპყრა ურუმის ციხე, სადაც ჰსურდა თავი შეეფარა უკუქცევის დროს. ის დაეპატრონა თავრიზს შუბიანთახში. 1752 წელს ამბობენ, რომ ადერბეიჯანის მეფედ აღიარა თავისი თავიო ემირ ასლან-ხანის მიზაძვით, რომელმაც აგრეთვე იმის წინეთ ეს გვირგვინი თავზე დაიდგა. ამ ავაზაკების მტარვალობა მოედო ყველა იმ მხარეებს, რომელთაც ჰფლობდნენ და ისინი მალე ისე საზიზღარი შეიქნენ თავრიზში, როგორც ყველგან, სადაც კი ხელს დასწვდებოდნენ. ახალი დაპყრობა დაიწყეს მით, რომ თავზარი დასცეს და შეაშინეს თავიანთი მეზობლები, რომელნიც აქამომდე ამ ერს მაწანწალა, ბოგან და

ავაზაკებად რიცხავდნენ, ხოლო როცა ისინი ყველა დიდ ქალაქებს დაეპატრონენ და განიზრახეს ბეჯითი და სამუდამო დაწესებულების დაფუძნება, მკვიდრებმა შეერთება გარდაწყვიტეს და, თუ შესაძლებელი იქნა, ავღანების სრულიად გაუღვტა და დედამიწის პირიდან მათი აღგვა. ყარაბალის, განჯის და შამახის ბეგებმა თეიმურაზთან ლიგა შეჰკრეს. თავრიზის მცხ-ვრებლებმა აღვანების შესაზარელ დარბევას ველარ გაუძლეს და მიუგზანენს ამ მეფეს დესპანები, რომელნიც ოც წარჩინებულ კაცთაგან შეიღებოდა. დებუტაციამ დაუხატა მას სურათი იმათ გატანჯულ მდგომარეობისა და მოწიწებით შესთხოვა თანხმობის განცხადებისა ლიგის შედგენაზე. მოკავშირეთ პლანი ისე დაეწყოთ, რომ თავრიზში უნდა მოეყარათ თავი, სრულიად ამოეფხვრათ აღვანები, და შემდეგ შესულიყვენ დედა ქალაქში და ბოლო მოეღოთ იმ უბედურობისთვის, — რომელმაც მთელი სახელმწიფო უფსკრულის პირზე მიაცენა. იქ უნდა მოეხდინათ არჩევანი მეფისა, რომელიც სეფის სამეფო გვარის ნამდვილი შთამომავალი უნდა ყოფილიყო. მოკავშირეებმა მართლაც წამოაცენეს ასარჩევად ახალი ბატონიშვილი, რომელიც რუსებმა ქართველებს ჩააბარეს. არც სახელი და არც ნამდვილი ამის ჩამომავლობა ვიცი და ამიტომ ველარ განვაგრძებ მასზე საუბარს. მოკავშირეებმა დაადგინეს: თავრიზში თავმოყრის დროს უნდა გამოეკვლიათ სამეფო უფლება როგორც ამ ბატონიშვილისა, აგრეთვე შაჰ-ისმაილისა, — რომელიც ბაქტრიაზელებმა კადეც აღიარეს მეფედ, — და თუ ვინიციობაა, არჩევანი აღარ მოხდებოდა, მაშინ უნდა მიემართათ ძალისათვის, რომელიც გარდასწყვეტდა, ვის დარჩებოდა მეფობა. ხოლო არც კი უხსენებიათ შაჰ-როკი, რომელიც დაბრძალების შემდეგ მეფედ აღარ ივარგებდა.

ეს კავშირი უეჭველად მიზანს მიადწევდა, რომ იმის შედგენელ ხანებს თეიმურაზისთანა ერთგულება და გულწრფელობა აღმოეჩინა. ნამდვილი რიცხვი ავღანებისა ოთხ თუ ხუთ ათასამდე დავიდა შემდეგ ირაკლის მიერ მათი დამარცხებისა ოღუართან და სხვა და სხვა შეტაკებისა, რომელნიც მოუხ-

დათ. ხოლო სხვა ყაზიდები, რომელთაც გაამრავლეს მათი რიცხვი და რაოდენიმე ხანს ჯარი გააძლიერეს, ცხოვრების ყოველ საღსარს მოკლებულნი იყვნენ, გარდა ძარცვა-გლეჯისა და ყოველ დღე გროვებათ დაწანწალებდნენ მას შემდეგ, როცა ავღანებმა მიატოვეს მათზე თავდასხმა; ისინი დამყარდნენ ქალაქებში და განზრახეს იქ დამკვიდრება. ძალიან ადვილი იყო მათი სრულიად ამოწყვეტა, ხოლო ხანებმა იმის მავიერ, რომ დახმარებოდნენ მათ მიერვე შედგენილ შეკრულობას, უღალატეს თეიმურაზს და თვით იმის განზრახვის შესრულებაც ჩაუფუშეს.

თეიმურაზმა საიდუმლოდ შეიტყო ლალატის ამბავი, მაგრამ მაინც არ მიუტევებია თავისი განზრახვა, ხოლო ჯარების თავისს წაყვანამდე მას ჰსურდა ჯერ განჯა დაეპყრა. ირაკლიმ გაილაშკრა თორმეტი ათასი მიედრებათ, რომელნიც შეკრავს ტფილისსა და კახეთში მცხოვრებთაგან, ოსთა და ყაზახ-ბორჩალოელებთაგან. ეს უკანასკნელი ერი დაემკვიდრა განჯასა და ტფილისს შუა. ისინი მუდამ კარავებში ცხოვრობდნენ, ზაფხულობით მთებში იალაღებზე და ზამთრობით ველ-მინდვრებში; ვაჟკაცობით განთქმულნი არიან და მხოლოდ ომიანობას მისდევენ. ეს ჯარი გაძლიერებულ იქნა ერთ ჯგუფ ლეკებთაგან, რომელნიც ქართველებს მიემხრენ წინააღმდეგ თავიანთ მემამულეთა, ჯარი დაბანაკდა განჯასთან. ირაკლი ხშირად შეასვენებდა ჯარს. ლეკების წინამძღოლებმა, რომელნიც ავღანების მომხრეები იყვნენ, მიასწრეს მას თორმეტი ათასი კაციით;—ყოველ ექვს გარეშეა, რომ ისინი მიიწვია განჯის ხანმა, რომელმაც თეიმურაზს უღალატა, თუმცა თითონ ის იყო კავშირის შედგენის ერთი უმთავრესი დამწყებთაგანი. ლეკები დაბინავდნენ უფრო ახლოს ქალაქის სპარსეთის მხარეზედ, ხოლო ირაკლიმ არჩია ერთი ადგილი, რომელიც ერთობ დაშორებული იყო საქართველოზე. რაოდენიმე დღე ჯარები ერთმანეთს შეჰყურებდნენ შეუტაკებლად. ბოლოს ყაზახ-ბორჩალოელებმა და ლეკებმა, ქართველების მომხრეებმა შეაგროვეს ოთხი ათასი კაცი და ეკვეთნენ მტერს,



მაგრამ მათ ძლიერ მედგრად დაუხვდათ ის, რასაც ისინი არ მოელოდნენ. თუმცა ძლიერი მოხერხებული იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუქცეული იყვნენ და ირაკლის ბანაკისაკენ დაიწიეს. მათმა დამარცხებამ დიდი არეულობა მოახდინა ჯარში, რომლისაგამო ის იძულებული შეიქნა უკან გაბრუნებულიყო და თავი შეეფარა ტფილისში. ყაზაყ-ბორჩალოელები და შერიგებული ლეკები განრისხებულნი მით, რომ დააწყებინეს ბრძოლა, რომელშიაც აღარ მიეხმარენ, აჯანყდნენ და ირაკლის ჯარში იქეთი ძარცვა-გლეჯა იწყეს, რომ მტერიც უარესს ველარ ჩაიდნდა. ეს მეფე იძულებული შეიქნა ლტოლვილიყო და ბედნიერად ჩასთვალა თავი, როცა სამი თუ ოთხი ათასი კაცით მიაღწია დედაქალაქს.

გაბრაზებულნი ლეკები, რომელთაც ველარავინ წინააღუდგებოდა, შევიდნენ განჯაში, სადაც ბარბაროსობაში უკან არ ჩამორჩენიათ თავის მოკავშირე ავღანებს და თითქმის კიდევ გადააქარბეს მტარვალობაში. ამ ქალაქში მცხოვრებ ქრისტიანებს მიაყენეს იმგვარივე სისასტიკე, რომელიც ავღანებმა ჩაიდინეს წინა წელში ნახიჩევანის მხარეში. საშინელი სანახავი იყო ამ უბედურების ამოქლეტა. უდიდესი მათი ნაწილი ტყვედ წაყვანეს, მამა ფიდელ ტურინელი, კაპუცინი მოკლულ იქნა სენაკის კარებში და მამა როდოლფი ბრესელი, რომელიც განილტვა მთებში, შეიქნა აგრეთვე ამ ბარბაროსების სიმხეცის მსხვერპლი. იმის გაქცევის შემდეგ არავითარი მისი ამბავი არ მოსულა. ხოლო განჯაში მისია მოჰეს, რადგან ბერები იქ დაბრუნებას ველარ ბედადდნენ. აქ მსურს მოვიყვანო ერთი ანექლოტი, რომელიც კარგად ახასიათებს ირაკლის სასოებას და მართლ-მსაჯულობას. ტფილისის კათოლიკეებმა ააშენეს რამდენიმე წლის წინეთ მშვენიერი ეკლესია, რომელიც შეშურდათ ამა ქვეყნის უმთავრეს სარწმუნოების სამღვდელოებას. ქათალიკოსმა, როცა შეამჩნია, რომ ამ შენობის სიმშვენიერემ წააქარბა სიონის საკათედრო ეკლესიას, ირაკლის ურჩია გალაშქრებამდე აიძულოს კათოლიკეები გაევიცვალონ მათი საყდარი სიონზეო. მეფეს მაშინ უფრო დი-

დი საქმეები აწუხებდა, ვინემ სამღვდლოებთა შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება, სურდა თავიდან მოეცილებინა იმისი წუწუნი და მოუფიქრებლად აღუთქვა კათალიკოსს, დაკაყოფილება, როცა ჩხუბიდან დაბრუნდება. შემდეგ ლეკების მიერ დამარცხებისა, რომელიც ჩასთვალა როგორც ზეცილამ მოვლენილი დასასჯელად იმ უსამართლოებისა, რომელიც მან გულში განიზრახა; ტფილისში ჩასვლი უმაღლ მიმართა კათალიკოსს მწარე ყვედრებით, რომ მან დაიყოლია უსამართლო დაპირებაზე, რისთვისაც ღმერთა დასაჯა; შემდეგ ამისა ფეხშიშველთა ყველა ეკლესიები შემოიარა, სინანულით შეეკედრა უზენაესს მიეტყვებინა მისთვის ის შეურაცხყოფა, რომელიც მიაყენა მას; დაუტოვა კათალიკეებს მათი ტაძარი და მრავალი საჩუქრებით კიდევ გაამდიდრა ის. უკანასკნელმა დაპარცხებამ ძალიან შეამცირა ქართველთა ძალა, და აღარ შეეძლოთ ხელახლად გალაშკრება; მათ ესაქიროებოდათ ჯარების შევსება, დრო ვადიოდა და ზამთარი ახლოვდებოდა. მაშინ თვითონ ირაკლი წავიდა ჩერქეზებთან და სთხოვა მათ დახმარება იმ შევიწროვებულ მდგომარეობაში, რომელშიაც ის იმყოფებოდა; ჩერქეზები ყოყმანობდნენ შემწეობის აღმოჩენას, ისინი შიშობდნენ, ვაი თუ რამე საფრთხეს უმზადებდეს მათ მეფე და უპირებდეს მათ დასჯას იმ მუქარისათვის, რომელიც ამას წინეთ მას შეუთვალეს, საქართველოში შევესევითო. ირაკლიმ ამ მოლაპარაკების დროს ისეთი სიმარჯვე და კეთილგონიერება აღმოაჩინა და ამასთან ისეთი ხელსაყრელი წინადადება მისცა მათ, რომ დაითანხმა მიეტკათ მისთვის ოთხი ადამიანი კაცი, მით თითქმის შეავსო ის დანაკლისი, რომელიც პირველ გალაშკრების დროს მას მოუვიდა, ყოველ ჯარის კაცს ჯამაგირად ექვ ი თუმანი დაუნიშნა და ჩერქეზებს მძევლად დაუტოვა თავისი უფროსი შვილი, რომელიც ეყოლა პირველ ცოლის ხელში, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ ირაკლი ხელმეო-

რედ დაქორწინდა სამეგრელოს დადიანის ასულზე. \*) სანამ ირაკლი საქართველოში დაბრუნდებოდა, ლეკებმა იშოვეს დრო და თავისუფლად განაგრძობდნენ თავიანთ თარეშობას თვით საქართველოშიაც. რადგან მათ ახლა აღარაფერი აბრკოლებდა, მთელ ჩხარეს მოყდვენ, დაარბიეს ყველა სოფლები, რომელზედაც გზათ გაიარეს. ახალციხეში რომ მივიდნენ, ფაშას ნება გ მოსთხოვეს ტყვეების გაცვლისა ფადიშაჰის მიწებზე. ფაშა არ დასთანხმა და უპასუხა, რომ მას ხვანთქრისაგან განსაკუთრებით ნაბრძანები აქვს, რომ ტყვეები არ გაცვალოს. ლეკები ამ უარყოფით დიდათ უკმაყოფილონი დაჩნენ, დაბრუნების დროს დაარბიეს ყველა დაბები და სოფლები თათრის საბძანებელში და ჰსურდათ ტყვეები თავის სამშობლოში, დაღესტანში წაესხათ. ამ დროს ირაკლიმ ჩერქეზების დახმარებით ხელ-ახლად გამოაწყო ჯარი და გორისაკენ მიმართა, სადაც ჰადგი ტელეფი, ლეკების ბელადი, გა მყებული პირველი გამარჯვებით, მას დაცინვით ეპყრობოდა. ირაკლის მამამ, თეიმურაზმა მოისურვა შვილის გაყოლა. ში მარიობისთვის ამ ორ მეფეს ტფილისსა და ბორჩალოს შუა შეხვდნენ ერთი ჯგუფი ლეკებისა, რომელნიც ტყვეებს მიდენიდნ დაღესტანში; ქართველებმა დაამარცხეს ისინი და უმეტესი ნაწილი დახოცეს, ხოლო რომელნიც გადარჩნენ, ისინი სხვა გზას გაუდგნენ შესაერთებლად დანარჩენ თანამემამულეების ჯარებთან. მეფეებმა სდიეს მათ ბორჩალოს მახრამდი, სადაც მათ მტერი უცდიდა. ყაზახ-ბორჩალოელები გადამტერებული იყვნენ ირაკლიზე შემდეგ განჯაში მომხდარ ამბისა და დრტვინავდნენ, ერთობ აუ-

\*) ავტორი შეცდომით სწერს, რომ უფროსი შვილი,—შემდეგში გიორგი III, ირაკლის პირველი ცოლის ხელში ეყოლაო. გიორგი შეეძინა ირაკლის მეორე მეუღლისაგან, რომელიც ზაალ აბაშიძის ასული, სახელად ანნა იყო. ხოლო პირველ ცოლი ქეთევან ვახტანგ ყაფლანიშვილის ასული იყო. დადიანის ქალი, რომელსაც ავტორი იხსენიებს,—განთქმული დედოფალი დარეჯან,—ირაკლის მესამე ცოლი იყო. იხ. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა. პლ. იოსელიანისა გვ. 1 და 2.



ტანელი ხარკი დაგვადგაო. ისინი აჯანყდნ და ლეკებისაკენ  
გადვიდნ.

როგორც კი ირაკლიმ დათვალა იერა მტრის ჯარი, დარ-  
წმუნდა, რომ რიცხვით ის გაცილებით მეტი იყო იმისაზე.  
წინეთ ნამბობმა შექძოლვამ ლეკების ორ ჯგუფთან რამდე-  
ნადაც შეამცირა მისი ძალა, იმდენად შემატა მტრის რიცხვს;  
მას მხოლოდ შეიდიდან რვა ათას კაცამდი დარჩა, რომლის  
რიცხვში შედიოდა ოთხი ათასი ჩერქეზიც. ის დაემხო მიწაზე  
შესავედრებლად უფლისა და შემდეგ მხურვალე ლოცვისა, მან  
დააწყო ჯარი, სიტყვით განამხნევა ისინი, მოაგონა წინანდ-  
ელი მათი გამარჯვება ლეკებზე და არწმუნებდა, რომ მტრის  
დამარცხება მოუცილებლად საჭიროაო. მას არც კი გაათავე-  
ზინეს სიტყვა და ჯარის კაცებმა, გამხნეებულებმა ახალგაზდა  
მეფის დასწრებით და იმის შეუღრეკელი მამაცობით,—რო-  
მელმაც ხშირად წინეთ მათ გამარჯვება მიანიჭა,—ერთხმად  
იგრიალეს, რომ მხათ არიან იერიშის მისატანად და თავს შეს-  
წირვენ მისთვის. მან იქვე დაჰყო თავისი ჯარი სამ ნაწილად,  
რომელნიც ერთხმად უნდა თავს დასხმოდა მტერს. ბრძოლის  
დაწყების დროს მტერმა მოაჩვენა თავი, ვითომც გაიქცა, რი-  
თაც განიზრახეს ირაკლის გატყუება იმ ადგილზე, სადაც დიდ-  
ძალი ჯარი ჩასაფრებულიყო და რომელმაც ისეთი იმძლავ-  
რით უკუაქცია ქართველები, რომ ისინი შეირყენ და იწყეს  
ლტოლვა. ირაკლი სრულიად არ აშფოთებულა, თავი მოუყა-  
რა ჯარს და ხელახლა შეუტია მტერს. მეფის ჯარმა გააორ-  
კეცა თავისი სიმხნევე და მეორედ ეკვეთნა ლეკებს ისეთი სიმ-  
ძლავრით, რომ მათ ვეღარ შესძლეს ომის ველზე თავის შე-  
მაგრება, გაიქცნენ და მალე სრულიად ამოჟღერებულ იყვნენ; სა-  
შინელ სანახავს წარმოადგენდა მათი ამოწყვეტა. გახურებულ  
ბრძოლის დროს ირაკლი ხელდახელ შეება ჰადეოტელეთის  
შვილს და სასიკვდილოდ დასკრა ის. ქართველებს დარჩათ  
ომის ველი, მტრის ბანაკი და ბარგი-ბარხანა. ათას ხუთასი  
მონა განთავისუფლებულ იქნა. ამ ბრძოლაში ლეკებმა დაჰ-  
კარგეს შეიდიდან რვა ათას კაცამდე, ხუთი ასი კარავი, ათას

ხუთასი ჯარის კაცი, მთელი თავისი ბარგი-ბარხანა და მთელი არტილერია. გამარჯვებულნი ორ ნაწილად გაიყვნენ; ერთი მათგანი ორი დღის განმავლობაში სდევდა გაქცეულებს და ამოსწყვიტა უდიდესი მათი რიცხვი, რომელიც წინანდელ ბრძოლას გადარჩა. ხოლო ჯარის მეორე წყობა შევიდა ასაკლებად ყაზახ-ბორჩალოში მათის აჯანყების ჯავრის ამოსაყრელად. ჩერქეზებს მოუკლეს ამ ბრძოლაში მათი ბელადი, მაგრამ მათ ხელთ იგდეს და დაატყვევეს ლეკების ერთი წინამძღოლი. იმის დასახსნელად ლეკებმა ყველა ღონისძიება იხმარეს და გამოსასყიდლად დიდ ძალი ფული შეაძლიეს; მაგრამ ჩერქეზები შეუწყნარებელნი დარჩენ: წათ მიიყვანეს ეს ბედკრული იმ ადგილზე, — სადაც იღვა იმათი ბელადის გვამი, — ვითომც მას დაანაცვალეს და ძორზე დააკლეს. ვინაიდან ირაკლი გრძნობდა, რომ ამ ბრძოლაში სრული გამარჯვება მან ჩერქეზების დახმარებით მოიპოვა, ჰსურდა მადლობა გარდესადა და მტრის მთელი ნადავლი მათ აჩუქა. შეიძლება პოლიტიკური შეხედულობაც მოითხოვდა მისგან ამ დიდ სულოგნობას და მას ჰსურდა დაეკმაყოფილებინა და მიემზრო ის ერები, რომელთაც, იმის ჰაზრით შემდეგში, დიდი დახმარების აღმოჩენა შეეძლებათ. ჩერქეზები ასეთი მოპყრობით ისე მადლობელნი დარჩენ, რომ ბოლოს სრულიად დაენდვნენ მას და აღუთქვეს ოცი ათასი კაცით შეწევნა, როცა ის მოითხოვს. უეჭველად ირაკლიც მალე ისარგებლებს იმათი დაპირებით. სასიქადულო გამარჯვების შემდეგ ირაკლი მამითურთ დაბრუნდა ტფილისს. როგორც კი მეფეები მიუახლოვდნენ ქალაქს, ჩამ ხტენ თავის ამალთაურთ ცხენებიდან და ფეხ შიშველნი გაემართენ საკათედრო სიონის ტაძარში, სადაც საჯაროდ წირვა მოისმინეს და მადლობა შესწირეს უფალს გამარჯვების მინიჭებისთვის. მთელი ტფილისის მკიდრნი დახვდნენ იქ მეფეებს. ცერემონიის შესრულების შემდეგ, როცა მეფენი წაბრძანდნენ თავის სასახლეში, ვაშა-ვაშას შეყვიროდა და სასიხარულო შეძახილით მიაჯილა ისინი სასახლემდით. ირაკლიმ რაოდენიმე დღე დაჰყო ტფილისში, დაპირებისა მებრ დაურიგა ჩერქეზებს



ჯამაგირი და შინ გაისტუმრა, სადაც იქონი მუდამ ამ მეფის ვაჟაკობასა და დიდსულოვანებას ქებას ასხამენ. ტფილისილამ ირაკლი კახეთს წავიდა ოჯახის სანახავად, რომელიც მან იქ დააბინავა. ტფილისში ის ნოემბერში დაბრუნდა. ლეკების წინამძღოლს, რომელიც დამარცხების შემდეგ შინ წავიდა, ხელახლად შეეგროვებინა ჯარი შვიდ თუ რვა ათას კაცამდე, დაბანაკებულიყო იმ მთის ძირს, რომელიც დაღესტანს და კახეთს ჰყოფს, და სურდა ხელახლად შებრძოლებოდა, ხოლო ირაკლიმ მიიღო რა მხედველობაში, რომ ზამთარი მოახლოვებულიყო, გალაშქრება გადადვა გაზაფხულამდე.

ლეკების დამარცხებამ ისე დაასუსტა ავღანები, რომელთა რიცხვი შეამჩნევად შემცირდა მოკავშირე ყაჩაღების ჩამოცლით, რომ მათ საუმჯობესოდ სცნეს ზავის ჩამოგდება არაკლისთან. მათმა წინამძღოლმა, აზადმა გადასწყვიტა თავი დაეკრა მისთვის და აღერულებინა ყოველი პირობა მეფისა.

ირაკლიმ მოისმინა მისი ვედრება და ზავი ჩამოვარდა მათ შორის. ავღანებს არ შეეძლოთ არაქ ის გამოლმა გამოსვლა და არც ერეგნის მხარის აკლება; ხოლო მათ უნდა მშვიდობიანად ეცხოვრათ ამ მდინარის გაღმაც, ურუმის მხარეში. ამ შერიგებამ ცოტაოდენი თავისუფლება დაამყარა აღებ-მიცემობაში; რაოდენიმე ქარავანი გავიდა აბრეშუმით დატვირთული, რომელიც მათ განჯის მიდამოებში შეკრიბეს. ოსმალოს ქარავანებში ოცნებობდნენ, რომ მალე გილანის აბრეშუმეულობასაც ენახავთ, თუმცა რაოდენიმე წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ის სხვა გზით, კასპის ზღვით გარდააქვთ.

### თავი მეექვსე.

სპარსეთის და საქართველოს მდგომარეობა წლეუანდელ 1753 წელს.

1753 წ. გაზაფხულზე ომის დიდ სამზადისს და მომარაგებას შეუდგენ ტფილისსა; ირაკლი გორს მივიდა და განიზრახა ამ ადგილის გამაგრება შესაკავებლად ლეკებისა, რომელნიც

კავკაზიის ქედზე გადმოდიოდნენ საქართველოში შემოსასვლად. ამ ამბავით გაჯავრებულმა ლეკებმა დაარბიეს კახეთის რაოდენიმე სოფელი.

ირაკლი თავის მიზნის მისაღწევად განიზრახა ამ ერის სრულიად ამოფხვრა. ის დარწმუნებულიყო, რომ ფიქრშიაც ვერ გაივლებდა რაიმე დიდ სახელმწიფო საქმის დაწყებას, სანამ მათ ერთბაშად თავიდან არ მოიცილებდა. მარტში ამის შესახებ ტფილისში დიდი თათბირი გამართეს და დაადგინეს, რომ ირაკლი წასულიყო თორმეტი ათასი კაცით განჯაში, ხოლო თეიმურაზი უნდა დარჩენილიყო ტფილისში ექვსი ათასი ჯარით ქვეყნის დასაცავად მტრის თავდასხმისაგან. საქართველოს საქმეებმა უკეთესი მიმართულება მიიღეს, ყაზახ-ბორჩალოელებმა შეიგნეს თავისი მოვალეობა, შეფიცეს მეფეს ერთგულებაზე და ნიშნად მათის დამორჩილებისა მძევლად მიართვეს ორმოცი კაცი წარჩინებული გვარისა. ავღანების წინამძღოლი ახალი არ დაკმაყოფილდა მარტო შერიგებით; მან თავრიზი და ყველა თავისი მაზრები ირაკლის დაუმორჩილა; ისიც ითხოვა, რომ ნება დართოს შეეერთდეს მას და გაჰყვეს იმის ჯარს განჯაში. იენისის თვეში საქართველოს კათალიკოსი ელჩად გაგზავნეს რუსეთში; როგორც ამბობენ, მას დიდად მნიშვნელოვანი მინდობილობა აქვს, მაგრამ არ იციან-კი რით დაბოლოვდება ეს საქმე.

სპარსეთის შინაგანი მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ადრე. ისწაილ შაჰ გვარიან მშვიდობიანად მეფობს სატახტო ქალაქში; ყველა ხანები მართავენ თავიანთ მაზრებს, ვითარცა დამოუკიდებელნი მთავრები და ეს ვრცელი იმპერია ამიერიდგან მრავალ კანტონების გროვას უფრო წააგავს, სადაც ყოველი კაცი ემორჩილება თავისს განცალკევებულს ბატონ-ბატონს.

სეფის გვართა შთამომავალი ბატონიშვილი, რომელიც რუსებმა გარდასცეს ქართველებს, ისევ კახეთშია შეხიზნული, მისი სპარსეთის ტახტზე ასვლა, უეჭველად, ხელსაყრელი საქმე იქნება ირაკლისათვის, თუ მან განიზრახა ამ სამეფოში დამყა-

რება. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ შინ შეჰკრიბა საკმაოდ  
ძალა და ან თუ იშოვა საკმარისი დახმარება თავის მოკავში-  
რეებში. მაშინ ის შეუდგება თავის განზრახვის შესრულებას,  
რომელიც მან 1752 წ. გამოაშკარავა, როცა ხსენებული ლი-  
გა დაირღვა.


ასეთია ნამდვილი სურათი სპანსეთის და საქართვე-  
ლოს თანამედროვე მდგომარეობისა. ამ თხზულებას ვასრულებ  
პიროვნების დასურათებით ირაკლისა, რომელიც დღეს პი-  
რველი და ყველაზე მძლავრი პირია ამ ორ სახელმწიფოში.  
ყველა, ვინც-კი იცნობს ამ მეფეს, გვარწმუნებს, რომ იმისთა-  
ნა ყოველ ნაირ ნიქით სავსე კაცი აღმოსავლეთში არ მოი-  
პოვებაო, რომ ბადალი მას არავინ ჰყავსო, ის ოცდაშვიდი  
წლისაა; შეეჟულია როგორც სრული ქკუით, აგრეთვე კეთილ-  
გონიერებით და გამოცდილებით, რომელიც აღემატება მის  
წლოვანებას; საარაკო ვაჟკაცია, სამაგალითო ღვთის მოსავეი,  
შეურყვეველი მართლ-მოსამართლე და საკვირველი მოქალაქე-  
ობაც აქვს. თავისი ქველობის მეოხებით ის თაყვანის საცემე-  
ლი შეიქნა ერის და ჯარისათვის და დაიმსახურა მეზობლების  
განუსაზღვრელი პატივისცემა, ხოლო მტრებს შიშის ზარი  
დასცა. საკმაოდ სრული ტანის პატრონია და ახოვანი\*), სა-  
ხით სილამაზეს მოკლებული არ არის. მიხვრა-მოხვრაში და  
ტანსაცმელში მარტივია, ხოლო მთელ მის პირადობაში იხა-  
ტება რაღაც დიდებულების იერი, რომელიც გვიმტკიცებს,  
რომ ის ნამდვილი მეფეა თავის სასახლეში და სარდალი თავის  
ჯარში. ამ მეფეების სახელი და დიდება ყველას მიერ აღიარ-  
ებულია. მათ არა ჰყავთ არც პოეტები და არც ისტორიკო-  
სები, ისინი შემკულნი არ არიან იმ გაზვიადებულ მეტ სახე-  
ლებით, რომელთაც მეფეებს დაარქმევენ ხოლმე და რომელთაც  
ცხოვრება ჰპადავს, ხოლო კემშარიტება აქარწყლებს. დედა

\*) ეტყობა ავტორს განავონით დაუწერია ეს ირაკლის ახოვანება.  
ირაკლი მორჩილი ტანისა იყო. ტყუილად კი არ უწოდებენ მას „პატარა  
კახად“.

ქალაქში მათ სასახლეში მცირე რიცხვი კარის კაცები ჰყავთ, მთელი ჯარი საომრად ჰყავთ გაწრთენილი და არა მოსაგერებლად. \*) როგორც კეთილი, ისე ცუდი მათი მოქმედება საჯაროდ სწარმოებს, ყველას შეუძლია მათი დანახვა. ყველა ქვეშევრდომს და ჯარის კაცს ნება აქვს მათი აწონ-დაწონვისა. ყველა ამაში, რაც კი წარმოვსთქვი ირაკლიზე, ერთი იოტის ოდენიც არაფერია გაზვიადებული. რას არ უნდა მოველოდეთ მომავალში ამ მეფისაგან, რომელიც შემკულია ამნაირი ქველობით და ამასთანვე ორ დიდ სამეფოს ჰფლობს—საქართველოს და სპასეთის სომხეთს და რომელსაც აქვს ის უპირატესობა, რომ წინაუძღვის აღმოსავლეთის ორს უამაცეს ერსა, ხოლო ამ ორ ერთა მეფის სიყვარულს და ქრისტიანულ სარწმუნოების სასოებას შეუძლიათ დიადი განზრახვების სისრულეში მოყვანა აღმოსავლეთში.


\*) შინაური მტრებისა. ავტორი აქ უთუოდ საფრანგეთის მეფის კარს იგულისხმებს.

გენეალოგიური შტო კახეთის მეფეებისა.



1) კოსტანტინე ავი, შამის და ძმის შვილები.

## გენეალოგიურა შტო ჭართლას მეფეებსა.



1) ♀ ს მონ II, ბაგრატ V, საბარ. თნოს ბატონისშვილი იყო და—დაუთხანის შვილის შვილი. 2) დავით-ხანი. 3) ეს 18 წლისა მოკვდა ყარაიხაზში. 4) როსტომი ხოსრო-მირზა 1634—1658 წელს. 5) 1658—1676 წ. 6) ანუქაჲ 7) გიორგი XI. 8) ქაიხოსრო. 9) ვახუშტი. 10) † 1558 წ.



## წმილობი საქართველოს ისტორიიდან

### II

#### ფარნავაზ-მეფე

„ქართლის მაქცევის“ მოწმობით, აზოს შემდეგ ტახტზედ ავიდა ფარნავაზ: „ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოჲ... და მოკვდა; და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ; ამან აღმართა კერპი დიდი ცხვირსა ზედა (მთისასა) და დასდვა სახელი მისი არმაზი; და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქევან არმაზ.“<sup>47)</sup>

ასეთია ჩვენი ქრონიკის ლაკონიური მოთხრობა მეორე ქართველ მეფის შესახებ „მცხეთის“ პროვინციაში. სამაგიეროთ „ქართლას-ცხოვრებას“ ცნობები ამავე მეფის შესახებ საკმაოდ ვრცელი და მრავალ-მხრივია. სამწუხაროთ, ამ ვრცელ ცნობებში ბევრი ნაკვიანები მინამატი და ისტორიული შლამ ტალახია ზედ მიყრილი, რისგამოც მეტათ ძნელი ხდება იმისი გარჩევა, თუ ამ ცნობათაგან რომელია ნამდვილი ისტორიული გარდამოცემა და რომელია უბრალო ზღაპართქმულება. რა თქმა უნდა, ამ ცნობათაგან ჩვენ მარტო იმ ცნობებს ავირჩევთ, რომელნიც იმავე „ქართლის-ცხოვრებისა“ და „ქართლის-მოქცევის“ დანარჩენ ცნობებს არ ეწინააღმდეგებიან და მსოფლიო ისტორიის ფაქტებთანაც ადვილ-შესათანხმებელი არიან.

<sup>47)</sup> სამი ისტორიული ხრონიკა. გამოც. ექ. თაყაიშვილისა. 1890 წ. ტფილისი. გვ. 5.

ჩვენს კრიტიკულ მიმოხილვას ფარნავაზის ჩამომავლობიდან დავიწყებთ. „ქართლის-ცხოვრების“ გადმოცემით, ფარნავაზი იყო ძმისწული მცხეთის უკანასკნელ მამასახლისისა და მოსისხლე მტერი თავის წინამოადგილის აზონ-მაკედონელისა, რომლის დამარცხების შემდეგაც მან თვით დაიპყრო საქართველოს ტახტი და თავი მეფედ გამოიცხადა.<sup>48</sup>) არც ერთს ამ ცნობას „ქართლის-მოქცევის“ ქრონიკა არ ეთანხმება, რადგან აზონ იგი თვლის ირა მაკედონელად, არამედ ქართველად (= „ქარღუ-ელად“), ხოლო ფარნავაზს არა აზონ მტრად და პირველ მეფედ, არამედ მეორე ქართველ მეფედ „მცხეთასა შანა“ და აზონ მშვიდობიან მოადგილედ. ორივე წყარო მართო იმაში ეთანხმება ერთმანეთს, რომ ფარნავაზი აზონს შვილი ან ანას. მართალია, „ქართლის-მოქცევა“ ამ საგანზე ზარდაზან არას ამბობს, მაგრამ როდესაც იგი აზონს სამ ალაგას უწოდებს არანის „შედ“, ხოლო ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების შესახებ ამასვე არა შერევა, ამით საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფარნავაზი თავის წინა მოადგილის „ძე“ არ ყოფილა, თორემ, უეჭველია, „ქართლის-მოქცევის“ ქრონიკა ამ ფაქტსაც მოიხსენებდა. ერთი სიტყვით, გადაქრით შეგვიძლია ეტყვათ, რომ ფარნავაზი აზონს ძე არ არის, მაგრამ, თუ ქართლის-მოქცევას დავემყარეთ, იგი არც მტრდაა აზონი. მაშ ვინ არის იგი? სანამ ამ კითხვაზე რაიმე გარკვეულ კასუსს წარმოვთქვამდეთ, საჭიროდ ვრაცხთ ცოტა განზე გადავუხვიოთ და მკითხველს მოკლეთ გავაცნოთ ის საზოგადო დასკვნანი, რომელთაც მიიღწია ჩვენმა საისტორიო მეცნიერებამ უუძველესი პერიოდის ქართველ მეფეთა ტახტის-მემკვიდრეობის წესის შესახებ. სახეში გვაქვს ჩვენი ახალგაზდა მეცნიერის ბ. ნ. ი. ჯავახიშვილის გამოკვლევა: „Государственный строй древней Грузии и древней Армении“ (т. I. С.—Петербургъ. 1905). ამ თხზულების უმთავრესი დასკვნანი დამყარებულია სტრაბონის ცნობასა და, სხვათა

48) ქართლის—ცხოვრება. ზაქ. ჭიჭინაძის გამოცემა. I, გვ. 35—36.

შორის, ჩვენი მატეანის „ქართლის-ცხოვრების“ უუძველეს ნაწილის კრიტიკულ შესწავლაზედ.

„ქართლის-ცხოვრების“ ეს ნაწილი, რომელშიაც ჩვენი ძველი დროის მეფეების თავგადასავალია მოთხრობილი ვაგტანგ გორგასლანამდე, შედგენილი ყოფილა ლეონტი მროველის მიერ, დაახლოვებით VIII—IX საუკუნეში.<sup>49)</sup> ამ ისტორიკოსს უძველეს ადგილობრივ წყაროებს გარდა ხელში ჰქონია, აგრეთვე, ერთ-ერთი ვარიანტი სირიულ თხზულები-სა: „ქვაბი საგანძური“ (= „Пещера богатств“), რომლის შე-დგენაც, შეცდომით, ცნობილს ფერემ-ასურელს მიეწერება და რომელშიაც ქვეყნის გაჩენის ისტორიასთან ერთად მოთხრობილი ყოფილა პირველი მართველებისა და მე-ფეების გაჩენის ისტორიაც.<sup>50)</sup> ამ თხზულების გადმოცე-მით, პირველი მეფე და მართველი კაცთა საზოგადოე-ბისა ყოფილა ადამი, რომლის შემდეგაც ესევე თანამდე-ბობა მისსავე შვილს სეთოს რგებია, ხოლო სეთოს შემდეგ—უკანასკნელის შვილს ენოქსა და, ასე თან მიყოლით, სამეფო უფლება მამიდან უფროს შვილზე გადასულა.<sup>51)</sup>—აი, ამ თხზულებას ჰქონებია დიდი გავლენა ჩვენი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის, თვალ-საზრისზე, რითაც ადვილათ აიხსნება ის მოვლენა, რომ „ქართლის-ცხოვრების“ უუძვე-ლეს ნაწილში თითქმის ყოველი ახალი მეფე—ან მისი წინა-მოადგილის შვილად არის გამოყვანილი ან შვილი—შვილად, ე. ი. ტახტას მემკვიდრეობა ზარდაზარს ხაზს მისდევს, და ეს წესი ირღვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო-ში შფოთი და არეულობაა.<sup>52)</sup>

მაგრამ დოკუმენტალური ცნობანი მსოფლიო გეოგრა-ფის სტრაბონისა (66 წ. ქრ. წინ და 24 წ. ქრ.

49) И. Джаваховъ, *Государ. строй...* стр. 11 (приложение) и 13.

50) Ibidem, стр. 26—27. ეს „ქვაბი საგანძური“ „ზრგვიანო“ ვერცხ-მკვლევარს, შეცდომით, „ნებროთის წიგნად“ მიაჩნია.

51) Ibidem, სტრ. 20—23.

52) Ibidem, стр. 24.



არ ეთანხმება ჩვენი ისტორიკოსის ამ მწიგნობრულს შეხედულობას. სახელდობრ, ივერიელების შესახებ სტრაბონი სწერს: მათი ქვეყანა ოთხი გვარი ხალხითაა დასახლებული და „უპირველესი მათგანია ის გვარი, რომლიდანაც მეფეებს აღგენენ, უახლესსა და (გარდაცვალებულ მეფის შემდეგ) ხნოვანობით უველასე უუხუცესსა“<sup>53)</sup> ანუ, უფრო მდაბიურათ რომ გამოვსთქვათ, პირველ საუკუნეში ქრისტეს წინ ქართველებში მეფის ტახტს იქერდა წლოვანობით ყველაზე უფროსი და გარდაცვალებულ მეფესთან ნათესაური კავშირითაც ყველაზე მეტათ დაახლოვებული წევრი სამეფო საგვარეულოსი; ამასთანავე მეფეს „ადგენდენ“ ე. ი. ტახტზე ასასვლელად არ კმაროდა მარტო ზემოთ დასახლებული ორი პირობა (გარდაცვალებულ მეფესთან ნათესაური სიახლოვე და ხნოვანებით უფროსობა), არამედ ამასთანავე აუცილებლათ საჭირო იყო მთელი ხალხის ან მისი უუძლიერესი ჯგუფის მიერ სამეფო კანდიდატის მოწონება და ამორჩევა. მთელი ეს წესი ტახტის-მემკვიდრეობისა პირდაპირი ნაყოფი იყო იმ „საგვაროვნო წყობილებისა“, რომელიც, იმავე სტრაბონის სიტყვით, თანაბრათ გაბატონებული იყო ქართველი ხალხის როგორც ეკონომიურს, ისე საზოგადოებრივსა და პოლიტიკურს ცხოვრებაში. საგვაროვნო წყობილება კი იმდენათ უფრო ძლიერია, რამდენათაც იგი უუძველეს საფეხურზედა სდგას, ე. ი. რამდენათაც იგი უძველეს დროს ეკუთვნის. მაშასადამე ის წესი ტახტის-მემკვიდრეობისა, რომელსაც სტრაბონი აგვიწერს, უუძველეს დროში უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, ვინემ მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხის პოლიტიკური ცხოვრება რომაელებისა და სპარსელების გავლენას დაემორჩილა. მართალია, ჩვენი მეფობის ხან-

<sup>53)</sup> მოგვყავს ბ-ნ ჯავახიშვილის თარგმანით: „Четыре рода (γῆνη) людей насляютъ страму; одинъ и первый изъ нихъ, изъ котораго ставятъ царей, по близости и возрасту самаго старшаго (послѣ умершаго дая.)“ („Государств. строй др. Грузіи...“ стр. 8. Сравни. Ганъ, Известія... I, стр. 68).-

გრძლივს ისტორიაში ხანდახან უნდა გამორეულიყო ისეთი შემთხვევები, როდესაც გარდაცვალებულ მეფის შემდეგ „უუბუცეს და უახლოეს“ კანდიდატთა შორის მეფის საგვარეულოდან ყველაზე უფრო სასურველი და ხალხისათვის „მოსაწონი“ გარდაცვალებული მეფის შვილიც იქნებოდა, ასე რომ შესაძლოა ზოგჯერ, გამონაკლის სახით, პირდაპირ მეფის შვილზედაც გადასულიყოს სამეფო ღირსება, მაგრამ საზოგადოთ კი საფუძველი გვაქვს ვადაპრით დავასკვნათ, რომ ჩვენი ისტორიის უუძველეს ხანაში ასეთს გამონაკლს ძლიერ იშვიათად უნდა ვპოვნოდა ადგილი. ამ დასკვნას საფუძვლით ვთანხმება შატბერდისეული ქრონიკა „ქართლის მოქცევისა“, რომელშიაც ჰარდაზიძე მემკვიდრეობა (მამიდან შვილზე ან შვილიშვილზე) მეფობის დასაწყისიდან მის მოსპობამდე (VI საუკუნეში ქრ. შემდეგ) მართა ოთხჯერაა ნაჩვენები, სახელდობრ არანის შემდეგ ძე მისი აზო, ლევის შემდეგ — ძე მისი მირიან, მირიანს შემდეგ მისი შვილიშვილი ბაკურ II და დაჩი უყარმელს შემდეგ — მისი ძე ბაკურ IV. —<sup>54</sup>) ცხადია, სხვა მეფეებს პირდაპირ მამისაგან არ მიუღიათ სამეფო ტახტი, თორემ ქრონიკა ამასაც აღნიშნავდა.

ახლა შეგვიძლია დაახლოებით მივიკვლიოთ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ჩამომავლობით მეორე ქართველი მეფე ფარნავაზი, რომელიც, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, არც ძე იყო თვისი წინამოადგილისა და არც მისი შტოში. ჩვენის აზრით ფარნავაზი უნდა ყოფილიყო ახლად დაარსებულის სამეფო საგვარეულოს „უუბუცესი“ წევრი აზოს შემდეგ, ე. ი. სამეფო გვარის „მამასახლისი“, რომელსაც გვარის მამასახლისობასთან ერთად თავის წინამოადგილისაგან სრულიად საქართველოს „მეფე-მამასახლისობაც“ უნდა მიეღო; მაშასადამე, ჩვენ სრულიად უარყყოფთ იმ თქმულებას, ვითომც ფარნავაზი ბავშობისას აზოსაგან დევნაში გაზრდილიყოს, შემდეგ,

<sup>54</sup>) „სამი ისტორ. ხრონიკა“ ე. თაყაიშვილისა. ტფ. 1890 წ. გვ. 4. 11. 22. 31.

ქაბუკობისას, სადღაც მთებში მთელი ხაზინა ეპოვნოს და აზოხათვის სასტიკი ბრძოლა აეტეხნოს; უარყოფთ, აგრეთვე სულხან ბარათაშვილის იმ აზრსაც, ვითომც ეს მეფე „მცხეთის ან ივერიის უკანასკნელი სატრაპის შვიდი (ან ძმისწული)“ ყოფილიყოს.<sup>55</sup>) ეს უკანასკნელი აზრი იმდენათ ორიგინალურია, რომ არ შეგვიძლია მის გასარჩევად ცოტა ხანს მაინც არ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ს. ბარათაშვილის პიპოტეზა ასეთია: მას მოჰყავს უკრიტიკოთ მოსე ქორენელის მოწმობა, ვითომც „დატუვუგუბულ ივერიელუბის“ უფროსობა ალექსანდრე-მაკედონელს დარიოზ კოდომანის სატრაპის, მიპრდატისათვის, ჩაებარებოს;<sup>56</sup>) ამ მოწმობიდან გამოაქვს ის დასკვნა, ვითომც ეს „სატრაპი მიპრდატი“ ალექსანდრე მაკედონელამდე „ივერიის სატრაპი“ ყოფილიყოს; შემდეგ მოიგონებს, რომ ეს მიპრდატი 317 წელს ანტიგონთან ბრძოლაში მოიკლაო; ამას უფარდებს „ქართლის-ცხოვრების“ თქმულებას, ვითომც ფარნავაზი მცხეთის უკანასკნელი „მამმსახლისის სამარას ძმისწული“ ყოფილიყოს, რომელიც (სამარას ძმა) ალექსანდრესთან ბრძოლაში მოიკლაო, — და უკანასკნელ დაასკვნის, რომ „ფარნავაზი ყოფილა მცხეთის ან ივერიის უკანასკნელ სატრაპის შვილი, რომელიც (სატრაპი) მოკლა ანტიგონმა და არა ალექსანდრემო“.

როგორც ვხედავთ, განსვენებულ ისტორიკოსის სურვილი ყოფილა, მოსე ქორენელის თქმულება და ჩვენი მატიანის გარდამოცემა შეეთანხმებია. მაგრამ, როგორც ვიცით, ალექსანდრე მაკედონელი არამც თუ მცხეთაში, კავკასიაშიაც არ შემოსულა; მაშასადამე, ვერ ვაგვიგია, თუ როდის და რა

<sup>55</sup>) ს. ბარათაშვილი. საქართველოს ისტორია. რვეული I. გვ. 38-40. ქუთაისი. 1895 წ.

<sup>56</sup>) ნახ მოსე ქორენელის „Исторія Арменіи“ перев. Эмина. Москва. 1893 г. стр. 64: „Онъ (Арташесъ) выдаетъ дочь свою, Арташесу, за нѣкоего Михрдата, великаго бдотха Иверійскаго, происходящаго отъ Михрдата, сатрапа Дареха, поставленнаго Александромъ надъ плтнныни Иверіицами“.

სახით უნდა დაეყენებია მას „დატყვევებულ ივერიელებისათვის“ უფროსად დარიოზის სატრაპი მიჰრდატი?! ამას გარდა, ჩვენი ისტორიკოსი მოსე ქორენელი მიაწერს, ვითომც ამას ეთქვას—აღნიშნული მიჰრდატი „დარიოზის უკანასკნელი სატრაპი იყო აბერაშაი“ (ბარათაშვილის „საქ. ისტ.“ I, გვ. 38). მაგრამ მოსე ქორენელი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ალექსანდრემ ტყვედ-წაყვანილ („ПЛЕННЫЕ“) ივერიელებს დაუყენა უფროსად დარიოზის სატრაპი მირდატიო და არა თვით ივერიაში ჩააყენაო; ამასთანავე მოსე ქორენელი არც იმას ამბობს, ვითომც ეს ივერიელები თვითონ ალექსანდრეს დაეტყვევებოდა; პირიქით, მეორე ადგილას იგი პირდაპირ აცხადებს, რომ ის ივერიელები, რომელთაც ალექსანდრემ დარიოზის სატრაპი მიჰრდატი დაუყენა უფროსად, ნაბუქადონოსთანაა იყვენ ტყვედ-წაყვანილი და პანტის ზღვის (= შავი ზღვის) სსმხრეთით დასახლებულნი.<sup>57)</sup> ამიტომ ჩვენ ვერ შეგვიწყნარებია ის აზრი, ვითომც მოსე ქორენელის „მიჰრდატი“ დარიოზის უკანასკნელი სატრაპი ყოფილიყოს ივერიაში; მით უმეტეს შეუწყნარებლად მიგვაჩნია ის აზრი, თითქოს ფარნავაზი ამ მიჰრდატის „შვილი“ ან „ძმისწული“ ყოფილიყოს.

რაც შეეხება „ქართლის-ცხოვრების“ თქმულებას ახალგაზდა ფარნავაზის მიერ ნადირობის დროს გამოქვამულში დიდძალი განძის პოვნის შესახებ, ეს თქმულება, როგორც ბ. ნ. მარტი ამტკიცებს, თვით წვრილმანებშიაც-კი ერთი

<sup>57)</sup> აი ეს ადგილი: „Михрдата, сатрана Дареха, привелъ Александръ и поставилъ правителемъ надъ пленными Иверійцами, приведенными Навуходоносромъ о чемъ такъ повѣствуетъ Абиденъ: Великомошный Навуходоносръ былъ могущественнѣе Ливійскаго Гераклеса; онъ, собравъ войско, нападаетъ на страну Иверовъ, разоряетъ, покоряетъ ее подъ власть свою и нѣкоторую часть ея жителей отводитъ и поселяетъ на правомъ берегу Пантійскаго моря на западъ“. (Монс. Хоренскаго. „Исторія Арменіа“. стр. 59).

სპარსული ზღაპრიდან ყოფილა „ნასესხები“<sup>58</sup>). ხოლო რაც შეეხება იმავე მატიანის მეორე თქმულებას აზონთან ფარნავაზის ბრძოლის შესახებ, ესეც, ჩვენის ფიქრით, ნასესხები უნდა იყოს რომლისამე სპარსული გარდამოცემიდან ბრწყინვალე ღმერთის აპურა-მაზდის (== „ორმუზდის“ ანუ ქართული „არმაზის“) ბრძოლის შესახებ არიმანთან და მის ბნელ ძალებთან, რადგან, როგორც ბ-მა ნ. მარმა დაამტკიცა, ზენდურიდან გადმოქართულებული სიტყვა „ფარნავაზ“ ორმუზდის ერთ-ერთი ეპიტეტია („quarenaguastema“ == „ფრიად ბრწყინვალე“)<sup>59</sup> და, ამიტო, საფიქრებელია, ჩვენს მემატიანეს ამ „ფრად ბრწყინვალე ორმუზდის“ შესახები სპარსული თქმულება ჩვენი მეფის „ფარნავაზისათვის“ მიეწეროს. ჩვენს მოსაზრებას სავსებით ამართლებს ის გარემოება, რომ, როცა ჩვენი მემატიანე ფარნავაზის მიერ „არმაზის“ კერპის ამართვაზე მოგვითხრობს, თან დასძენს, ვითომც ამ კერპისათვის ფარნავაზ-მეფეს თავისი საკუთარი სწარსული სახელი დაერქმიოს. რადგან „ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვაო“.<sup>60</sup> უეჭველია, ჩვენს გულ-უბრყვილო მემატიანეს სპარსული ღვთაების არმაზის (== „აპურა-მაზდის“) ეპიტეტი (ბოლო მოკვეცილი „quarenaguastema“) ჩვენი მეფის ფარნავაზის სახელად მიუღია და ამ ღვთაების ცხოვრებიდან ამოღებული ერთ-ერთი ეპიზოდი ისტორიულ ფარნავაზისათვის მიუწერია.

მაგრამ ჩვენ არ უარვყოფთ ჩვენი პირველ-წყაროების იმ თქმულებას, რომელიც ფარნავაზს ორმუზდის კულტის შეარქველ შეუქედ აღიარებს, თუმცა საჭიროდ ვრაცხთ, ამ თქმულებიდან ზოგიერთი დეტალები გამოვრიცხოთ. ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებლათ მოგვყავს შემდეგი ფაქტები. როგორც პირველ წერილში დავინახეთ, სპარსეთის მეფის და-

<sup>58</sup>) Н. Марръ. Боги Языческой Грузии. Сиб. 1901 г. стр. 6, строк. 4—7.

<sup>59</sup>) Ibidem, стр. 5.

<sup>60</sup>) ქართლ.—ცხოვრება. I, გვ. 39.



რიოზ I ჰისტასპის დროიდან (521—485 წელს) ქართველი თესლ-მოდგმის ყველა თემები სპარსეთის ორ-სასატრაპოს შენდგენდა, ე. ი. სპარსეთის უუძლიერეს პოლიტიკურ და კულტურულ გავლენის ქვეშ იყო. როგორც მსოფლიო ისტორია გადმოგვცემს, ამ გავლენას ქართველი თემები პირველად სპარსეთის მეფის კვიროსის დროს (560—529 წ.) დაემორჩილენ, იმ კვიროსის დროს, რომელმაც აღმოსავლეთის მეფეთა შორის პირველმა მოიტანა თავისი სამფლობელოს ჩრდილოეთის საზღვრები კავკასიონის მთაგრეხილამდე.<sup>61</sup>) მაგრამ სპარსელებზე უფრო ადრე ქართველების ერთი თემი, სახელდობრ სწორედ ის თემი, რომელსაც ჩამომავლობით ჩვენი მეფეები აზო და ფარნავაზი ეკუთვნოდნენ, ე. ი. თემი „კარდუქებისა“ (= „ქართუ-ები“ ანუ ძველი „ქართლი“), მე-VII საუკუნეში ქრ. წინ, დიოკ-მეფის დროიდან (708—655 წ.) მიდიის სახელმწიფოს ემორჩილებოდა. ხოლო, როგორც ვიცით, ჩამომავლობით და სარწმუნოებით მიდიელები და ძველი სპარსელები ერთი და იგივენი იყვნენ, სახელდობრ ორნივე ზენდის ხალხის შტოს წარმოადგენდნენ და სარწმუნოებაშიაც „სინათლის ღმერთის აჭურა-მაზდის“ (= ორმუზდი=არმაზდი=არმაზი) თაყვანის-მცემელნი იყვნენ.<sup>62</sup>) ამრიგათ, მე-, VII, VI, V და IV საუკუნეთა განმავლობაში, ე. ი. თითქმის სრული 400 წელიწადი, ჯერ ქართველი ხალხის ერთი თემი (კარდუქი) და შემდეგ ყველა თემები ირანელ ხალხთა: მიდიელთა და სპარსთა კულტურულ გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, ხოლო მე-V და VI, საუკუნეში ეს გავლენა იმდენათ გაძლიერდა, რომ მთელი ქართველი თესლ-მოდგმა სპარსეთის ოც-სატრაპოვან მონარქიის ორ საერისთაოდ იქმნა გამოცხადებული და ყველაფერში სპარსეთის ყურმოკრილი ყმა შეიქნა

<sup>61</sup>) Н. Карвевъ. Учебная Книга древн. исторія. Спб. 1903 г.— карту VII: „Персидская монархія“.—შეადარეთ ამჟინ მარცვლინის სიტყვები კვიროსის მიერ ჩვენი მტკვრის სახელის გამოცვლის შესახებ. Гавъ. Известія... I, стр. 185.

<sup>62</sup>) Веберъ. Всеобщая исторія. I, стр. 148—150. „

(მოიგონეთ სამარცხენო ხარკი—ყოველ ხუთ წელში ას-ასი ახალ-გაზდა ქალი და ვაჟი, რომელთაც კოლხიდა და სვანეთი სპარსეთის სასახლეში აგზავნიდა). ასეთ ფაქტორთა ზედ-მოქმედების ქვეშ იმყოფებოდა ქართველი ხალხი ძველ სპარსეთის მონარქიის დამხობამდე—(ე. ი. 330 წლამდე ქრ. წინ),—და გასაკვირალიც იქნებოდა, რომ ოთხას-წლოვან გავლენას ირანულ კულტურისას ჩვენს ხალხში ზოროასტრის სარწმუნოება არ შემოეტანა. გვაქს საკმაო საბუთი დავასკვნათ, რომ ზოროასტრის სარწმუნოება ანუ ორმუზდის კულტი უკვე შეფობის დაარსებამდე ნამდვილათ არსებულია ჩვენს თემებში. სახელდობრ, აპოლონი როდოსელი (250—200 წ. ქრ. წინ) გადმოგვცემს, რომ ქართველი ხალხის ერთ უმთავრეს თემს, კოლხებს, მის დროს უკვე მტკიცე ჩვეულებად ჰქონდათ მიცვალებულთა დაუმარხაობა;<sup>63)</sup> ხოლო როგორც ვიცით, მიცვალებულთა დაუმარხაობა ერთი დამხასიათებულ ჩვეულებათაგანი იყო ზოროასტრის სარწმუნოებისა. მართალია, აპოლონი როდოსელი თითქმის ჩვენი ფარნავაზის თანამედროვეა, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ არღვევს ჩვენს აზრს ზოროასტრის სარწმუნოების სიძველის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, რადგან ძნელი დასაჯერებელია ფარნავაზამდე ჩვენში ეს სარწმუნოება არ არსებულიყოს და სულ რაღაც 10—12 წ. განმავლობაში გამოეღოს იმდენათ ძლიერი ნაყოფი, რომ მისი სამეფოს უუშორეს ნაწილშიაც კი კოლხებს უკვე მტკიცე ჩვეულებად გაეხადოსთ მკვდართა დაუმარხაობა. ამას გარდა, თვით აპოლონი როდოსელიც არ უარჰყოფს, რომ ეს ჩვეულები კოლხებ შორის საკმაოთ ძველი ჩვეულება ყოფილა (აპოლონი იმასაც კი ამბობს, ვითომც ეს ჩვეულება კოლხებს უკვე არგონავტების დროს ჰქონებოდესთ). ერთი სიტყვით, ყოველ ექვს გარეშეა, რომ ზოროასტრის კულტი ჩვენში ფარნავაზზე ბევრათ ადრე ყოფილა გავრცელებული, ასე რომ როგორც ფარნავაზი, ისე მისი წინამოადგილე, მთელი მათი

<sup>63)</sup> Ганъ. Извѣстія... I, стр. 49.

სამეფო გვარი და „ქვეშევრდომნი“ (თუ კი შეიძლება ამ დროს მიხედვით ეს სიტყვა ვიხმაროთ) უკვე ორმუზდის თაყვანისმცემელნი ყოფილან; ამიტომ სრულ სიმართლეს ამბობს ჩვენი მატიანე და „ქართლის-მოქცევა“, როდესაც ფარნავაზს ორმუზდის კულტის მტარველობას მიაწერს.

მხოლოდ ჩვენი წყაროების თქმულებიდან უნდა გამოირიცხოს ის აზრი, ვითომც ორმუზდის სახელობაზე ფარნავაზს „კერზი“ ანუ ქანდაკება გაეკეთებოდა. როგორც ზორ.ოასტრის სარწმუნოების აღმსარებელი, ფარნავაზი ორმუზდს „კერპს“ ვერ დაუდგამდა, რადგან ზოროასტრის რელიგია კერპებს არა სცნობს. მართალია ორივე ჩვენი პირველ-წყარო დაჟინებით გვარწმუნებს, ვითომც ფარნავაზს ნამდვილი „კერპი აემართოს“ და ამ კერპისთვის დაერქმიოს „არმაზი“. <sup>64)</sup> მაგრამ ბევრი ფიქრი არ უნდა, რომ მიხვდეს კაცი, თუ საიდან უნდა წარმომდგარიყო ნამდვილი ისტორიული ფაქტის ასე სასტიკად გადამახინჯება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც „ქართლის-ცხოვრება“, ისე „ქართლის-მოქცევა“ ქრისტიანობის დროსაა ჩვენში დაწერილი და თვით მათი დამწერნი და გადამწერნიც სასულიერო პირნი არიან. სასულიერო წოდება ვი, როგორც უკვე თეიმურაზ-ბატონიშვილმა შენიშნა, ყოველ ღონეს ხმარობდა გაქრისტიანებულ ქართველებისათვის, რომელთაც კიდევ ახსოვდათ ძველი წარმართობა, ეს უკანასკნელი შეეძულებინა და დაევიწყებინა; ამ მიზნით „ეკლესიის ჩვენისა მოძღვარნი უძაგებდნენ მათ გარდავლილთა წინაპართა მათთა და მათსა ეტყოდენ მრავალთა უწესოთა საქმეთა და არა წმინდათა“. <sup>65)</sup> ამ „უწესოთა საქმეთა“ შეთხზვაში ლეონტი

<sup>64)</sup> „ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა; ესევე არს არმაზი; და ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა...“ (ქ.—ცხოვრ. I, გვ. 39).—ხოლო „ქ.—მოქცევა“ ამავე ამბავს ასე ამოკლებს: „ამან აღმართა კერპი დიდი ცხვირსა ზედა და დასდვა სახელი მისი არმაზი“ („სამი ისტ. ხრონიკა.“ გვ. 5.)

<sup>65)</sup> ალ. ჯყონია: „ისტორიული ნარკვევი“ ტფილისი. 1890 წ. გვ. 139. სადაც თეიმურაზ-ბატონიშვილის აზრია მოყვანილი.

მროველი («ქ.—ცხოვრებას“ უძველესი ნაწილის დამწერი) იმ ზომამდეც კი მისულა, რომ ჩვენს წინაპრებისთვის „კაცის-მქამლობაც“ მიუწერია<sup>66</sup>). რაღა გასაკვირალია, რომ ასეთს „ისტორიკოსებს“ თვით წარმართული ღმერთებიც შეფეების მიერ „შეჭმნილ კეწებად“ წარმოედგინათ, რათა სამწყსო დაერწმუნებიათ, რომ ის ღმერთები, რომელთაც ქართველები ქრისტიანობის მიღებამდე სცემდნენ თაყვანს, ნამდვილი ღმერთები კი არ იყვნენ, არამედ ადამიანის ხელ-ქმნილი უსულო და უსიცოცხლო ქანდაკებანი იყვნენო. სწორეთ ამავე ტენდენციით აიხსნება ის გარემოება, რომ „ქართლის-მოქცევის“ ავტორი აზოს შესახებ ამბობს, ვითომც მას მცხეთის პროვინციაში გადმოსახლების დროს თანა-ჰყოლოდეს „ღვთად კეწნა—გაცი და გაიმი“, ხოლო ფარნავაზს და მის სამს მემკვიდრეს ზედი-ზედ ოთხი კეწნა აქმათხსთ<sup>67</sup>). ერთი სიტყვით, ქრონიკის ავტორი, როგორც ფანატიკოს ქრისტიანს შეეფერება, მეტათ შედიდურათ უქცერის ძველს მშობლიურს წარმართობას და ცდილობს, იქ უსულო კერპთ-თაყვანისმცემლობის მეტი არაფერი დაინახოს და არც დაინახოს თავის მკითხველებს.

ამავე თვალ-საზრისით აიხსნება. რა თქმა უნდა, ის გარემოებაც, რომ ფარნავაზს ორივე ჩვენი პირველ-წყარო „აწმზ-კეწნის“ შეჭმნას ანუ ამათვას მიაწერს. მაგრამ, როგორც ვთქვით, ზოროსტრის სარწმუნოების მიმდევარი ფარნავაზი იმავე სარწმუნოების მიმდევარ ქართველთა შორის „კერპს“ (=ღვთაების გამომხატველ ქანდაკებას) ვერ აღმართავდა. მაშ რა უნდა გაეკეთებია ფარნავაზს ამ კულტის სასარგებლოდ, რაში უნდა გამოხატულიყოს მისი მფარველობა ამ კულტისადმი?

ჩვენ გვგონია, ფარნავაზის სარწმუნოებრივი მოღვაწეობა უნდა გამოხატულიყო „ფრიად-ბრწყინვალე“ ღვთაების, აჭურამაზდის (ორმუზდის ანუ არმაზის) სახელობაზე „საგუგნსდესი“

<sup>66</sup>) ქართლ.—ცხოვრება I, გვ. 32.

<sup>67</sup>) სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 4—6.



და ტაძრის აშენებაში იმ მაღლობ ადგილას, სადაც დღეს ეგრეთ წოდებული არმაზის-ციხე იმყოფება და რომლის მიდამოებშიაც ფარნავაზის დროიდან საკმაოდ ვრცელი და მაგარი ციხე-ქალაქი გაიმართა თანდათან. აი ამას და მხოლოდ ამას უნდა ნიშნავდეს ის მოკლე, მაგრამ ავტორის ტენდენციურ თვალსაზრისით უკვე საკმაოდ გადამახინჯებული თქმულება, რომელსაც ამ საგნის შესახებ „ქართლის-მოქცევა“ იძლევა: „დადგა ფარნავაზ; ამინ აღმართა კერპი დიდი ცხვირსა ზედა (მთისასა) და დასდვა სახელი მისი არმაზი, და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო და ჰრქვიან არმაზ“ (სამი ისტ. ხრონ. გვ. 5).

მაგრამ აქ შეიძლება შეგვეკითხონ: ზოროსტრის სარწმუნოების მიმდევარნი ხომ მსხვერპლს უბრალო მაღლობებზე სწირავდენ და უმეტეს ნაწილათ არავითარ ტაძრებსა და „საკურთხევლებს“ არა სცნობდენ, — მაშ, რა საბუთის ძალით-ღა შეიძლება ფარნავაზს ორმუზდის სახელობაზე „ტაძრისა და საცეცხლის“ აშენება მივაწეროთ? მართალია, ზოროსტრის სარწმუნოება მის პირვანდელ და მარტივი სახით ტაძრებსა და საკურთხევლებს არა სცნობდა, მაგრამ ნამდვილი წყაროებიდან ვიცით, რომ ამ სარწმუნოების ვრცელს რაიონში ბევრგან მოიპოებოდა ისეთი ადგილები, სადაც ორმუზდისა და ცეცხლის თაყვანისმცემელთ საკმაოდ ვრცელი ტაძრები და მულამ-მგზნებარე „საღვთო“ ცეცხლისათვის განსაკუთრებული „საკურთხევლები“ („алтари“) ანუ ეგრეთ წოდებული „საცეცხლე“ ჰქონდათ გამართული. ერთი ამგვარი ტაძარი და საკურთხეველი სტრაბონს საკუთარის თვალით უნახავს ჩვენს მეზობლათ მდებარე კაბადოკიაში და კიდევაც აუწერია იგი. ეს აღწერილობა იმდენად საინტერესოა და ნათელსა ჰფენს ჩვენს საკითხს, რომ არ შეგვიძლია აქვე არ მოვიყვანოთ, თუ ვრცელაც არა, შემოკლებით მაინც.

კაბადოკიაშიო, — ამბობს სტრაბონი, — ბევრი მოგვები და ტაძრებია; ამ ტაძრებს „პირათეები“ („пиратей“) ეწოდება და იგინი წარმოადგენენ ვრცელს და გალავნით შემოვლებულ ადგილს; შუაში ღვას „საკურთხეველი“ („алтарь“ ანუ უკეთ-

„საცეცხლე“), რომელზედაც მოგვებს ბევრი ნაცარი უყრიათ და უქრობი ცეცხლი უნთიათო. ყოველდღე შედიან იგინი ტაძარში და თითქმის მთელი საათის განმავლობაში ცეცხლის წინაშე საიდუმლო საგალობლებს ჰგალობენ, თან ხელში ფიჩხის პატარა კონა უკავიათ („пучекъ прутьевъ“) და თავზე შალის მაღალი მიტრა („Tiara“) ახურაფთ, რომლიდანაც ორსავე ლოყაზე თითქმის ტუჩებამდე პირ-საფარია ჩამოშვებულიო<sup>68</sup>).

აი სწორეთ ამგვარი „ტაძარი“ და „საკურთხეველი“ ანუ საცეცხლე უნდა აეგოს ფარნავაზს იმ ადგილას, სადაც დღეს დროთა მსვლელობითა და ბუნების სტიქიონთა ზედ-გავლენით შევიწროებული მოედანია არამზის-ციხესთან, მცხეთის მახლობლათ, და საიდანაც ძირს ტყეში ჩამოგორებული ორი უზარ-მაზარი, თითქოს თვით ბუნებისაგან ტლანქად გამოთლილი, ქვა უნებლიეთ იზიდავს მნახველის ყურადღებას და ოცნებით გადააფრენს იმ შორეულ დროში, როდესაც არამზის ტაძარში ამ ქვებისაგან „საცეცხლე“ უნდა ყოფილიყო გაკეთებული — რომ „მცხეთის“ პროვინციაში ძველათ ნამდვილათ უნდა ყოფილიყო „ტაძრები,“ ამას, თქმულს გარდა, სტრაბონის პირდაპირი მოწმობაც ამტკიცებს. სახელდობრ ის ამბობს, რომ ერთი ამგვარი ტაძარი „მოსხების მხარეში“ იყო, იმ მოსხების მხარეში, რომლის ერთი ნაწილი I-ელ საუკუნეში ქრისტეს წინ ივერიელებს ეკუთვნოდათ, მეორე — კოლხებსა და მესამე — სომხებსაო;<sup>69</sup>) ამას გარდა, როცა ალბანელების კულტს აგვიწერს, იგივე გეოგრაფი დასძენს, რომ ამ ხალხს ერთი ტაძარი „ივერიის“ საზღვრის მახლობლად ჰქონდათ

<sup>68</sup>) Страбонъ. Географія. кн. XV, гл. 3, § 15; переводъ М. Мишенка. Москва. 1879 г. стр. 749. ეს ადგილი ნახევნები აქვს ბ — ნ მარსაც. მაგრამ მე — 15 § — ის ნაცვლად შეცდომით მე — 13 § აქვეს აღნიშნული („Воги языческой Грузии“ стр. 8.)

<sup>69</sup>) Страбонъ. Географія. Кн. XIII гл. 2, §§ 17 и 18. стр. 509 — 509. შეადარეთ Ганъ, Извѣстія... I, стр. 65.

გამართულიო.<sup>70)</sup> ერთი სიტყვით, ჩვენთვის ყოველ ექვს გა-  
რეშეა, რომ ორმუხდის თაყვანისმცემელს ფარნავაზს თავი-  
სუფლათ შეეძლო ამ ღვთაების სახელზე ტაძარი და საცეცხლე  
(= „ბომონი“) აეშენებია; ხოლო როგორც ჩვენი წყაროები  
მოწმობენ, მან კიდევაც ააშენა იგინი.

მეორე დეტალური ცნობა, რომელსაც ამავე საგნის  
შესახებ ჩვენი მათიანე იძლევა და რომელიც ჩვენის ფიქრით  
უსათუოთ უნდა გამოირიცხოს ფარნავაზის ცხოვრების აღწე-  
რიდან, ეს ის ცნობაა, ვითომც გარდაცვალების შემდეგ ფა-  
რნავაზი „არმაზის კერპის წინაშე დაჟუღათ.“<sup>71)</sup> მაგრამ,  
როგორც ზემოთ შევნიშნეთ, აპოლონი როდოსელის სი-  
ტყვით, ფარნავაზის დროს კოლხებსაც კი ჩვეულებად არა  
ჰქონიათ მიცვალებულების დამარხვა, ხოლო ზენდ-ავესტის  
წესი მოითხოვდა ადამიანის სხეული მიწისათვის არ მიებარე-  
ბიათ, რასაც სავსებით ეთანხმება ჩვენი მათიანის უუძველესი  
ვარიანტი, რომელიც სომხურ თარგმანშია შენახული და  
რომლის ავტორიც უუძველეს ქართველებს უკიჟინებს— შე-  
უღლების დროს ნათესაობა არ იცოდენ და არც მიტყუებულების  
დამარხვას<sup>72)</sup>. მაშ რაღა დასაჯერებელია, ვითომც ფარნავაზს  
ერთსა და იმავე დროს ზენდ-ავესტის სარწმუნოებაც დაეცვას  
და ამ სარწმუნოების ქართველი ხალხის მიერ უკვე შეთვისე-  
ბული ერთ-ერთი უმთავრესი მუხლიც საკუთარის მაგალითით  
დაერღვიოს. საყურადღებოა, რომ ამ ცნობის შესახებ „ქა-  
რთლის—მოქცევა“ არა იცის რა, რაც ამ პირველ-წყაროს  
გაცილებით უფრო მალა აყენებს ისტორიის წინაშე, ვინ-  
ემ ნაგვიანვეათ შევსებულსა და შესწორებულს „ქართლის-  
ცხოვრებას.“

ამ რიგათ, ჩვენ სრულიად სარწმუნოდ მიგვაჩნია ჩვენი  
წყაროების ის თქმულება, რომელიც ფარნავაზს ორმუხდის

<sup>70)</sup> Страбонъ. Географія Кн. XIII, гл. 4, § 7, стр. 513.—Ганъ,  
loc. cit стр. 71-

<sup>71)</sup> ქ.—ცხოვრება I. გვ. 40.

<sup>72)</sup> Н. Марръ. Боги языческ. Грузин.. стр. 15—შეადარეთ გვ. 6.

კულტის მფარველობას მიაწერს, თუმცა საკიროდ ვრაცხთ ამ თქმულებიდან ზემოთ დასახელებული ორი დეტალი გამოირიცხოს. მაგრამ შეიძლება გვითხრას ვინმემ: აზო და ფარნავაზი ხომ სირიელ სელევკიდებზე იყვენ დამოკიდებული,\*) ასურასტანში კი, როგორც „დაბადება“ გვარწმუნებს, იმ დროს ბაალ-ასტარტის კულტი იყო გავრცელებული და ნუ-თუ სელევკიდები თავის ვასსალს ქართველ მეფეს ნებას მისცემდენ ზორთასტრის სსრწმუნოებისთვის მფარველობა გაეწიაო. მაგრამ, როგორც სელევკიდების ისტორია გვარწმუნებს, ამათი საშინაო პოლიტიკა ბევრით არაფრით განსხვავდებოდა მათის წინამოადგილე სპარსელ აქემენიდების პოლიტიკისაგან, რომელთ სამეფოს ნანგრევებზედაც სელევკოს I-ელმა ასურსტანის მონარქია ააგო.<sup>73)</sup> მეორე მხრით, ისიც სახეში მისაღებია, რომ სელევკოს პირველის შემდეგ, მისი შვილების დროს, ახლად-აგებულმა სარიის მონარქიამ უკვე რღვევა დაიწყო. პირველათ მას ჩამოშორდა ბითინია და გალატია, სადაც დამოუკიდებელი სამთავროებიც დაარსდა, შემდეგ, 250 წლის მახლობლათ, პერგამიც განთავისუფლდა (მცირე აზიის დასავლეთის ნაწილში), ხოლო იმავე წელს ფარსის-ტანშიაც კასპის ზღვის აღმოსავლეთით არშაკიდებმა ძლიერი პართიის სამეფო დაიარსეს და სელევკიდების მონარქიას ყოველი მხრით შევიწროება დაუწყეს.<sup>74)</sup> თვითონ სელევკოს I-ელის მემკვიდრეებიც მეტათ სუსტები იყვენ: ანტიოქოს I-ელი 262 წელს გარდაიცვალა, ხოლო ანტიოქოს II ცოლმა მოსწამლა 247 წელს<sup>75)</sup>; სელევკოს II, „გამარჯვებულად“ წოდებული, მუდამ დამარცხებული იყო (247—227 წ.), ხოლო „მებთა-მცემ“ სელევკოს III-ეს მეხი არავისთვის დაუცია და თვითონ კი

\*) ამ დამოკიდებულებას არც ჩვენი მატიაზე უარ-ჰყოფს, ნახ. „ქ.—ცხოვრება“ I, გვ. 38. 40.

<sup>73)</sup> შარლ-ნორმანის „საბერძნეთის ძველი ისტორია“ თარგმ. ვლ. ლორთქიფანიძისა. გვ. 412.

<sup>74)</sup> იქვე. გვ. 413. შეად. Г. Веберъ. Всеобщ. исторія. I, стр. 392—393.



მოჰკლეს (224 წელს); რაც შეეხება ანტიოქოზ III-ეს (224—187 წ.), მართალია იგი დიდი აზრისა იყო თავის თავზე, თავის ქონებასა და „უძლეველ“ ჯარზე, მაგრამ რომაელებთან უბრალო შეტაკებამ (190 წელს, მაგნეზიის მახლობლათ) ნათლად დაანახვა მას, თუ რამდენათ უნიადაგო იყო მისი წარმოდგენა: დამარცხებული ანტიოქოსი იძულებული გახდა რომისათვის დაეთმო თავრის-მთის დასავლეთით მდებარე ყველა მიწები და დიდძალი კონტრიბუციაც გადაეხადა. სამართლიანაჲ შენიშნავს ისტორიკოსი, რომ „არასოდეს ასე სწრაფათ და ასე სამარცხენოთ არც ერთი სახელმწიფო არ დაცემულაო“. <sup>76)</sup> ხოლო როდესაც ამავე მეფემ მაგნეზიის ბრძოლის შემდეგ გაღარიბებულ ხაზინის შესავსებად განიზრახა ბაალის მდიდარი ტაძრის გაძარცვა (კასპის ზღვის სამხრეთით, ელიმაისში), აღელვებულმა ხალხმა საკუთარის ხელით გამოასალმა წუთისოფელს „მკრეხელი“ მეფე. <sup>77)</sup> ამას შემდეგ სელევკიდების ძლიერება აღარავის გაუგონია.

ცხადია, ასეთი მონარქიის სუბერენობა ქართველ მეფეს ხელს ვერ შეუშლიდა, რომელი კულტიც სურდა და ხალხისთვის სასურველად მიაჩნდა, იმისათვის გაეწია მფარველობა. ეს კიდევ ცოტაა. ჩვენ გვგონია, მას შემდეგ რაც აღმოსავლეთში პართიის მონარქია დაარსდა (250 წ.) და დასავლეთით მცირე აზიის პატარა სამთავროები განთავისუფლდნენ (გალატია, ბითიანია და პერგამი), ჩვენს ქვეყანაშიაც თუ სრულიად არ უნდა მოსპობილიყო, ფრიად საგრძნობლათ მაინც უსათუოდ უნდა შესუსტებულიყო სელევკიდების ძალა და მნიშვნელობა. ამიტომ, ვგონებთ, სრულიად სამართლიანათ იქცევა ჩვენი მემატიანე, როდესაც ფარნავაზის განწყობილებას სელევკიდების მიმართ უბრალო „სამსახურს“ ეძახის და

<sup>75)</sup> Веберъ. loc. cit. стр. 392.

<sup>76)</sup> Г. Веберъ: Всеобщ. исторія. I, стр. 498. შეად. შარლ-ნორმანის დასახელებული თხზულება გვ. 413.

<sup>77)</sup> Веберъ. loc. cit. стр. 392.

თან დასძენს, რომ მთელი თავისი მეფობა ფარნავაზმა „ნე-ბიერად და მშვიდობით“ გაატარაო: „მეფობდა ნებიერად, და მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა ასურასტანისასა, და ყოველნი დღენი მისნი; რაჲ დაჯდა (მეფედ), მშვიდობით დაყვნა“.<sup>78)</sup> რომ თქმულის განმეორება არ დაგვიკირდეს, საჭიროდ ვრაცხთ აქვე გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებანი ფარნავაზის მეფობის დასასრულის ქრონოლოგიის შესახებ.

ვახუშტი-ბატონიშვილის გამომანგარიშებით ფარნავაზი 302—237 წლებ შორის მეფობდა. როგორც პირველ წერილში დავინახეთ, ფარნავაზის მეფობა 272 წელზე ადრე არ უნდა დაწყებულიყო. ე. ი. ანტიოქოს I-ელის მეფობის მეორე ნახევარში. მაგრამ, როგორც „ქართლის-ცხოვრებიდანვე“ სჩანს, ფარნავაზის მეფობის შუანსკენელ წლებშიაც ასურასტანის მეფედ „ანტიოქოსი“ ყოფილა; ამასთანავე ჩვენი მატნიანის ყველა ვარიანტები და მათ რიცხვში ეგრეთ წოდებული „Chronique Armenienne“-იც (= „ქ.—ცხოვრების“ უუძველესი რედაქციის სომხური თარგმანია) ერთხმით აღიარებენ, რომ ფარნავაზმა „სამეოც და ხუთს წელს“ იმეფაო.<sup>79)</sup> თუ ამ ქრონოლოგიურ გარდამოცემაში მცირეოდენი სიმართლე მაინც მოიპოვება, მაშინ საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ ის „ანტიოქოსი“, რომელიც ფარნავაზის მეფობის უკანასკნელი წლების თანამედროვედაა მატნიანეში დასახელებული, ანტიოქოს III უნდა ყოფილიყო, რადგან 272—65=207, ხოლო 207 წელს ასურასტანში ანტიოქოს მესამე იჯდა მეფედ (224—187 წ.). სხვა საქრონოლოგიო მასალათა უქონლობისა გამო იძულებული ვართ ფარნავაზის მეფობის დასასრულის თარიღად 206 წელი აღვიაროთ. ამ რიგათ ფარნავაზის მეფობას ჩვენ დავსდებთ დაახლოებვით 272—206 წლებს შორის. მართალია ეს თარიღი

<sup>78)</sup> ქ.—ცხოვრება. I, 40.

<sup>79)</sup> ქ.—ცხოვრება I, გვ. 40: „ოცდა შვიდისა წლისა მეფე იქნა და სამეოცდა ხუთს წელს მეფობდა ნებიერად“.—შედ. Brosset, *Additions et éclaircissements...* p. 10.

ვახუშტი—ბატონიშვილისას არ ეთანხმება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვახუშტის ქრონოლოგიაც იგეთივე ჰიპოტეტიურ—დაახლოებითია, როგორც ჩვენი, ისიც იმავე „65-საწელსა“ ემყარება (302—237=65 წ.), და ამას გარდა, სრულიად უკრიტიკოთ ღებულობს იმ თქმულებას, ვითომც აზო ალექსანდრე მაკედონელისგან ყოფილიყოს დადგენილი საქართველოს უზენაეს გამგედ (326 წლის მახლობლათ).<sup>80)</sup> ჩვენი, როგორც მკითხველმა უწყის, უკანასკნელ თქმულებას კრიტიკულის თვალთ ვუცქერით, საქართველოში ალექსანდრეს ყოფნას უარ-ვპყოთ და აზოს ვინაობის გარკვევაშიაც ვახუშტის აზრის დიამეტრალურათ წინააღმდეგი ვართ. ხოლო რამდენათაც ჩვენს გამოკვლევაში კრიტიკა მეტობს, იმდენათ ჩვენს ქრონოლოგიასაც უპირატესობა უნდა მიეცეს ვახუშტის ქრონოლოგიასთან შედარებით.

ამას გარდა არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც, ჩვენი ფიქრით, შესაძლოა მკვლევარმა ჩვენ-მიერ დადგენილ ქრონოლოგიის სასარგებლოთ გამოიყენოს. სახელდობრ, „ქართლის-ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ ფარნავაზის მემკვიდრის საურმაგის მეფობის პირველ ნახევარში ქართველების ერთმა ნაწილმა მეფის წინააღმდეგ უკმაყოფილება გამოაცხადა და შეთქმულება მოახდინაო, თუმცა ამ უკმაყოფილების მიზეზს მემკვიდრე თავისებურათ ჰხსნის და აგვიწერს.<sup>81)</sup> ჩვენ კი გვგონია, რომ ამ უკანასკნელთან კავშირით უნდა ჰქონოდეს იმ ფაქტს, რომელსაც სტრაბონი გადმოგვცემს, როგორც მის დრომდე მიღწეულს ამბავს. სახელდობ იგი სწერს: „ამბობენო, რომ არმენია

<sup>80)</sup> ნახ. ვახუშტის „ისტ. საქართველოსი.“ ტფილისი. 1885 წ. გვ. 38, სადაც ავტორი უცვლელად იმეორებს „ქ.—ცხოვრების“ სიტყვებს ფარნავაზის შესახებ: „28 წლისა მეფე იქმნა და 65 წელი იმეფა მშვიდობითო“; აგრეთვე გვ. 36, სადაც აგრეთვე გამეორებულია მატინის სიტყვები, რომ ალექსანდრეს შემოსვლის დროს და მამასადამე აზოს დადგენის წელს ფარნავაზი „სამისა წლისა“ იყო. 302—37—3=326 წ.—

<sup>81)</sup> ქ.—ცხოვრება I, გვ. 40—41.



თავდაპირველათ პატარა იყო, მაგრამ იგი განავრცეს არტაქსიასმა და ზარიადრმა, რომელნიც უწინ ანტიოქოს (III) დიდის ჯართ-უფროსები იყვნენ, მაგრამ მისი დამარცხების შემდეგ (ალბათ 190 წლის მახლობლათ) პირველი შეიქმნა სოფენისა, აკისენისა, ოდომანტიისა და ზოგიერთა სხვა ადგილების მეფედ, ხოლო მეორე—არტაქსატის მიდამოებისა. იმათ თავისი სამფლობელოს საზღვრები მით განავრცეს, რომ მეზობელ ერებს მიწები ჩამოჰკრეს, სახელდობრ: მიდიელებს წაართვეს კასპიანი ფაფნიტიდა და ბასოროპედა, ივერიელებს—პარიადრის (=პარხალის) მთის ფერდობები, ხორზენა და გოგარენა (=გუგარქი ანუ ჩვენი პატარა „სომხითი“), რომელიც მტკვრის იქითა მხარეს მდებარეობს, ხალიბებსა და მოსინეებს—კარენიტიდა და ქსერქსენა, რომელიც მცირე სასომხეთის საზღვარზე ძევსო“ და სხვანი.<sup>82)</sup> სენ-მარტენის ქრონოლოგიით, ანტიოქოს დიდის მიერ დადგენილი არტაქსიასის სასომხეთს 189—159 წლებს შორის განაგებდა.<sup>83)</sup> როგორც სჩანს, მას წაურთმევია ივერიელებისათვის საკმაოდ საგრძნობელი ტერიტორია, რასაც, ჩვენ ვფიქრობთ, უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონებოდა საურმაგის წინააღმდეგ მის ქვეშევრდომთა შორის უკმაყოფილების გასაღვიძებლად, ივინემ იმ ბრმა-თავმოყვარეობით მისწრაფებას, რომელსაც „ქართლის-ცხოვრება“ ასახელებს, მაგრამ ორიოდვე გვერდის შემდეგ თვითონვე უარჰყოფს.<sup>84)</sup> თუ ეს ჩვენი მოსაზრება შესაწყნარებელია, მაშინ საბუთი გვექნება

<sup>82)</sup> Страбонъ. Географія перев. Мышенко. стр. 539. შეად. Ганъ, Извѣстія... I, стр. 79. არ ვიცით რომელ საშეცნოერო მოსაზრების ძალით ამ უკანასკნელს გამოტოვებული აქვს ის სიტყვები, რომელნიც სასომხეთის პირვანდელ სიმცირეს აღნიშნავენ. რას ნიშნავს ეს? ამის გამოცნობა თვითონ ბ-ნ განისთვის მიგვიჩნდვია.

<sup>83)</sup> M. I. S.—Martiu. Memoires hit. et géogr. sur l'Arménie. Paris. 1818 t. I, p. 409.

<sup>84)</sup> ქ.—ცხოვრება I, გვ. 40—41. შეად. გვ. 43. 46—47. 49.—შეთქმული ერისთავები ამბობენ: „არა კეთილ-არს ჩვენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ხათესავსა ჩვენსაო“. შეად. ვახუშტის ისტორია, გვ. 39, სადაც ესევე აზრი უფრო ნათლათაა გამოხატული.

ვიფიქროთ, რომ საურმაგის მეფობა 190 წელზე ბევრათ აღრეუნდა დაწყებულიყო, ან-უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, საურმაგის მეფობის ერთი ნაწილი ანტიოქოს III დიდის მეფობის მორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო საურმაგის წინამოადგილის ფარნავაზის მეფობის ბოლო ხანი—მის პირველ ნახევარს; ანტიოქოს დიდის მეფობის შუა წელი დაახლოებით 206 წელია, რომელიც შესანიშნავათ ეთანხმება ფარნავაზის მეფობის დასასრულის ჩვენ მიერ ზემოთ დადგენილს თარიღს 206 წელს. ამგვარათ ეს ახალი ფაქტიც ჩვენი თარიღის სასარგებლოთ უფრო ლაპარაკობს, ვინემ ვახუშტის თარიღისა, რომელიც 237 წელს უდრის.

დაგვჩა განსახილველი ოთხი ფრიად საყურადღებო ცნობა, რომელთაც ჩვენი ქრონიკა და მატინე ფარნავაზის საშინაო კულტურულ მოღვაწეობის შესახებ იძლევა, სახელდობრ: ა) არმაზ-ქალაქის „დაარსებასა“, ბ) საერისთავოების დაწესებასა, გ) აზნაურთა წოდების შექმნასა და დ) მწიგნობრობის შემოღებაზე.

არმაზ-ქალაქის საფუძვლის ჩაყრის შესახებ „ქართლის-მოქცევა“ შემდეგს მოკლე ცნობას იძლევა: ახლად აშენებულ არმაზის სამლოცველოს ფარნავაზმა „მოქმნა ზღუდე წყლით კედლს, და ჰრქვიან არმაზ“. ამ სიტყვების აზრი რომ უფრო ნათლათ წარმოვიდგინოთ, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ისტორიულ-ფილოლოგიური ცნობა მოვიყანოთ ჩვენი ახალ-გაზდა მეცნიერის ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის მშვენიერი გამოკვლევებიდან: „Государственный строй древней Грузии и древней Армении“. სიტყვა „ქალაქი“-ო, —ამბობს ამ შრომის ავტორი, —ადგილობრივი ფესვისა არ არის, არამედ სომხური ენის საშუალებით (via armeniaca) ნასესხებია სირიული ენიდანო, სადაც ამ სიტყვის ძირი ზმნა არის და „მოზღუდავს, გადაყნის-შემოფლებას“ ნიშნავსო. ეხლანდელი სომხური სიტყვა „ქალაქ“ ანუ ძველებურის გამოთქმით „ქალაქ“ და ქართული — „ქალაქი“ ორივე სირიულიდან ნასესხები სიტყვაა და, როგორც სომხურ ისტორიულ მწერლობაში, ისეთ ზოგიერთ ძველ ქართულ

წყაროებში დაცულია რამოდენიმე ადგილი, სადაც ეს სიტყვა თავის პირვანდულის მნიშვნელობით („ზღუდე“, „გალავანი“) არის ნახმარიო. მაგალითად წმ. ანდრია მოციქულის მიმოსვლათა წიგნში გვხვდება შემდეგი ადგილი: „დასას ნიკეას ბითინიისასა, რამეთუ ალა იუო იგი ქაჯაქად, არამედ უკანასკნელ შეზღუდა იგი და განავრცელა მეფემან ტრაიანემან“ (საბინინის „საქართველოს სამოთხე“ გვ. 31). ამგვართო, — დაასკვნის ავტორი, — სჩანს, რომ დაბანუ სოფელი, როდესაც მას კედელს შემოავლებენ, ქალაქად იქცევაო: ყოველ შემთხვევაში ქალაქის არსებითს თვისებას ზღუდე ანუ ციხის-კედელი წარმოადგენსო.<sup>85)</sup>

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი ქრონიკის სიტყვებს: „შოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქვიან აჩმაზ“. თუ სიტყვა „წყალი“ აქ მტკვარს იგულისხმებს და არა იმ პატარა „არმაზის-წყალს“, რომლის სახელიც დღეს „ალმასის-წყალად“ არის გადაკეთებული და რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულს არმაზ-ციხეს (სადაც ჩვენის ფიქრით უნდა ყოფილიყო ამართული ორმუზდის ტაძარი და საცეცხლე) გვერდით ჩამოუდის, მაშინ საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ „არმაზის-ციხე-ქაჯაქის“ შენება უკვე ფარნავაზის დროიდან უნდა დაწყებულიყო. მაგრამ არის მეორე გარემოება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ აქ უფრო იმავე სატაძრო ზღუდეზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომელიც ფარნავაზ ორმუზდის „საცეცხლის“ (=საკურთხევლის—ბომონის) გარშემო უნდა შემოეგლო. სახელდობრ ორი სტრიქონის ქვემოთ ქრონიკა გადმოგვცემს, რომ „არმაზის აშენება“ ფარნავაზის მემკვიდრე-საურმარგმა „დაიწყაო“: „დადგა მეფედ სარუმაგ... და აწუა არმაზს შენებად“.<sup>86)</sup> ამიტომ ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ფარნავაზი არმაზ ქალაქის დაარსების მხოლოდ ინიციატორად ჩავთვალოთ, რამდენათაც მის-მიერ ორმუზდის სახელობაზე ტაძარ-ბომო-

<sup>85)</sup> И. Джаваховъ. *loc. cit.* стр. 40.

<sup>86)</sup> სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 5.

ნის აშენება ამ ადგილებში მეტს მცხოვრებლებს მოიზიდავდა, სამოქალაქო ცხოვრებას საფუძველს ჩაუყრიდა და ციხე-გალაენის აშენებას გამოიწვევდა; თვით ამ საქმის დაწყება კი მის მემკვიდრეს საურმაგს უნდა მივაწეროთ, თანახმათ ქართლის-მოქცევის თქმულებისა.

საერისთავაუბის დაწესებაზე „ქართლის-ცხოვრება“ გადმოგვცემს, ვითომც ფარნავაზს მთელი თვისი სამფლობელო რვა საერისთაოდ და ერთს სასპასპეტოდ (სულ ცხრა ადმინისტრაციულ-ნაწილად) დაეყო: ეგრისისა, მარგვისისა, კახეთისა, ხუნანისა, სამშვილდისა, წუნდისა, ოძრხისა, კლარჯეთისა და შიდა-ქართლისად, რომელთაგან უკანასკნელის გამგე „სპასპეტად“ იწოდებოდა, ხოლო დანარჩენები „ერისთავებადო;“ ამასთანავე „ზასპეტი“ მეფის შემდეგ მეორე პირი იყო და დანარჩენ ერისთავების უფროსად ითვლებოდა;<sup>87)</sup> მაშასადამე სპასპეტად ერისთავათა-მთავარი ანუ ერისთავ-ერისთავი ყოფილა. სიტყვა „ერისთავი“ ძველ ქართულ წყაროებში ნახმარია „მხედართმთავრის“ მნიშვნელობით („შექმნათა“ XXI, 22 32),<sup>88)</sup> მაშასადამე „სპასპეტიც“ უუპირველესი მხედართ-მთავარი უნდა ყოფილიყო; ამასთანავე, როგორც მათიანე ამბობს, იგი მეფის შემდეგ მეორე პირი ყოფილა ახლა საკმაოა ამ ცნობას შევეუფარდოთ ის ადგილი სტრაბონის გეოგრაფიიდან, სადაც შესანიშნავი გეოგრაფი ამბობს, რომ ივერიაში მეფის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა მეფისავე საგვარეულოდან არჩეულ პირს, რომელიც „სამართაღს აწარმოებდა და ჯარს წინამძღოლობდა“.<sup>89)</sup> უეჭველია, ეს პირი ჩვენი წყაროების „სპასპეტი“ ანუ ერისთავ-თ-ერისთავია, მხოლოდ, როგორც სჩანს, ჩვენს წყაროებს საესებით ვერ შეუენახავთ მის უფლებამოვალეობათა სრული

<sup>87)</sup> ქ.—ცხოვრება I, გვ. 39.—შეად. მარიამ დედოფლის ვარიანტი გვ. 20 და 21.

<sup>88)</sup> სხვა მაგალითებიც ნახ. И. Джаваховъ. Государств. строй др. Грузин... стр. 68.

<sup>89)</sup> Ганъ. Извѣстія... I, стр. 68. შეად. И. Джаваховъ, Loc. cit. стр. 8 и 69.

აღწერა. სახელდობრ, მათ გამორჩენიათ ერისთავთ-ერისთავის მსაჯულთ-უხუცესობა, რასაც სტრაბონის ცნობა ავსებს. ამის მიხედვით საბუთი გვაქვს დავასკვნათ, რომ თავ-თავიანთ სა-ერისთაოებში ერისთავებიც აგრეთვე ჯარის-უფროსნი და მოსამართლენი უნდა ყოფილიყვნენ.—მაგრამ ასევე გადაჭრით ვერას ვიტყვით თვით საერისთაოთა რიცხვისა და სახელწოდების შესახებ: უეჭველია ის ადმინისტრაციული ნომენკლატურა, რომელსაც ჩვენი მატრიანე იძლევა, შედარებით უფრო გვიანდელ ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს, ვინემ ფარნავაზის მეფობას. საზოგადოთ კი უნდა ვიფიქროთ, რომ საერთა-ვო იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენიც თემი იყო და თვით-თეული თემის მამასახლისთან თითო ერისთავიც უნდა ყოფილიყო, სწორეთ ისე როგორც „მამასახლისთა — მამასახლი“ თან ანუ „მეფე — მამასახლისთან“ — სპასპეტის ანუ „ერისთავთ-ერისთავი“ იმყოფებოდა. სტრაბონის მოწმობით „სპასპეტის“ თანამდებობა საარჩევნო იყო; ქართულ წყაროებშიაც მოიპოება რამოდენიმე საბუთი, რომლითაც მტკიცდება, რომ კრასთა-ბაჟ არჩევნობითი ყოფილა;<sup>90)</sup> მაშასადამე საფუძველი გვაქვს დავასკნათ, რომ იმ უძველეს დროშიაც ერისთავები თანამდებობა საარჩევნო უნდა ყოფილიყო.—ამ ცნობებს „ქართლის-ცხოვრება“ ერთს დეტალურ ცნობასაც უმატებს, სახელდობრ იგი ამბობს, რომ ამ ერისთავების ხელქვეშ ფარნავაზმა სხვა და სხვა ადგილებში „განაჩინა სხასჯარნი და ათასის-თავნი“, რომელთაგანაც „სამეფო და საქრისთავო ხარკი“ შემოდიოდა.<sup>91)</sup> ეს ადგილი ჩვენ ისე გვესმის, რომ სპასალარები და ასისთავები ორგვარს ხარკს ჰკრეფდნენ ცენტრალურ მთავრობისათვის: მეფისა და ერისთავისათვის, და ორივე გვარის ხარკს ერისთავს უგზავნიდნენ, ხოლო ეს უკანასკნელი თავის წილს თვითონ იტოვებდა, მეფისას კი სამეფო ხაზინაში აგზავნიდა. ამ რიგათ, ერისთავების ხელში ყოფილა თავ-

<sup>90)</sup> Ив. Джаваховъ. Loc. cit. стр 70, стрк. 4—5.

<sup>91)</sup> ქ.—ცხოვრება I, გვ. 39.



მოყრილი სამგვარი უფლება: სამხედრო, სამსახულო და ფინანსითი, ე. ი. ჯარის წინამძღოლობა, სამართალი და მეფის სალაროში ხარკის გზავნა. მაგრამ შეიძლება გვკითხოვნ: უკეთეს მართლა ეს სამი უმთავრესი ფუნქცია ერის-თავების ხელში იყო, მაშ რისღა მაქნისი უნდა ყოფილიყვნენ ეგრეთ წოდებული „სათემო მამასახლისები“? სწორეთ ამავე კითხვით შეგვიძლია მივმართოთ სტრაბონსაც მხოლოდ არა სათემო მამასახლისების, არამედ „მეფე-მამასახლისის“ შესახებ, რომელზედაც იგი ამბობს, რომ მხედართმთავრობა და სამართალი ამის ხელში კი არა ყოფილა, არამედ მისისავე საგვარეულოდან არჩეულის მეორე პირის ანუ ჩვენი წყაროების „სპასპეტის“ ხელში იყო. ამ კვანძის გამოხსნა ჩვენ ამნაირათ შეგვიძლია: მეფე-მამასახლისის ხელში უნდა ყოფილიყო უმთავრესათ ხალხის საშინაო ეკონომიურ საქმეებზე მზრუნველობა, მის ხელქვეით სათემო-მამასახლისებისა და სპასპეტ-ერისთავთა მოქმედებისათვის თვალ-ყურის დევნება (ანუ უზენაესი კონტროლი) და ყოველ საქვეყნო საქმის ინიციატივა; მის ნება-დაურთველათ ვერც სპასპეტი და ვერც ერთი ერისთავი გინდ სათემო მამასახლისი ვერავითარ საერთო სახელმწიფოებრივ საქმეს ვერ დაიწყებდა და ვერც განახორციელებდა. რაც შეეხება კერძოთ სპასპეტსა და ერისთავებს, ამათ ხელში უფრო სასხლდის სამართალი უნდა ყოფილიყო, ვინემ სამოქალაქო სამართლის საქმეები, რომელთა გამგეობაც, ჩვენის ფიქრით, სათემო მამასახლისებს უფრო შეეფერისთ, რადგან, სტრაბონის მოწმობით, ყოველი გვარის (და მაშასადამე თემისაც) ქანების გამგეობა და განკარგულება („управление и распоряжение“) გვარის უფროსის ანუ „მამასახლისის“ ხელში იყო.<sup>92)</sup>

არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ის თქმულებაც, რომელიც ფარნავაზს მიაწერს „აზნაურთა“ წოდების დაწესებას.

<sup>92)</sup> „Имущества же у нихъ общи по родамъ; управляетъ же и распоряжается имуществомъ (каждаго рода) старѣйшій“. ნახ ივ. ჯავახიშვილის ზემოთ აღნიშნული შრომა. გვ. 8.

„ხოლო რომნი-იგი ათასნი მხედარნი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს, — ამბობს ქართლის-ცხვრება, — იგინი განჰყენა (ფარნავაზმა) ხევთა და ქვეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა-მას აზონისა მხედრ იყვენ, და უწოდა მათ სახელად აზნაურნი“.<sup>93)</sup> როგორც ვხედავთ, ქართლის-ცხვრება აზნაურთა წოდების წინაპრებად იმ 1000 მაკედონელ მხედარს თვლის, რომელთაც ვითომც აზონს ულატეს და ფარნავაზს დახმარება გაუწიეს. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ აზონი ანუ აზო არც თვითონ ყოფილა მაკედონელი და არც მაკედონელი ჯარი ჰყოლია, არამედ იგი იყო ტომით ქართველი და „ძე არან ქართლისა მეფისა“. მაშასადამე, უკეთუ აქ სახელი „აზო“ გინდ „აზონი“ რამე შუაში იყოს, მაშინ უფრო საფუძვლიანი იქნებოდა გვეფიქრა, რომ „აზნაურთა“ წოდება ფარნავაზს კი არ შემოუღია, არამედ აზოს. მაგრამ დღეს ყველამ კარგად იცის, რომ მთელი კლასის გინდ წოდების შექმნა არც ერთ კერძო პირს (თუნდ ეს პირი მეფეც იყოს) არ შეუძლია; კლასთა და წოდებათა წარმოშობა ხანგრძლივი საზოგადოებრივი განვითარებისა და ისტორიული პროცესის შედეგია და არა კერძო პირის გინდ მმართველის ინიციატივის ნაყოფი. კერძოთ ჩვენი აზნაურების შესახებ უნდა ვთქვათ, რომ იგინი უკანასკნელ დრომდე შეადგენდნენ ხმხედრთა წოდებას. რომელ აზნაურსაც „მარქათით, კარვით და მათი განწყობილებით“ ომში გამოსვლა არ შეუძლიაო, — ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი, — იგი აზნაურად არ იწოდებოა.<sup>94)</sup> მხედრება კი, როგორც სტრაბონის მოწმობიდან სჩანს, არა თუ ფარნავაზის დროს, პირველ საუკუნეშიაც კი ჩვენში ცალკე სოციალურ ჯგუფს არ წარმოადგენდნენ, არამედ ყოველი შიწის-მუშა იმავე დროს მეომარიც იყო, ე. ი. ერთი და იგივე პირი მშვიდო-

<sup>93)</sup> ქ.—ცხვრება I გვ. 40.

<sup>94)</sup> ვახუშტის „გეოგრაფია საქართველოსი“. გამოც. მოს. ჯანაშვილისა. გვ. 7.



ბიანობის დროს მეურნე იყო, ხოლო, როცა მტერი შემოესეოდა, იარაღს ისხამდა და ბრძოლის ველზე გამოდიოდა. მთელი ხალხი ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი, რომელთაგანაც მესამე ჯგუფს—ისინი შეადგენენ, „რომელნიც მომბენ და მიწის-მუშაობენო“ და არა „მხედრები და მიწის მუშებიო“. როგორც ეს შეცდომით ბ-ნ განსა და სხვებს რუსულათ უთარგმნიათ.<sup>95)</sup> სამართლიანათ შენიშნავს ბ-ნი ი. ჯავახიშვილი, რომ სტრაბონის დროს ივერიელების მესამე ჯგუფში ჯერ კიდევ მომხდარი არ ყოფილა „სასტიკი დიფერენციაცია და პროფესიონალური დაყოფა მხედრებად და მიწის-მუშებად“, არამედ მთელი ეს ჯგუფი „მიწის მოქმედი იყო, ხოლო როცა გარემოება მოითხოვდა კიდევაც მომბდაო“.<sup>96)</sup> რაც შეეხება თვით სიტყვის „აზნაური“-ს წარმოებას, დღეს უკვე მტკიცეთ დადგენილია, რომ ეს სიტყვა წარმოშობილია სპარსულ-სომხური ძირიდან: „აზნ“, რომელიც „გვარს“ ნიშნავს, და სუფიქსისაგან „ურ=ვერ“, რომელიც აღნიშნავს „შვილს“, მაშასადამე სიტყვა „აზნაური“ უდრის წმინდა ქართულ სიტყვას „გვარი შვილს“ ან „გვაროვანს“, ე. ი. დიდის და ძლიერის ანუ გამოჩენილი „გვარის“ შვილს. სამაგიეროთ ის, ვინც ძალით და სიდიდით გამოჩენილ „გვარს“ არ ეკუთვნოდა, ქართულ წყაროებში „უ-აზნ-ოდ“ ანუ „უგვაროდ“ არის წოდებული. სჩანს, თვით აზნაურთა წოდების წარმოშობას საფუძვლად იმავე „გვარის“ განსაკუთრებული ღირსებანი დადებია, რომელიც წთელის ჩვენი ძველი სოციალურისა და პოლიტიკური ცხოვრების საფუძველს შეადგენდა. მაგრამ ეს მომხდარა არა ფარნავაზის დროს, არამედ გაცილებით უფრო გვიან,—როგორც სჩანს, არა უადრეს I-ლი საუკუნისა ქრ. შემდეგ.<sup>97)</sup> ამიტომ სრულიად შეუწყნარებლად

<sup>95)</sup> Ганъ. Извѣстія... стр. 68.—შეად. Н. Джаваховъ, loc. cit. стр. 56 да 8.

<sup>96)</sup> Н. Джаваховъ. loc. cit, стр. 56.

<sup>97)</sup> Idibem, стр. 56—60.—შეად. დ. ჩუბინაშვილის „ქართულ—რუსული ლექსიკონი,“ სადაც სიტყვა „აზნი“-ა აღსნილი.

უნდა ჩაითვალოს იმ ისტორიკოსთა აზრი, რომელნიც ჰფიქრობენ, ვითომც „ფეოდალური ცხოვრება“ ჩვენში უკვე ქართლოსის სიკვდილის შემდეგ დაწყებულიყოს და ფარნავაზს მხოლოდ დამტკიცების ამ წყობილებასთან შეკავშირებული სამიწათ-მფლობელო და მემკვიდრეობითი უფლებანი. ამ აზრს ადგა, სხვათა შორის, აწ განსვენებული სულხან ბარათაშვილი<sup>98)</sup> და, რა თქმა უნდა, სასტიკათ სცდებოდა.

მას შემდეგ, რაც ბ-მა ი. ოქრომქედლიშვილმა ქართული ანბანის საკითხს ცნობილი წერილი უძღვნა,<sup>99)</sup> ბევრისათვის სარწმუნო შეიქნა „ქართლის ცხოვრების“ ის მოკლე შენიშვნა, რომელიც ფარნავაზზე ამბობს: „ამანვე შექმნა მწიგნობრება ქართულიო“.<sup>100)</sup>

ბ-ნ ი. ოქრომქედლიშვილის აზრით, ფარნავაზს უნდა შემოეღოს ეგრეთ წოდებული „მხედრული“ ანბანი და საამისოთ 25 ასო ზენდიური ანბანიდან უნდა ესესხებინოს, იმ ზენდურიდან, რომელიც, პატივცემული მკვლევარის აზრით, სპარსეთში ვითომც აღექსანდრე მაკედონელის შესევამდე ყოფილიყოს გაბატონებული და მე-III საუკუნიდან კი, ქრ. წინ, ფეპლეთრისათვის დაეთმოს ადგილი; შემდეგ „მხედრულისაგან“ უნდა წარმომდგარიყო ხუცური ანბანიო და სხვა. ასეთია ი. ოქრომქედლიშვილის აზრი ჩვენი ანბანის დასაწყისსა და განვითარებაზე.

ბ-ნ ოქრომქედლიშვილზე გაცილებით ადრე სულ სხვა აზრისა იყო ამავე საგნის შესახებ ჩვენთვის დაუფიწყარი მეცნიერი მარი ბაროსსე, რომელიც ცდილობდა დამტკიცებია, ვითომც ქართული ასოების უმეტესი ნაწილი ინდოურ ანბან-

<sup>98)</sup> ს. ბარათაშვილი. საქართველოს ისტორია. რვ. I, გვ. 48—49.

<sup>99)</sup> И. Л. Окрочедловъ. Объ изобрѣтеніи грузинскаго алфавита. ნახ. „Труды V-го археологическ. съѣзда въ Тифлисъ“ Москва. 1887 г. стр. 221—229.

<sup>100)</sup> ქართლის-ცხოვრება. I, გვ. 40.

თავან და კერძოთ „დევა-ნაგარისაგან“ ყოფილიყოს ამო-  
 ლებული.<sup>101)</sup>

შემდეგ ამავე საგანს შეეხო ჩვენი არხეოლოგ-ისტორი-  
 კოსი დ. ზ. ბაქრაძე და უტყუარი საბუთებით დაამტკიცა,  
 რომ ქართულ ანბანებში ყველაზე უძველესი „ასო-მთავრული“  
 ანბანია, რომლისაგანაც შემდეგ წარმომდგარა „ნუსხახუცური“,  
 ხოლო ამ უკანასკნელისაგან განვითარებულა ეგრეთ წოდებუ-  
 ლი „მხედრული“. ამასთანვე მკვლევარმა გამოთქვა აზრი,  
 რომ ჩვენი ანბანი „დაარსებულია ბერძნულის კულტურის  
 გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული კოლონიები დამ-  
 ყარდენ ჩვენს მეზობლად შავი ზღვის პირზეო.“<sup>102)</sup>

დიდი ხანი არ არის, რაც ი. ოქრომქედლიშვილის აზრი  
 განიმეორა ი. შნიცერიმა ქართული ანბანის ზენდურისაგან  
 წარმოშობის შესახებ, მაგრამ სრულიად უარ-პყო ის დებუ-  
 ლება, ვითომც ქართული ანბანი ქრ. დაბადებამდე ყოფილი-  
 ყოს შემოღებული და ვითომც ეს ანბანი „მხედრული“ ყო-  
 ფილიყოს. პირიქით, იგი უკრიტიკოთ მიემხრო იმ შემცდარ  
 აზრს, რომელიც ჩვენი ანბანის შესახებ სომხის ისტორიკო-  
 სებშია გავრცელებული, და სახალხოთ გამოაცხადა: ქართული  
 „ხუცური“ სომხის არქიმანდრიტმა მესროპმა გამოიგონა  
 („ИЗобрѢлъ“) მე-V საუკუნეში ქრ. შემდეგ, ხოლო „მხედრული“  
 შედარებით უფრო გვიან, სახელდობრ მე-XIV საუკუნეში,  
 შემოიღესო.<sup>103)</sup>

აღნიშნულ შეხედულებათა განხილვას ბოლოდან დავი-  
 წყებთ.

ბ-ნი შნიცერი ბრძანებს: ქართული მხედრული მხოლოდ

<sup>101)</sup> Brosset. *Eléments de la langue géorgienne*, Paris. 1837 г. р. 6—8.

<sup>102)</sup> დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. გვ. 82—85. და მისივე „Грузинская палеография“—въ „Трудахъ V-го археолог. съѣзда въ Т.“ 1887 г. стр. 207—214.

<sup>103)</sup> Я. Б. Шницеръ. *Иллюстрированная всеобщ. история письменъ*. Спб. 1903 г. стр. 156—157.

მე-XIV საუკუნეში შემოიღესო და ამით ამტკიცებს, რომ ჩვენი ანბანის შესწავლას იგი ძლიერ ზერცღეთ მოქცევია, თორემ ხომ არც ასეთს მტკნარს სიცრუეს იტყოდა. როგორც სჩანს, ბ-ნ შნიცერს სმენითაც არ გაუგონია, რომ ჩვენამდე შენახულია ბაგრატ მე-IV-ის სიგელი, რომელიც მხედრულითაა დაწერილი ეტრატზე მე-XI საუკუნეში.

რაც შეეხება იმ ზღაპარს, ვითომც ჩვენი „ხუცური“ თავდაპირველათ სომხის არქიმანდრიტს მესროპს ანუ მაშტოცს „გამოეგონოს“, ამ აზრს ზოგიერთი მკვლევარნი ამყარებენ მოსე ქორენელის „სასომხეთის ისტორიის“ ერთს აღგილზე, რომელიც მოკლეთ ასე შეგვიძლია გადმოვცეთ. მოსე ქორენელის სიტყვით სომხებს მესროპამდე საკუთარი მწიგნობრობა არა ჰქონათ; ამ არქიმანდრიტმა ერთხელ სიზმარში იხილა რაღაც საიდუმლო ხელი, რომელმაც იქვე ქვაზე სომხურის აღფაბეტის პირველი ასოების წერა დაიწყო. ამ ასოებით ისარგებლა მესროპმა, შექმნა სომხური ან-ბანი და მალე წიგნების თარგმნასაც შეუდგა; შემდეგ იგი შემოვიდა იერაქსში და აქაური მეფის, ეპისკოპოსისა და ვილაც ჯანის დახმარებით ქართული „მწერლობა მოაწყო“ (устраиваеть письмена) ხოლო აქედან გადავიდა ალბანიაში და „შექმნა“ („создалъ“) გარგარული ანბანი <sup>104</sup>)

ასეთია მოსე ქორენელის გადმოცემა. როგორც ვხედავთ, ავტორი ცდილობს, მკითხელი დაარწმუნოს, რომ სომხური ანბანი სრულიად ორიგანული ნაწარმოებია და არც ერთ დანარჩენ ან-ბანთან არავითარი კავშირი არა აქვს, რომ იგი თვით ღვთის ძლიერი „მარჯვენითაა“ პირველათ მოხაზული, ე. ი. ღვთიური ჩამომავლობისააო. მაგრამ ამ სარწმუნოებრივ ფანტაზიის აღმაფრენით გატაცებული იგი ველარ ამჩნევს, თუ ამ ზღაპრული მოთხრობით რამდენათ ამცირებს თავისი გადმოცემის ღირსებას და თან ჩრდილს აყენებს თვით მის-

<sup>104</sup>) Исторія Арменіи Моисея Хоренскаго. Пер. Эмяна. Москва 1893 г. стр. 191—193. (შეად. გვ. 172—173).

მიერვე ნაქებ-ნადიდებს მრავალ-საუკუნოვანს სომხურ კულტურასაც. მაგრამ დღეს თვით ამავე თქმულების თაყვანის მცემელნიც კი ველარ უარ-ჰყოფენ, რომ მესროპზე გაცილებით ადრე სომხებს ჯერ ლურსმული მწერლობა ჰქონებიათ, შემდეგ სპარსულფეჰლური და უკანასკნელათ—ბერძნული.<sup>105</sup>) მოსე ქორენელი კი, ან უკეთ ის პირი, რომლის შრომაც მოსე ქორენელის სახელითაა ცნობილი,<sup>106</sup>) გვარწმუნებს, ვითომც მესროპამდე სომხებს ანბანი არა ჰქონებოდესთ. ახლა ვიკითხოთ: ნუ თუ შესაძლოა ასეთს მწერალს, რომელიც თავის საკუთარი ხალხის შესახებაც კი სიმართლესა ჰფარავს, ქართველების შესახებ სრული ჭეშმარიტება შეენახოს?!... ამას გარდა, საქირთა თვით მოსე ქორენელის სიტყვებსაც მიექცეს ყურადღება. იგი არ ამბობს: მესროპმა ივერიელებს ანბანი „შექმნაო“, არამედ „მოუწყოა“ (=„устроилъ“), ხოლო, როგორც მოგვხსენებათ, ჩვეულებრივ „მოაწყობენ“ ხოლმე იმას, რაც უკვე არსებობს, მაგრამ რამე აკლია ან თავის დანიშნულებას სავსებით ვერ აკმაყოფილებს; ხოლო, როცა ახალი რაისამე გაკეთება სურთ აღნიშნონ, მაშინ ამბობენ „შემოიღო“ ან „შექმნაო“, და მოსე ქორენელსაც სწორეთ ეს უკანასკნელი სიტყვა აქვს ნახმარი მხოლოდ არა ქართულის, არამედ ალბანიაში გარგარული ანბანის შესახებ. სჩანს, საკ-

105) Я. Шиндєрь. *Loc. cit.* стр. 157.

106) როგორც მოგვხსენებათ გუტშმიდისა და კარიერის კრიტიკამ, წარსული საუკუნის 90—ან წლებში, სამუდამოდ შეარყია მოსე ქორენელის სახელით ცნობილი „ისტორიის“ ავტორიტეტი; კარიერმა ამ წიგნში აღმოაჩინა ისეთი ადგილები, რომელნიც მე-VIII საუკუნეს ეკუთვნიან, მოსე ქორენელი კი—მე-V საუკუნეში ცხოვრობდა (იხ. А. Аннинскій. *Армянскіе историки, какъ историческіе источники.* Одесса. 1899 г. стр. 14—15.) ცხადია, მაშასადამე, რომ „სასომხეთის ისტორიას“ მოსე ქორენელის შემდეგ ბევრი ცვლილება გაუვლია, ბევრი რამ ისეთი ჩამატებია, რაც მოსე ქორენელს არც კი შეეძლო ენახა, წაეკითხა და გაეგნა. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია ამ „ისტორიის“ ცნობებს გულუბრყვილოთ ვენდოთ ან უკრიტიკოთ დავეყაროთ.



მაო ცნობათა უქონლობისა გამო სომხის ისტორიკოსს ვერ გაუბედნია გადაჭრით ეთქვა, ვითომც ქართველებს მესროპამდე არავითარი სამწერლო ნიშნები არა ჰქონებოდეთ, თორემ უეჭველია ამათშესახებაც იმასვე იტყოდა, რაც ვარგარელების შესახებ სთქვა: მესროპმა ანბანი „შეუქმნაო“. ამიტომ გვაოცებს იმ ისტორიკოსების აჩქარებული აზრი, რომელნიც მოსე ქორენელის ამ თქმულებაზე ამყარებენ დასკვნას, ვითომც ქართველ ხალხს მესროპამდე საკუთარი მწიგნობრობა არა ჰქონებოდესო და ვითომც ანბანი პირველათ მესროპს ეწყალობებიოს ჩვენი წინაპრებისათვის.

ამ უკანასკნელი აზრის დასამტკიცებლათ ზოგიერთები იმ გარემოებაზე გვითითებენ, რომ სომხური ანბანის საერთო მოყვანილობა ერთის შეხედვით ძლიერა ჰგავს ქართულ-ხუცურისას. მაგრამ, როგორც უკვე მარი ბროსემ შენიშნა, ეს მსგავსება მხოლოდ მოჩვენებითია („n'est qu'apparents“) და სრულიად არ მართლდება, როდესაც ამ ანბანთა ყოველ ასოს ერთი-მეორეს შევეუდარებთ.<sup>107</sup>) მართლაც, თუ **ჴ**-ანსა და **ჴ**-არს არ ჩავთვლით, არც ერთს სომხურ ასოს იმავე მნიშვნელობის ქართულ ასოსთან ნათესაური მსგავსება არა აქვს,<sup>108</sup>) მაგრამ ამ ორ ასოშიაც უკანასკნელი ორსავე ანბანს ბერძნულიდანა აქვს ნასესხები; რაც შეეხება პირველს, იმის პირველ-წყაროს ჩვენ ქვემოთ გავეცნობით. დავგრჩა, მაშასადამე, სომხურისა და ხუცური ასოების საზოგადო მოხაზულობა, საერთო გარეგანი ხასიათი, მაგრამ ასეთი „მსგავსება“ არა თუ ორ მეზობელ ანბანში, არამედ ყველა ინდო-ევროპიულსა და სემიტურ ანბანებშიაც კი მოიპოვება;<sup>109</sup>) მაგრამ ეს მოწმობს მხოლოდ იმას, რომ ყველა ეს ანბანი ერთისა და იმავე დედა-ანბანისაგანა წარმოშობილ-განვითარებული

<sup>107</sup>) Brosret *Éléments de la langue géorgienne*. p. 6.

<sup>108</sup>) შეად. ქართულისა და სომხურ ანბანის ცხრილი. Шанцерь, *Loc. cit.* стр. 155—156.

<sup>109</sup>) ნახ. Шанцерь. *Loc. cit.* стр. 249. „გენეალოგია, და სემიტურ ანბანებისა“ (პალეოგრაფიული ცხრილია.)





და არა იმას, ვითომც ორი მეზობელი ერის ანბანი უსათუ-  
ოთ ერთი-მეორისაგან იყონ წარმოშობილი და განვითარე-  
ბული. ამიტომ ძლიერ სუსტს ნიდაგზე დგანან ის პირები,  
რომელნიც ამ მოჩვენებული „მსგავსებით“ სცდილობენ მო-  
სე ქორენელის სიტყვებიდან ის დასკვნა გამოიტანონ, ვი-  
თომც ქართული ანბანი პირველათ სომხის არქიმანდრიტ მეს-  
როპს „გამოეგონოს“ („изобрѣлъ“) ან შემოეღოს.

რაც შეეხება დ. ბაქრაძის შეხედულებას, მთლათ დაბრ-  
მავებული უნდა იყოს კაცი, რომ ქართული პალეოგრაფიუ-  
ლი ნაშთები საბუთიანათ გაიცნოს და ამ მკვლევარს კი არ  
დაეთანხმოს იმაზე, რომ უუძველესი ქართული ანბანი ეგრეთ  
წოდებული „ასომთაფრულია“, ხოლო ნუსხა--ხუცური და  
„მხედრული“ მისგანვე არიან წარმოშობილი და განვითარე-  
ბული. ეს აღმოჩენა იმდენათ მტკიცეთა აქვს დასაბუთებული  
ბ-ნ ბაქრაძეს, რომ სრულიად ზედ-მეტად მიგვაჩნია ამის  
ხელმეორეთ დამტკიცებას გამოვუდგეთ; ხოლო მსურველთ  
მივუთითებთ დ. ბაქრაძის მშვენიერს სტატიასზე: „Грузинская  
палеография“, სადაც ეს აღმოჩენა მრავალი პალეოგრაფიუ-  
ლი ნიმუშებითაა დასურათებული და დამტკიცებული.<sup>110</sup>) სა-  
მაგიეროთ იმ საუფუძველთა ძალით, რომელთაც მკითხველი  
ქვემოთ გაეცნობა, არ შეგვიძლია ამგვარათვე დავეთანხმოთ  
პატივცემულს მკვლევარს იმაზე, ვითომც ქართული ანბანი  
შავი ლხვის პირის ბერძნულ კოლონიათა ზედგავლენით „და-  
არსებულიყოს“, თუმცა არ უარვყოფთ, რომ ჩვენი ხუცურის  
შეესებასა და განვითარებაზე ბერძნულ ანბანსაც უნდა ჰქო-  
ნებოდა ძლიერი გავლენა.

საკმაოთ ორიგინალურია ის ანალოგია, რომელსაც მარი  
ბროსე ქართულ ხუცურსა და დევა-ნაგარის ანბანთა შორის  
უჩვენებს; მაგრამ, როგორც უკანასკნელის განხილვამ დაგვარ-  
წმუნა, ეს მსგავსებაც, თუ მეტის მეტათ არ გავაზვიადებთ,

<sup>110</sup>) ნახ. Труды V-го археологич. съезда въ Тифлисѣ. Москва  
1887. стр. 207—214.

ორ ასოს არ აღემატება ('**ლ**-ნსა და '**ლ**-ანს),<sup>111</sup>) და ჩვენის აზრით მხოლოდ იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ როგორც ინდოურისა, ისე ჩვენი ანბანის პროტოტიპი ერთი და იგივე უუძველესი დედა-ანბანია, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, და არა იმით, ვითომც ქართული ანბანი ინდოურისაგან ყოფილიყოს წარმოშობილი, რაც ისტორიულათა-ც-კი ძნელს მისაღებია, რადგან ქართველები აღმოსავლეთის კულტურულ ხალხთა შორის ყველაზე უფრო ნაკლებ ინდოელებთან იყვნენ დაახლოებული, და არ ვიცით, როდის უნდა მომხდარიყო მათ შორის იმდენად ძლიერი კულტურული დაახლოება, რომ ერთს მეორისაგან სამწერლო ნიშნები გადმოედო. ამიტომ ჩვენ სრულიად უარვეყოფთ იმ აზრს, ვითომც ქართული ანბანის შემუშავებაში ინდოურს დევანაგირის ალფაბეტს რაიმე წილი სდებოდეს.

დაგვრჩა განსახილველი ი. ოქრომქედლიშვილის ჰიპოტეზა.

მთელი ეს ჰიპოტეზა დამყარებულია ერთს ვაუგებრობაზე ან, უკეთ რომ ვთქვათ, იმ შემცდარ აზრზე, რომელიც ი. ოქრომქედლიშვილის დროს იყო ზენდური ანბანის სიძველის შესახებ მწერლობაში გავრცელებული. საქმე ისაა, რომ ოქრომქედლიშვილის თქმით, ფარნავაზის დროს (და ამ დროს იგი ვახუშტის ქრონოლოგიით ანგარიშობს) სპარსეთში გავრცელებული იყო ზენდურა ანბანი, რომელიც შემდეგში, არშაკიდებისა და სასანიდების დროს (250 წლიდან ქრ. წინ—652 წლამდე ქრ. შემდეგ), ფეჰლუური შეიცვალა. მაგრამ დღეს პალეოგრაფიული მეცნიერება იმ აზრისაა, რომ ის ზენდურა ანბანი, რომელიც ბ-ნ ოქრომქედლიშვილსა აქვს სახეში, ფეჰლურს წინ კი არ მიუძღოდა, არამედ უკან მისდევდა და პირდაპირ მისს განვითარებას წარმოადგენდა; ზენ-

<sup>111</sup>) იხ. Пинцерь loc. cit стр. 164: ინდოურ ანბანთა ცხრილი. ზუტურ **ჴ**-სა ჰგავს დევა-ნაგარის თ; დანარჩენ ასოთა შორის კი მსგავსება ძნელი აღმოსაჩენია.

დური ანბანის უძველესი ნაშთები ძლივს აღწევენ მე-X საუკუნემდე ქრ. შემდეგ,\*) ფეჰლეური ანბანის ნაშთებს-კი ჩვენი წელთ-აღრიცხვის 1-ლი საუკუნიდანაც მოუღწევია ჩვენამდე.<sup>112)</sup> ხოლო იმ დროს, როდესაც ჩვენში ფარნავაზი მეფობდა (მე-III საუკ. ქრ. წინ), სპარსეთში აწამულები ანბანი იყო გაბატონებული, რომელსაც ხუცურ ასომთავრულთან უფრო მეტი აქვს საერთო, ვინემ მხედრულთან.

მეორე მხრით, თავის ჰიპოტეზას ბ-ნი ოქრომჭედლი-შვილი ამყარებდა ზენდურასა და ჩვენი „მხედრულის“ შინადასოს მოჩვენებითს მსგავსებაზე. ჩვენ ხელთა გვაქვს ზენდური ანბანის სრული სია (45 ასოა) და მსგავსებას (მასაც არა სრულს) ვპოვებთ მხოლოდ შემდეგს ასოებში: ა, ი, ღ, ზ, მ და ლ. დანარჩენ ასოთა შორის მსგავსება ან სრულიად არავითარი არაა, ან უბრალო გარეგანს მოხაზულობის საზოგადო მსგავსებას არ აღემატება.<sup>113)</sup> მაგრამ ექვსი ასოს მსგავსება, და ისიც არა სრული, საკმაო არაა ისეთი მსხვილი დასკვნის გამოსაყვანათ, რომელსაც ამ ჰიპოტეზის მომხრენი ადგანან. ეს მსგავსება კიდევ უფრო სუსტი და უმნიშვნელო ხდება, როდესაც ზენდურს ქართულ ასომთავრულს, ე. ი. ჩვენი მხედრულის პროტოტიპს ვაღარებთ. მართლაც წინასწარ შედგენილი აზრით დაბრმავებული უნდა იყოს კაცო, რომ ქართული ასომთავრული ზენდურისაგან ნაწარმოებად ჩასთვალოს. სწორედ ამ აზრს ადგია ბ-ნი შნიცერი და, რა თქმა უნდა, სასტიკათ სცდება. იგი ქართულ ასომთავრულს უკუღმაც კი ატრიალებს, ზოგს ასოს განგებ თავის გემოვნებაზე ამახინჯებს და ისე უღარებს სომხურსა და ზენდურს, მაგრამ ამათ: ასოების შეტრიალება უფროც აძლიერებს ასომთავრულისა და ზენდურის სიშორეს და ერთხელ კიდევ

\*) ეს ვარაუდი ყურადღების ღირსია, რადგან ქართული მხედრულის უძველესი ნაშთებიც მე-X—XI საუკუნეზე ადრე არ მოგვეპოვება.

112) იხ. Шницаръ loc. cit. стр. 153—154.

113) Шницоръ, op. cit. стр. 154: ზენდური ანბანის სია.

ცხად-ჰყოფს, თუ რამდენათ შემცდარნი არიან ის მკვლევარნი, რომელნიც ქართულ ანბანს ზენდურისაგან ნაწარმოებად სთვლიან. <sup>114)</sup>

მაშ როდის და რომელი ანბანისაგან უნდა წარმომდგარიყო ჩვენი ანბანი? ნუ თუ იგი, როგორც ზოგიერთები ჰფიქრობენ, მართლა ყველა ანბანებიდანაა სხვა და სხვა დროს შედგენილ-შეესებული?

ამ კითხვაზე რომ გარკვეული პასუხი მივიღოთ, საჭიროა შემდეგს ხუთს გარემოებას შივაქციოთ ყურადღება.

ა) როგორც დი. ბაქრაძის გამოკვლევამ დაგვიმტკიცა, უუძველესი ქართული ანბანი ასომთავრულაა, რომლისაგანაც შემდეგ წარმოიშო ნუსხა-ხუცური და მხედრული. მაშასადამე, როდესაც ქართული ანბანის დასაწყისზე გვაქვს საუბარი, ჩვენ სწორედ ასომთავრულის დასაწყისი უნდა ვიგულისხმოთ და არა ნუსხა-ხუცურისა, გინდ მხედრულისა.

ბ) პალეოგრაფიულმა მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ყველა დღევანდელი ინდო-ევროპიულ-სემიტურნი ანბანნი ერთისა და იმავე პირველ-ანბანის ისტორიულ-ევოლიუციონურათ განვითარებულს შტოებს წარმოადგენენ, სწორედ ისე, როგორც ყველა ძუძუმწოვარნი ერთი საზოგადო წინაპარისაგან არიან ევოლიუციონურათ წარმოშობილნი. ეს პირველ-ანბანია ეგრეთ წოდებული მკელი ებრაულ-ფინიკიურა აღფაბეცა. რომელიც თავის მხრივ ეგვიპტურ იერატიულ (=ხუცურ) სამწერლო ნიშნებისაგან ყოფილა წარმომდგარი. <sup>115)</sup> ამ პირველ-ან-ბანისაგან წარმომდგარა სამი უმთავრესი შტო ანბანისა: ა) ბერძნულ-კადმური, ბ) ახამეული და გ) სამხრეთ-სემიტური, რომელთაგანაც თანდათან განვითარებულან: პირველისაგან — ყველა ევროპიულნი და კოპტური, მეორისაგან — ირანულნი, ახალ-

<sup>114)</sup> ნახ. იქვე გვ. 153: ფეჰლეურ, ზენდურ, სომხურ და ქართულ ანბანთა შეერთებული ცხრილი.

<sup>115)</sup> Шницеръ. op. cit. стр. 93—108.



ებრაული და მონგოლურ-არაბული, ხოლო მესამისაგან — ყველა ინდოური ანბანები.<sup>116)</sup>

გ) ფილოლოგია, ეს აღგებრა ისტორიულ მეცნიერებათა, ეს ძლიერი და ზოგჯერ ერთად-ერთი საშუალება ძველის ეთნოგრაფიის აღსადგენათ, გვიმტკიცებს, რომ ქართველთა მოდგმის ერთ-ერთი უუძველესი შტო, ეგრეთ წოდებული ურართელნი ანუ ალაროდინები, მე-VII საუკუნის დაშლემდე ქრ. წინათ ფრიად ძლიერსა და საკმაოთ განვითარებულ ერს წარმოადგენდა; იგი ცხოვრობდა დაახლოვებით იმ ადგილებში, სადაც დღეს სასომხეთია, არარატისა და ვანის-ტბის მიდამოებში, სანამ ეს ადგილები არიული მოდგმის ხალხმა, სომხებმა, არ დაიჭირა. მე-VII საუკუნიდან კი ალაროდინები იძულებული გახდნენ თანდათან ჩრდილოეთისაკენ წამოეწიათ და არაქსის მარცხენა ნაპირები დაეჭირათ. აი ამ თემს დაუტოვებია ვან-არრაატის მიდამოებში ჯუჯსმუღი წარწყმანი, რომელთა ენაც, კუნოლოგების გამოკვლევით, არც ერთს ენას ისე არ უახლოვდება, როგორც ქართულ ენას.<sup>117)</sup> ცხადია, მაშასადამე, რომ მე-VII საუკუნეში და მის წინაც ქართველთა მოდგმის ერთს თემს იგივე სამწერლო ნიშნები ჰქონებია („ლურსმული ნიშნები“), რომლებიც იმ დროს ყველა მეზობელ კულტურულ ერებში იხმარებოდა (ასურელებსა, ბაბილონელებსა და შემდეგ სპარსელებში).

დ) მე-VII საუკუნის შემდეგ, სახელდობრ მე-VI საუკუნეში ქრ. წინედ, როგორც პირველ წერილში მოვიხსენეთ, ქართველი ტომის ყველა თემები და მათ შორის ალაროდიელებიც სპარსეთის გავლენას დაემორჩილნენ, კვიროსისა და დარიოზის ქვეშევრდომნი გახდნენ, ხოლო როგორც ზემოთ

116) Ibidem. стр. 247: Геневалогическая таблица всех алфавитовъ мира.

117) Lenormant—Lettres assyriologiques... (==ა. ჯეონია— ისტორ. ნარკვევი. გვ. 40—43).—Никольскій—*Клинообразныя надписи ванскихъ царей.* (==მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობა ვახუშტის „საქართვე. გეოგრაფიისა“. გვ. 23).

შეენიშნეთ, ზოროსტრის სარწმუნოებაც ამავე დროს შეითვისეს. ერთი სიტყვით, პოლიტიკურს შეერთებას თან მოჰყვა კულტურული გაერთგვარებაც, ახალი აზრებისა და სოფლმხედველობის შეთვისება. ამ მდგომარეობამ გასტანა მე-IV საუკუნის დამლევამდე. მთელს ამ ხნის განმავლობაში სპარსეთში ორგვარი სამწერლო სისტემა იყო: ლურსმული და ალფაბეტური, რომელთაგან საბოლოოთ ალფაბეტურმა სისტემამ გაიმარჯვა და ლურსმული მწერლობა სამუდამოთ განდევნა სპარსეთიდან. ეს ალფაბეტი იყო ზემოთ დასახელებული ანაკეუჯი ანბანი, რომელმაც მე-VII—VI საუკუნეში ქრ. წინ ჯერ ასურელებისა და შემდეგ სპარსელების ხელში უკვე თავისი განვითარების ძეგლად საფუძვლად დასაყდნად შესდგა ფეხი<sup>118</sup>). შემდეგში (VI-იდან—მე-III საუკუნემდე ქრ. წინ) ეს ანბანი სპარსულ ნიადაგზე თან და თან შეიცვალა და არაქიდეების დროს (250 წლიდან ქრ. წინედ) ეგრეთ წოდებულ ფეხეკურად გადაიქცა<sup>119</sup>). ალფაბეტური სისტემა ასურელებმა და სპარსელებმა უმთავრესათ სსაღებმადგემა და სჯერათმორასს მიწერმოწერისათვის შემოიღეს, ხოლო როდესაც დარწმუნდნ ამ სისტემის უპირატესობაში, თანდათან მიივიწყეს და უარჰყვეს ძველი ლურსმული სისტემა. აი ასეთს კულტურულ პირობებში მოუხდა ცხოვრება ჩვენს ხალხს იმ დროს, როდესაც არამეულმა ანბანმა წინა-აზიის ხალხთა შორის ფეხი მტკიცეთ გაიდგა და ახალ ანბანთა წარმოშობას ფართო ნიადაგი მოუშალა. იკითხება: ნუთუ ქართველ ხალხს, რომელიც ამ დროს სპარსეთის უძლიერეს პოლიტიკურ და კულტურულ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომელმაც სარწმუნოებაც კი სპარსულ გემოვნებაზე შეიცვალა და რომლის ერთი თემიც, ალაროდინელები, უკვე უძველესი დროიდან იყო მწერლობას მიჩვეული, ნუ თუ ამ ხალხს და განსაკუთრებით მის მოწინავე თემს, ალაროდინელებს, შეეძლო მე-VII საუკუნიდან ერთბაშით

<sup>118</sup>) Шницеръ. Op. cit. стр. 113.

<sup>119</sup>) Ibidem, стр. 153—154.



მწერლობაწე ხელი აეღო და "გაბატონებული ერისაგან ის სამწერლო ნიშნები არ შეეკვისებია, რომლებიც იმ დროს წინა აზის ლურსმულ სისტემას ძირს უთხრიდა? თუ გვსურს ამ კითხვაზე პასუხი მივიღოთ, საჭიროა მეხუთე გარემოებასაც მივაქციოთ ყურადღება. აი ეს გარემოება.

ე) ქართული ასომთავრული არც ერთს ანბანს ისე ძლიერ არა ჰგავს, როგორც შერეუ საფესურზე მდგომს ანამეუღსა და იმის ჰროტოტიპს ძველ-ებრაულ-ფინიკიურს აღფაბეტს; არც ერთი ანბანისაგან ჩვენი ასომთავრულის წარმოება ისე ადვილი არაა, როგორც ამ ორი ანბანიდან. მხოლოდ სამი თუ ოთხი ასოა ბერძნულიდან ნასესხები და ისიც მხოლოდ ის ასოები, რომელნიც არამეულსა და ძველებრაულ-ფინიკიურ ანბანში არ მოიპოება. დანარჩენი ასოები კი ან ძველი არამეულის პირდაპირს გამეორებას წარმოადგენს ან მცირეოდენს შეცვლას; საყურადღებოა, აგრეთვე, რომ ჩვენი ანბანის პირველი თექვსმეტი ასოც (ა—ჰ) იმავე რიგს მისდევს, რომელსაც არამეულ-ებრაული ასოები მისდევენ, ხოლო ორი ასო: ზ და შ ქართულში დღესაც იმავე სახელს ატარებს ("ზენ", "შინ"), რომელსაც ძველ-ებრაული და არამეული ზ-ენი და შ-ინი ატარებდნენ (zain, schin). მაგრამ რომ უსაბუთოება არავინ დაგვწამოს, აქვე მოგვყავს შემდეგი პალეოგრაფიული ცხრილი, რომელშიაც ვათავსებთ ოთხი ანბანის ნიმუშებს: ებრაულ-ფინიკურასა, ანამეულ-სპარსულსა, ქართულსა და ბერძნულსა.



1.	2.	3.	4.	5.	6.	7.
Երկրորդական	Լատին.	Օրգան-գիտ-ւոր-պոստ-յապիս.	Տիպար-ընկեր-ութեան յի-թիւ.	Միտարար-ական-հայ-հայտարար.	Օրգան-գիտ-ւոր-պոստ-յապիս.	Տիպար-ընկեր-ութեան յի-թիւ.
a	alef	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
b	beth	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
g	gimel	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
d	daleth	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
h	he	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
v	var	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
z	zain	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
ch	Cheth	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ; Ⲁ	Ⲁ	Ⲁ; Ⲁ
th	theth	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ	Ⲁ
i, j	iod	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
kh	kaph	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
l	lamed	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ	Ⲁ
m	mem	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
n	nun	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
s	samech	Ⲁ	Ⲁ	Ⲁ	Ⲁ	Ⲁ
o	ain	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ	Ⲁ
p, p'	pe	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
ts	tsade	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ; Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ; Ⲁ
q	qof.	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ	Ⲁ
z	resh	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ
sch	schin	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ; Ⲁ	Ⲁ Ⲁ Ⲁ	Ⲁ; Ⲁ
t	tbar	Ⲁ	Ⲁ Ⲁ	Ⲁ; Ⲁ; Ⲁ	Ⲁ	Ⲁ; Ⲁ
y	-	-	-	Ⲁ	Ⲁ	Ⲁ
φ	-	-	-	Ⲁ	Ⲁ	Ⲁ
x	-	-	-	Ⲁ	Ⲁ	Ⲁ
o	-	-	-	(Ⲁ)	(Ⲁ)	Ⲁ



ვინც ამ ცხრილს ჩაუკვირდება\*), ადვილათ შენიშნავს, რომ ზოგი ქართული ასო ზირდაზირი განშეფრება იმავე მნიშვნელობის ძველ არამეულ-სპარსულისა ან მათი პროტოტიპის ებრაულ-ფინიკური ასოებისა. ასეთებია, მაგალითად: ბ, თ, ე, დ, ი, თ, წ, და ჩ.

ზოგს არამეულ-სპარსულსა და ებრაულ-ფინიკურ ასოს ქართულ ანბანში შეცირვდენი ცუდილება განუცდია. ასოების ამ ჯგუფს ეკუთვნიან: ა, გ, დ, (=შეუღ. ებრაულს), ე, ზ, ც (=ებრაულს შეუღარეთ), კ, ლ, ტ, ტ.

შემდეგს ქართულ ასოებში მათი პროტოტიპების ანსუბითი ნაწილები დაცულია, მაგრამ თვალსაჩინო ცვლილებები ეტყობათ:

მ-ღს მარცხნიდან ჰირს ნახევარი-წრე მიბჰია, ხოლო ზემოთ მარცხენა მკლავში პატარა კბილი დაჰკარგვია;

ნ-არს, რომელიც მარცხნიდან მარჯვენისკენ შეტრიალებულს იმავე არამეულ ასოს წარმოადგენს, ძირიდან პატარა ფეხი აქვს მიმატებული;

პ-არი იგივე ძველ-ებრაული ასოა მხოლოდ ზირდაზირი და ჰორიზონტალურათ დაწვენილი, სწორეთ ისე როგორც ბერძნული „პ“-ც ზირდაზირი-დამხობილი იგივე ებრაულ ფინიკური „პ“-არია;

ჟ-ანი იგივე წ-ილია, მხოლოდ მარცხნივ მობრუნებულია და კბილებიც პირ-შელპა აქვს შეტრიალებული;

ყ-არში ძველ-ებრაულს იმავე მნიშვნელობის ასოს მარჯვნიდან პატარა წრე ჩამოცლია, ხოლო მარცხენა წრეს ზემოთ თავი გახსნია, რაც არამეულ ანბანში ხშირი მოვლენაა (ნახ.

\*) ეს ცხრილი შედგენილი გვაქვს ბ-ნ შნიცერის წიგნის მიხედვით გარდა ქართული ანბანისა, სახელდობრ: ა) ებრაულ-ფინიკური ანბანი იხ. Шницеръ, op. cit. стр. 88 и 111; ბ) არამეული იქვე გვ. 111; გ) ძველი ბერძნული—იქვე გვ. 173;—ხოლო ქართული შედგენილი გვაქვს უძველესი წარწერების და ხელნაწერი წიგნების მიხედვით, რომელსაც კი ხელი მიგვიწვდებოდა.

მაგალითად არამეული: ბ, დ, თ და ო, ებრაულთან შედარებ-  
 რებით);

რ-ე ქართული, ჩვენის ფიქრით, უნდა წარმოადგენდეს  
 არამეულ-სპარსულ იმავე ასოს, მხოლოდ მარცხნიდან მარ-  
 ჯვნივ შეტრიალებულს და თავდაღმა დამხობილს; თანაც მარ-  
 ცხნიდან ძირს პატარა კუდი აქვს მიბმული;

შ—ანიც მარჯვნიდან მარცხნივ შემობრუნებული იგივე  
 არამეულ-სპარსული ასოა;

ს—ანიც იმავე არამეული „შ“—ინისაგან წარმოებულია,  
 მხოლოდ პროტოტიპთან შედარებით იგი უფრო სწორა ვერ-  
 ტიკალურათაა დაყენებული და ზემოთ ერთი კბილი აქვს  
 ჩამოკლილი; მაგრამ შეიძლება ეს ასო, როგორც დ. ბაქ-  
 რაძე თიქრობდა, მართლაც ბერძნული „სანი“—საგან იყოს  
 წარმო-ძობილი.<sup>120</sup>)

ასოები. ვ, ფ და ქ, როგორც მკითხველი შენიშნავდა,  
 ბერძნული ასოების განმეორებაა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული უ—ნი, რომე-  
 ლაც ძველათ ორი ასოსგან შესდგებოდა (ო და ვ), ბერძ-  
 ნული „ου“—ის განმეორებაა.

ამგვარათ, 30 ქართული ასოს (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ც,  
 თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, ყ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ლ, ყ, შ,  
 ჩ, ც, წ, ჯ) წარმომშობი პირველი წყარო დღეს უკვე აღმოჩე-  
 ნილია.\*) ეს პირველ-წყაროა: უმთავრესათ ანაქუდი ანბანი  
 ასურულ-სპარსული პერსიის მე—VII—VI საუკუნეში ქრ. წინ

<sup>120</sup>) დ. ბაქრაძე—ისტორია საქართველოსი. გვ. 83.

\*) რჩება კიდევ რვა ასო: ჰ, ძ, ჭ, ხ, კ, ჯ, ჰ და ზ, რომელნიც  
 ხუცურ-ასომთავრულათ ასე იწერებიან: ჰ, ძ, ჭ, ხ, კ, ჯ, ჰ,  
 ჰ და ძ.—პირველი ასო განმეორებაა ზენდური ი—ნისა (=ა); მეორე  
 ასო (ძ) ძლიერ მოგვაგონებს სომხურს რბილ ზ—ს (=ძ=ზ რ.), რასაც  
 შეგვიძლია ფანტიკური საფუძველიც კი მოვუძებნოთ, რადგან ძველათ  
 ქართულ ენაში ბევრი ის სიტყვები, რომელნიც დღეს ძ—ლით იწყება,  
 ზ—ენით იწყებოდა (მაგალ.: ძროხა—ზროხა, ძახილი—ზახილი, ძრახვა—  
 ზრახვა და სხვანი); მესამე, მეოთხე და მეხუთე ასო (=ჭ, ხ, კ), ჩვენის

მისივე პროტოტიპით ძველ-ებრაულ-ფინიკიურითურთ და რამოდენსამე შემთხვევაში—ძველი ბერძნული ალფაბეტი. ყოველივე ზემოთ თქმული საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ანბანი ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მის მოწინავე თემს. ალაროდიელებს, ფარნავაზზე გაცილებით ადრე უნდა ჰქონებოდა. მაგრამ, შესაძლოა, ამ ანბანს ბევრი ნაკლი ჰქონოდა, ყველა ქართული ხმების გამომხატველი ვერ ყოფილიყოს და ფარნავაზს შეეფოს იგი ახალი ასოებით; შესაძლოა, აგრეთვე, ფარნავაზს წერა-კითხვა დანარჩენ თემებშიაც გაეფრცელებიოს, თანაც უცხო ენებიდან რამოდენიმე წიგნი გადმოეთარგმინებინოს და, სამგვართ, საფუძველი ჩაეყაროს ქართული მწიგნობრობისათვის. ერთი სიტყვით, ფარნავაზს უნდა ეკუთვნოდეს დაწყება „მწიგნობრობისა“ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და არა ანბანის შემოღება. აი ამას უნდა ნიშნავდეს, ჩვენის ფიქრით, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვები ფარნავაზის შესახებ: „ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართულიო“.

მაგრამ, შეიძლება, გვკითხოს ვინმე: თუ ქართული ანბანი მართლა ეგრე დიდი ხნისაა, როგორც თქვენ ამბობთ (ე. ი. თითქმის მე—VII—VI საუკუნისა ქრ. წინ), რატომ დღემ-

ფიქრით, ადგილობრივ ნაწარმოები უნდა იყოს, სახელდობრ: ასო კ—ძლიერ მოგვაგონებს ქურს (ძირს მუცელი და ზემოთ ყელი) ან რომელსამე ყურიანს თიხის ქურჭელს; ასო ხ—უნდა წარმოადგენდეს ხელს ნიდაყვამდე და ნიდაყვს ქვემოთ კი მოკეცილ მკლავს; კ—არი კი—ნამდვილი რქებიანი ხარის თავია და სახელსაც ხომ ასეთს ატარებს („კარ“).—რაც შეეხება ასოს **ქ**—ს, ამაზე ძლიერ მახვილი მოსაზრება წარმოუსთქვა პროფესორმა ვ. ვ. ბოლოტოვმა; სახელდობრ, მისი აზრით, ქართული ასომთავრული **ქ** უნდა წარმოადგენდეს ბერძნული სიტყვის: „**σταυρος**“ (=ჯვარი) აბრევიატურას მსგავსად კოპტურისა (ნახ „**Χρ. Чтотія**“ за 1898 г. апрѣль аѳ стр. 266—Журн. академiи); მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო არა უადრეს ქრისტიანობის შემოტანისა საქართველოში, როცა „ჯვარი“ (=σταυρος) ყველასათვის ცნობილ სიმბოლოდ გადაიქცა. მანამდე კი, ჩვენის ფიქრით, ქართველებს **ჯ**—ანის გამოსახატავათ სხვა რომელიმე ფონეტიკურათ მიმსგავსებული ქართული ასო უნდა ჰქონებოდათ ხმარებაში (მაგალ. დ).

დე არც ერთს ქართულს წარმართული დროის წარწერას ჩვენამდე არ მოუღწევია? რა მიზეზია, რომ უუძველესი ქართული წარწერანი მხოლოდ მე—V—VI საუკუნიდან მოგვებოდა ქრ. შემდეგ, ე. ი. როდესაც ქართველებს უკვე ქრისტიანობა ჰქონდათ მიღებული, ამაზე უწინ კი არქეოლოგია ქართულ წარწერებს არ იცნობსო?—ჩვენის ფიქრით, ეს გარემოება ძლიერ ადვილი ასახსნელია. წარმართული დროის ქართულ მწერლობას ჩვენამდე არ მოუღწევია მიტომ, რომ მას შემდეგ, რაც მთელი ქართველობა ქრისტეს სარწმუნოებაზე მოიქცა, ყოველსავე წარმართულს სამღვდელოებამ სასტიკი ბრძოლა აუტეხა და განადგურება დაუწყო (ერთ დროს, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სამღვდელოება თვით ქრისტიანულ „ვეფხვის-ტყაოსანსაც“ კი განადგურებას უპირებდა); უეჭველია, ამ გამანადგურებელი „მოღვაწეობის“ მსხვერპლი შეიქნებოდა ძველი (წარმართული) ქართული მწერლობის ნაშთები; არავინ დაინტერესებული არ იყო ეს ნაშთები შეენახა ან გადაეწერა, და იგინიც, მეტი რაღა გზა ჰქონდათ, უნდა თანდათან გამქრალიყვენ. შესაძლოა წარწერები ციხეებსა და წარმართულ ტაძრებზედაც მოიპოებოდა; მაგრამ გვიბრძანეთ: არის საქართველოში ან ერთი ცეხე, რომელიც ყოველ საუკუნეში ერთხელ მაინც არ დანგრეულიყოს?!... რაც შეეხება წარმართულ ტაძრებს, ვინ არ იცის, რომ იმ ტაძრების ალაგას დღეს უკვე ეკლესიებია ამართული?!... მაშასადამე, სრულიად ბუნებრივი და ადვილ-ასახსნელია ის გარემოება, რომ წარმართული დროის უუძველეს ქართულ მწერლობის ნაშთებს ჩვენამდე არ მოუღწევია, და ამასთანავე ცხადია ისიც, რომ იღნიშნული გარემოება სრულიად საკმაო არაა ქართული ანბანის სიძველის შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმული აზრის დასარღვევად.

ს. გარგამე

# ნ ა რ ე ვ ი

1) ვიქტორიენ სარდუს გასამრჯელო.—2) ირვინგის დიდება.—3) მ. გაპონი.—4) საკვირველი შენსიერება.—5) ედისონის აკკუმულატორი.—6) სპილენძი.—7) ახალი ვაზი—8) უგაზეთობა.—9) ზღაპარი.

**ვიქტორიენ სარდუს გასამრჯელო.**—ვიქტორიენ სარდუ, ცნობილი დრამატურგი, რომლის ერთს პიესას „სამშობლოს“ ქართველი საზოგადოებაც იცნობს თ. ერისთავის ნათარგმნით, ამერიკაში არა-ნაკლებ ჰონორარს იღებს თავის პიესების წარმოდგენებიდან, ვიდრე საფრანგეთში და ერთობ ევროპაში. სამი სეზონის განმავლობაში ამერიკამ მარტო ერთი პიესის „მოურიდებელი ქალბატონი“ ჰონორარად (ეს პიესაც ნათარგმნია ქართულად, მაგრამ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა ჩვენს მაყურებლებზედ) შვიდი ათასი თუმანი მისცა. ერთმა თეატრმა ოთხი სეზონის განმავლობაში 31400 თუმანი მისცა მარტო ხუთი პიესის წარმოდგენების ფასად; ეს პიესები იყო—თეოდორა, ტოსკა, ფედორა, კლეოპატრა და ჟისმონდა; თითონ დირექტორმა თეატრისამ ამ პიესების წარმოდგენებიდან 720000 თუმანი აიღო.

\*\*

**ირვინგის დიდება.**—არც ერთს აქტიორს არ მოუხვეჭია იმოდენი დიდება, რამოდენიც ანას წინაღ გარდაცვალებულს ინგლისელ აქტიორს ანრი ირვინგს არგუნა ბედმა. ირვინგი საყვარელი იყო არა მარტო ინგლისელ ხალხისა, არამედ უმაღლეს საზოგადოებისა და თვით დედოფალი ვიქტორია თაყვანსა სცემდა და აჯილდოვებდა მის ნიქს. პირველად ირ-

ვინგმა სახელი ერკმან-შატრიანის პიესით გაითქვა „პოლო-  
 ნელი ურია“. 1874 წელს ჰამლეტის როლი ითამაშა და  
 ისეთი სინამდვილით განახორციელა ჰამლეტის სულის კვეთ-  
 ება, რომ ორასჯერ ზედიზედ ითამაშა ეს როლი; ეს პირ-  
 ველი შემთხვევა იყო, რომ შექსპირის პიესა ამდენჯერ  
 ეთამაშათ შეუწყვეტლივ. 1879 წელს შეილოკის როლში  
 ეჩვენა საზოგადოებას და შეუწყვეტლივ ორას ორმოცდა  
 ათჯერ ითამაშა „ვენეციელი ვაჭარი“. ოცდა ათის წლის  
 განმავლობაში ირვინგი იყო დედა-ბოძი ინგლისის თეატრისა  
 და ღირსეულადაც ემსახურებოდა ხელოვნებას. უმთავრესი  
 მისი როლები იყო—ჰამლეტი, შეილოკი, მაკბეტი, ღონ-კი-  
 ხოტი, მეფე ლირი, მეფისტოფელი და სხვ.

\*\*

მ. გაპონა. ვიქტორიენ სარდუზედ არა ნაკლები ჰონორა-  
 რი აიღო ინგლისელ გამომცემლისაგან მ. გაპონმა თავის ცხო-  
 ვრების აღწერაში. ამ ავტობიოგრაფიიდან სჩანს, რომ გაპონი  
 გლენხი კაცის შვილი ყოფილა და ბავშობითვე, მამისა და თავის  
 ნათესავ გლენხთაგან, გაუგია ლ უგვრძენია ის ტანჯვა-წვალება ლ  
 სასოწარკვეთილება, რომელშიაც რუსეთის გლენხკაცობა იმყო-  
 ფება. ბავშვი მეტად ნიჭიერი ყოფილა და სასწავლებლად მიუ-  
 ციათ. თხუამეტი წლისა ყოფილა, როდესაც ტოლსტოის  
 თხზულება წაუკითხავს, შეუგნია, რომ ღმერთი ხატებში კი არა,  
 ჩვენს გულში უნდა იყოს დამყარებული და, სემინარია რომ  
 გაუთავებია, უარი გამოუცხადებია,—მე ღვდლად არ წავალო.  
 მაგრამ სწორედ ამ დროს გაუცენია ერთი ქალი, რომელსაც  
 დაურწმუნებია, —თუ გინდა ხალხს ემსახურო, ანაფორით უნდა  
 შეიმოსო. გაპონს მოსწონებია ეს რჩევა, ქალი ცოლად  
 შეურთავს, მაგრამ რაკი მოჰკდომია, პეტერბურგს გადასახლე-  
 ბულა. მუშა-ხალხის ხსნა ერთობით შეიძლებაო, უთქვამს, და  
 შესდგომია მუშათა კავშირის შედგენას. პირველად, 11 აპრილს  
 1904 წელს შემდგარს საზოგადოებაში სულ 150 მუშა ყო-  
 ფილა, მაგრამ ერთის თვის თავზედ სამასამდე ასულა, ოქტომ-  
 ბერში ხუთი ათასამდე, იანვარში ოცდაორ ათასამდე. 9 იანვარს

მომხდარი მუშების უღებ და გაპონის სამძღვარგარეთ გაქცევა ჩვენს მკითხველს უკვე ეცოდინება.

\*\*

**საგვანველი მესხიკება.** ინგლისში და ამერიკაში ერთს კაცს აჩვენებენ, რომელსაც უცნაური მესხიერება აქვს და, რაც უნდა გაიგონოს, სულ უცნობ ენაზედ, ისე დაისწავლის და გაიმეორებს, თითქო თავის მამაოჩვენოს ამბობსო. ეს კაცი უბრალო მუშა იყო; ვილაც აქტიორს გაეგო მისი ამბავი, გაეცნო და პირობით შეჰკვროდა, — წარმოდგენები გაემართოთ, შენ გადაწყვეტილი ჯამაგირი მიიღე და მოგება და ზარალი ჩემი იყოსო. კვირაში ასოც თუმანს აძლევს ეს ანტრეპრენიორი თავის არტისტს — დატას, მაგრამ იმისთანა ჯაფას აყენებს, რომ ექიმების სიტყვით ოცდა თხუთმეტ წლამდე ძლივს იცოცხლებს თურმე საკვირველი მესხიერების პატრონი. დატას თავი უკვე ნაყიდი აქვს ერთს ამერიკელ ფრენოლოგს (ფრენოლოგია ამტკიცებს, ტვინი მრავალ ნაწილთაგან შესდგება და ყოველი ნაწილი სხვა და სხვა ნიქის ბუდე არისო) ორიათას თუმნად, რომლის ერთი წილი უკვე მიღებული აქვს და დანარჩენს ქვრივი მიიღებს მის სიკვდილის შემდეგ. თუ ინგლისში ან ერთობ ევროპაში მოკვდა, კონტრაქტის ძალით მაშნვე შავი უნდა მოსქრან და ამერიკაში გაჰზავონ; ტანი კი დამარხონ. მეცნიერების ანგარიშით ამ კაცის ტვინი სამასი გრამით მეტს უნდა იწონდეს, ვადრე კიუფიესო, რომლის ტვინი უმძიმესად ითვლება დღევანდლამდე.

\*\*

**ელასონანს აკკუმულატორი.** ამბობენ ელისონმა უკვე გაათავა თავისი ახალი აკკუმულატორის მომზადება და ახლა ქარხანას მართავს მის გასასყიდად მოსამზადებლადო. ახალი აკკუმულატორი შესდგება რკინის ქვაბიდგან, რომელში მოთავსებულია რიგრიგით ნიკკელის და რკინის ნაქრები, ელისონის ანგირიშით სადაც უწინ 100 მანეთი იხარჯებოდა, დღეს 42 და დაიხარჯება ავტონობილი ამ ახალი ძალით მთელი შვიდი საათის განმავლობაში ივლის, თუნდა საათში 30 ვერსს გარბოდესო.

\*\*

ახალა გაზი აღმოუჩენიათ ამერიკაში, რომლის შემზადება ჯერ საიდუმლოს შეადგენს, თვისებებით კი, თუ მართალია რასაც სწერენ, დიდს სიკეთეს დასდებს კაცობრიობას. ეს გაზი კარგი იმით არის, რომ სინესტესა სპობს და გარდა ამისა უღობოდ ინახავს რამდენი ხანიც გნებავთ ყოველგვარ ხილს და საქმელს. ნიუიორკის ჰიგიენის ბიუროში ლეჰმანმა სცადა ამ გაზის გავლენა საქმელზედ და დაამტკიცა, რომ უებარი წამალი ყოფილა ყოველგვარ მიკრობების ამოსაწყვეტად: ამ ოთხის წლის წინად ამ გაზში გატარებული ხილი და საქმელი ჩაალაგეს ყუთებში და მოწმების თანადასწრებით დაბეჭდეს; ამას წინად გახსნეს ეს ყუთები და ხილიც და საქმელიც, ოღნავ წყალ გადავლებული, ისეთი აღმოჩნდა, თითქო ეს არის ეხლა მოუწყვეტიათ ხიდგან ან შეუმზადებიათო; ოთხი წლის განმავლობაში ისე შენახულიყვნენ, რომ მათში არავითარი ქიმიური ცვლილება არ მომხდარიყო. ამ გაზის მპოვნელი ჰამპტონ დელაფონტენი ამტკიცებს, ისეთი იაფი იქნება, რომ ყველას შეეძლება მის შეძენაო.

\*\*

სპალენმა დღეს 3600 ათასი ფუთი იხარჯება წელიწადში და, თუ მეცნიერის მუასხანის სიტყვა გამართლდა, უფრო მეტი დაიხარჯება. ეს მეცნიერი ამტკიცებს, 200 გრადუსიან სიციხით დამდნარ სპილენძს რომ ნახშირი ჩაურიო და მერმე გააცივო, სპილენძი ცალკე გავა და გრაფიტი, რომლისას კარანდაშს აკეთებენ, ცალკეო. ახალკალედონიაში კიდევ მრავალი სპილენძი იხარჯება ყავის ჭიის ამოსაწყვეტად. ყავას ფოთლებზედ რაღაც ჭია ეკიდება და ძირიანად ღუპავს მცენარეს. ამგვარად დასნეულებულს მცენარეს სპილენძ-ნავითან წყალს შესახამენ და ისე გადაარჩენენო.

\*\*

უგაზეთობა. პოლიტიკურ საზოგადო გაფიცვის დროს აღარც გაზეთები გამოდიან,—გაფიცვა სრული და საზოგადო მაშინ იქნება, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველი სუნთქვა მიწყდებაო. ავიწყდებათ, რომ გაფიცვის დროს დაუსვენ-



ნებლივ უნდა მოძრაობდეს ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს გაფიცვას; ხალხის წინაშე წარმოთქმული და გაზეთის წყალობით გავრცელებული სიტყვა უმლაგრესი იარაღია გაფიცვის მიზნის მისაღწევად და, მაშასადამე, გაზეთების მოსპობა გაფიცვის მიზანსჯი არ ემსახურება, გაფიცვის მოწინააღმდეგეთა და მტერთა ხელსაყრელ იარაღად ხდება. გაფიცვა ორ ბანაკს შორის ბრძოლაა და ამ ბრძოლის დროს გაზეთი იმავე სამსახურს უწევს მებრძოლთ, როგორსაც კარგი მხედართ-მთავარი თავის გაწრთვნილ ჯარს თავისი შიკრიკებით, ტელეფონებით და სხვა ამგვარ საშუალებით. გაზეთი ერთად ერთი საშუალებაა, რომლით საზოგადოება იგებს გაფიცვის მსვლელობას და ამ საშუალების მოსპობა, როდესაც გაფიცულთ ორგანიზაციის ნატამალიც არა აქვთ და მოწინააღმდეგე კი ორგანიზაციითაც მძლავრია, ჯარითაც, ტყვია-წამლითაც, ჯაშუშებითაც, დიად ამ ყოფაში გაზეთის მოსპობა საქმის ლალატი არის. ამბობენ, ამ დროს მუშათა ორგანიზაციის „ცნობები“ გამოდის და ისიცა კმარაო. არა კმარა, რადგან საზოგადოებას არ აკმაყოფილებს, და გარდა ამისა, სრულიადაც საქირო არ არის, რომ ის ცნობები, რომელსაც გაზეთი ყოველად უშიშრად მიაწოდებს მკითველს, უთუოდ საიდუმლოდ დაბეჭდილმა ფურცლებმა მიაწოდონ და განსაცდელში ჩაადონ ასოთ-ამწყობნი, მბეჭდავნი, დამტარებელნი და თვით მკითხველნიც. ეგეც რომ ირ იყოს, ამ გვარი ცნობანი მარტო ვიწრო წრეში ვრცელდება და ვერ აღწევს იმ საზოგადოებას, რამლის თანაგრძობაზედ უნდა იყოს დამყარებული პოლიტიკური საზოგადო გაფიცვა.

\*\*

**ზღაპარი.** სულით-ხორცამდე დაღუპული ქვეყანა მოუთქმნელად ელოდა თავის მხსნელს, რომლის მოსვლა და ქვეყნის აღდგენა ერთი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მხსნელი იკვირებდა, არ მოდიოდა, და ზოგმა, მოუთმენელმა, იმედი დაპკარვა მის ნახვისა, ზოგმა, ურწმუნომ, სხვაზედ დაიწყო ზრუნვა, ზოგმა კი აღშფოთებულმა დრტინვა მორთო:

— ვინ იცის, იქნება სულაც, არ მოვიდეს! ჩვენ ისეთი უბედურნი ვართ, რომ იქნაბა ვერც კი იკისროს ჩვენი ხსნა-შველა! თუ არა, ვინ არის, სად არის, არსებობს კი რაღაც მხსნელია?! ქვეყანა იმას შევლალადებთ, მუხლ-მოდრეკილნი ვევედრებთ შეწევნას, და ის კი ყურადღებასაც არ გვაქცევს... კარგი არ იქნება, რომ მართლაც არ არსებობდეს და ჩვენ კი ვლოცულობდეთ კიდევ?!

განრისხდა მხსნელი, — როგორ თუ გაბედეს და ექვის თვალით შემომხედესო! მოსვლით არ მობრძანდა, მაგრამ სიზმრად გამოეცხადა თავის ქურუმთა ქურუმს და უბრძანა:

— რას მიჰქარავს შენი ხალხი, ქურუმო? ისე როგორ გაბრძვიდა, რომ უარპყო თვით ჩემი არსებობა? მე როგორ მოვალ, თუ კი მოსვლას არავინა მთხოვს? მთხოვონ და მიხილვენ! უბედურნი! თითონ იმდენად მხლალნი არიან, ჩემი სახელი ვერ უხსენებიათ, მე კი მლანძღავენ, — იქნება არც კი არსებობსო!

— როგორთუ არავინა გთხოვს მოსვლას, ჩვენო მხსნელო და ნუგეშო? დიდით პატარამდე სულ შენ გევედრებით, შენა ხარ ჩვენი იმედი და სასოება! მაგრამ რა ვქნათ, რომ არ გვადირსე შენი წყალობა?

— არ ვიცი, ღმერთმანი! მე კი არავის მოწოდება არ მსმენია და! სმენდა ვარ გადაქცეული, — ან ეხლა დამიძახებენ, ან ეხლა მეთქი, მაგრამ ჯერ ჩემთვის არავის მოუმართავს. თუ კი აგრე გინდივართ, პირდაპირ, დაუბრუნებლად დამიძახოთ! თქვენ კი მოჰყოლიხართ და რაღასაც მიედ-მოედებით, ლობე-ყორეს ედებით, იგავ-არაკებით ლაპარაკობთ. მე თქვენისთანა მიკიბ-მოკიბვისა არა ვიცი-რა. გინდათ ჩემი დახმარება? ადექით და პირდაპირ, დამიძახეთ, გაბედვით, ვაჟკაცურად! მოედანზე გამოდით და ხმამაღლა დამიძახეთ, რაცა მქვინან! ხომ იცი, ბებრუხავ, ჩემი ნამდვილი სახელი?

— ვიცი კი ვიცი, ჩაილულულა ქურუმმა.

— ჰო, და თუ კი იცი, სხვა სახელებს რაღად მეძახი? მე მეტი-სახელებისა არა მწამს რა.

— შენა გგონია, მე კი ძალიან მიყვარს მეტი-სახელები? მაგრამ რა ვქნა? მარჯვნივ მიიხედე: პოლკოვნიკი მინი დგას თოფით! მარცხნივ მიიხედე: გენერალი ორლოვი დგას ხმლით! შენ წინ გაიხედე: გენერალი სალოგოზები დგას შუბით! უკან მიიხედე: აღმირალი დუბასოვი დგას ზარბაზნებით. ქირივით ეჯავრებათ მაგათ შენი სახელი. რომ გავბრავდე მე უბედური და შენი სახელი ვახსენო, აქვე ჩამამდლებენ, აი აქვე!

გაიცინა მხსნელმა:

— შენი ნებაა, ქურუმო! შენ შენი საქმე იცი, მე ჩემი. ამას კი გეტყვი, რაც უნდა იყვიროთ, ყელებიც რომ დაიხრინწიანოთ, მანამ ჩემს ნამდვილ სახელს არ ახსენებთ, მე თქვენკენ პირს არ ვიზამ. ბრძანა და გაფრინდა, თან სიმღერა შემოსძახა:

გაურჯულად არავის რა ერგება,

მისვერძლს მოათხოვს ქვეყნის თავისუფლებას...

მეორე დღეს მოუწოდა ქურუმთ-ქურუმმა თავისი ხელ-ქვეითნი და უბრძანა:

— წუხელ სიზმარი ვნახე. გამომეცხადა, ბატონო... და უცბად აღშფოთდა, გამამაცდა:

— რა არის, მართლა, კიცი არა ვართ, ქლდი არა გვხურავს?! რატომ არ უნდა ვახსენოთ იმ დალოცვილის სახელი? დიად, წუხელ გამომეცხადა...

უკვე პირი გააღო, რომ ეხსენებინა, მაგრამ ამ დროს თავისდა საუბედუროდ ფანჯარას გადახედა და შუბი კი დაინახა! იქვე კაპიტანი რიმანი დადიოდა და ხელში რევოლვერს ათამაშებდა.

ენა მუცელში ჩაუვარდა ქურუმს, ხველა აუტყდა, ქირის ოფლი დაასხა:

— დიად, წუხელ გამომეცხადა... ჩვენი მხსნელი... მიბრძანა, მანამ აგრე მეტ სახელებით მიხსენიებთ, მე თქვენ არ შემოგხედავთ... არა და არ მოვალო... თუ გინდათ, რომ მართლა მოგხედოთ, გამოვიდეს ვინმე ქურუმთაგანი მოედანზედ, ნამდვილი სახელი დამიძახოს და მაშინვე გამოვცხადდებიო.

გადახედეს ერთანერთს ქურუმებმა და თანჯრებიც დაინახეს. თანჯრებიდვან კი შუბი მოჩანდა, გალესილი ხიშტი, ზარბაზნის პირი... ენაზედ იკბინეს.

ბოლოს ერთმა ქურუმითაგანმა მოახსენა:

— მე, ბატონო, მოქალაქებრივ გამბედაობით და ვაჟაკობით არ დავოკვებებ; პირდაპირ მოგახსენებთ, — ხმა მალლა, სახალხოდ ჩვენი მხსნელის სახელის თქმას ვერ გავბედავ. მაგრამ, ნათქვამია ხერხი სჯობია ღონესაო, გვალ მოედანზედ ზევეცდები სხვას დავათქმევინო ვისკე იმ კურთხეულის ნამდვილი სახელი. აღვა და გავილა.

— ხალხო და ჯამათო! აბა გამოიცანით, რა სიტყვა იწყება მარცვლით კონ?

გაიარა ჰააგში სახელ განთქმულმა მარტენსმა და უპასუხა:

— კონფერენცია!

გაიარა გენერალმა კირეევმა და უპასუხა..

— კონგრეგაცია!

გაიარა კომპოზიტორმა რიმსკი-კორსაკოვმა და უპასუხა:

— კონსერვატორია!

გაიარა გენერალმა კუროპატკინმა და უპასუხა:

— კონტრიბუცია!

გაიარა პობედონოსცევმა და უპასუხა:

— კონდახით, თუ ხიშტი გატყდა!

გაიარა გენერალმა ტრეპოვმა და უპასუხა:

— კონჩოლ თქვენს წითელ დროშას!

გაიარა ვიტჰემ და უპასუხა:

— კონფუზია!

გაიარა დურნოვომ და უპასუხა:

— კონკებსაც არ შევარჩენ! სიმშლით ამოვწყვეტ!

ზოგმა კონიაკი სთქვა, კონკა, კონკორდია, ზოგმა რა, და ზოგმა რა.

ორმა კაცმა კონკანი და კონცელარია უპასუხა; ისინი ორივენი პატრიოტული გაზეთების რედაქტორები იყვნენ,



შავი რაზმის და ხულიგანების სულის ჩამდგმელნი, სუბსიდიების მიმღებნი, და ამისთანა თავისუფლებას მართლწერისას, ვერავინ უკიჟინებდა.

დარწმუნდა ქურუბი, რომ ეშპაკობა გაუგეს, ვერავის გააბრიყვებდა და სხვა ხერხს მიმართა. შეაყენა ერთი კაცი, პალტოს ღილი დაუჭირა და უთხრა:

— ერთი მშვენიერი სიტყვაა, ბატონო; კონსტი...

ამის თქმა და კაცის გადაღუპვა ერთი იყო: ხელში ცარიელი პალტო და შერჩა, თვით კაცი კა, რომელსაც ის პალტო მოსავდა, ცამ ჩაყლაპა დედამიწაში, არავინ იცის. კაცის წილ ქურუბის გვერდით უცბად გაჩნდნენ, თითქო მაკბეტის კუდიანები იყვნენო, აზნაური პავლოვი „მოსკოვის უწყები“-თგან, აზნაური პიხნო „კიეველი“-თგან, და აზნაური მენშიკოვი სუვორინის „ახალ-დროები“-თგან.

— დაამთავრე რაღა ეგ სიტყვა, შე ასეთ-ისეთო! დაამთავრე რაღა, რომ მომდგეთ და...

მაგრამ არც ქურუბი იყო მხდალი და ესოპისებურ სიტყვა-კამათში ისე იყო დიდი ხნის განმავლობაში გავეარჯიშებული, რომ ამ აზნაურებისაც კი არ შეეშინდა.

— ჰო და დავამთავრებ კიდევ! კონსტი... პაცია! ჰე, წადით! საცა თქვენი სთქვათ, ნურც ჩემსას დაივიწყებთ! კონსტი... პაცია!. აბა, რას მზამთ?! კონსტი... პაცია, ძმავ, არავისაგან არის აკრძალული და, მე კი არა, თვით სენატორებს, მინისტრებს, მიტროპოლიტებს, სახელმწიფო საბჭოს წევრებსა სჭირთ კონსტი... პაცია...

აჯობა. აზნიურებმა ბრკყალები ახსნეს და შერცხვენილნი მოშორდნენ, მაგრამ მაინც შეუკურთხეს:

— თქვენც შეგარცხვინათ, თქვენი ურჯულო ენაც! არა, თქვე სამშობლოს მოღალატენო და გამყიდავნო, პირდაპირ რუსულადა სთქვათ, ქრისტუანულად, ყაზბადა ვარ მუცელშიო! და მოესმა ქურუმს ცათაგან ხმა:

— წადი შენს ტაძარში, ქურუმო! მოხერხება არ გეკლია, ვხედავ, მაგრამ შენ და შენისთანები მე ვერ მიმიხმო-



ბენ. მაინც, შენი კეთილი წადილის დასაჯილდოვებლად მომინიჭებია შენთვის კონსტი... პაცია: მინამ ცოცხალი ხარ, გპირდეს და გპირდეს!

\*\*

მეორე ქურუმმა სხვა ხერხს მიმართა და გეოგრაფიის წყალობით განიზრახა მხსნელის დაძახება.

— მხსნელის ნამდვილი სახელის თქმა მარტო ჩვენს ქვეყანაში არის აკრძალულიო, თქრობდა. რაკი ჩვენი ქვეყნის საძღვარს გადახვალ, რამდენიც გინდა იძახე, იქ დამშლელი არავინ გეყოლება. კარგი ქალი ფულს შეიძენს, ქალობას არ დაჰკარგავსო, ნათქვამია; საქმე ის არის, მხსნელიც დავაკმაყოფილო და პოლიციასაც ავცდე... ჰო, და ისე უნდა მოვახერხო, რომ ჩვენს ქვეყანაში დავიძახო და უმაღვე საძღვარგარეთ ამოვეყო თავი.

ჩაჯდა სწრაფ-მატარებელში და გასწია საძღვარისკენ. ჯერ საძღვარი შორს იყო და ის კი სულ ცმუკავდა, ხტოდა და გორგოლაკების გრიალს ხმას აყოლებდა:

— კონ, კონ, კონ, კონ... კონსტი, კონსტი... კონ, კონ, კონ... კონსტი, კონსტი...

და იმ წამს, როდესაც მატარებელი საძღვარს გადადიოდა, ორთქვალი უკვე უცხოეთში იყო და უკანასკნელი ვაგონი კი ჯერ ისემ სამშობლოში, იმ წამს წამოხტა ქურუმი და დაიღრიალა:

— კონსტიტუციაჲ!  
და მართლაც, სთქვა თუ არა, მაშინვე გამოეცხადა მხსნელი. პირზედ დაცინვითი ღიმილი უთამაშებდა.

— ესეც მე! გამარჯვება შენი! ძალიან მიამა შენი ნახვა, მაგრამ აგრე რას ყვირი? მე აქ ყველგანა ვარ და არც ყურთა სმენა მაკლია.

— მე... მე... იმიტომ დაგიძახე, რომ ჩვენსა მობრძანდე. გულიანად გაიხარხარა მხსნელმა:

— თქვენსა მეპატიეები და თითონ კი უცხოეთს გამოხვედი? ერიჰა!

შერცხვა ქურუმს, დაიბნა:

— თუ აგრეა, მაშ უკანვე დავბრუნდები.

— არა, ძმავ, უთხრა დაღონებით მხსნელმა, შენი უკან დაბრუნება ყოველად შეუძლებელია... მე სასიკვდილოდ აღაპიანს ვერ გავიმეტებ.

\*\*

ორი ამხანაგის ფუჟად ჩავლილმა ცდამ ძალიან შეაწუხა ქურუმნი; თავ-თავის ოთახში შეიმალნენ და ფიქრს მისცეს თავი, როგორ მოვახერხოთ, რომ მხსნელიც მოვიდეს და პოლიციამაც ვერა გაგვიგოს რაო. ტაძარში ორი მოჯამაგირე და დარჩა; ერთი მთლად ახალგაზრდა იყო, ის იყო თურმე შეუდგა ქურუმთა სამსახურს, მეორე კი შუახნისა; ორთავე მუშები იყვნენ, მუშის შვილნი, დაგლეჯილ-დაფლეთილნი, რადგან ძველადგანვე ასეყოფილა, რომ ქურუმთა მაგივრად ყოველ სამძიმო საქმეს ისინი აკეთებდნენ.

გადახედეს მუშებმა ერთმანეთს. ყმაწვილმა ჰკითხა:

— არ გაგიგონია, მათე, ერთი რამ არის თურმე, მამაც-თა დაუფიქრებლობედ წოდებული?

— როგორ არა, ძმაო, გამიგონია და ძალიანაც მწამს.

— ის კი არ გამიგონია, სასაწარმოო დასახლების სიმამაცეს რომ უწოდებენ?

— ვიცი ძმაო, და მერწმუნე, მაგაზედ ძლიერი არა იქნება რა.

დიდი ხანი ითათბირეს.

ბოლოს ყმაწვილმა უთხრა:

— დიდად პატივსაცემნი არიან ჩვენი ქურუმნი, მაგრამ ეს ძალა კი არ მოეპოვებათ: ხნიერნი არიან, ჯამაგირით მადლარნი, კეთილადზრდილ ცოლ-შვილის და ბროლის ქურკლის პატრონნი. ჩვენ კი რა გვაქვს, რას დავკარგავთ, ჩემო მათე?

— რა უნდა დავკარგოთ, ძმაო, რომ არა გვაბადია-რა?! იქნება შევიძინოთ რამე, თორემ ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი არა 'ჯობიან?

— ჰო და ტაძარში ჩურჩულს, სახალხოდ გავიდეთ, ის არ გვირჩევნიან!

გამოვიდნენ მუშები მოედანზედ, არც შუბებს მიაქციეს ყურადღება, არც ხიშტებს, არც ზარბაზნებს; ჩადგნენ შუა ხალხში, ხელი ხელს მისცეს და იმისთანა ხმით დაიძახეს, რომ კიდით კიდემდე გაისმა:

— კონსტიტუცია!

და ამ ძახილზედ მოვიდა ქვეყნის მხსნელი, გახარებული და გაბრწყინებული.



## შინაური მიმოხილვა

ძნელად თუ ყოფილა ჩვენი ქვეყანა ისეთს განსაცდელში, როგორსაც დღეს განიცდის იგი. ვინ იცის, რამდენი ჯანღონით სავსე ადამიანი ესალმება ჩვენს მრავალ ტანჯულ სამშობლოში სიცოცხლეს სწორედ ამ წუთს, როდესაც კალამი ქალღმერთს დაწრიბინებს! ვინ იცის, რამდენის ოფლის და შრომის ნაამაგვევი სიმდიდრე ინთქება ცეცხლის ალში სწორედ ეხლა, როდესაც ჩვენ ამ შინაურს მიმოხილვას ვამზადებთ! მწარე, ბალღამივით მწარე დღეები გაუთენდა ჩვენს ხალხს. მთელი თვე სრულდება, რაც ყოველ დღე ერთი მეორეზე უსაშინელესი, ერთი მეორეზე მეტად თავზარდამცემი ცნობები ჰკოდავენ ჩვენს გულს და ჯერაც მშვიდობიანობის მომასწავებელი ვარსკვლავი არ გამოჩენილა ისტორიის ცაზე. ბოროტი სევდიანობა სქლად გადაეკრა ჩვენს გონებას და გრძნობას. უძღურების ფიქრი შავი ანგელოზივით დაგვჭრიანებს თავს და უფრო უარესად გვიათკეცებს გულის ტკივილს.

— ვინ არის დამნაშავე, ვის ედება ბრალი ხალხის თავზე ასეთის ვაების მოვლენებისა? ვეკითხებით ჩვენს თავს და პასუხად ერთი საშინელი სიტყვა გვესმის: „ყველანი, ყველანი, ყველანი...“ დიახ, ყველა დამნაშავე ვართ, ყველა ბოროტმოქმედი ვართ, ყველამ ხელი შევეუწყეთ ხალხის აწიანებას, შენც, ჩემო მკითხველო, სულ ერთია—ვინც უნდა იყო, და მეც, ამ სტრიქონების დამწერმაც. ჩვენ ყველამ

ხალხის ზიზღი დავიმსახურეთ, მაგრამ ვაი თუ უკვე იმდენად გაფუჭებულია საქმე, რომ ჩვენგან დამსახურებული ზიზღი ქართველ ხალხის მაგიერ მხოლოდ რომელიმე საკაბინეთო მეცნიერმა გამოგვიცხადოს?! ვაი თუ, ნაყოფი ჩვენის შეგნებულის თუ შეუგნებელის ბოროტ მოქმედების, ან ბოროტი უმოქმედობისა ისე ღრმა არის, ისე უძირო, რომ ქართველმა ხალხმა თავის დამლუპველებს ზიზღიც კი ვერ გამოუცხადა!.. სამართლიანი ზნეობრივი სასჯელი—ერთად ერთი ნუგეში ბოროტების მომქმედლისთვის, როდესაც იმისი ბოროტ-მოქმედება გამოაშკარავდება—და ვაი და ვაგლახი ჩვენ, თუ ამ ზნეობრივი სასჯელის ღირსნიც აღარ გავხდით!..

ჩვენი ხალხის მეთაურად გამხდარი ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომელნიც თავის თავს ქართველებს არც კი უწოდებენ, უკანასკნელის სამი-ოთხის წლის განმავლობაში სისტემატიურად მიაქანებდნენ დიდებულს საერო მოძრაობას ეხლანდელ უფსკრულისაკენ, და ისინი კი, ვინც სოციალ-დემოგრატიის ტაქტიკას და მოქმედებას არ თანაუგრძნობდა, ხმა-ჩაწყვეტილები ისხდნენ თავის კაბინეტებში და კმაყოფილებას ჰგრძნობდნენ, რომ მონაწილენი არ იყვნენ საერო მოძრაობის ხელმძღვანელობისა. ქართველ აზროვნების ჩვეულებრივი სიზარმაცე, სიზანტე ერთის მხრივ და მეორის მხრივ ისტორიულად გაადვილებული ზეპირი, მოუნელებელი გადმონერგვა უცხო ქვეყნებიდან ჩვენს სამშობლოში სხვა პირობებში მცხოვრებ ხალხისთვის შექმნილის იდეალებისა და ტაქტიკისა—აი ის საერთო თვისება, რომელიც ამახინჯებს ქართველ სოციალ-დემოკრატსაც და არასოციალ-დემოკრატსაც. ეს თვითმყოფელობის უქონლობა და აქედამ წარმომდგარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური სიბრმავე—აი საერთო მიზეზი ჩვენის ქვეყნის დღევანდელის განსაცდელისა.

ერთის სოციალ-დემოკრატისაგან გავიგონეთ, ჩვენ თუ შეეცდით, ცხოვრება გავვისწორებსო. ვნახოთ, როგორ გაუსწორა შეცდომა ქართველ სოციალ-დემოკრატებს ცხოვრებამ. კავკასიის სოციალდემოკრატის ოფიციალურმა ორგანომ,

„სხივმა“ მოსკოვში შეიარაღებულ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გამოაცხადა. დამტკიცდა, რომ რუსეთში ქალაქი რევოლიუციას ვერ მოახდენს, იგი სოფელმა უნდა მოახდინოს. აქედამ ლოლიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ პროლეტარიატმა დღევანდელ პირობებში სარევოლიუციო ბრძოლას თავი უნდა დაანებოს, რადკან ბრძოლა, რომელიც სულ ერთია ვერ გაიმარჯვებს, პირდაპირ უგუნურებაა. კეთილი, მაგრამ რატომ ჰგონია „სხივს“, რომ რუსეთის რევოლიუციას სოფელი მოახდენს. ფაქტები მკვერმეტყველურად გვეუბნებიან, რომ სოფლად უფრო სასტიკად მარცხდება რუსეთის რევოლიუცია, ვიდრე ქალაქებში. ცხადია, „სხივი“ სოფლის რევოლიუციასაც უარჰყოფდა, რომ დასცალგებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ამ გაზეთის გამოცემა მთავრობის განკარგულებით იმ დროს იქმნა შეჩერებული, როცა ჯერ კიდევ გამოაშკარავებული არ იყო სოფლის მოძრაობის სურათი და ძალა. ქუთაისის გუბერნია მთლად სოციალდემოკრატების გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ იქ სოფლელები არავითარ ბრძოლას არ უწყვენ თბილისიდან „წესიერების აღსადგენად“, ე. ი. რევოლიუციის ჩასაქრობად გაგზავნილ ჯარებს. ცხადია, სოციალდემოკრატის აზრით, არც სოფელს, ჩვენებურს სოფელს მაინც და მაინც არ შეუძლიან რუსეთში რევოლიუცია მოახდინოს. გამოდის, რომ არც ქალაქს და არც სოფელს, არც პროლეტარიატს და არც გლეხს ეხლანდელს პირობებში რევოლიუციის მოხდენა არ შესძლებია. შეგვიძლიან მივულოცოთ ქართველ სოციალდემოკრატებს ასეთის სარევოლიუციო აზრის დასკვნა ცხოვრებიდან... ქალაქიც და სოფელიც ორივე უძლურია, — მაშ რა ვქნათ, რაზე დავემყაროთ და როგორ ვიმოქმედოთ? ჩვენებური სოციალდემოკრატი არც ამ საკითხის წინ გაჩერდება, იმის გონებაში ეკონომიური განვითარება მოამზადებს რევოლიუციისათვის საჭირო პირობებს... ეკონომიური განვითარება, — კეთილი, მაგრამ ამ განვითარებისათვის მყუდროება, წესიერება და რიგია საჭირო და არა გაფიცვა, მაშასადამე ეხლა სოციალდემოკრატი წესიერებას უნდა ჰქადაგებდეს. გამოდის,

რომ სოციალდემოკრატია წესიერების პარტიას უნდა დაუხბლოვდეს... ასეთს დასკვნამდე ჯერ მთელს რუსეთის იმპერიაში არც ერთი სოციალდემოკრატი არ წისულა და, ჩვენ გვეგონია არც მივა, საგრამ ასეთი დასკვნა აუცილებლად გამომდინარეობს იმ აზრიდან, რომ ლიც კავკასიის სოციალდემოკრატიულმა გაზეთმა „სხივმა“ გამოსთქვა ქალაქის უძღურების შესახებ სარეგულირებო საქმეში.

ეს ჩვენ ქართველ სოციალდემოკრატულ აზროვნების სანიმუშოდ მოვიყვანეთ. თუ ასეთის აზროვნებით შეუდგა ადამიანი ცხოვრების წიგნიდან შეცდომათა გასწორების ამოკითხვას, პირდაპირ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ერთს წინანდელ შეცდომას ათი და ათასი ახალი მიემატება, ხოლო გასწორებით კი—არაფერი არ გასწორდება.

ოქტომბერში, როდესაც პეტერბურგადმ გაფიცვის გამარჯვების ამბავი მოვიდა, მთელი საქართველო სიხარულმა შთანთქა. ყველგან დიდებული კრებები გაიმართა და მოლხენილ ხალხის წინაშე გულმხურვალე ორატორები გამარჯვებას დღესასწაულობდნენ. ოქტომბრის და ნოემბრის მიტინგების შინაარსი ყველგან ერთი და იგივე იყო. თბილისში სხვათა შორის ლაქიების და მზარეულების მიტინგი გაიმართა. კრებას წარუდგინეს რამდენიმე კაცისაგან შემდგომებული პროექტი საპროფესიო ორგანიზაციისა, რომელსაც თავის წევრების ინტერესებისთვის უნდა ეზრუნა. ლაქიები და მზარეულები, ვიდრე მათ ამ პროექტს უკითხავდნენ, ერთხმად გაიძახოდნენ წესდების ყველა მუხლის შესახებ „კარგია, კარგი! მოგვწონსო!“ მაგრამ, აი გაათავეს წესდების კითხვა და ამალღებულს ადგილზე გამოჩნდა ერთი მხარ-ბეჭიანი, მოხდენილი შუა ხნის კაცი, რომლის მეტყველი სახე და ლამაზი მიხვრა-მოხვრა მტერსაც კი სიამოვნებას აგძნობინებდა.-- „ამხანაგებო და მოქალაქენო!“ შესძახა კრებას ორატორმა და უცბად სამარისებური სიჩუმე დამყარდა, მიწყდა ჩოჩქოლი, ხმაურობა და მთელი კრება იშენად გადაიქცა.

— „ვინ მოგვანიჭა ჩვენ, ლაქიებს და მზარეულებს, ამ ყველასაგან აბუჩად ავღებულს, ადამიანად არ მიჩნეულს ხალხს საშუალება, რომ დღეს აქ თავისუფლად ვლაპარაკობთ ჩვენს საქმეებზედ, არც პოლიციისა გვეშინიან და არც ბატონებისა?! ვისი წყალობით გამოვერკვიეთ ძილს, ვისმა მადლიანმა ხმამ მოგვიწოდა ადამიანურ ცხოვრებისკენ? გაახილეთ თვალი, მიიხედ-მოიხედეთ თქვენს გარეშემო, მოიგონეთ უკანასკნელი თვეები, უკანასკნელი წლები და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენი თავისუფლება პროლეტარიატმა შეიძინა თავის საკუთარის სისხლით! პროლეტარიატი და იმისი ერთად ერთი ნამდვილი პარტია—სოციალდემოკრატია, აი ვის უნდა უზადლიდეთ თავისუფლების კარის გახსნას. მართალს ვამბობ თუ არა?“

— „მართალია, მართალია!!“ ერთხმად დაივრგვინვა ხალხმა.

— „განა პროლეტარიატმა თავისი ბრძოლა საბოლოოდ გაათავა? განა დამფუძნელი კრება და სოციალისმი წინანდელივით იმის მისწრაფების საგანს არ შეადგენს? განა სოციალდემოკრატია ისევ ბრძოლისთვის, სასიკვდილ-საციცოცხლო ბრძოლისთვის არ ემზადება! გაუმარჯოს სოციალდემოკრატიას!!!“

ხალხმა კვლავ დაარღვია სიჩუმე „გაუმარჯოს“ ძახილით და ცოტა ხნის შემდეგ წინანდებული სიჩუმე გამეფდა.

— მაშ, განა ჩვენ ვალად არა გვდევს, დავივიწყოთ ეხლა ჩვენი კერძო ინტერესები და მთელის ჩვენის ძალით და ღონით შევეუერთდეთ სოციალდემოკრატის პარტიას? რა დროს საპროფესიო ამხანაგობაა, როცა სოციალდემოკრატის წინამძღოლობით პროლეტარიატი ბრძოლისთვის ემზადება.

— მართალია, მაგის დრო არ არის! უპასუხა ხალხმა.

სოციალდემოკრატამ მოგვიპოვა ჯერ-ჯერობით მხოლოდ პატარა თავისუფლება, მაგრამ იგი ძლიერია, იგი მძლეა მძლეა და მალე უფრო მეტს თავისუფლებას მოიპოვებს. მაშ

დავანებოთ თავი წესდებების წერას და შევეუერთდეთ სოციალ-  
 დემოკრატიულ პარტიას!

— შევეუერთდეთ, შევეუერთდეთ! იყო ხალხის პასუხი.

ორატორმა გაათავა თავისი სიტყვა და იმის ადგილას  
 სხვა გამოჩნდა. მეორე ორატორიც კრებას სოციალდემოკრა-  
 ტიის პარტიაში ეპატიჟებოდა, ამ პარტიის ძლიერებას აქებ-  
 და და იმის იდეალების სიწმინდეს ახასიათებდა. მეორე ორა-  
 ტორს მესამე მოჰყვა, მესამეს მეოთხე, მეოთხეს მეხუთე...  
 დაბინდდა, დაღაძდა, მაგრამ ორატორების სია მაინც  
 არ ილეოდა და სოციალდემოკრატიის ქება-დიდებას საზ-  
 ლღარი არ უჩანდა. ტყუილად სცდილობდა საპროფე-  
 სსიო ორგანიზაციისთვის შედგენილის წესდების ავტორი ხალ-  
 ხის გული მოეგო.— „არ გვინდა, არ გვინდა! მაგის დრო  
 არ არის! ძირს, ძირსო!“ უყვიროდა მას სოციალდემოკრა-  
 ტიის ეშხით დამთვრალი ხალხი.

— დაფიქრდით, დაფიქრდით! რას უძახით „ძირს“, მოი-  
 საზრეთ, გულში ჩაიხედეთ, თორემ ვაი თუ ინანათ! განაგრძობ-  
 და თავის მეცადინეობას პროექტის ავტორი, მაგრამ ამოდ-  
 კრებამ სოციალდემოკრატიის პარტიასთან შეერთება ისურვა.

კრება დასრულდა. სოციალდემოკრატები და მზარეულები  
 დაიშალნენ. ორთავენი მზარეულები და ნასიამოვნები დარჩნენ.  
 სოციალდემოკრატებს უხაროდათ ახალი გამარჯვება და ლაქიებს  
 სოციალდემოკრატებთან შეერთება.

მეც სახლისკენ გამოვეშურე, მაგრამ ის სევდიანი ფიქრები,  
 რომელნიც მაშინ მტანჯავდნენ, დღესაც არ მასვენებენ.  
 ორატორებმა იცრუეს, იქნება განზრახ არა, შეუუგნებლად,  
 მაგრამ მაინც იცრურეს, როდესაც პროლეტარიატის „ერთად  
 ერთი ნამდვილი პარტია“ მძლეთა მძლედ დაასურათეს. მართა-  
 ლია, ხალხის გული მოიგეს, სააგიტაციო გამარჯვება მოიპო-  
 ვეს, მაგრამ რა ფასი აქვს იმ გამარჯვებას, რომელიც სიყალ-  
 ბეზეა აშენებული! განა ყალბობის ნიადაგზე მტკიცე მოძრაობის  
 დამყარება შეიძლება? ბრძოლისთვის ძალაა საჭირო, მაგრამ  
 ძალას ყვირილი არა ჰქმნის. უძლურებამ რამდენიც უნდა

იყვიროს თავის ძლიერების შესახებ, ამით ის მაინც ძლიერი არ შეიქმნება. საერო მოძრაობის ძლიერება შეგნებული და მტკიცე საერო მიწრაფებაა განსაზღვრულ დეალისკენ, ის მოძრაობა კი, რომელიც თავის ძლიერების შესახებ განუწყვეტელის ყვირილით ჰფიქრობს გამარჯვების მოპოვებას, თავიდანვე ყალბია და ამიტომ უჩინდო. მართლა კ და, თუ სარევოლიუციო მოძრაობას იმიტომ ეკედლება ადამიანი, რომ რევოლიუცია იმას უფრო ძლიერად მიაჩნია, ვიდრე ძველი მშართველობა, იგი მხოლოდ იმ დრომდე იქნება რევოლიუციის მომხრე, ვიდრე არ გამოსჩნდება რევოლიუციის სისუსტე, ან სხვა ნაირად რომ ვთქვათ, რევოლიუციას სწორედ მაშინ გადაუდგება იგი, როცა ბრძოლა გაჩაღდება. ქართველ სოციალდემოკრატებს კარგად ესმით, რომ მათი პარტიის ძალა საქართველოში ან, თუ გნებავთ კავკასიაში, ვერავითარ თვალსაჩინო წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ადგილობრივს სარეაქციო ძალებს და რომ ამ პარტიის ძალა თუ არის სადმე, ისევე რუსეთში, მოსკოვსა და პეტერბურგში, და არა აქ. ოქტომბერში რევოლიუციამ პეტერბურგსა და მოსკოვში გაიმარჯვა და არა საქართველოში. ქართველი სოციალდემოკრატები თითონვე მოიხიბლნენ ოქტომბრის გამარჯვებით, თითონვე მოტყუდნენ თავის პარტიის ძლიერების შესახებ და ამ შეცდომის ბაღეში იჭერდნენ ორი თვის განმავლობაში ქართველ ხალხსაც. ქართველი ხალხი ქართველ სოციალდემოკრატებს შეჰყავდა შეცდომაში, ქართველი სოციალდემოკრატები კი რუსეთის სოციალდემოკრატებს, რომელთაც ოქტომბრის გაფიცვა თვით ბოლომდე პროლეტარიატის ღვაწლად გამოაცხადეს. სატახტო ქალაქებში ოქტომბრის გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, გაიფიცნენ არა მარტო მუშები, გაიფიცნენ აგრეთვე თავისუფალ პროფესიის მიმდევარნი, გაიფიცნენ მოხელეები, გაიფიცნენ ბანკები, გაიფიცა სახელმწიფო ბანკი, სახელმწიფო კონტროლი და თვით სენატიც კი. რა თქმა უნდა, ბანკების და სენატის გაფიცვა პროლეტარიატის საქმე არ იყო, მაგრამ სოციალდემოკრატის მაინც მარტო ოდენ პროლეტარიატი მი-

აჩნია გაფიცვის ავტორად. აქედამ დაიწყო სიცრუე, რომელმაც საშინელება დაატრიალა დეკემბერში მოსკოვს ქუჩებზე, მაგრამ უფრო დიდი და უფრო მეტი უბედურება მოევლინა ქართველ ხალხს. ოქტომბრის პირველს თავისუფალ მიტინგებზედვე შესძახეს ჩვენმა ს.-დემოკრატებმა, გამარჯვება ჩვენ მოვიპოვეთ, ჩვენ ვიბრძოდით იმისთვის, ჩვენ ვღვრიდით სისხლსაო, თუმცა უიარაღო მანიფესტაციებისა და გაფიცვების მეტი ქართველ სოციალდემოკრატებს არაფერი გაუკეთებიათ არც წინად და არც ოქტომბრის გაფიცვის დროს. ამისდა მიუხედავად მხიარულებით გალაღებული ხალხი აღტაცებული უკრავდა ტაშს მათს თავმომწონე სიტყვებს და უერთდებოდა სოციალდემოკრატებს. რამდენად გაბრუებული იყვნენ ამ პარტიის მეთაურები გამარჯვების ეშხით, ეს საუკხოვრად გამოსჩნდა ერთს კრებაზე, როდესაც მათს ყრალობას ესტუმრა წითელი დროშებით მორთული პროცესია სამის სარეკოლიუციო პარტიისა. სოციალდემოკრატებმა აუხსნეს ხალხს, რომ სარეკოლიუციო პარტიებს შეეშინდათ თბილისში შემდგარის შავის რაზმისა და ჩვენთან მფარველობის სათხოვნელად მოვიდნენ, ჩვენ უარს არ ვეტყვიან მფარველობაზე, დავცავთ მათ ხულიგანებისაგან, მაგრამ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ეს სამივე პარტია მხდალების პარტიაა და ამიტომ უძლური, ძლიერი პარტია კი ერთად ერთი სოციალდემოკრატული პარტიააო. არ გვახსოვს არც ერთი სოციალდემოკრატების მიტინგი, რომელზედაც კი ამ პარტიის მძლეთა მძლეთა არ ყოფილიყო აღნიშნული. მართალია, პარტიის ძალას ორატორები მთელის რუსეთის პროლეტარიატმა, ან უკეთ რომ ვთქვათ, მთელის პროლეტარიატის შეერთებულ ორგანიზაციაში, რუსეთის ს.—დ. მუშათა პარტიაში ჰხედავდნენ და არა პარტიის კავკასიულ განყოფილებაში, მაგრამ შეცდომაა, ვიმეორებთ, შეუგნებელი შეცდომაა სწორედ აქ იყო დაფარული.

მუშა ხალხის განთავისუფლება თვით მუშა ხალხის ხელით უნდა მოხდესო, ხშირად იმეორებენ ამ მარქსისაგან ნაანდერ-





ძვე სიტყვებს იმისი რიცხვ მრავალი მოწაფეები, მაგრამ ეს იმათ სრულებით ხეჯს არ უშლის თითონვე ყოველღვე გადაუხვიონ ამ მცნებას. პროლეტარიატს შეერთებული ძალა, რომლის შესახებაც დღე მუდამ განუწყვეტლივ ქადაგობენ, რალაც ფანტასტიურ ჯადოდ გადაიქცა ხალხის წარმოდგენაში. თითქოს ეს შეერთებული ძალა რალაცა ცხოვრების გარეშე მდგარი მანქანა, ბერძნების *deus et patria* იყოსო, ისე უცაბედად ელის ხალხი ამ ძალის შემოქრას ცხოვრების სარბიელზე რევოლიუციის და რეაქციის შუა ატეხილ ბრძოლის დასაგვირგვინებლად. პროლეტარიატის შეერთებული ძალა ხალხის თვალში რალაც განუენებულ და საოცნებო საგნად გადაიქცა, რომლის წინაშე ყოველს პროლეტარიატს მარტო ოდენ გუნდრუკის კმევა მოეთხოვება და სოციალდემოკრატიულ პარტიაში ჩაწერა, ხოლო დანარჩენს კი თვით ეს შეერთებული ძალა გააკეთებს. ქართველს პროლეტარიატს, სოციალდემოკრატებისაგან განსწავლულს და გამეცნიერებულს, მხოლოდ იმდენად აქვს იმედი გამარჯვებისა, რამდენადაც ამ უკანასკნელს. ეს საოცნებო შეერთებული ძალა მოიპოვებს და არა თითონ იგი თავისი საკუთარის მეცადინეობით და პირდაპირის ბრძოლით. ასეთივე აზრებით არის გამსჭვალული ქართველი გლეხობა, სადაც იმის მეთაურობა და წინამძღოლობა ქართველმა სოციალდემოკრატებმა ჩაიდგეს ხელში. გურიის მაგალითს აღტაცებაში მოჰყავს მთელი ქვეყანა, გურია ერთად ერთი კუთხეა მთელს ქვეყანაზე, სადაც სოციალდემოკრატიის კომიტეტი მმართველობს ნამდვილად, მაგრამ გურულები ყოველთვის ხაზ-გასმით ამბობენ, ჩვენი მოძრაობა იგივე რუსეთის გლეხობის მოძრაობაა, ჩვენ ჩვენ თავად აჯანყებას არ დავიწყებთ, აჯანყება ყველა სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციათა შეერთებულმა ძალამ უნდა მოახდინოსო. პირველის შეხედვით ეს თითქო სოლიდარობის ტაქტიკაა, მაგრამ ნამდვილად კი იგი მხოლოდ სხვისი ხელით წარის გლეჯაა. იანვარში, როდესაც გურიაში რევოლიუციის გასასრესად ჯარი შევიდა, ეს ქეშმარიტი ხასია-

თი მათის ტაქტიკისა საუცხოვოდ გამოჩნდა. გურულებმა, ამ სიამაყემ და დიდებამ ჩვენებურ ს.-დემოკრატებისამ, არა თუ მორჩილება გამოუცხადეს მმართველობას, რომელთან ბრძოლისთვისაც სამი თუ ოთხი წელიწადი ემზადებოდნენ, მათ ორჯელ ფიცს მიიღეს ერთგულებაზე და პატრიოტული მანიფესტაციებიც გამართეს.

მაგრამ განა გურულების გამტყუნება შეიძლება? განა გურულებმა თავის საკუთარს გონებიდამ გამოიღეს აზრი, რომ რევოლიუცია რაღაც განყენებულ შეერთებულ ძალას უნდა მოეხდინა და არა ხალხის რეალურს ძლიერებას? განა გურულებმა შეთხზეს არაკი ცხოვრების გარეშე მყოფ სარევოლიუციო ძალის შესახებ? დეკემბერში გურულებს მათმა წინამძღოლებმა აცნობეს, საერთო გაფიცვა დაიწყო მთელს რუსეთში, რევოლიუცია ებრძვის რეაქციას და, თუ ეს გაფიცვა გამარჯვებით დასრულდა, დამფუძნებელი კრება იქნება მოწვეულიო. გურულებმა ერთგულად მისცეს მხარი რუსეთის გაფიცვას, მაგრამ გავიდა ათიოდე დღე და გურულებს ეუწყათ, რომ რევოლიუცია დამარცხდა. გურულებისთვის თავის საკუთარს ძალ-ღონით გამარჯვების იმედი არავის არ მიუცია და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მას შემდეგ, როცა დანამდილებით შეიტყეს, რომ ერთად ერთი იმათი იმედი, „შეერთებული ძალა“, მოსკოვში დაუმარცხებიათ?

„მუშა ხალხის განთავისუფლება თვით მუშა ხალხის ხელით უნდა მოხდესო“ — ამ სიტყვებში დიდებული აზრია გახვეული, მაგრამ დიდებულს აზრს დიდებული შესრულება უნდა. ვისაც მხოლოდ სიტყვის გაზეპირების ნიჭი აქვს და არა აზრის შეგნებისა, ის ყველაფერს გაამასხარავენს, დიდებულს აზრსაც, დიდებულს საქმესაც.

უეჭველია, მუშა ხალხის გამარჯვებისთვის სოლიდარული მოქმედება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მაგრამ ეს სოლიდარობა არასოდეს არ უნდა გადასცდეს იმ ზომას, რომელიც სოლიდარობას უმოქმედობად ჰქმნის. როდესაც კი სოლიდარობა

რობის პრინციპი ცენტრალისმის სამოსელში ეხვევა, უმაღლესი სოლიდარობის გათქვება იწყება და ნაცვლად აღმაფართოვანების ერთსულოვანებისა ავანსცენაზე ცენტრიდამ გადმოდინარე ბრძანება მოსჩანს. ბრძანებას, ვისგანაც უნდა წარმოსდგებოდეს იგი — სულ ერთია, ადამიანი ყოველთვის ნაძალადევად ასრულებს; ასეთი ნაძალადევი მოქმედება კი ყოველთვის საუკეთესო თავდება რევოლუციის დამარცხებისა.

ცენტრალისმად გადაქმნილ სოლიდარობის პრინციპით განიზრახეს რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა უშველებელ იმპერიის სივრცეზე გაფანტული მუშა ხალხი ერთის დირიჟორის ჯოხისთვის დაემორჩილებინათ, ბეჯითად ავრცელებდნენ აზრს, რომ მხოლოდ ასე მაგრად შეკრულ-შეერთებული ძალა შესძლებს ბიუროკრატის გაუმკლავდესო, მაგრამ განვლილის წლის ურიცხვი გაფიცვები გვიმტკიცებდნენ, რომ ცენტრალისმი უძლურია ყველგან ერთს ხაზზე დააყენოს მოძრაობა. ის ენერგია, რომელიც ერთის წლის განმავლობაში შეაღია მშრომელმა ხალხმა სარევოლიუციო ბრძოლას იმპერიის სხვა და სხვა ადგილას, ერთად რომ დახარჯულიყო — უეჭველია ხალხი საბოლოოდ გაიმარჯვებდა ბიუროკრატიაზე, — ამას არ უარჰყოფენ სოციალ-დემოკრატის მეთაურნიც, მაგრამ აქედამ ისინი ჩვენსავით ცენტრალისმის უფარვისობას კი არ ასკვნიან, პირიქით ცენტრალისმის უფრო სასტიკს განხორციელებას თხოულობენ. განსხვავება ჩვენს შორის აქ ძალიან თვალსაჩინოა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალდემოკრატია ყოველივე ღონე იხმარა ცენტრალისტურად მოძრაობის მოსაწყობად, მაგრამ მათი მეცადინეობა უნაყოფო გამოდგა, რადგან თვით პრინციპი ცენტრალისმისა გამოსადეგი არ არის. სოციალდემოკრატები, პირიქით, ჰფიქრობენ, რომ ცენტრალისმი ვერ განხორციელეს და ამიტომ უნდა განაგრძონ ძველებური მუშაობა.

ზემოდ გურულებზე ვლაპარაკობდით. ვიდრე გურულები თავის საკუთარს გონებებით და გრძნობით ეომებოდნენ დახვეწებულს რეჟიმს, ვიდრე ისინი საკუთარს ძალღონით

და არა სხვის იმედით ეწეოდნენ ბრძოლას თავის ადგილობრივ ბობოლებთან, იმათი მოქმედება და იდეისთვის თავგანწირულება ნაყოფიერიც იყო და საამური სანახავიც: თვით ბიუროკრატის ერთგული მოხელენიც კი ალტაცებაში მოჰყვანდა გურიის მოძრაობას, მაგრამ, როდესაც გურია განყენებულ შეერთებულ ძალის ბრძანებით გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე, უეცრივ გაჰქრა თავგანწირულებაც, იდეაც და ნაყოფიერებაც. ბრძოლის ველზე დამარცხება სამარცხვინო არ არის, მაგრამ ბრძოლიდან გაქცევა კი პირდაპირ თავს ლაფის დასხმავს. გურია რომ ბრძოლაში დამარცხებულიყო მტრის ძლიერებით — ეს გურულების სიამაყეს და უმწიკვლობას ჩირქს არ მოსცხებდა, მაგრამ ეხლა... ეხლა სულ სხვას ვხედავთ.

ცენტრალისმად გადაქცეული სოლიდარობა აუცილებლად საერთო იდეალებს, ბრძოლის საერთო ლოზუნგებს იგულისხმებს; ეს საერთო ლოზუნგები ცენტრალურ ორგანოებისაგან აღმოჩენილი და შექმნილი; ხშირად ისე ოდნავ, ისე ნაკლებ ჰხედებიან ცენტრიდან შორს მყოფ მებრძოლთ, რომ უკანასკნელებს ეს ლოზუნგები შესაფერს აღფრთოვანებას და თავგანწირულებას ვერ აძლევენ. ნოემბრის დასაწყისში ცენტრალურმა კომიტეტებმა დაადგინეს, პოლონეთში საომარ წესების შემოღებისა გამო სრულიად რუსეთის საყოველთაო გაფიცვა მოეხდინათ და მოეთხოვნათ პოლონეთში ამ წესების გაუქმება ძლიერ ძლივობით, და ისიც ნახევრად, განხორციელდა გაფიცვა მოსკოვამდე, მაგრამ მოსკოვს იქით კი ვეღარ გავრცელდა და პეტერბურგშიაც სულ ერთიან ჩაიფუშა ხუთი თუ ექვსი დღის შემდეგ. რატომ? — ადვილი გასაგებია, რატომ: პოლონეთის საომარი წესები ისეთი ღირებულების ფაქტი არ იყო რუსეთის მუშა ხალხისთვის, რომ ამის გამო საყოველთაო გაფიცვისთვის საჭირო აღფრთოვანება და თავგანწირულება შექმნილიყო რუსეთის ყველა კუთხეში. ცხადია, ცენტრალისმი ტაქტიკურ მოსაზრებათა გარდა ხელსაყრელი

არის აგრეთვე იმიტომ, რომ ერთი ლოზუნგი, ერთი მიზანი ვრცელ ტერიტორიის ყველა კუთხეში მცხოვრებს ვერ დააკმაყოფილებს და მაშასადამე ვერც შესძლებს ერთად და ერთის მიზნისთვის ამოძრავოს ქვეყნის ყველა ძალები.

ცენტრალისში რომ ერთად ერთი ფორმა იყოს სოლიდარობის განსახორციელებლად, თქმა არ უნდა—ჩვენ იძულებული ვიქნებოდით იმის სუსტი მხარეები შეგვევსოვებინა, მაგრამ საბედნიეროდ ეს ასე არ არის. პოლონეთის მუშა ხალხი ცენტრალისტურად არ არის შეერთებული რუსეთის მუშა ხალხთან, მაგრამ ეს სრულებით ხელს არ უშლის პოლონელებს ბრძოლის საერთო ფერხულში ისეთისავე ენერჯიი იყვნენ ჩაბმული, როგორც რუსის მუშები. ებრაელების პროლეტარიატი მთელის რუსეთის მოძრაობის ავანგარდია, მაგრამ იმათი პარტია „ბუნდი“ ცენტრალიზმის ბოკილით არ არის გადაბმული მოსკოვის მუშებთან. სოლიდარობის გამოსახატავად და სოლიდარულ მოქმედებისთვის სრულიად საჭირო არ არის, რომ მოძრაობის ლოზუნგი ყველგან ერთი და იგივე იყოს. პოლონელები ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობენ, მაგრამ ამის გამო ისინი განკერძოებით არა ჰმოქმედობენ; პირიქით, ყოველთვის და ყოველს თავის ფეხის გადადგმას გონიერის თვალთ უფარდებენ ისინი რუსეთის სხვა ნაწილების მდგომარეობას და მოძრაობას; თუ პოლონელის გულს საკუთარის ლოზუნგით ბრძოლის ველზე გამოსვლა ძალას უმატებს, ამით ძალა ემატება საერთოდ მთელის რუსეთის მოძრაობას და არა მარტო პოლონეთისას.

ამ გვარად, მთელი წყება შეურყვეველის ფაქტებისა გვიმტკიცებს, რომ ცენტრალისში სოლიდარულ მოქმედების ერთად ერთი ფორმა არ არის. უბრალო ფაქტიურ შეთანხმებას უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე ნაძალადევს და ნაბრძანებს ერთ სულოვანებას. სოლიდარობის განხორციელება შეთანხმების პრინციპით შეადგენს ფედერატიულ წყობილების დასაბამს. ფედერაცია ბუნებრივად ახორციელებს მრავალ ფე-

როვანებას და მთლიანობას; ფედერაცია უარ ჰყოფს ბრძანებითს წესს და პირიქით მოითხოვს ყველა თავის წევრისაგან ნებაყოფლობითს მოქმედებას.

რუს სოციალდემოკრატებმა მეორე პარტიულ კრებაზე პრინციპიალურად უარჰყვეს ფედერაციის პრინციპი და მიიღეს ცენტრალისმი პოლონელებმა, ებრაელებმა და რამდენისამე სხვა ერის სოციალდემოკრატებმა არ მოისურვეს ცენტრალისტურ ორგანიზაციის წევრობა და რუსეთის ს. დე. მ. პარტიიდან გამოვიდნენ, ქართველებმა კი ნებაყოფლობას ბრძანებლობა არჩიეს და დაექვემდებარნენ ცენტრალურ კომიტეტს. ქართველმა სოციალდემოკრატებმა ამ გვარად რამდენისამე წლის წინად ჩაიდინეს ის შეუწყნარებელი შეცდომა, რომლის ნაყოფსაც ეხლა ვიპყით: ვიდრე საქართველოს მოძრაობას ადგილობრივი და მაშასადამე ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონდა, იგი ძლიერი იყო და თვალწარმტაცი, მაგრამ შემდეგ კი დაქვეითდა, დაცა და სამარცხვინო ელფერი მიიღო.

ჩვენს მიმოხილვაში მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით სოციალდემოკრატების ტაქტიკაზე შევაჩერეთ, მაგრამ ჩვენ არ ვამბობთ, რომ სხვა პარტიები უცოდველნი იყვნენ. პირიქით, ძალიანაც რომ გვინდოდეს, ჩვენ არ შეგვიძლიან არ დავინახოთ სხვა პარტიების სუსტი მხარეებიც, მაგრამ ჩვენის ქვეყნის ცხოვრებაში ისეთი თვალსაჩინო და ძლიერი მნიშვნელობა არაგის არ ჰქონია, როგორც სოციალდემოკრატის და ამიტომაც ვლაპარაკობთ სწორედ ამ პარტიაზე.

დასკვნა ჩვენის მიმოხილვისა ადვილი დასანახია: 1) აუცილებლად საჭიროა ქართველ ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობის დამყარება მის საკუთარს ძალასა და ენერჯიაზე და არა რაიმე სხვა, იმის გარეშე მყოფს ძლიერებაზე, 2) საჭიროა კავშირი რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების მებრძოლ მუშა ხალხთან, მაგრამ არა ცენტრალისტური, არამედ ფედერატიული და 3) ბრძოლის ლოზუნგი უნდა იყოს არა ერთი და იგივე

მთელის იმპერიისთვის, არამედ იგი უნდა ეთანხმებოდეს თითოეულის ადგილის და ეროვნების მისწრაფებას; ლოზუნგების სხვა და სხვაობა ხელს არ უნდა უშლიდეს მოძრაობის მთლიანობას.

ამ მიმოხილვის დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ ის განსაცდელი, რომელშიაც დღეს ქართველი ხალხი იმყოფება. განსაცდელი მეტად დიდია—ამას თქმა არ უნდა, მაგრამ იგი იქ არ არის, სადაც ბევრს ეგულება. ცეცხლით და მახვილით ორ მილიონიან ერს ვერ გასწყვეტენ, ბევრიც რომ ეცადონ, ქართველ ხალხს ისტორიულ საუნჯედ ვერ გადააქცივენ. რაც უნდა ისასტიკონ, რაც უნდა ითარეშონ—ხალხი მაინც არ ამოიხოცება, დამწვარი სახლები კვლავ აშენდება და ფიზიკურად კვლავ აღორძინდება. ამისი შიში ჩვენს გულს არ ეკარება.

მაგრამ განსაცდელი მაინც დიდია... და ეს განსაცდელი ის გზა არის, რომელზედაც დადგება ხალხი ეხლანდელის აწიოკების შემდეგ. ვაი თუ დღემდე განმათავისუფლებელ მოძრაობას ავანგარდში მყოფი ხალხი ისე დაშინდეს, ისე აუტკიოს გვერდი მოძრაობას, რომ რეაქციის ბჭედ გადაიქცეს რამდენისამე წლით მაინც. ყველაფერი დამოკიდებულია იმ შეხედულობაზე, რომლითაც იგი უკვე განვილილ ბრძოლის გზას გაანათებს. თუ ხალხს იმდენი ზნეობრივი და გონებრივი ძალა მოეპოვება, რომ სამართლიანი მსჯავრი დასდოს წარსულს, კრიტიკულად ასწონ-დასწონოს წინანდელი ტაქტიკა, შეიგნოს პარტიის კაცებისაგან მის მოქმედებაში შეტანილი შეცდომები და გაასწოროს ისინი,—მაშინ დღევანდელი განსაცდელი ბრწყინვალე მომავლის წინამორბედი იქნება, მაგრამ თუ ასეთის კრიტიკისთვის საჭირო ძალა ვერ

გამოიჩინა,—მაშინ კი აწინდელი განსაცდელი მწარე და შავი ცხოვრების მომასწავებელი გამოდგება. ქართველი ინტელიგენცია მოვალეა, მთელი თავისი ძალღონე დახარჯოს, და ხალხს კი გაუადვილოს ფაქტების ჯეროვანი დაფასება და კრიტიკა.


გ. რ.

ამ №-ში, მე-3, მე-5, მე-7, მე-9, მე-11 მე-13 და მე-15 გვერდებზე სათაურებათ შეტდომით არის დაბეჭდილი: დანაშაული და სასჯელი, უნდა იყოს: ქიტესა კეთებაშვილი.

რედაქტორი  
 ჯ. ჭყონია.


გამომცემელი  
 ჯ. ჯაბაძარი






ასეთ თანასწორობაში H და O გრამატომებს წარმოადგენენ, რადგან კალორიებს გრამ ნივთიერებაზედ ანგარიშობენ.

კალორიულ ეფექტის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის გარემოებაც, თუ რა მდგომარეობის ნივთიერებები შედიან ქიმიურ რეაქციებში და რა მდგომარეობის შენაერთნი სჩნდებიან რეაქციების შემდეგ. როგორც ვიცით, ნივთიერებების ერთ მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის დროს, ესთქვათ, მაგარ ნივთიერების სითხეთ ან გაზად ქცევის დროს ანა და გაზის, სითხეთ ან მაგარ ნივთიერებად გარდაქცევის დროს აუცილებლად ტერმიულ ეფექტსაც აქვს ადგილი. ცხადია, რომ ასეთ ტერმიულ ეფექტს დიდი ცვლილება შეუძლიან შეიტანოს ამა თუ იმ რეაქციის დროს წარმოშობილ ტერმიულ რაოდენობაში. მართლაც, თუ ჩვენ წყალმბადს და მჟავმბადს ისეთს ტემპერატურაში შევაერთებთ, რომ მათგან წარმომდგარი წყალი სითხეულ მდგომარეობისა იქნება, მაშინ ამ რეაქციის კალორიული ეფექტი 69 Kal. უდრის და იმ სითბოს რაოდენობასაც შეიცავს, რომელიც ორთქლოვან წყლის სითხეთ ქცევის დროს სჩნდება. ცნობილია, რომ ერთი გრამ წყლის ორთქლის სითხეთ ქცევის დროს 0,563 Kal. სჩნდება. 18 გრამ ან ერთ მოლეკულ ორთქლოვან წყლის სითხეთ ქცევის დროს კი 9,6 Kal. სითბო სჩნდება; ასე რომ გაზოვან წყალმბადის და მჟავმბადისაგან ორთქლოვან, არა სითხეულ მდგომარეობის წყლის მიღების დროს 100<sup>0</sup> გრადუსიან ტემპერატურაში 54,4 Kal. სითბო უნდა სჩნდებოდეს. გამოცდილება ყოველთვის გვიჩვენებს, რომ ეს ტერმიული გამოანგარიშება მართლაც სავსებით მართლდება. ამნაირად სითხეულ და ორთქლოვან წყლის გაჩენის დროს წარმოშობილი ტერმიული რაოდენობები შემდეგის ტერმიულ თანასწორობეებით უნდა აღინიშნოს:




სითხეული

და




გაზოვანა.

კალორიულ ეფექტზედ გავლენა აქვს აგრეთვე ნივთიერებათა გახსნილს თუ გაუხსნელს მდგომარეობაში მოქმედებასაც, რადგან სითხეში ნივთიერებათა გახსნის დროს სითბო ან იხარჯება ან სჩნდება. მაგალითად, სუსტ, არა კონცენტრიულ წყალხსნილ ნატრიუმტუტესი და წყალხსნილისავე მარილის სიმჟავის ურთიერთშორის ზედმოქმედებით ნატრიუმმარილის გაჩენის დროს 13,7 Kal. სითბო სჩნდება შემდეგის ტერმიულ თანასწორობით:



წყალხსნილ ნატრიუმტუტეზედ გაზოვან მარილის სიმჟავის ზედმოქმედებით-კი 31,1 Kal. სითბო სჩნდება შემდეგის თანასწორობით:




უკანასკნელ შემთხვევაში 13,7 კალორის, რომელიც რეაქციის პირველ პირობებში სჩნდება, კიდევ 17,4 კალორი ემატება. უკანასკნელი სითბოს რაოდენობა გაზოვან მარილის სიმჟავის წყალში გახსნის დროს სჩნდება; ეს სითბო ესრედ წოდებული გახსნის ტერმიული ეფექტია.

\*) „aq“ ნიშნავს წყალში გახსნილ ნივთიერებას.

\*\*) „gas“ გაზოვან ნივთიერებას.


ქიმიურ ნივთიერებათა გაჩენის სითბოთი რაოდენობა ყოველთვის მათ დასაშლელად საჭირო სითბოს, ანუ მათი დაშლის სითბოთი რაოდენობას უდრის იმ განსხვავებით კი, რომ პირველ და მეორე შემთხვევებში სითბოს, რაოდენობანი სხვა და სხვა ნიშნებისა იქნებიან. თუ ნივთიერების გაჩენის დროს სითბო სჩნდება, მაშინ წარმოშობილ სითბოს რაოდენობა მიმატებითი ნიშნისა იქნება, და გაჩენილ ნივთიერების დასაშლელად იმოდენივე გარეშე სითბო უნდა დაიხარჯოს ესე იგი უკანასკნელ შემთხვევაში სითბოს რაოდენობა გამოკლებითი ნიშნისა უნდა იყოს. უმეტეს ნაწილად ნივთიერებათა შეერთებით სითბო სჩნდება ანუ თავისუფლდება, ზოგიერთ შემთხვევებში კი, პირიქით, ახალ ნივთიერების გასაჩენად გარეშე სითბო იხარჯება. როგორც ვიცით, პირველ ჯგუფის რეაქციებს ეძახიან სახელად ეკზოტერმიულ, მეორე ჯგუფისას კი ენდოტერმიულ რეაქციებს. უკანასკნელ ჯგუფის რეაქციებს ეკუთვნის, მაგალითად, გაზოვან ხლორჟანგის გაჩენა შემდეგის ტერმიულ თანასწორობით:





როგორც თანასწორობიდან სჩანს, ამ ნივთიერების გასაჩენად ხლორი და მუავმადა ურთიერთშორის შეერთების დროს 15,1 Kal. სითბოს ითვისებენ და ამიტომაც ხლორჟანგი, როგორც სითბოთი გამდიდრებული შენაერთი, ადვილად ასაფეთქებელ ნივთიერებას წარმოადგენს.

### ჰესის კანონი:


ქიმიურ შენაერთის გაჩენის დროს წარმოშობილ სითბოს რაოდენობა ყოველთვის ერთი და იგივე არის მიუხედავად იმისა პირდაპირის, თუ არა პირდაპირის ან მარტივის, თუ რთული საშუალებით მზადდება ეს ნივთიერება. მაგალითად, წყალხსნის ნატრიუმსულფატის მისაღებად ჩვენ შეგვიძლიან ან პირდაპირ ორ მოლეკულ ნატრიუმტეტრეზედ ერთ მოლეკულ გოგირდის სიჩქავით ვიმოქმედოთ შემდეგის თანასწორობით.




ანა და ამავე მარილის მისაღებად ჯერ ერთ მოლეკულ ნატრიუმ ტუტესი და ერთ მოლეკულ გოგირდის სიმეავის ურთიერთშორის ზედმოქმედებით შეავე გოგირდის სიმეავის ნატრიუმმარილი მივიღოთ და შემდეგ-კი გაჩენილ შეავე გოგირდის სიმეავის მარილზედ კიდევ ერთ მოლეკულ ნატრიუმტუტეს ზედმოქმედებით ნეიტრალი ნატრიუმმარილიც დავამზადოთ შემდეგის თანასწორობებით:




გამოცდილება ყოველთვის გვიჩვენებს, რომ გოგირდის-სიმეავის ნატრიუმმარილის აღნიშნულ მარტივ საშუალებით მიღების დროს 31,4 Kal. სითბო სჩნდება შემდეგის ტერმიულ თანასწორობით.



მეორე რთულ საშუალებით-კი ჯერ შეავე მარილის გაჩენის დროს 14,75 Kal. სითბო სჩნდება შემდეგის თანასწორობით:



შემდეგ-კი ნეიტრალმარილის მიღების დროს 16,65 Kal.



სულ გოგირდის სიმეავის ნეიტრალ ნატრიუმ მარილის გაჩენის დროს აქაც 31,4 Kal. სითბო ნთავისუფლდება. ჰესსის კანონის შემწეობით შეიძლება აგრეთვე ისეთ რეაქციების ტერმიული ეფექტიც გავიგოთ, რომლების კალორიმეტრიული ესე იგი კალორიმეტრების შემწეობით გამოკვლევა შეუძლებ-


ბელია. ასეთ შემთხვევებში არა პირდაპირ საშუალებებს ხმა-  
რობენ. მაგალითად, გოგირდწყალმბადის გაჩენის ტერმიულ  
ეფექტის გაგება პირდაპირ მის შემადგენელ ელემენტებთან შე-  
ერთებით შეუძლებელია, რადგან გოგირდწყალმბადის სინტეზი  
კალორიმეტრში მოუხერხებელია. ამ მიზნისათვის გოგირდ-  
წყალმბადის გაჩენის ტერმიულ ეფექტს წყალმბადის, გოგირ-  
დის და მჟავმბადის ურთიერთშორის შეერთების ტერმიულ  
ეფექტების მიხედვით ანგარიშობენ. თავდაპირველად წყალმბა-  
დის და გოგირდის მჟავმბადთან შეერთების ესე იგი წყლად და  
ორჟანგგოგირდად გარდაქცეულ ტერმიულ ეფექტებს გაიგე-  
ბენ. შემდეგ წყალმბადის და გოგირდის ქიმიურ შენაერთის  
დაამზადებენ და ამრიგად მიღებულ გოგორდწყალმბადის მჟავ-  
მბადთან შეერთებით ე. ი. წყლად და ორჟანგგოგირდად ქცე-  
ვის ტერმიულ ეფექტებსაც გაიგებენ. ორთავე შემთხვევაში  
ერთნაირ სისტემის (H, S, O) მიხედვით ტერმიული ეფექტე-  
ბი წყლის და ორჟანგგოგირდის გაჩენის შედეგია იმ განსხვა-  
ვებით კი, რომ მეორე შემთხვევაში დამზადებულ გოგირდ-  
წყალმბადის დაწვის ტერმიული ეფექტი თავის ნაწილს ამ  
რთულ ნივთიერების დაშლაზედ ხარჯავს. ნივთიერების დაშ-  
ლის ტერმიული ეფექტი კი, როგორც ვიცით, მის გაჩენის  
ტერმიულ ეფექტს უდრის; ასე რომ, თუ ჩვენ გოგირდწყალ-  
მბადის დაწვის ტერმიულ ეფექტს მისსავე გაჩენის ტერმიულ  
ეფექტს მივუმატებთ, აშკარაა თავისუფალ, არა შეერთებულ  
წყალმბადის და გოგირდის დაწვის ეფექტს მივიღებთ. ამნაი-  
რად ჰესისის კანონის თანახმად ცალ-ცალკე დამწვარ წყალმბადის  
და გოგირდის ტერმიულ ეფექტი გოგირდწყალმბადის გაჩე-  
ნის და მისი დაწვის ტერმიულ ეფექტს უნდა უდრიდეს ამრი-  
გად:

#### აზოტი № 14.

თავისუფალ მდგომარეობაში ეს ელემენტი ჰაერში იმყო-  
ვება. უკანასკნელი დაახლოვებით 800/0 აზოტის და 200/0

მჟავმბადის მექანიკურ ნარევს წარმოადგენს. ქიმიურად შეერთებულ მდგომარეობაში კი აზოტი გვარჯილაში და მცენარე-ცხოველების ცილეულ ნივთიერებებში იმყოფება. თავისუფალ, უმჟავმბადო აზოტში ცხოვრება შეუძლებელია და აი სწორედ ამიტომაც ამ ელემენტს სახელად აზოტი უწოდეს, რაც ბერძნულად უსიცოცხლოს ნიშნავს. ჰაერს ადვილად შეიძლება მჟავმბადი სულაც მოვაშოროთ და ამრიგად თავისუფალი აზოტი მივიღოთ. როგორც მჟავმბადის გაცნობის დროს დავინახეთ, მეტალოიდი ფოსფორი ჰაერის მჟავმბადთან შეერთებით წყალში ადვილად გასახსნელ ხუთჯანგ ფოსფორად იქცევა შემდეგის მოლეკულარულ ფორმულით  $P_2 O_5$ ; ასე რომ ჰაერიდან აზოტას მისაღებად ჩვენ შეგვიძლიან რაიმე წყლიან ქურქელში ხის ფირფიტაზედ დამაგრებულ ფოსფორის ჯამში ყვითელ ფოსფორის პატარა ნატეხი მოვათავსოთ, უკანასკნელს სწრაფად ცეცხლი წავუკიდოთ და მას სწრაფადვე ზევიდან მოზრდილი ქიქის ზარა დავამხოთ. ასეთ პირობებში ჯამზედ მოთავსებული ფოსფორი ქიქის ზარაში დაწყვედულ ჰაერის მჟავმბადს შეუერთდება, მასთან ერთად წყალში ადვილად გასახსნელ თეთრკვამლისებურ ხუთჯანგფოსფორად გარდაიქცევა და აზოტი კი სულაც თავისუფალ მდგომარეობაში ქიქისავე ზარაში დარჩება. გამოცდილების დროს გაჩენილი თეთრკვამლისებური ხუთჯანგფოსფორი ნელ-ნელა წყალში გაიხსნება და ზარაში ცოტაოდენ დროის განმავლობაში სრულიად უფერული, გამსქრიახი აზოტი დარჩება. ყვითელფოსფორს, რომელიც ყოველთვის წყალში ინახება, გამოცდილების დროს წყლიდან პინცეტის შემწეობით ამოიღებენ, სწრაფად საწურავ ქალღლით შეაშრობენ და ასეთს მშრალ მდგომარეობაში ფოსფორის ჯამში მოათავსებენ. ყვითელ ფოსფორის ხელით აღება არ შეიძლება, რადგან ეს ელემენტი საწამლაია და ჰაერზედ უცეცხლოდაც ადვილად იწვის. იხილე სურათი). როდესაც ქიქის ზარაში დარჩენილი აზოტი სრულიად უფერული შეიქნება და ქიქის ქურქელი დაწყებით ტემპერატურას მიიღებს, ჩვენ დავინახავთ, რომ აზოტის ტანი ადებულ ჰაერის


ტანის ოთხ მეხუთედს უდრის ე. ი. ჰაერი დაახლოვებით  $\frac{1}{4}$  მჟავმბადისაგან და  $\frac{4}{5}$  აზოტისაგან შესდგება.



ჰაერიდან აზოტის მიღება შეიძლება აგრეთვე ლითონ სპილენძის შემწეობით. უკანასკნელ საშუალების განსახორციელებლად ჰიქის მილში მშრალ სპილენძის ფხენილს მოათავსებენ, შემდეგ ჰიქის მილს წითელ ფრამდე გაახურებენ და ერთლია ბოლოდგან მასში ნელ-ნელა ჰაერს შეუშვებენ. ასეთ პირობებში ჰაერის მჟავმბადი ლითონ სპილენძს უერთდება შავ სპილენძის ქანგის გასაჩენად, თავისუფალი აზოტი კი ჰიქის მილის მეორე ღია ბოლოდგან იწყებს დენას.

ლაბორატორიებში თავისუფალ აზოტის სახელდახელოდ და ბლომად დამზადებისათვის ესრედ წოდებულ აზოტოვან სინჯავის ამონიუმ მარილს ხმარობენ. ეს მარილი წარმოადგენს აზოტოვან სიმჟავეს, რომლის მოლეკულში წყალმბადის ატომის ადგილი ესრედ წოდებულ ამონიუმის ჯგუფ უჭირავს. ამონიუმის ჯგუფი კი, როგორც შემდეგ დავინახავთ, ერთ ხუთმიმზიდველოვან აზოტის ატომისაგან და ოთხ ატომ წყალმბადისაგან შესდგება ანუ  $\text{NH}_4$ ; ასე რომ აზოტის ატომს ამ ჯგუფში ერთი თავისუფალი მიმზიდველობა კიდევ რჩება და აი ამ ერთ თავისუფალ მიმზიდველობისა და მიხედვით ეს ჯგუფიც ჰიდროქსილებსავით ერთ მიმზიდველოვან ატომთა ჯგუფს წარმოადგენს. ეს ჯგუფიც თავისუფალ მდგომარეობაში სულაც არ არსებობს და მხოლოდ სხვა და სხვა სიმჟავებთან შეერთებული მარილოვან მდგომარეობაში არის

ცნობილი. აზოტის დასამზადებლად რეტორტში ან კოლბაში მაგარ წყალხსნილ აზოტოვან სიმკვავის ამმონიუმ მარილს მოათავსებენ და ასეთს ხსნილს ცეცხლზედ გახურებით ქიმიურად დაშლიან აზოტად და წყლად შემდეგის თანასწორობით:



დაშლის დროს გაჩენილი აზოტი გაზის გამყვან მილის შემწეობით შეიძლება კოლბიდგან გაზომეტრში მოვათავსოთ და აქედგან სხვა გაზებსავეთ ესეც გასაცნობლად სხვა და სხვა ქურქლებში გადავიტანოთ.

ფიზიკური და ქიმიური თვისებებები:

აზოტი უფერულ გაზოვან ელემენტს წარმოადგენს; მას არავითარი სუნი და არც გემო არ აქვს მისი სიმკვრივე წყალბადთან შედარებით უდრის 13,93-ს. აზოტის ერთი ლიტრი 0° გრადუსიან ტემპერატურაში და 760 m. m. ზედაწოლის პირობაში 1,252 gr. იწონის. აზოტი მეტად ძნელად იქცევა სითხედ და ასეთ მდგომარეობაში — 196° გრადუსიან ტემპერატურაში სდულს და — 214° გრადუსიან ტემპერატურაში კი ის მაგარ მდგომარეობასაც იძენს. მისი კრიტიკული ტემპერატურა — 146° გრადუსს უდრის. წყალში ეს გაზი მუდამაღზედ უფრო ძნელად იხსნება. ქიმიურ თვისებებებისა და მიხედვით აზოტი მეტის მეტ ინდიფერენტულ ელემენტს წარმოადგენს; ჩვეულებრივ ტემპერატურაში აზოტი სულაც არ უერთდება სხვა ელემენტებს, მაღალ ტემპერატურებში კი მხოლოდ ზოგიერთ მათგანს. მაგალითად ლითონი მაგნიუმი წითელფერამდე გახურების ტემპერატურაში აზოტთან შეერთებით აზოტლითონს, ესრედ წოდებულ აზოტმაგნიუმს აჩენს შემდეგის მოლეკულიარულ ფორმულით  $\text{Mg}_3\text{N}_2$ . მუდამაღს აზოტი ელექტრონის ზედგავლენით უერთდება ბნელ-მოწითალო გაზის, ორჟანგ აზოტის წარმოშობით აზოტის და მუდამაღის ამგვარ




შეერთებას ჰაერშიაც აქვს ადგილი ბუნებრივ ელექტრონის, ელვის ზედგავლენით. ელექტრონის ძალისავე ზედგავლენით აზოტი წყალმბადსაც უერთდება ესრედ წოდებულ ამმონიაკის წარმოშობით, რომლის მოლეკულიარული ფორმულა, როგორც შემდეგ დავინახავთ,  $NH_3$  არის. აზოტის თანგეულობეების და აზოტწყალმბადოვან ნივთიერებების გამოკვლევებიდან სჩანს, რომ გაზოვან აზოტის მოლეკული წყალმბადის და მჟავმბადის მოლეკულებსავით ორ ატომისაგან შესდგება ამრიგად  $N_2$ . აზოტის მოლეკულების ორ ატომიანობის დამამტკიცებელ საბუთებს ჩვენ შესაფერ აზოტოვან ნივთიერებების აღწერის დროს განვიხილავთ.

### ჰაერა.

პრისტლის და ლავუაზიეს გამოკვლევებამდე ჰაერს ელემენტათ სთვლიდნენ. წინეთ არ იცოდნენ, რომ ჰაერი ინდიფერენტულ აზოტისაგან და ენერგიულ, ნივთიერებების დამწველ-გამქანგველ ელემენტ მჟავმბადისაგან შესდგებოდა. წინეთ თითქმის მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე ჰფიქრობდნენ, რომ ყოველი დასაწვავი ნივთიერება ერთ თავისებურ ნივთიერებას ესრედ წოდებულ ფლოგისტონს შეიცავს. სტალის ფლოგისტოურ ტეორიით (1660—1734) დაწვის დროს ნივთიერებიდან ფლოგისტონი სულაც ნთავისუფლდება და ამ პროცესის დროს აღის ან სითბოს გაჩენა ფლოგისტონის მოძრაობის შედეგად ითვლებოდა, ამ ტეორიით რაც უფრო ენერგიულად იწვის ნივთიერება, ის იმდენად უფრო მეტ ფლოგისტონს შეიცავს. გოგირდი, ფოსფორის ნახშირმბადი და წყალმბადი, რომლებიც ენერგიულად იწვიან ჰაერში ამ ტეორიით ფლოგისტონით მდიდარ ნივთიერებებს წარმოადგენენ. წყალმბადის აღმოჩენის შემდეგ ეს ელემენტი, როგორც უმსუბუქესი და ენერგიულად დასაწვავი მატევი ნივთიერება, ფლოგისტონათ აღიარეს. ფლოგისტონით მდიდარ ნივთიერებებს ამ ტეორიით თავისი ფლოგისტონი შეუძლიანთ უფლოგისტო-

ნო ან ფლოგისტონით ღარიბ ნივთიერებებს გადასცენ. ლითონები ფლოგისტონის მექონნ ელემენტებათ ითვლებოდნენ და ამიტომაც ჰფიქრობდნენ, რომ ჰაერზედ დაწვის დროს ისინი ფლოგისტონის წარმოშობით თავისუფალ, უფლოგისტონო ნივთიერებებად იქცევოდნენ. ასეთგვარი უფლოგისტონო ნივთიერებებში ე. ი. ეხლანდელი სამტუტო ქანგეულობები ფლოგისტონით მდიდარ ნივთიერებებთან ნახშირმზადთან ან წყალმზადთან გახურებით ისევ ისე ითვისებენ ფლოგისტონს და ისევ ლითონებათ იქცევიან. იმ გარემოებას კი რომ, გოგირდი, ფოსფორი და საზოგადოდ ადვილად დასაწვავი ნივთიერებები დაწყვედულ ჰაერში ვეღარ იწვიან ბოლომდე, ამ ტეორიის მიმდევადრნი იმით ჰხსნიდნენ, რომ ჰაერი ასეთ პირობებში ფლოგისტონით მდიდრდება, ივსება, ისე რომ დასაწვავი ნივთიერებებში ასეთ ჰაერში ვეღარ ანთავისუფლებენ თავის ფლოგისტონს. ფლოგისტიურ ტეორიით ნივთიერებების დაწვის დროს ჰაერს ფლოგისტონი ემატება, მაშინ როდესაც დღეს ყველამ კარგად იცის, რომ ასეთ პროცესს დროს პირაქეთ ნივთიერებებს ჰაერის ერთი შემადგენელ ნაწილთაგანი უერთდება. 1774 წელში პირველ აგვისტოს პრისტლიმ მკვამბადი აღმოაჩინა და მას სახელად უფლოგისტონო ანუ ფლოგისტონისაგან განთავისუფლებული ჰაერი დაარქვა. ეს უკანასკნელი შესაფერ ექსპერიმენტებისა და მიხედვით ლავუაზიემ დაწვავაქანგვის პრინციპად აღიარა. ბოლოსაც იმავე პრისტლიმ და შეეღემ დაამტკიცეს, რომ ჰაერი არ არის ელემენტარული ნივთიერება და ის გარდა მკვამბადისა ერთ სხვა ინდიფერენტულ ნივთიერებასაც შეიცავს, რომელშიაც დასაწვავი ნივთიერებები სულაც არ იწვიან. სამუდამოდ და სავსებით უარყოფილ იქმნა ფლოგისტიური ტეორია, როდესაც ლავუაზიემ ექსპერიმენტალურად დაამტკიცა, რომ დასაწვავ ნივთიერებას დაწვის დროს იმოდენი წონა ემატება, რამოდენი წონაც აკლდება იმ ჰაერს, საცა ეს პროცესი მიმდინარეობს. ამ გამოცდილების განსახორციელებლად ლავუაზიემ ჰიქის რეტორტში მოათავსა განსაზღვრული რაოდენობის ვერცხლის წყალი, რე-

ტორტის ყალიონისავით გაღვერილი მილი კი ღია ბოლოთი ვერცხლის წყლიან ჯამში ჩაუშვა და მას ზევიდგან ჰაერით სავსე კიქისავე ზარა დაამხო. ამნაირად გამართულ კიქის რეტორტს (იხილე სურათი) ლაგუაზე ცეცხლის შემწეობით ვერ-




ცხლის წყლის დუღილის ტემპერატურამდე ახურებდა რამოდენიმე დღე და ღამის განმავლობაში, რომ ამნაირად ვერცხლის წყლის და ჰაერის ურთიერთშორისი ზედმოქედება ბოლომდე დაეყვანა.

ასეთ პირობებში ექსპერიმენტატორი დარწმუნდა, რომ დროისა და მიხედვით ვერცხლის წყალზედ წითელი ფხვნილი გაჩნდა და ამავე დროსვე გამოცდილებისათვის აღებულ ჰაერის ტანიც შემცირდა განსაზღვრულ რაოდენობამდე სახელობრ  $\frac{4}{5}$ -მდე დავიდა. აქედან ლაგუაზემ დასკვნა, რომ ჰაერის ერთი მეხუთედი ვერცხლის წყალს შეუერთდა და მასთან ერთად რთული წითელი ნივთიერება წარმოშო. მართლადაც, როდესაც მან რეტორტში გაჩენილი წითელი ფხვნილი მეორე მშრალ რეტორტში გადიტანა და ცეცხლზედ გაახურა ისევ ისე ტანით ერთი მეხუთედი გაზი მიიღო. ამნაირად ლაგუაზემ დარწმუნდა, რომ ჰაერი შესდგება ტანით ერთ ნაწილ გამჟანგველ გაზისაგან, ესრედ წოდებულ მეთანბადისაგან და 4 ნაწილ, დაწვის მხრით ინდიფერენტულ გაზისაგან, რომელიც მან 1784 წელში პირველად ელემენტ აზოტად აღიარა. ლაგუაზემ დაამტკიცა, რომ გაჟანგვის დროს ვერცხლის წყალს წო-


ნა ემატება და იმდენი, რამოდენიც მახელ მომქმედ ჰაერს აკლდება; მან დაამტკიცა, რომ წონა წარმოშობილ ნივთიერებათა ყოველთვის მათ წარმოშობ ნივთიერებების წონათა ჯამს უდრის.

გარდა მჟავმბადისა და აზოტისა ჰაერი შეეცავს აგრეთვე წყალმბადს  $0,020/10$  პროცენტამდე, ელემენტ არგონს, ნახშირმჟავე გაზს  $0,040/10$  პროცენტამდე, წყლის ორთქლს და მეტად მცირედენ რაოდენობით ამონიაკს, ოზონს, წყალმბადის გადაჟანგს, აგრეთვე ბევრ სხვა შემთხვევით შერეულ ნივთიერებებს და ბოლოსაც ბაქტერიებს. ჰაერის უმთავრეს შემადგენელ ნაწილების რაოდენობათა გამოსარკვევად დიუმამ და ბუსენგომ მიჰპარტეს შემდეგ საშუალებას. მათ ამ მიზნისათვის იხმარეს ჭიმიურად წმინდა სპილენძი, რომელიც მალალ ტემპერატურებში ძალიან ადვილად და სავსებით ართმევს ჰაერს მჟავმბადს და მასთან ერთად შავ სპილენძის ჟანგად იქცევა. ჰაერის ანალიზის განსახორციელებლად მათ გრძელ ჭიქის მილში თითქმის ერთიდგან მეორე ბოლომდე ლითონ სპილენძის ნატეხები მოათავსეს; შემდეგ მილის ერთი ღია ბოლო საკლიტავის შემწებით ოც ლიტრიან უჰაერო ჭიქის კოლბას შეუერთეს, მეორე ბოლო-კი სხვა და სხვა ფორმის ჭიქის მილებს, რომელთაგან პირველ ორში წყლის ადვილად შემთვი-



სებელი ქლორკალციუმი იყო მოთავსებული, მესამეში კი წყალხსნილი კალიუმტუტე ჰაერიდგან ნახშირმჟავე გაზს წასართმევად. (იხილე სურათი). გამოცდამდე ექსპერიმენტატორებმა ასწონეს უჰაერო ოც ლიტრიანი კოლბა, სპილენძიანი, ხლორკალციუმიანი და კალიუმტუტიანი ქიქის მიღები; შემდეგ ყველა ეს ხელსაწყოები ერთი მეორეს შეუერთეს გერმეტიულად ისე, როგორც ეს სურათზედ არის ნაჩვენები, ქიქის გრძელი მილი ცეცხლზედ წითელფრამდე გაახურეს და კალიუმტუტიან ხელსაწყოს ღია ბოლოდგან ნელ-ნელა, ბუშტ-ბუშტად ჰაერის შეშვება იწყეს. ასეთ პირობებში ხელსაწყოში შემავალი ჰაერი თავის ნახშირმჟავეს კალიუმტუტეში სტოვებს, წყლის ორთქლს—ხლორკალციუმში, მჟავმბადს გახურებულ სპილენძს უერთებს და მისი თავისუფლად დარჩენილი აზოტი კი ცარიელ კოლბაში გროვდება. როდესაც დიუმა და ბუსენგო დარწმუნდნენ, რომ წყალხსნილ კალიუმტუტეში ჰაერის ბუშტები აღარ სჩანდნენ ე. ი. ქიქის კოლბა აზოტით გაივსო, მათ შეაჩერეს ჰაერის მილში დენა, საკლიტაგების შემწეობით გერმეტიულად დაჰკეტეს კოლბა, სპილენძიანი მილი და უკახასკნელები ასწონეს სასწორზედ. ასეთ გამოცდილებისა და მიხედვით აღმოჩნდა, რომ წყლის ორთქლისაგან და ნახშირ მჟავისაგან განთავისუფლებული ჰაერი ყოველ 100 წონითი ნაწილში დაახლოვებით 76,99 ნაწილ აზოტს და 23,01 ნაწილ მჟავმბადს შეიცავს. აქ მოყვანილ ანალიზში არ არის მიღებული მხედველობაში არგონის რაოდენობა, რადგან ეს ელემენტი მხოლოდ უკახასკნელ ხანებში იქმნა რელების და რამზაის მიერ აღმოჩენილი. სხვა და სხვა ქვეყნებში და სხვა სიმალღებზედ ჰაერის აზოტის და მჟავმბადის შედარებითი რაოდენობა ერთი და იგივე არის და უდრის სხვა შემადგენელ ნაწილებისაგან განთავისუფლებულ ჰაერისათვის: მჟავმბადის 23,010/0 წონითი პროცენტს და აზოტის 76,990/0 პროცენტს. საზოგადოდ კი ყველა შემადგენელ ნაწილების ანალიტიურ გამოკვლევებისა და მიხედვით ჰაერი დაახლოვებით შეიცავს: ტანით 77,450/0 აზოტს, 20,770/0 მჟავმბადს, 0,840/0 წყლის


ორთქლს, 0,04 ნახშირბედე გავს და 0,90/10 არგონს. ჰაერის აზოტის და მეთანის დახლოვებით ტანითი რაოდენობის შესატყობად, საზოგადოდ კი გაზების გამოსაკვლევად ხმარობენ ესრელ წოდებულ ბიურეტებს. უკანასკნელები წარმოადგენენ ორს ერთი მეორესთან კაუჩუკის შემწვობით შეერთებულ და ხის სადგმელებში ჩამაგრებულ ჭიქის მილებს. ერთი ამ მილებთაგანი სიგრძით სანტიმეტრებად არის დაყოფილი და მისი ზედა წაწვეტილი ბოლო მაზედ წამოცმულ მოკლე კაუჩუკის მილის და პაწაწა ლითონის საქერის შემწვობით სურვილისა-



ბიურეტები.



ბიურეტისა და ჭიქის ბურიეის შემაერთებელი ჭიქისვე მოხრილი მილი.




ჭიქის ბურთები ჰაერის გამოსაკვლევად.

მებრ შეიძლება გაილოს ან დაიკეტოს მეორე თავიდან ბოლომდე ერთნაირ დიამეტრის მილი კი არ არის სანტიმეტრებად დაყოფილი და მისი ზედა ბოლო მუდამ ღია არის (იხილე სურათები). ჰაერის გამოსაკვლევად თავდაპირველად საქირო არის მისი განსაზღვრული ტანის მოგროვება, რაც ძალიან ადვილად განსაზღვრულია, თუ ჩვენ სანტიმეტრებიან ბიურეტის ზედა ბოლოს გავაღებთ, ორთავე მილებს თა-

ვადე წყლით გავავსებთ და ამის შემდეგ უსანტიმეტროზო მილს ნელ-ნელა ქვეითკენ დავუშვებთ. ასეთ პირობაში სანტიმეტრებიან მილში წყალი ქვეითკენ დაიწევა, ნელ-ნელა მეორე მილის ღია ბოლოდგან გარეთ გადმოისხმება და მის ადგილზედ კი პირველ მილის წაწვეტილ ბოლოდგან ჰაერი იწყებს დენას, სანამ განსაზღვრულ ტანის მოგროვების შემდეგ კაუჩუკის მოკლე მილს საჭერის შემწეობით გერმეტიულად არ დავკეტავთ.

ამნაირად მოგროვილ ჰაერს აზოტის და მჟავმბადის ტანითი რაოდენობის გასაგებად რაიმე ნივთიერების შემწეობით მჟავმბადრს მოაშორებენ და დარჩენილ აზოტის ტანითი რაოდენობისა და მიხედვით მჟავმბადის ტანითი რაოდენობასაც გამოიანგარიშებენ. ასეთ ნივთიერებას წარმოადგენს წყლიანს ტუტუტეში გახსნილი თეთრა ნახშიროვანი ნივთიერება ესრედ წოდებული პიროვალის სიმჟავე, რომელიც ძალიან ენერგიულად ჰკლავავს, ითვისებს მჟავმბადს. წყალტუტე ხსნილი პიროვალის სიმჟავე უფერულ სითხეს წარმოადგენს, რომელიც მჟავმბადის შეთვისებისა და მიხედვით თან და თან ბნელ-მოწითალო ფერს იღებს. უკანასკნელ მიზნის განსახორციელებლად ე. ი. ბიურეტში მოგროვილ ჰაერიდგან მჟავმბადის მოსაშორებლად პიროვალის სითხეს ხის ფუცარზედ მიმაგრებულ ორ ერთი მეორესთან წვრილ მილის შემწეობით შეერთებულ ჭიქის ბურთებში მოათავსებენ. (იხილე ზევით მოყვანილი სურათი). მარცხენა ბურთში ზევიდგან ჩაკავშირებულია გრძელი ჯერ ქვეით და შემდეგ მაღლისაკენ მიმავალი მეტად წვრილი ჭიქის მილი, ესრედ წოდებული კაპილიარი, რომელიც მაღლა კაუჩუკით თავდება. მეორე მარჯვენა ბურთიც მაღლა ჭიქის ვიწრო, ხოლო არა კაპილიარულ მილით თავდება, რომლის ღია ბოლო თავსაცავის შემწეობით სურვილისამებრ იღება და იკეტება; ესთქვათ ჩვენ ბიურეტში 100 კუბიკური სანტიმეტრი ჰაერი მოვაგროვეთ და გვსურს ეს გაზი მჟავმბადის წასართმევათ ჭიქის ბურთებში გადავყვანოთ. ამისათვის ჯერ მარცხენა ბურთის კაპილიარის ღია ბოლოს წინდაწინვე დამზადე-

ბულ პიროგალის სიმეავის ხსნილში ჩაუშვებენ და მარჯვენა ბურთის ღია მილიდგან ნელ-ნელა ჰაერის გამოწეუნას იწყებენ, სანამ კაპილიარიდგან შეშავალი სითხე პირველ ჭქის ბურთს სულ ერთიანად არ გაავსებს და ცოტა მეორე ბურთშიაც არ გადავა, ამის შემდეგ კაპილიარზედ ჩამოცმულ კაუჩუკს კარგად დაჰკეტენ საჭერის შემწეობით, რომ ბურთში გარედან ჰაერი ოდნავადაც არ შევიდეს. ამრიგად გამზადებულ ბურთებს ასო ინივით მოხრილ ჭქის მილის შემწეობით (იხილე ზევით მოყვანილი სურათი). ჰაერიან ბიურეტებს შეუერთებენ, ისე რომ ბიურეტიდგან ჰაერს მარცხენა ბურთის კაპილიარში და აქედგან თვით ბურთშიაც გადასვლა შეეძლოს. აშკარაა ამისათვის ასო ინივით მოხრილ მილის ერთი ღია ბოლო ჰაერიან ბიურეტის კაუჩუკში უნდა გერმეტიულად ჩავამაგროთ, მეორე კი ამნაირად კაპილიარის კაუჩუკში. ეხლა კაუჩუკის მილებზედ წამოცმული საჭერები უნდა ნელ-ნელა მოიშვას და ჰაერის ბურთში გადასასვლელად მეორე ბიურეტი მაღლისაკენ უნდა აიწიოს, სანამ წყლის ზედაწოლით ჰაერი სულ ერთიანად ბურთში არ გადავა. რა წამსაც სანტიმეტრიან ბიურეტიდგან მაღლა ასული წყალი ინივით მოხრილ მილში გამოჩნდება, მაშინვე საჭერის შემწეობით კაუჩუკის მილები ისევ ისე უნდა დაიკეტოს, რომ წყალი ბურთებშიაც არ გადავიდეს. ასეთ პირობებში ბიურეტიდგან გადასული ჰაერის ასი კუბიკური სანტიმეტრი სულერთიანად მარცხენა ბურთში პიროგალის სიმეავის ხსნილს ზევით არის მოთავსებული, ასე რომ ბურთების შენძრევის შემწეობით შეიძლება ჰაერს მეფემზადი სულ ერთიანად წაერთვას და ამნაირად ბურთში მხოლოდ აზოტი დარჩეს. ოციოდ წამის შემდეგ საჭერებს ისევ ისე მოუშვებენ, მეორე თავისუფალ ბიურეტს ნელ-ნელ ისევ მარისაკენ დაეშვებენ, რომ ამნაირად სანტიმეტრებიან ბიურეტში ზედაწოლით ძალა შეამცარონ და ბურთიდგან ჰაერი ისევ ამ მილში გადმოვიდნენ, რომელიც ბურთში გადმოიყვანონ. როდესაც პიროგალის სიმეავის ხსნილში სითხე ასო ინივით მოხრილ მილში გამოჩნდება, აქაც კაუჩუკებს მაშინვე საჭერებს





9/164